აკაკი მახარაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოყვარეს პირში უძრახე!..

აკაკი მახარაძე

მოყვარეს პირში უძრახე!..

მოთხრობები

ბათუმი
2022 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი აკაკი მახარაძის დებიუტი ქართულ მწერლობაში რომანი „ტრეფიკინგის მსხვერპლით“ დაიწყო. მას მოჰყვა მეორე რომანი „უთქმელი ანდერძი“. ფრიად საინტერესოა და მკითხველის მოწონება დაიმსახურა ტრილოგიამ „იდუმალი ფრონტის რაინდი“

სიბრძნის ასაკს - 60 წლის იუბილეს მწერალი ახალი წიგნით - „მოყვარეს პირში უძრახე!...შეხვდა. წიგნში ერის, ქვეყნის სატკივართან ერთად ავტორის პირადი განცდებიცაა შეტანილი, მკითხველის ყურადღებას მიიპყრობს გახსენებები: „ძმას, ჩემს შოთას!..“ და „მარეთელი ფოლკროლისტი“. პროზასთან ერთად ავტორს წიგნში 25-ზე მეტი ლექსიც აქვს შეტანილი. ისინი 1979-2020 წლებშია დაწერილი.

რედაქტორები: ოთარ ფუტკარაძე

ოთარ ცინარიძე

ISBN 978-9941-8-4076-0

მცირე მეწარმე „მაია ჯაველიძე“

ზოგი რამ თანამედროვე ქართველთა ზნეობის მეტამორფოზის შესახებ

ზნეობა იმ წესების, ნორმების ერთობლიობაა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებას და ყოფაქცევას ამა თუ იმ საზოგადოებაში. ადამიანის ამ ნორმების შესაბამისი ქცევა და სულიერი თვისებები.

ეთიკა არის ფილოსოფიური მეცნიერება ზნეობის, მორალის შესახებ. სოკრატეს მიიჩნევენ პირველ ფილოსოფოსად, რომელიც მთავარ ყურადღებას აქცევდა ზნეობის პრობლემების დასმას და გადაწყვეტას.

ეთიკის ძირითადი პრობლემებია:

1. სიკეთისა და ბოროტების კრიტერიუმები;
2. სიცოცხლის არსი და ადამიანის დანიშნულება;
3. სამართლიანობის განსაზღვრა;
4. კუთვნილის პრობლემა.

ზნეობრივი ფასეულობებია:

1. სიყვარული;
2. სიკეთე;
3. გულუხვობა;
4. პატიოსნება.

სოციალური ქცევის წესების ერთობლიობა არის ზნეობის შემდეგი კატეგორიები:

ა. სამართლიანობა;

ბ. თანასწორობა, რომელიც შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოს შიგნით განხორციელდეს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. წესრიგი.

წესრიგის ინტერესი უპირატესია სამართლიანობისა და თანასწორობის კატეგორიებთან შედარებით, რადგან წესრიგის გარეშე რომელიმე მათგანის განხორციელება შეუძლებელი ხდება.

ზნეობრივი მოვალეობებია:

ა. თვითგამორკვევა;

ბ. ადამიანის უფლებები.

თვითგამორკვევა, ადამიანის უფლებები და უნივერსალური სამართლიანობა, საყოველთაო საკაცობრიობო ხასიათისაა.

ადამიანი ბუნებით არც ბოროტია და არც კეთილი. ასეთად იგი აღზრდისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტორების, განსაზღვრულ ზნეობრივ თუ უზნეო ქცევათა ზემოქმედების შედეგად ყალიბდება. მორალური შეხედულებები და გრძნობები საზოგადოებრივი შრომისა და ბრძოლის პროცესში ისახება. ამიტომ არის, რომ პიროვნების მორალურობა ყოველთვის განისაზღვრება იმ ადგილითა და მდგომარეობით, რომელიც მას გარკვეულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში, სოციალურ ჯგუფში უჭირავს.

ადამიანი სუბიექტია, ამიტომ ხშირად სუბიექტური აზრი და შეხედულებები სჭარბობს. მის ორგვლივ ყველა უსულო - ობიექტია, მათ შესახებ გაბატონებული მიუკერძოებული, სამართლიანი შეხედულებები, წარმოდგენები და მოსაზრებები კი - ობიექტური აზრი.

სუბიექტური აზრი უპირატესად პირადულია, ინდივიდუალური. ობიექტური აზრი კი ზოგადად გაბატონებული, მიუკერძოებული, სამართლიანი შეხედულებები და წარმოდგენებია.

თუ ამ პრინციპით ვიმსჯელებთ, აქ წამოჭრილი პრობლემატიკა და მის ირგვლივ განხილული წარმოდგენები და მოსაზრებები უფრო ობიექტურია, ვიდრე სუბიექტური.

მე უპირატესად ტოლერანტი, შემწყნარებელი მოსაზრების ვიქნები. ყოველთვის მჯეროდა და მჯერა ჩვენი წინაპრების ნაანდერძევის: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირის უკანაო“. ვთვლი, რომ ჩემი „განწირული სულისკვეთება“ მოყვარეებსა და მოყვრობაზეა გათვლილი, თორემ მტერი იმიტომაა მტერი, რომ ყველა შესაძლებლობითა და მანქანით ცდილობს დაგაზარალოს, გაგაუბედუროს... გიმტროს. ის შენს ნაკლს პირში არ გეტყვის, პირიქით, წაგახალისებს, რათა მეტი სიგლახე ჩაიდინო, მეტი ბოროტება დათესო. ამით მას გაუადვილდება დაგიმორჩილოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგიმონოს, გაგამაიმუნოს... დანარჩენი კი, ჩემო საზრიანო და კრიტიკული აზროვნების ნიჭით მომადლებულო მკითხველო, შენთვის მომინდია...

ქართველობაში, რაინდული სულისკვეთების ცენზის (თვისებების) თვალსაზრისით ოდითგანვე დამკვიდრებულა ოთხი ძირითადი ზნეობრივი კატეგორია:

1. ვაჟკაცი;
2. ლაჩარი;
3. სალახანა;
4. ფლიდი.

ვაჟკაცი, ვაჟკაცობა სულისა და ზნეობის სიდიადეა.

მისი მახასიათებლებია:

რაინდული სულისკვეთება, ჰუმანურობა, პასუხისმგებლობის გრძნობა, სამართლიანობა, შემწყნარებლობა, პატრიოტიზმი, თავგანწირვა, სხვისთვის დახმარების ხელის გაწვდენა, თავმდაბლობა!..

ვაჟკაცობა, ჩემი აზრით, ძალიან სუბიექტური ცნებაა. ქართველებს ოდითგანვე მოსდგამთ ვაჟკაცობა, მისი ყოველგვარი გამოვლინება. ვაჟკაცობა ყოველთვის მისაბაძი, დასაფასებელი და საქებარი იყო. პირველ რიგში, ვაჟკაცი არის უშიშარი, გულადი, შეუდრეკელი, მამაცი, მეომარი.

დღეისათვის ცხოვრებისეული რეალობა და ვაჟკაცობის აღქმაც შეცვლილია. კაცი კაცს უნდა გავდეს... ადამიანში ყველაზე მთავარია ღირსება, სამართლიანობა, საკუთარი თავის და სხვების პატივისცემა... ისე, რომ იკითხო, ყველა ვაჟკაცია... ყველა მაგარია... მაგრამ რეალურად ეს რთული და ყოვლისმომცველი მდგომარეობაა. გააჩნია, ხალხი ვაჟკაცობაში რას გულისხმობს. სამწუხაროდ დღესდღეობით კაცების უმეტესობა „დამრტყმელობას“, დანის დარტყმას და იარაღის გამოყენებას ვაჟკაცობად თვლის. კაცი ქალის უკან არ უნდა იმალებოდეს. ხალხი გაბოროტებული დადის ქუჩაში. სამწუხაროდ მომრავლდნენ პიროვნებები, რომლებიც არაფრის გამო ადამიანებს ხოცავენ, პატარა ბავშვებიც კი დაზომბირებული არიან „ქურდულობით“... ვერ არჩევენ ლაჩრობას და კაცობას. მცირე შეურაცხყოფასაც ვერ პატიობენ ერთმანეთს, მზად არიან, მოკლან ან დაასახიჩრონ...ეს, ზოგადად, ქართველი კაცის „გენეტიკური“ ხასიათის ბრალიცაა - ზედმეტად თავმოყვარეები ვართ, ყველაზე მაგარი გვგგონია თავი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე თუ მკითხავთ, დღევანდელობის მისადაგი ვაჟკაცობის კრიტერიუმებს ასე ჩამოვაყალიბებდი:

- ვაჟკაცობაა, იდგე ზამთრის ყინვასა და სუსხში და გულით, მაინც, მზის სითბოსა და სინათლეს ატარებდე;

- ვაჟკაცობაა, ყოველდღიურობას ფხიზელი გონებით ხვდებოდე და, მაინც, სრულ ჭკუას ინარჩუნებდე;

- ვაჟკაცობაა, ბედნიერების ყოველი გვერდის ჩავლისას იღიმებოდე და კარგი ვარო, ამბობდე;

- ვაჟკაცობაა, ბედის დარტყმებს საკუთარ თავზე იღებდე და ამით სხვებს უფრთხილდებოდე;

- ვაჟკაცობაა, მტერს თვალებში უყურებდე და მასთან პირისპირ შებმას არ გაურბოდე;

- ვაჟკაცობაა, ყოფითი ცხოვრების ტალახში ამოსვრილს, სული მუდამ ქათქათა გქონდეს;

- ვაჟკაცობაა, გრძნობდე სიკვდილის მუქარას და ამას არაფრად აგდებდე;

- ვაჟკაცობაა, გიყვარდეს ქალი და ამ სიყვარულით არავის აწუხებდე;

- ვაჟკაცობაა, სიტყვას ტყუილუბრალოდ არავის აძლევდე, მიცემულს კი ასრულებდე;

- ვაჟკაცობაა, მტერიც გიყვარდეს შენი;

- წარმოუდგენელი ვაჟკაცობაა: უყურო სამყაროს უფლის თვალებით და ასეთ მზერას ხორციელმა ადამიანმა დიდხანს გაუძლო!..

ლაჩარი - მხდალი, მშიშარა, ჯაბანი, გულდედალი, ქალაჩუნა, სულმოკლე, ფრთხილი, ძაბული, გლახაკი...

სილაჩრე, პირველ რიგში, სუსტი ნებისყოფისა და იაფფასიანი ბუნების ადამიანის მახასიათებელია. ის მეტწილად ანგარებიანი პიროვნებაა, კარიერისტი, ბოროტი, გულღვარძლიანი, შურიანი... საზოგადოებაში დამკვიდრებისა და პრივილეგიური მდგომარეობის მოპოვების მიზნით შეგნებულად ადგება მომხვეჭელობისა და განდიდედების გზას, მისთვის უცხო ხილი არაა ანგარება, ქიშპობა, ბოროტების ჩადენა და ფარული მტრობა, რომელიც ხშირად მისი გარემოცვისა და, ზოგადად, სამშობლოსადმი ღალატსა და გამყიდველობაშიც კი გადადის... განსაკუთრებულ საფრთხეს იწვევს ის გარემოება, რომ ასეთ ადამიანებს, რიგ შემთხვევაში, შეგნებული აქვთ თავიანთი სილაჩრე, ამიტომ ყოველმხვრივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცდილობენ დამალონ ეს მიუტევებელი ნაკლი და „ვაჟკაცობენ“, გულადებად და რაინდებად მოაქვთ თავი.

სალახანა - საქმისადმი თავის ამრიდებელი, ცუღლუტი, ავარა, გარყვნილი, გაფუჭებული, გაქსუებული, ზნედაცემული, გათახსირებული, უსირცხვილო, თავხედი, არამზადა...

სალახანას ძირითადი მახასიათებელია უნებისყოფობა, პასიური საზოგადოებრივი პოზიცია, უპრინციპობა, სიზარმაცე. მისთვის უცხო ხილი არაა ცხოვრებისა და მისი გარემოცვის მიმართ პარაზიტული მიდგომა. მისთვის პირადულის გარდა არაფერია საინტერესო და ფასეული, არ არსებობს საქვეყნო თუ ზოგადსაკაცობრიო ფასეულობები და ვალდებულებები. უკეთეს შემთხვევაში ყველაფერს პირადი და ოჯახური საჭიროებების დაკმაყოფილებით ჯერდება. სხვა არაფერი აინტერესებს, ოღონდ თავად იყოს კარგად, მას არ შეეხოს, მას ასცდეს... ფეხებზე ჰკიდია სამშობლო და მშობლელი ერი, ხშირ შემთხვევაში - სანათესაოც და სამოყვროც. პირადი კეთილდღეობის მისაღწევად და კომფორტის შესაქმნელად ყველაფერზეა წამსვლელი, ხელის მომწერი და მკისრებელი. მსგავსთა უსახური ბრბოა მოწინააღმდეგისა თუ მტრულად განწყობილი ქვეყნების ინტერესების გასატარებლად ნოყიერი ნიადაგად რომ გვევლინება. დღევანდელი გაგებით, პოტენციური, ეგრეთ წოდებული, „მეხუთე კოლონის“ ტიპიური, პოტენციური წევრია...

ფლიდი - ცბიერი, გაქნილი, გაიძვერა, უნდო, ლაქუცა, სამარცხვინო, საღალატო საქმის ჩამდენი, მოსაგრე (სარგებლის, გამორჩენის მაძიებელი).

„ფლიდი არს, ვინც ოდენ ენოვანებითა მოიმადლოს კაცი და აქნიოს ნება თვისი, სიცრუეთა და ამაონი, და არა-რა შეირცხვინოს, ასევე, ფლიდი არს, ვინაიცა ენოვანებითა თვისით მოიმადლონ კაცი, არა თუ ოდენ სიმართლითა, არამედ სიცრუვითა აქნიონ ნება თვისი (ლექსიკონი ქართული).“

ბოლო ორი კატეგორია ჩვენისთანა პატარა ქვეყნისა და მცირერიცხოვანი ერისთვის ყველაზე საშიშია. ასეთებს ვერაფერს მოსთხოვ... მათთვის ხელსაყრელ პოზიციაზე მაინც გიღალატებენ. ასეთების ლოზუნგია: ოღონდ მე ვიყო კარგად, ოღონდ მე ამცდეს, ოღონდ მე ნუ შემეხება, ოღონდ მე ვიყო ბედნიერი, მაძღარი, უსაფრთხოდ და დანარჩენი ეშმაკსაც წაუღია, ყველასა და ყველაფერს ჯანდაბამდე ჰქონიათ გზა და სავალი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქეების ეს კატეგორია ყველაფერზეა წამსვლელი. პირადი ინტერესებისა და მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, გამოსარჩენის მისაღებად, პირადი კომფორტის შესაქმნელად, მოსაწყობად მისთვის დამახასიათებელია:

- ქვეყნისა და ერის საზიანოდ და მტრის სასარგებლოდ მოღალატეობრივი, ჯაშუშური, და ძირგამომთხრელი საქმიანობა და აქტიური ჩართულობა;
- ფულისა და სხვა სარგებლის სანაცვლოდ დეზინფორმაციული, დეზორიენტაციული და პროვოკაციული საქმიანობა და აქტიური ჩართულობა;
- ის ვერ შეძლებს იყოს მკვლელი, ყაჩაღი, მძარცველი, მაგრამ იოლად გახდება მეძავი, ხულიგანი, ჯიბგირი. ადვილად შეძლებს მოტყუებას, გადაგდებას, გაცურებას;
- იგი მოქმედებს პრინციპით: მხოლოდ მე და მხოლოდ ჩემთვის. უჩემოდ ყველაფერი ჯირსაც წაუღია.
- ის არასდროს გარისკავს იმ დონეზე და იმ დოზით, რომ პირადი ინტერესები და კომფორტი დააზარალო. ის ვერც გმირი გახდება და ვერც სერიოზული მტერი, მაგრამ „პოდლობაზეც“ (მზაკვრობა) იოლად წამსვლელია.

ერის გადაგვარება-გადაშენების თვალსაზრისითაც, სწორედ ეს, მესამე და მეოთხე კატეგორიის ხალხია საშიში. მათი ცხოვრება სიცოცხლის შენარჩუნების პროცესად აქვთ ქცეული. ასეთმა ცხოვრებამ თავისი მომწესრიგებელი ფაქტორი, ანუ შესაბამისი ზნეობა ჩამოაყალიბა - თავკერძული ელემენტებით უხვად შეზავებული დაბალი და დაკნინებული...

საუბედუროდ, ბოლო წლებში მათმა რიცხვმა საგრძნობლად იმატა, რასაც ხელი შეუწყო ჩვენს საზოგადოებაში „შემოპარულმა“ ფსევდოფასეულობებმა, ფსევდოღირებულებებმა, ფსევდოდემოკრატიამ და იაფფასიანმა მიმტევებლურმა ფსიქოლოგიამ. ამასვე მსახვრალი ხელი დაუჩნია ჩვენს საზოგადოებაში ცხოვრების გაუკუღმართებული და ამორალური ქცევების დამკვიდრების მცდელობამ, მსუბუქი ნარკოტიკების ლეგალიზაციამ, სათამაშო ბიზნესის ყოვლისმომცველმა ხელმისაწვდომობამ და გავრცელებამ, ღამის კლუბებისა და სხვა გასართობ დაწესებულებათა მასობრივად გახსნამ, ეროვნული სასწავლო სისტემისა და ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესის დეზორგანიზაციამ, გამარტივებამ, პატრიოტული სულისკვეთებისა და მუხტის შესუსტებამ, ვირუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულმა პანდემიამ და სხვა მრავალმა... მათ თავისეულად გაითავისეს შეგონება: „მე არ ვერევი სხვის საქმეში და სხვაც ნუ ჩაერევა ჩემს საქმეში“... მათ თავისუფლების, სამშობლოს, ერის, სახელმწიფოებრიობის სიყვარული სრულიად დაკარგული აქვთ, უკეთეს შემთხვევებაში, დაკნინებული... ამანაც განაპირობა მათი ეგზომ დამახინჯებული და დაბალი დონის, იაფფასიანი ზნეობრივი პრინციპების ჩამოყალიბება.

სალახანა-ფლიდთა შორის ფართოდ მოიკიდა ფეხი რუსულმა ფრაზამ „ლიშ ბი“ (ოღონდაც)... ამ ფრაზას ყველგან შეხვდები...

ვინ მოსთვლის, კერძო საუბრებში, რამდენჯერ მსმენია:

- „ლიშ ბი“ ჩემთვის შევიქმნა კომფორტი, მე ვიყო კარგად, დანარჩენი ფეხებზე მკიდია, მეწყერსაც წაუღია...
- „ლიშ ბი“ როგორმე გავაღწიო საზღვარგარეთ, იქ, იცოცხლე, იოლ და მსუყე ცხოვრებას მოვიწყობ, ჩემს ნებასა და გემოზე ვიგრიალებ...

ასეთებს ფეხებზე ჰკიდიათ სამშობლოცა და მშობელი ერიც... ქვეყნისა და ქართველი ერის მომავალი სვე-ბედიც... ეს უსახური არამზადები ისტორიის წიგნსაც არ გადაშლიან, არ წაიკითხავენ, იმაზე ერთი წუთითაც არ დაფიქრდებიან, მისმა წინაპრებმა რამდენი გაჭირვება გამოიარეს, გარეშე მომხდურ მტერთან თუ მეზობელ, შინაურ მოშურნე-მოქიშპეებთან რამდენი ომი და ბრძოლა გადაიტანეს, სისხლი, ოფლი და ცრემლი დაღვარეს. „ლიშ ბი“ ამ მაიმუნ-არამზადებს დღევანდელ დღემდე რომ მოეღწიათ... რომ შეენარჩუნებინათ ქართველობა და წინაპართა დანატოვარი სამი საუნჯე - მამული, ენა, სარწმუნოება... ისინი იოლად ტოვებენ სამშობლო ქვეყანას, იოლად ირგებენ ფსევდოლტოლვილის, ფსევდოდევნილისა და ვაიმიგრანტის მანტიას, ხშირ შემთხვევაში ქვეყნისა და ერის ავტორიტეტსაც არაფრად დაგიდევენ - რას არ დააბრალებენ სახელმწიფოსა და მთავრობას, რომ უცხეთში ლტოლვილის ან დევნილის სტატუსი მიიღონ... ზოგიერთები იმაზეც კი არ ზრუნავენ, საზოგადოებაში ნორმალური სტატუსი ან ადგილი დაიმკვიდრონ, წლების განმავლობაში ლტოლვილთა და იძულებით გადადგილებულთა ბანაკებში ცხოვრობენ, უფასოდ სარჩო-საბადებელს იღებენ, ფულად შემწეობასაც ღებულობენ და არიან არხეინად... ეწევიან პარაზიტულ ცხოვრებას – დონდლოვდებიან, გადაგვარდებიან... ზოგიერთი იმასაც კადრულობს, რომ ლტოლვილთა ბანაკებში ოჯახებით „ეწყობიან“ და მომავალს ურყვნიან და უღუპავენ ქვეყანასა და ერს... ნებისმიერი ნორმალური, საღად მოაზროვნე ადამიანი იოლად დასვამს დიაგნოზს - ასე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორს არაა გადაგვარებისა და გადაშენების პერსპექტივაო და მართალიც იქნება...

სხვა „რა გითხრათ, რით გაგახაროთ“?!..

ქვეყანაში პატრიოტულმა სულისკვეთებამაც საგრძნობლად იკლო... აქაც საშინელი, უიმედო პერსპექტივა იკვეთება...

მე მოგახსენებთ, თქვენ კი განსაჯეთ: საქართველოს მთელი მოსახლეობა პატრიოტული აღტკინებისა (მამულიშვილური სულისკვეთების) თუ სამოქალაქო-კონსტიტუციური პასუხისმგებლობის ცენზის მიხედვით, რომელსაც პირობითად პატრიოტული სულისკვეთების ანატომია ვუწოდე, ოთხ კატეგორიად შეიძლება დავყოთ:

1. იდეალისტები - 10%.
2. პატრიოტები - 30%
3. სამოქალაქო პასუხისმგებლობის მქონე პირები ე.წ. კონსტიტუციონალისტები - 35%
4. მედროვე -„ობივატელები“ - 25 %.

მოდით, ზოგადად დავახასიათოთ თითოეული, ავამოძრაოთ ჩვენი საღი, მიუკერძოებული გონება-მეხსიერება, აზროვნება და მახსოვრობა, „გრილი“ გონებით შევაფასოთ ჩვენი ქვეყნის მიერ ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში გადანატანი ბრძოლები თუ სხვადასხვა კონფლიქტები, ჩვენი მოქალაქეების მიერ შექმნილი ვითარების აღქმისა და ობიექტური ანალიზის პერიპეტიები, სამოქალაქო აქტივობები... იმედია, მენდობით ჩემი მსჯელობის ობიექტურობაში (ისე კი ძალიან მინდა სუბიექტური ვიყო), ღმერთმა დამიფაროს, რამე გავამუქო ან გავაბუქო...

მაშ ასე:

იდეალისტები - სამყარო, რომელიც ყოველ ნაბიჯზე თანაგრძნობით, სიკეთითა და მშვენიერებითაა სავსე. მოქალაქეების ეს კატეგორია, ნებისმიერი საფრთხისა თუ საშიშროების დროს, მყისიერად ჩადგება ქვეყნისა და ერის სამსახურში. მათი მორალური კრედო და დამკვიდრებული ზნეობრივი პრინციპია: - „რაც კი რამ მაბადია, ჯერ ვაძლევ ერსა და სახელმწიფოს და შემდეგ ვიღებ მისგან... რამდენსაც მარგუნებენ...“

პატრიოტები - ეს მოქალაქეების ის კატეგორიაა, რომლებიც ქვეყნის წინაშე დამდგარი საფრთხის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე დამოუკიდებლად, ნებაყოფილებით ცხადდებიან სამობილიზაციო თუ გამწვევ პუნქტებში და მზად არიან დაუყოვნებლივ ჩადგნენ ქვეყნის სამსახურში.

„პატრიოტია ის, ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიური ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავგამოდებულად და შეუპოვრად ებრძვის დაუღალავად ყოველ დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლო ქვეყნის წარმატების გზაზე გადაღობებია. ვისაც მთლად დაკარგულად მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმარია მომავლის ზრუნვისთვის, ვისაც ედაგვის გული მამულის ტანჯვით, უხარის მისი ლხენითა, უბედურია მისი უბედურებით და ვინც მზად არის ღიმილით შესწიროს მას თავისი სიცოცხლე.“

იაკობ გოგებაშვილი

სამოქალაქო პასუხისმგებლობის მქონე პირები (მათ ჩემეულად ზომიერ პატრიოტებს ვუწოდებდი) - ეს მოქალაქეების ის კატეგორიაა, რომლებიც საგანგებო ან საომარი მდგომარეობის და საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადების შემთხვევაში, შესაბამისი უწყების მიღებისთანავე, მიდიან სამობილიზაციო პუნქტებში და ქვეყნის წინაშე მოქალაქეობრივი, კონსტიტუციური ვალის მოსახდელად ემზადებიან.

მედროვე - „ობივატელი“. (რატომღაც მგონია, რომ ჩვენში ეს კატეგორია რუსული მდაბიური ცხოვრების წესის შემოსვლა-დამკვიდრების შედეგია).

მოდით ჯერ ლექსიკონი მოვიშველიოთ:

ობივატელი (რუსული სიტყვაა) - ადამიანი, რომელიც მოკლებულია საზოგადოებრივ თვალთახედვას, აქვს მეშჩანური შეხედულებები, ცხოვრობს წვრილმანი, პირადი ინტერესებით. აქვს ვიწრო იდეური ჰორიზონტი (თვალთახედვა).

მეშჩანი (რუსული სიტყვაა) - წვრილმანი, პირადული, წვრილმან-მესაკუთრული ინტერესებისა და ვიწრო იდეური ჰორიზონტით შეზღუდული ადამიანი.

ეს მოქალაქეების ის კატეგორიაა, რომლებიც, ყველაფრის (მოწოდების გავრცელების თუ უწყების მიღების) მიუხედავად, ყოველნაირად ეცდებიან, რომ თავი აარიდონ ერისა და ქვეყნის სამსახურს. ასეთები მოქმედებენ პრინციპით: „ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილო“. ყველა ღონეს იხმარენ, გაეცალონ ქვეყანას, დაუყოვნებლივ გავიდნენ საზღვრებს გარეთ. ასეთები, როგორც წესი, არ ერიდებიან თვითდაზიანებას ან სუიციდის მცდელობას, სიმულაციას, თვითდასახიჩრებასაც კი, რათა როგორმე თავიდან აირიდონ ქვეყნის სამსახურში ჩადგომა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტიურ საომარ მოქმედებებში მონაწილეობა, აიცილონ ნებისმიერი საფრთხე და დისკომფორტი. მათი მიზანია პირადი უსაფრთხოების, ქონებისა და კომფორტის შენარჩუნება.

ისე კი, ჩემო პირუთვნელო და მამულიშვილური გრძნობებით გულავსებულო და გულანთებულო მკითხველო, მე ჩემი მოსაზრება მოგახსენეთ მხოლოდ, შენეული ხედვა და ამ ცენზის მიხედვით ქვეყნის მცხოვრებთა დანაწილება-დაყოფა შენი ნება-სურვილით იყოს...

„სახელმწიფოს აშენებენ იდეალისტები და პატრიოტები. ვაჭრუკანების, მსტოვრების და კარიერისტების აშენებული ქვეყანა ჯერ არავის უნახავს“.

კარლ გუსტავ მანერჰაიმი, ფინეთის პრეზიდენტი, გენერალი.

კიდევ, სხვა „რა გითხრათ, რით გაგახაროთ“?!.

მიჭირს, მაგრამ უნდა მოგახსენოთ: ბოლო ხანს ჩვენი საზოგადოების ზოგიერთ ფენაში გაუგონარმა და გულისგამგმირავმა, გნებავთ გულისამრევმა, ძალზე საშიშმა მენტალურმა ანაქრონიზმმა იჩინა თავი:

იღიმი - დებილი ხარ, არ იღიმი - უჟმური;

გშია - ღორი ხარ, არ გშია - ავადმყოფი;

მოგწონს - ხამი ხარ, არ მოგწონს - უგემოვნო;

მეგობრობ - ეტენები, არ მეგობრობ - დეპრესიული ხარ;

კარგად გაცვია - არ გიხდება, ცუდად გაცვია - ბანძი ხარ;

ეხმარები - მოცლილი ხარ, არ ეხმარები - უზრდელი...

მე, ისევე როგორც ბევრ თქვენგანს, არ მჯერა ასე ყოვლად გაუგონარი და ამორალური, უადგილო და უმისამართო ზნეობრივი ფასეულობებისა თუ ღირებულებების მეტამორფოზა, დეგრადირება, მაგრამ ეს უმსგავსო „ფასეულობები“ თუ შეგონებითი წარმოდგენები ძალუმად, უსინდისოდ და ურჯულოდ ნელ-ნელა წინ მოიწევს და ნელ-ნელა აღწევს ზოგიერთი გამოუცდელი, უნიჭო და უცოდინარი, არამდგრადი შეხედულებებისა და ფსიქიკის მქონე თანამემამულის, უმეტეს წილად დიდ ქალაქებში მცხოვრები ახალგაზრდების ჭკუა-გონებასა და წარმოდგენებში და იმ საშინელებად და საშიშროებად გვევლინება, რაც მომავალში ხელს შეუწყობს მომავალი თაობების მორალურ გარყვნასა და ზნეობრივ დეგრადაციას... ეს კი ჩვენი მოსისხლე მტრების - თემურ ლენგის, მურვან ყრუსა, შაჰ აბასის თუ აღა მაჰმად ხანის შემოტევებზე არანაკლებ საშიშია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

უღიმღამო პერსპექტივით დამძიმებული, გამწარებული და აფორიაქებული მკითხველი მეტყვის - გვეყო ნეგატივიო და მართალიც იქნება!..

მე თავს მაინც ვიმართლებ: ამდენი იმიტომ გავბედე, რომ თავიდანვე ვიყავით შეთანმხმებული: „მოყვარეს პირში უძრახე“... კარგი, მოდი პოზიტივზეც ვისაუბროთ.

კი ბატონო, რჩევები და შეგონებები, რამდენიც გინდა:

ა) დააფასე ადამიანი:

- რომლის გვერდით უბრალოდ უკეთესი ადამიანი ხდები;
- რომელიც შენზე იქაც ზრუნავს, სადაც შენ არ ხარ;
- რომელიც ცდილობს, გასიამოვნოს;
- რომელმაც შეცდომა გაპატია;
- რომელთან ურთიერთობამ ბევრი რამ გასწავლა;
- რომელიც დროს გითმობს;
- რომელიც საუბრისას თვალებში გიყურებს;
- რომელმაც იცის, რაზე ფიქრობ;
- რომელთანაც სიჩუმე არასდროს არის უხერხული;
- რომელსაც დაესიზმრე და მოგიკითხა;
- რომელმაც შენი ცუდად ყოფნა იგრძნო;
- რომელიც ფულით დაგეხმარა, როცა ეს ძალიან გჭირდებოდა;
- რომლის ზარი შენთვის გადარჩენა იყო;
- რომელმაც ყველაზე ზუსტ დროს ყველაზე საჭირო სიტყვები გითხრა;
- რომელიც მაშინ დაგეხმარა, როცა ყველამ ზურგი გაქცია.

ბ) გახსოვდეს:

- ერთგულება ნიჭია, ალბათ, ყველაზე სასარგებლო და სასიამოვნო. ამ დროს შენი თავიც კი გეამაყება. ერთგულებას ვერც ისწავლი და ვერც შეიძენ, ის სულში უნდა გქონდეს;
- ერთ-ერთი მთავარი ნიშანი ბედნიერებისა, არის აბსოლუტურად გამქრალი სურვილი იმისა, რომ ვინმეს რამე უმტკიცო;
- როცა გაბრაზებული ხარ, გაჩუმდი! ამას არასოდეს ინანებ;
- ნებისმიერს შეუძლია, შეცვალოს შენი ცხოვრება, თუ შენ ამის უფლებას მისცემ;

- გავა დრო და ადამიანები ინანებენ, ინანებენ, რომ დაკარგეს ის, ვინც არ უნდა დაეკარგათ არასდროს;
- ყველას უნდა მსოფლიოს შეცვლა, მაგრამ არავინ აპირებს - თვითონ შეიცვალოს;
- საქციელით გამოხატე თქვენი მეგობრობა, ერთგულება და სიყვარული. ლამაზი სიტყვები არაფერს ნიშნავს, როცა საქციელი სხვა რამეს ამტკიცებს;
- ხანდახან ასეთი დღეებიც არის - უემოციო, უმეგობრო, უყველაფერო...
- ცხოვრებაში პირველი, რაც უნდა გააკეთო, ესაა მოიშორო ყალბი ადამიანები;
- ძნელია გაიგო, ვინაა ნდობის ღირსი;
- მგზავრობა რომ უფასო ყოფილიყო, მეტჯერ ვეღარასოდეს მნახავდით;
- რამხელა ხარო, რომ გეტყვიან და მეხუთე კლასის მერე აღარ გაზრდილხარ...
- საზრდო არის სულიერი და მატერიალური...
- გონიერი შვილი მამის გულს ახარებს, ხოლო უგუნური შვილი დედის დარდია;
- არ არის დაფარული, რომ არ გაცხადდეს;
- ცხოვრებაში, მხოლოდ ერთი წესი არსებობს: დარჩე ადამიანად ნებისმიერ სიტუაციაში;
- „მტერი მოყვრულად მოსული, მტერზედაც უარესია“... ქართველებს ასე გვჭირს: თუ ხმლით მოდის მტერი, შევაკვდებით. თუ მოწამლული თაფლით მოდის, იმასაც შევაკვდებით, ოღონდ იმ „თაფლის“ ჭამაში...
- ვინც კარგად და ყოველგვარი ანგარების გარეშე ემსახურება სამშობლოსა და ერს, ის უდავოდ ცხონებულია იმქვეყნიურ ცხოვრებაში;
- ბედს თვითონ კაცი ქმნის და არა - ბედი კაცს;
- ზოგჯერ ერთი სიტყვით ისე მოგიკლავს ადამიანი გულს, რომ მისი აღარც სიკეთე გინდა და აღარც ნახვა...
- ადამიანი დროს ნახავს ყველაფრისთვის, რაც მისთვის ღირებულია და გულით სწადია...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

- პატივი ეცი მშობელს, მითუმეტეს მოხუცს... გიყვარდეს ისეთი, როგორიც არის, შენც დაბერდები... რასაც დასთესავ, იმას მოიმკი... არასოდეს დაივიწყო ხელები, რომლებმაც გაგზარდა...
- ყოველთვის ყველას არ მოეწონები, რადგან არც შენ მოგწონს ყველა;
- არის კითხვები, რომლებსაც აღარ სვამ და პასუხები, რომლებიც აღარ გაინტერესებს...
- იმისათვის, რომ ადამიანმა შენი ყურადღება დააფასოს, ხანდახან უნდა მოაკლო...
- რა საჭიროა ყველას უმტკიცო, თუ ვინ ხარ და რა გინდა?! უბრალოდ წადი, წინ იარე, დაე, შენმა ნაკვალევმა ილაპარაკოს!
- მე მხოლოდ იმიტომ მჯერა ერთგულების, რომ არასდროს არავისთვის მიღალატია;
- ქალბატონი უნდა იყოს როგორც ფრანგული სუნამო - აქვს ტკბილი სურნელი, ღირს ძვირი და ყველასათვის არ არის ხელმისაწვდომი;
- მეგობარს გაიცნობ ჭირში,
  გმირს - ომში,
  ცოლს - სიღარიბეში,
  ქმარს - ცოლის ფეხმძიმობის დროს!
- უბედურად გრძნობ თავს?

... ხშირად შეხედე მათ, ვისაც შენზე ნაკლებად გაუმართლა ცხოვრებაში, ვინც შენზე ნაკლებად ლამაზი, მდიდარი და ჯანმრთელია.

... იყავი მადლიერი იმით, რაც გაქვს და უფრო მეტი მოგეცემა!

- შენ შეგიძლია იპოვო ჩემზე უარესი ან უკეთესი, მაგრამ ჩემნაირს შენ ვერასდროს ვერ იპოვი, მე განმეორება არ მიწერია...
- თუ ვერ აფასებ იმას, რაც გაგაჩნია, მოგიწევს მოგონებების დაფასება...
- თუ პირველი ნაბიჯი გადავდგი, მეორე შენ უნდა გადადგა, მეგობარო, თორემ მარტოდ ისედაც დავდივარ...
- როდესაც გულწრფელი ხარ - მშვიდად ხარ, გტკივა და დუმხარ, გწყინს და თვალებს ხუჭავ, გატყუებენ და გეღიმება, რადგან სიმართლე იცი და ამ დროს ხვდები, რომ უფალი შენთანაა...

- მოვა დრო და ყველას ყველაფერი წინ დაუდგება! ვინც რა გაიღო, უკან იმასვე მიიღებს! ვინც როგორ მოექცა სხვას, სწორედ ისე მოექცევიან მას;
- სიჩუმე ოქროა, ხოლო გაჩუმდე საჭირო დროს - სიბრძნე;
- მარტო ყოფნა მირჩევნია ყალბ ხალხთან ურთიერთობას;
  თუ გლანძღავენ - ესე იგი საინტერესოდ ცხოვრობ,
  თუ გემუქრებიან - ესე იგი მათთვის საშიში ხარ,
  თუ ჯერ კიდევ ცოცხალი ხარ - ესე იგი მათ არ გაუმარჯვიათ,
  ვერც გაიმარჯვებენ სულმდაბალი ადამიანები!
- ვისაც თავისი ქვეყანა არ უყვარს - ის სხვისი მოსამსახურე გახდება;
- ენის მიმტანი მქმნელზე უარესია;
- არ არსებობს ურთიერთობები კამათისა და წყენის გარეშე. ძლიერი ადამიანები კამათის შემდეგ რიგდებიან, სუსტები კი - შემცვლელს ეძებენ...
- აღარ დაბრუნდე იმ ადგილებში, სადაც ცუდად იგრძენი თავი;
- აღარასოდეს თხოვო დახმარება მათ, ვინც ერთხელ უკვე გითხრა უარი;
- არასოდეს დაიახლოვო ის, ვინც ერთხელ უკვე გიღალატა;
- კაცობა რომ დაინახო, შენ თვითონ უნდა იყო კაცი! ღირსებას თუ ეძებ შენ თვითონ უნდა იყო ღირსეული! მაშინ დაინახავ ყველაფერ ამას, თუ არადა ტყუილად ნუ ეძებ, იმიტომ, რომ არ იცი რას ეძებ...
- ყოველთვის აირჩიე უბრალო ხალხი. უბრალო ხალხს თბილი და ლამაზი სული აქვს!..

გ) ქცევისას დაშვებული ათი შეცდომა, რაც ადამიანებს საშუალებას მისცემს შეეცადონ გამოგიყენონ და ანგარიში არ გაგიწიონ:
- გადამეტებული მსხვერპლის გაღება. ნუ შეგეშინდებათ იმის თქმა, რაც არ მოგწონთ;
- საკუთარი თავის დაუფასებლობა. არაა საჭირო, მოითმინო თავხედობა. ისინი ამას არ იმსახურებენ;
- გარემოცვის მოწონებაზე დამოკიდებულება. ნუ გეშინიათ კრიტიკის;

- ჩვევა, როცა ყველაფერში საკუთარ თავს ადანაშაულებ. თვითგვემა არაფრის მომტანია. უნდა იყოთ სამართლიანი და დამოუკიდებელნი;
- განდიდება (თავის ქება). ენდე საკუთარ თავს და დარჩი თვითმყოფადი. არავის არაფერი უმტკიცო;
- ნუ შეგეშინდება გარიყვის. ნუ შეგეშინდება „არას“ თქმა. ნურავის თავზე ნუ დაიჯენ;
- საკუთარი ინტერესებისადმი ნუ იქნები ყრუ და უტყვი. ისწავლე შენი გრძნობებისა და სურვილების მოსმენა;
- ნებადართული ქცევების დაშვებული საზღვრების არარსებობა.
- პირადი ღირსების გრძნობა. ნუ შეეცდები ვინმეს ეხვეწო ან გამოსძალო (გამოსტყუო);
- მარტოობის შიში. სხვის გამო თავს მსხვერპლად ნუ გადადებ (გაწირავ);
- ნუ დაიდებ პირობად, რომ პატივისცემა უნდა დაიმსახურო. დაამყარე თანაბარი ურთიერთობები. ნუ იყიდი ნურც სიყვარულს, ნურც პატივისცემას.

დ) ცხოვრებაში აუცილებელია სამი რამ:
- წახვიდე იქიდან, სადაც თავს ცუდად გრძნობ;
- ბევრი არ ისაუბრო საკუთარი თავის შესახებ ყველასთან, რადგან ზოგი ბოროტად გამოიყენებს შენს ნდობას;
- იყო ბედნიერი იმ ადამიანებთან, ვისაც უყვარხარ და საერთოდ დაანებე თავი მათზე ფიქრს, ვისაც ავიწყდები.

ე) ეს შეგონებანიც გაითვალისწინე:
- ვერავინ ვერასდროს მიხვდება, რამდენს აკეთებთ მისთვის, სანამ არ შეწყვეტთ კეთებას;
- სხვას რაც უნდა ის უთქვამს, მთავარია, უფალთან ვიყოთ მართალი;
- თუ გინდა გაიმარჯვო, ისწავლე მოთმინება;
- ქალი ზოგადად სუსტი არსებაა, მაგრამ როგორც დედა, განუზომლად ძლიერია;

- არასოდეს დაივიწყო ის, ვინც შენთან იყო გაჭირვებასა და სხვა რთულ მომენტში;
- არასოდეს მოატყუო იმას, ვინც შენ გენდობა და არასოდეს ენდო იმას, ვინც შენ გატყუებს;
- არ დაუჯერო სიყვარულს, თუ ის მარტო ვნებას აკმაყოფილებს;
- არ დაუჯერო მეგობარს, რომელიც მხოლოდ იქით ითხოვს ერთგულებას;
- არ დაუჯერო სიკეთეს, თუ სამაგიეროს ელოდებიან;
- არ დაუჯერო იმ ადამიანს, ვინც გეპირფერება;
- არ დაუჯერო იმას, ვინც შენთან ყველას ლანძღავს;
- არ დაუჯერო სიტყვებს, რომლებიც საქმის წინააღმდეგია;
- არ დაუჯერო „მორწმუნეს“, ვინც ყველას განიკითხავს;
- არ დაუჯერო ემოციას, სანამ ცივი გონებით არ განსჯი;
- არ დაუჯერო მას, ვინც სულ „მართალია“;
- ვიდრე იტყვი - მოუსმინე;

ვიდრე დაწერ - დაფიქრდი;
ვიდრე დახარჯავ - იშოვნე;
ვიდრე აწყენინებ - შეიგრძენი;
ვიდრე შეიძულებ - შეიყვარე;
ვიდრე დანებდები - შეეცადე;
ვიდრე მოკვდები - იცხოვრე!..“

- ბოდიშის მოხდა სირცხვილი არაა, ბოდიშს იხდის ის, ვისაც ღირსება გააჩნია;

ვ) არაბი ხალხის ბრძნული რჩევებიც გაითვალისწინე:

- გაბრაზება იწყება სიგიჟით და მთავრდება სინანულით;
- გაიცინე და მთელი სამყარო შენთან ერთად გაიცინებს. იტირე და შენ მოგიწევს იტირო მარტომ;
- ერთი ხელით ორ საზამთროს ვერ დაიჭერ;
- ის, ვინც სხვებს დაუქცევს წყალს, თავადვე დალევს უკანასკნელი;
- ის შეიცნობს ღმერთს ყველაზე უკეთ, ვინც ღვთისგან მხოლოდ ბოძებულს დასჯერდება;
- კოღოს შეუძლია ლომს თვალიდან სისხლი ადინოს;
- მანამ უნდა გამოჭედო რკინა, სანამ ცხელია;

- მოერიდე იდიოტს, ის ძველ კაბასავითაა - რამდენჯერაც არ უნდა დაკემსო, ქარი მაინც ისევ გახევს;
- როცა კამათი უაზროა, საუკეთესო რიტორიკა დუმილია;
- სიბრიყვე დავადებაა, რომელსაც არც ერთი წამალი არ შველის;

ზ) ბარემ ეს შეგონებანიც იგუმანე:
- კაცობა რომ დაინახო, შენ თვითონ უნდა იყო კაცი!
- ღირსებას ნუ ეძებ, შენ თვითონ უნდა იყო ღირსეული!
მაშინ დაინახავ ყველაფერ ამას, თუ არა და ტყუილად ნუ ეძებ
მაინც ვერ იპოვნი იმიტომ, რომ არ იცი რას ეძებ...
- იცი ვინ იტანჯება ყველაზე მეტად? - იმედგაცრუებული:
- ვისაც დაპირდნენ და არ შეუსრულეს
- ვისაც ფრენა ასწავლეს, მაგრამ ფრთები არ მისცეს!
- ვისაც სიყვარული ასწავლეს და არ შეიყვარეს!

თ) მოდით, ებრაულ სიბრძნესაც მოვუსმინოთ:
- არავის შეეპასუხო, როცა გაბრაზებული ხარ;
- არავის არაფერი დაპირდე, როცა გახარებული ხარ;
- არაფერი გადაწყვიტო, როცა მოწყენილი ხარ;
- იყავი შენი სინდისის წინაშე მართალი, სხვა ყველაფერი მეორეხარისხოვანია;
- ბედნიერებისთვის მხოლოდ სიყვარული ცოტაა. საჭიროა, რომ სინდისი არ გქენჯნიდეს და სული არ გტკიოდეს.

ი) ისიც გავითვალისწინოთ, თუ რას არ აკეთებენ ძლიერი ადამიანები:
- უაზრო წუწუნში დროს არ კარგავენ;
- საკუთარ თავზე კონტროლს არ კარგავენ;
- არ გაურბიან სიძნელეებს;
- დროს არ კარგავენ იმაზე, რისი გაკეთებაც არ შეუძლიათ;
- არ ცდილობენ ყველასთვის თავის მოწონებას;
- მათ არ ეშინიათ გაცნობიერებულად რისკზე წასვლა;
- წარსულს არ მისტირიან;

- ერთი და იგივე შეცდომას რამდენჯერმე არ უშვებენ;
- არ შურთ სხვა ადამიანების წარმატების;
- არ ნებდებიან პირველივე მარცხის შემდეგ;
- მარტოობის არ ეშინიათ;
- არ მიაჩნიათ, რომ მთელი მსოფლიო მათთან ვალშია;
- არ ელიან მყისიერ შედეგებს.

* * *

როდესაც ხშირად პატიობ - ივიწყებენ,

როდესაც დიდხანს გიყვარს - ვეღარ ამჩნევენ,

როდესაც მზად ხარ ყველაფრისთვის - აღარ აფასებენ და მხოლოდ მაშინ ხდები ძვირფასი, როდესაც მიდიხარ და აღარასოდეს დაბრუნ-დები უკან...

* * *

ჩემო ძვირფასო და საზრიანო მკითხველი, მოდი, ბრძენ და დიდ ხალხსაც მოვუსმინოთ:

„ვაჟკაცობა ის არის, კაცმა მტერი მოკეთედ გაიხადოს, თორემ მოკე-თე რომ გადაიმტეროს, ეგ რა ბიჭობაა“.

ვაჟა ფშაველა

„დუმილი და ღიმილი - ორი უძლიერესი იარაღია.

ღიმილი - არის მრავალი პრობლემის საშუალება, ხოლო დუმილი - მათი თავიდან აცილების.

მარტინ სკორსეზე

„თუ ადამიანს აპატიე ყველაფერი, ესე იგი მასთან ყველაფერი დამ-თავრებულია“.

ზიგმუნდ ფროიდი

„ერიდეთ ყველას ვინც არ იცინის, არ მღერის, არც სვამს და არც არ-შიყობს. ასეთი კაცი სამოთხეში შეგიპატიჟებთ და ჯოჯოხეთში გიკრავთ თავს“.

მიხეილ ჯავახიშვილი

„მე, მეფე თქვენი, ერთ თქვენგანზე მეტად არ ვარ პატრონი საქართველოსი, და თქვენც, ქართველნი ვაჟკაცნი, ჩემს წინაშე მსხდომნი, არც ერთი არ ხართ ნაკლებად ვალდებული ერისა და ქვეყნის წინაშე, ვიდრე მე; ქვეყანა უპატრონოდ არის დაგდებული, წავიდეთ და ერთად ვუპატრონოთ.

- მერე თურქნი, მეფეო?
- ერთად დავდგეთ და გავყაროთ.
- ისინი ძლიერნი არიან, მეფეო, და ჩვენ სუსტნი.
- თუ იმათ, მოსულთ, ჩვენის მიწის გულისთვის სიკვდილისა არ ეშინიათ, ჩვენ, ამ მიწის პატრონთ, რად უნდა გვილაჩრდებოდეს გული?..“

დავით მეფის (აღმაშენებელის) თათბირი ცხრა სოფლის თავკაცებთან.

1. „ სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან:

მამული,
ენა,
სარწმუნოება.

თუ ამათ ვერ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?..“

ილია ჭავჭავაძე

„დიდი პიროვნება რომ იცნო, თვითონ რამეს უნდა წარმოადგენდე!“

გოეთე

„როდის იყო, სულელი სიბრძნეს ეძებდა? სულელს თავისი სისულელე ეძვირფასება“.

ბერნარდ შოუ

„მხოლოდ ის ერი შეიძლება დაადგეს პროგრესის გზას, რომელიც აზროვნებს და მეტყველებს მშობლიურ ენაზე“.

დიმიტრი ყიფიანი

„ადამიანი დამარცხებისთვის არ არის შექმნილი. ის შეიძლება გაანა დგურო, მაგრამ ვერ დაამარცხო“.

ე. ჰემინგუეი

„არსებობს სამი რამ, რაზედაც აჩქარებით არ უნდა იმსჯელოთ:

- ღმერთზე, ვიდრე რწმენაში არ განმტკიცდები;
- სხვის ცოდვებზე, ვიდრე საკუთარს არ გაიხსენებ;
- ხვალინდელ დღეზე, ვიდრე განთიადს არ იხილავ“.

წმ. ნიკოლიოზ სერბი

„შეიცანი სხვა - იქნები სწავლული, შეიცანი შენი თავი - იქნები ბრძენი!

ლაო ძი

„ყველაფერი თავის დროზე მოვა, თუ კაცს მოთმინების უნარი შეს-წევს“.

ფიოდორ დოსტოევსკი

„ადამიანს აქვს შუბლის ძარღვი, ის რომ გაწყდება ძალიან იოლია ცხოვრება“.

„არ უნდა წახდე, რაც არ უნდა შეგემთხვას, კაცობა არ უნდა დაკარ-გო, იმიტომ, რომ ბოლო ერთია. კაცი საფლავზე დადებული ქვით კი არ ფასობს, აქ დატოვებული სახელითა და სულით“.

ნოდარ დუმბაძე

„მე არაფერს ვამბობ ქართველებზე, რომლებსაც საქართველოს გა-რეშე ვერსად ნახავთ და რომელიც იმდენად საუცხოოა, კეთილშობილი, პატიოსანი, მამაცი, გულუხვი და შემართებული ერია, რომ მას სპეცია-ლური გამოკვლევა უნდა მიეძღვნას.“

ალექსანდრე დიუმა (მამა)

„უნიჭობაზე საშიში ნიჭიერებაა, როცა მას მაღალი ზნეობა და ღვთის-მოშიშობა არ ახლავს!“

„შენს სამშობლოში შენი ოჯახის დესპანი უნდა იყო და სამშობლოს გარეთ - შენი ერის დესპანი, რადგან შენი საქციელი შენი ოჯახის სარკეა და გარეთ - შენი ერისა!!!...

„მშიერი და გამწარებული მგლის ფიქრი ის კი არაა, ვინმე შევჭამოო, იმასაც ფიქრობს მგელი, ისეთი შევჭამო, რომ არ დამასწროს და აქეთ არ შემჭამოსო, მეტი ფიქრი არ იცის მგელმა“.

„არაფერი პატივისცემა და კეთილი საქმე არაა, გაჭირვებულს რომ შენი ლუკმა გაუტეხო; კაცის მოვალეობაა ეგ“.

„მე რომ მესროლე იმიტომ კი არ ხარ მოსაკლავი, ფულის გულისთვის კაცის მოკვლა რომ შეგიძლია - მისთვის!

ჭაბუა ამირეჯიბი

* * *

„მე ქართველი ვარ - მხოლოდ ჩემი მოქმედების და უფლის იმედი მაქვს, ამქვეყნად არც მოვალე მყოლია, არც - მშველელი“.

„მე ქართველი ვარ - არ არსებობს ტყვია, რომელიც მომკლავს, ჩემი ფესვები იმ ქვეყანაშია, რომელსაც კლავდნენ და არ კვდებოდა“...

„მე ქართველი ვარ - მიმეგობრეთ ან გეშინოდეთ!..“

„მე ქართველი ვარ - მჭერა მომავლის და გამარჯვების!..“

„მე ქართველი ვარ - საქართველოს ჯარისკაცი ვარ, ფორმას სხვები თუ გამხდიან, მე არ გავიხდი არასოდეს!..“

„მე ქართველი ვარ - გავიმარჯვებ ან საქართველოსთან ერთად დავეცემი და თუ დავეცი, დაე მტერი იხსენებდეს ჩემს უკანასკნელ განრისხებას!“

გენერალი გიორგი კვინიტაძე

* * *

1. „მტერს პატივი უნდა დაანახო;
   მეგობარს - გული;
   შვილს - კარგი მაგალითი;
   მამას - პატივისცემა;

დედას - შენი საამაყო ქცევა;
საკუთარ თავს - შენივე ღირსება;
ყველა სხვას - გულმოწყალება!“

2. „ბედს თვითონ კაცი ქმნის და არა - ბედი კაცს“.

3. „შვილის შედეგიანი აღზრდა მხოლოდ იმ ოჯახშია შესაძლებელი, სადაც მას ადამიანის, სამშობლოს, ბუნებისა და წიგნის სიყვარულს ასწავლიან, ასწავლიან რწმენასა და ლოცვას, სადაც მშობლებს შორის მეგობრობა და ურთიერთპატივისცემა სუფევს, სადაც არა მხოლოდ ბავშვისაგან მოითხოვენ მაღალ ზნეობრივ თვისებებს, არამედ თვით მშობლებიც მორალური ნორმების დამცველნი არიან“.

4. „როცა ადამიანი შენნაირად არ გთვლის, არ გაეკიდო, ის თავისნაირის ძებნაშია. დაე, მიეცი საშუალება რომ წავიდეს, არ დაგწყდეს გული, ის ისეთია, შენ კი - შენ ხარ...

ყველა ფასდება თავისი ადამიანობით, გულწრფელობით, რახან თავის სამყაროში არ მიგიშვა, თავს ნუ დაიმცირებ, რადგან ის სამყარო შენთვის არაა განკუთვნილი.

ადამიანები ერთმანეთს ბოლომდე გაჰყვებიან, როცა სიყვარული, ერთგულება და ერთმანეთის გატანაა... სადაც ზედმეტად ყალბი სიტყვებია, ის ყოველთვის გამოჩნდება დროთა განმავლობაში.

დაგანახებს უფალი გზას, აუცილებლად აგიხელს თვალებს, გაიგებ, ვინ ვინაა, უბრალოდ, გეცოდინება შენი ადგილი, სადამდე უნდა ენდო...“

„არ შეიძლება ერთდროულად იყო ქრისტიანი და ამავე დროს შურით შეპყრობილი. სიყვარული და შური ისევე შეუთავსებელია, როგორც ნათელი და ბნელი“.

უწმინდესი და უნეტარესი ილია II

„როგორ მოასწარი ამდენი ადამიანის გადამტერება?

- ამისათვის არ არის საჭირო, იყო გენიოსი. აკეთე შენი საქმე, ილაპარაკე სიმართლე, არავის ეპირფერო. ეს სრულიად საკმარისი იქნება იმისათვის, რომ ყველა მაწანწალა ძაღლმა შენ დაგიწყოს ყეფა“.

ვალენტინ პიკული

... „ქვეყანა გაივსო მოღალატეებით (შესაბამისად ტელევიზიებიც): უბრალო გაფაჩუნებაც საკმარისია (ეროვნული კუთხით), რომ ყალყზე დადგნენ გაყიდული და გამყიდველი ჟურნალისტები, უკვე ყელში ამოსული რესპონდენტებით, რომლებიც უფრო პოლიტიკური და რელიგიური დესანტები არიან, ვიდრე ჩენი საზოგადოების სახეები თუ ექსპერტები, როგორადაც სურთ წარმოგვიჩინონ, რომლებმაც უკვე არასრულფასოვნების კომპლექსი გაუჩინეს ჩვენს ისედაც მრავალნაირად ტანჯულ და გაუბედურებულ საზოგადოებას...

ღმერთო, როგორ მოვედით აქამდე, ან ხვალ როგორ ვაპირებთ ყოფნას...

ეს „ხვალ,“ იქნებ, არც დადგეს ჩვენთვის...

მაინც ოპტიმისტი ვარ, მჯერა: ხვალაც და ზეგაც ვიქნებით ქართველები - გვეყოფა საამისო გონიერება და შევძლებთ თვითმობილიზაციასაც!..“

ტარიელ ფუტკარაძე, პროფესორი.

* * *

არასოდეს თქვა: ამას არ ვიზამ,
ნურც იმას იტყვი: სხვაზე კარგი ვარ,
ცხოვრების კიბე აღმა-დაღმაა,
ყველა ჩვენ - ჩვენი გზებით დავდივართ!

* * *

ნუ განიკითხავ...
გტკივა? - ასწავლე,
სანამ სხვას განსჯი,
შენიც დათვალე,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეტი გაეცი,
ცოტა დაცალე,
შენც იცოცხლე
და სხვასაც აცალე!

* * *

„ეგრე მტრისა არ მეშინის,
რადგან ცხადად მაწყინარობს,
მოყვარესა მტერსა ვუფრთხი,
მემოყვრება, მოცინარობს.“

შოთა რუსთაველი

* * *

საქართელოში დაბრუნებას ვინც არ ელოდა,
მიწა მიჰქონდა, მიწა - თბილი, მიწა - ლამაზი...
შენ მუჭა-მუჭა გაგიტანეს საქართველოდან,
ქართულო მიწავ, ალბათ, ამიტომ დაპატარავდი...

*** * ***

ცხოვრება ზოგისთვის ფიქრია,
ზოგისთვის - ია-ვარდები,
ზოგისთვის თბილი გულია,
ზოგისთვის - ეკალ-ბარდები...
ზოგს ასე ესმის, ზოგს ისე,
რას იზამ - ვერ ედავები,
ცხოვრება ეს ის წიგნია -
სადაც ვერაფერს გახდები!

* * *

ცხოვრებაში ბევრი ადამიანი გავიცანი. ზოგი მომეწონა, ზოგი არა... ზოგსაც მე არ მოვეწონე, ვერც ყველა მათგანს დავუმეგობრდი... ზოგმა იმედი გამიცრუა, ზოგს თავად გავუცრუე, რას ვიზამთ, ასეთია ცხოვრება... მაგრამ ყველა მათგანმა რაღაც მასწავლა: ზოგმა ერთგულება, ზოგმა სიყვარული... ზოგმა მასწავლა, რომ მისნაირი არ უნდა ვიყო... ამას კი დრო დასჭირდა... საოცარი რამ ყოფილა დრო, ყველას და ყველაფერს ფილტრავს, გვიტოვებს მხოლოდ მათ, ვინც ნამდვილი და ერთგულია...

* * *

მეტად აღარ გადაგღლით, ჩემო თმენიანო და საზრიანო მკითხველო, უჩემოდაც იცი, თუ რა ზნეობრივ-მორალური და პატრიოტულ-შემართებითი მდგომარეობაა თანამედროვე საქართველოში... რა ვქნა, მე უკეთესი საქართველო მინდა, უკეთესი ქართველი... მხოლოდ ამან გამაბედვინა ეს „განწირული სულისკვეთება“ და ამდენი „ბჟუტური“...

სულ ბოლო შტრიხიც და ვამთავრებ:

„ჩვენი უბედურება ამჟამადაც ეგაა: ჩვენში მოღალატეები სჭარბობდნენ ერთგულებს, განა თუ სხვისი, საკუთარი თავისა, თავის ხალხის მოღალატენი... როცა ხალხს ამდენი მოღალატე შინა ჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს მას, პიპა. თუ მთელმა ერმა გამარჯვება არ მოინდომა, მაკედონელიც ვერ უშველის, პიპა, რადგან ჯერ არსად გაუმარჯვნიათ მშიშარებსა და მსტოვრებს.“

კონსტანტინე გამსახურდია

* * *

მე კი, ჩემი ხალხის სიბრძნის იმედით, უკეთესი მერმისის იმედით ვცხოვრობ... რა ვქნა, ასეთი გამოუსწორებელი ოპტიმისტი ვარ და რა ვქნა... ისიცაა - „იმედი ბოლოს კვდებაო,“ - მსმენია... მეიმედება და გულს მიმშვიდებს, რომ ასეთი გამოუსწორებელი ოპტიმისტი მარტო მე არ ვარ...

აქაც ისევ ჩვენს ოთხ ბუმბერაზ ქართველს მოვიშველიებ:

„ქართველი ერის გზა - ქრისტეს გზაა, ეკლიანი გზა ჯვარცმისა და გარდუვალი ამაღლებისა“.

ზვიად გამსახურდია

„უამრავი ნაკლის მიუხედავად ქართველს ისეთი თაკარა გული, უმზესი სული და მაღალი ბუნება აქვს, რომ მთელს სამყაროს დასწვავდა, კავკასიონის მარადიული თოვლი რომ არ აგრილებდეს და არ აშოშმინებდეს...“

ნოდარ დუმბაძე

„სახეზე გეტყობათ, რომ გაკვირვებთ ჩვენი სულის სიმტკიცე, ძრწოდეთ, მრავალი ათასი ჩვენზე უკეთესები იზრდებიან“.

გენერალი ალ. ანდრონიკაშვილი

ვერ გავძლებ, ესეც არ ვიხმო:
„ეცადეს და ვერ გამხადეს ბოროტი,
ეცადეს და ვერ გამხადეს ფლიდი,
წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე,
თურმე ესეც გმირობაა დიდი!“

შოთა ნიშნიანიძე

* * *

სულ ბოლოს?!

სულ ბოლოს ქართველი ერის უგვირგვინო მეფეს წმინდა ილია მართალს (ილია ჭავჭავაძე) და საქართველოს ეროვნულ გმირს მერაბ კოსტავას დავესესხები და მათ „პროგნოზსაც“ მოგახსენებთ:

„რა არ გადაგვხდენია თავს, რა მტრები არ მოგვსევიან, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ, და ყველას გავუძელით, ყველას გავუმაგრდით. შევინახეთ ჩვენი თავი, შევინარჩუნეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი. ლანგ-თემურებმა ჩვენს საკუთარ სისხლში გვაბანავეს და მაინც დავრჩით და გამოვცოცხლდით. შაჰ-აბაზებმა ჩვენის კბილით გვაგლეჯინეს ჩვენი წვრილშვილნი და მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერდით. აღა-მაჰმად-ხანებმა პირქვე დაგვამხეს, ქვა-ქვაზე არ დაგვიყენეს, მოგვსრეს, მოგვჟლიტეს და მაინც ფეხზე წამოვდექით. მოვშენდით, წელში გავიმართეთ; გავუძელით საბერძნეთს, რომსა, მონღოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს, სპარსელებს, რჯულიანსა და ურჯულოს და დროშა ქართველებისა, შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ, არავის წავაღებინეთ. ცოდვა არ არის, ეს დროშა ახლა ჩრჩილმა შესჭამოს, თაგვმა დაგვიჭამოს. დრო-ჟამი ამას გვიქადის... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?..“

ილია ჭავჭავაძე

„გავა დრო და ხელების ცეცებით დავიწყებთ ქართველები ერთმანეთის ძებნას“...

მერაბ კოსტავა

არ მოგეწონათ ილიასეული და მერაბისეული პროგნოზები?!

მაშინ:

დროზე გავანძრიოთ ხელი და თავი!..

საღ აზრს მოვუხმოთ, შევეშვათ და თავიდან მოვიშოროთ, ქცევებიდან და მეხსიერებიდან ამოვიგდოთ, ამოვძირკვოთ:

- ერთმანეთის მტრობა და ქიშპობა, ურთიერთ შური და ღვარძლი, ურთიერთგაუტანლობა და უაზრო ჯიბრი;

- მოვსპოთ ან გავანეიტრალოთ „მეხუთე კოლონა“. ამოვძირკვოთ ჩვენი რიგებიდან და ჩვენი გარემოცვიდან მტრულად განწყობილი ქვეყნების სპეცსამსახურების მსტოვრები და გამცემები, მოღალატეები და გამყიდველები, ურჯულო და უჯიშო ელემენტები!

- ქრისტესმიერი სიყვარულით შევუნდოთ ერთმანეთს და შევრიგდით, ხელი ხელს მიეცით, მხარი-მხარს!

- ერთად ვაშენოთ ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი შვილების მომავალი!

- თვალის ჩინივით გავუფრთხილდეთ ჩვენს წინაპართაგან დანატოვარ საუნჯეს: - მამულს, ენასა და სარწმუნოებას და ილიასეული დიადი მრწამსი ამოვიშანთოთ გულის ფიცარზე: -“ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნეს“... მარად!!!

ახლა კი ნამდვილად ვასრულებ,
გვფარავდეს უფალი!

ბათუმი,
2021 წელი

რეალობა - დარიგებაში გადატანილი...

ბათუმის ზღვისპირა პარკში ვსეირნობდი. ჩემი ყურადღება ერთ მყუდრო კუთხეში, ძელსკამზე განმარტოებულმა მამაკაცმა მიიპყრო. ფრიად ჩაფიქრებული, დაღონებული და ცოტა აფორიაქებულიც კი მეჩვენა. მეც გზა იქით მქონდა. ბუნებით ცნობისმოყვარე ვარ. ამჯერადაც ცნობისწადილმა მძლია და იმ „სევდიანი ფიქრთ გასართველად“ განმარტოვებულ მამაკაცს გვერდით ჩავუარე. დიდი ხნის ნაცნობი აღმოჩნდა. ბატონი არჩილი (აქ და ქვემოთაც სახელები პირობითია) ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლო დაწესებულების პროფესორია. შუა ხანს მიტანებული, წარმოსადეგი, ბრგე მამაკაცი მოკუნტული იჯდა, დაპატარავებულიც კი მეჩვენა. საფეთქლებშევერცხლილი, წაბლისფერი თმა, კოხტად შეკრეჭილი ულვაშები, თაფლისფერი თვალები და საზრიანი, მშვიდი გამოხედვა შვენოდა.

მისალმება-მოკითხვის შემდეგ, ცნობისწადილის ჭიის მოსაკლავად, გვერდით ჩამოვუჯექი და საუბარი გავაბით. მოწყენილობის მიზეზით დავინტერესდი.

როგორც მოგახსენეთ, მე და ბატონი არჩილი ძველი, კეთილი ნაცნობები და კოლეგები ვართ, ამიტომ ტაბუდადებული სასაუბრო თემები თითქმის არ გაგვაჩნია.

არჩილი ჩაფიქრდა. მზერა სადღაც შორს გადაიტანა, თითქოს ზღვის დასალიერი უნდა მონიშნოსო, ერთი ღრმად ამოიოხრა და გაბზარული, ათთრთოლებული ხმით მისი ხვაშიადის განდობას შეუდგა:

- ოცი წელიწადი ხდება, რაც პედაგოგიურ საქმიანობას ვეწევი. ბევრიც მინახავს და გამიგონია, ბევრ არაორდინალურ თუ კურიოზულ სიტუაციაშიც მოვხვედრილვარ, მაგრამ ამისთანა რამ პირველად შემემთხვა, - თქვა და ისევ ჩაფიქრდა.

- ღრმად განსწავლულს, გამოცდილსა და ერუდირებულ პროფესორს თუ რამე გაგაკვირებდა ან ასე აგაფორიაქებდა არ მეგონა, - ცოტა შევაქე და ამით მეტი გულღიაობისკენ ვუბიძგე.

- მეც ასე მეგონა, მაგრამ დარჩენილა კიდევ ისეთი რამ, რაც გამაოგნებდა და შემძრავდა. მეტი რომ არ გავაგრძელო, არ ვიცი რა ვიფიქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო... მოკლედ, ერთი კვირის წინათ ერთ-ერთი სოციალური ქსელის ვებ-გვერდზე ჩვენი სასწავლებლის მეორე კურსის სტუდენტი სალომე შემოვიდა. თავი შემახსენა და საგამოცდო საკითხების განმარტებაში დახმარება მთხოვა. როგორ დავუშლიდი, მით უმეტეს, ეს ჩემი პროფესიული მოვალეობაცაა. მიმოწერა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა.

მომეწონა, რომ სალომე გონებაგახსნილი და ცნობისმოყვარე გოგონა აღმოჩნდა, რომ ცხოველ ინტერესს იჩენდა ჩემი საგნისადმი. წახალისებისა და შექების, ზოგჯერ კი გამხნევების, მიზნით ზოგად ქათინაურებს მივწერდი ხოლმე. გუშინდელმა წერილმა კი გამაოგნა და თავზარი დამცა. არ ვიცი, რა ვიფიქრო, რა გავაკეთო, აზროვნება მიჭირს - როგორ გავიგო ან რა რეაქცია მქონდეს...

- მაინც რა მოგწერა ასეთი, რომ შენისთანა გამობრძმედილი, გამოცდილი და მრავალჭირგამოვლილი კაცი შეგაცბუნა და აგაფორიაქა?!

- წარმოგიდგენია, იმ ლაწირაკმა, უზნეო ავხორცმა რა მომწერა?! ჩვენი ურთიერთობის განსამტკიცებლად, ცოდნის შეფასებისა და სხვა ლექტორებთან დახმარება-პროტექციის სანაცვლოდ ფარული ინტიმური ურთიერთობების გაბმა შემომთავაზა!...

- ოჰო, - გავიკვირე.

- ესეც შენი ოჰო, მე კი ღამეებია არ მძინავს. არ ვიცი, რა ვიფიქრო. არავითარი საბაბი არ მიმიცია ვინმესთვის, მით უმეტეს სტუდენტისთვის, რომ ჩემზე ასე ეფიქრა და ასეთი რამ შეეთავაზებინა. მე, პირველ რიგში, აღმზრდელი ვარ, დარბაისელი, პატიოსანი, ცოლშვილიანი კაცი... სტუდენტები ღვიძლი შვილებივით მიყვარს და ვაფასებ. მათზე ზრუნავ-ფიქრში ვათენ-ვაღამებ და ამ ლაწირაკმა რა შემომთავაზა! - ბობოქრობდა და გმინავდა არჩილი.

- თვითონ ეს სალომე რას წარმოადგენს, როგორი ოჯახის შვილია, როგორ სწავლობს, როგორი ავტორიტეტით სარგებლობს სხვა ლექტორებთან და სტუდენტ-თანატოლებთან? როგორია მისი ქცევები?

- განსაკუთრებული არაფერი შემიმჩნევია. ისე კი თანატოლებთან, განსაკუთრებით ბიჭებთან, თამამდ, გამომწვევად იქცეოდა, მაგრამ ამისთანებისთვის ყურადღებაც კი არ მიმიქცევია, ეს ხომ თვითდამკვიდრების ერთ-ერთი ფორმა თუ ხერხია... ყველა ადამიანი, მით უმეტეს, ახალგაზრდა, ყოველთვის ცდილობს, თავისი ადგილი ნახოს და თავი დაიმკვიდროს თანატოლთა წრეში და, საერთოდ, საზოგადოებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- სალომესთან ურთიერთობაში განსაკუთრებული ხომ არ ყოფილ-ხართ?

- სალომე ჩვეულებრი გოგონაა. ნიჭითა და გონებრივი მონაცემებით სხვებზე აღმატებული არაა. უყვარს ფანჯარასთან ჯდომა. ხშირად ყბაზე ხელს ამოიდებს და უკიდეგანო სივრცეებს გაჰყურებს. ზოგჯერ ისეთი შგერძნებაც მიჩნდება, რომ ის იმჟამად სხვა განზომილებაშია, უფრო ფაქიზ და ამაღლებულ ფიქრთა და აზრთა გარემოცვაში... თურმე ეს ავ-ხორცი რას ფიქრობს და რაზე ოცნებობს!.. ისე, როგორც მდედრი, ბუ-ნებამ ყველაფრით უხვად დააჯილდოვა: თაფლისფერი თვალები, მომ-ნუსხველი გამოხედვა, თავბრუდამხვევი, უეცარი, გამშოლტავი, ჯადოს-ნური შემოფეთება, ეშხიანი, მადლიანი ღიმილი... საოცრად ლამაზი, ღვ-თიური მადლით ნაძერწი შოლტივით ტანი, ლამაზი მკერდი, მოხდენი-ლი, მრგვალი თეძოები და სანთელივით ჩამოქნილი ფეხები!..

- სიმართლე მითხარი: სალომე ასაკით უმცროსი და შენი სტუდენტი რომ არ ყოფილიყო გულში ჩაგივარდებოდა?

- აქამდე სალომე სუფთა, უმანკო ანგელოზი მეგონა... მქონდა ურთი-ერთობა, როგორც რიგით სტუდენტთან, ვთვლიდი როგორც შვილსა და საყვარელი არსებას, ის ხომ ჯერ ბავშვია, მთელი ცხოვრება წინ აქვს, - არჩილმა აზრი აღარ დააბოლავა, ღრმად ამოიგნეშა და უიმედოდ ხე-ლი ჩაიქნია.

გულგატეხილი და გულნატკენი კაცი შემეცოდა!.. არჩილი როგორც მამრი - ფიზიოლოგიურად ჩამოყალიბებული, ჯერ კიდევ მიმზიდველი და სანდომიანი მამაკაცია. მისი თავდაჭერილობა, თავდაჭერებულობა და გადამეტებული თავაზიანობა, არაა გამორიცხული, ზოგმა ქალმა გა-მოწვევადაც კი მიიღოს... ვითომ, ამიტომაც შეჰბედა სალომემ?!.

- პასუხი თუ მისწერე ან რაიმე სხვა ფორმით აუხსენი, რომ უზომოდ გაოგნებული და აღშფოთებული ხარ?

- ჯერ არა. ცხელ გულზე არ მჩვევია სერიოზული გადაწყვეტილე-ბების მიღება. მით უმეტეს, ასეთი დელიკატური და უჩვეულო საქმის ირგვლივ. უნდა მოვიფიქრო. გავზომ-ავწონო. არ მინდა, მამისა და პე-დაგოგის ღირსება შემელახოს, არც ის, რომ ჩემს მამაკაცურ ღირსებებ-ში ვინმეს ეჭვი შეეპაროს... - ჩაფიქრდა. ცოტა ხნის შედეგ უეცრად წამო-დგა, რაღაც სასწრაფო საქმე მოიმიზეზა და გამშორდა. ეტყობა ისევ გან-მარტოებით ფიქრი უნდოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილის ნაამბობით გაოგნებული, ჩაფიქრებული, ნირ და ხასიათწამხდარი დავბრუნდი სახლში.

ვერ დავიძინე. გამუდმებით ვფიქრობდი. ჩემი აკადემიური ცოდნა და გამოცდილება მოვიშველიე, ქართველი ერისა და ქვეყნის ტრადიციები, ადათ-წესები და მორალურ-ზნეობრივი ღირებულებები თუ ნორმები მივჩხრიკ-მოვჩხრიკე... ვერაფრით ვერ შევაჯერე და ვერავითარ ჩარჩოში ვერ მოვაქციე, ვერ შევუსაბამე სალომეს, ჯერ კიდევ ბავშვის, აზრები, სულის თუ გონების მოძრაობა ეროვნულთან, ქართულთან. მისი ქცევა ყოველგვარ ეროვნულ თავსებადობასთან შეუსაბამო აღმოჩნდა.

ამ, ჩემეულ ნააზრევში, მიზნად არ ვისახავ პედაგოგიური, დიდაქტიკური თუ სხვა თვალსაზრისით მოვჩხრიკო და გავაანალიზო, მიზეზ-შედეგობრივი კავშირები ვეძიო თუ რამ გამოიწვია სალომესა და ზოგიერთი მის თანატოლის აღქმის, შეგნებისა თუ აზრების, ადამიანურ ფასეულობათა აღრევა და მეტამორფოზა. ამაზე, უპრიანი იქნება, იმსჯელონ სათანადო დარგისა და მიმართულების ექსპერტ-სპეციალისტებმა და ფილოსოფოსებმა. მე მხოლოდ ფაქტი მოგახსენეთ!..

ისე კი, გამოგიტყდებით: ყველაზე მეტად მაღელვებს და სულს მიტანჯავს ჩვენს ქვეყანაში კონსტიტუციური კანონით გაწერილი და საყოველთაოდ დეკლარირებული სახელმწიფო ეროვნული იდეოლოგიის, მწყობრი და გააზრებული, მომავალზე გათვლილი და ორიენტირებული ეროვნული სკოლისა და განათლების განვითარების კონცეფციისა და სტრატეგიის არარსებობა. ფსევდოფასეულობები, ფსევდოღირებულებები და ფსევდოპატრიოტიზმი, ლიბერალური ყოფითი ვაკხანალია რომ ისედაც არაფერი შვილია, ყოველმა ჩვენგანმა ისედაც კარგად ვიცით!..

...რას მივწერდი სალომეს, არჩილის ადგილას რომ ვყოფილიყავი?!. ამაზეც მიფიქრია! ახლა მხოლოდ ჩემეულ, ერთი გაკვრით ჩაწერილ ვარიანტს შემოგთავაზებდით:

„... გამარჯობა სალომე!

მთელი ღამე ვერ დავიძინე. ღამენატეხი და ფიქრთდამაშვრალი, ნაწყენი, დასევდიანებულ-დადარდიანებული სინანულით შემოგიწყრები: არ ველოდი შენში ასეთი ფორმით ეროვნულ ფასეულობათა აღრევას, ქართულ-ტრადიციულ მორალურ-ზნეობრივ ნორმათა დამახინჯება - სახეცვლილებას... მე სულ სხვა ადამიანს ვხედავდი შენში - უმანკოს, ფაქიზს, საზრიანსა და ნამდვილ ქართველ გოგონას... მაგრამ გადაწყვეტილება

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა მივიღო და როგორც რიგითმა ქართველმა პედაგოგმა, უნდა გიპასუხო. გვერდზე დგომა არ ეგების, ვერ შევძლებ დადუმებას! ზოგჯერ დუმილიც დანაშაულია... მთელი ღამე ვფიქრობდი. გამოგიტყდები: ჩემში ადამიანის: - მამაკაცის ორი საწყისი სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეება ერთმანეთს. მამაკაცი-მამისა და მამაკაცი-მამრის...

როგორც მამაკაც-მამრს, რა თქმა უნდა, მირჩევნია და მესალბუნება სულ ნორჩი, ქორფა, ათქვირებული და ვარდის კოკორივით ახლადგაფურჩქნილი, შოლტისტანიანი და მაღალმკერდიანი, საოცრად, საოცნებოდ და საარაკოდ ამძუვნებული მდედრი...

როგორც მამაკაცი-მამა კი, ნურას უკაცრავად!.. მე მეუღლე, მამა და ბაბუა ვარ! ერთი წუთით, მხოლოდ ერთი წუთით, წარმოვიდგინე შენს ადგილას რომელიმე ჩემი ახლობელი გოგონა და თავზარი დამეცა, ზეცა ჩამომექცა. თვალთ დამიბნელდა. წარმოვიდგინე მოტყუებული და გაწბილებული მამაშენი და გული მომიკვდა, დავიტანჯე...

მე ღვთისნიერი, მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ. მოდგმითა და ტომით ძირძველი ქართველი. თავზარდაცემულმა ღვთისმშობლის ხატს დავუჩოქე და დედაღვთისას საღი აზრი და საღად მსჯელობის უნარი შევსთხოვე, თორემ სხვისი განსჯის უფლება ვიმ მომცა... ვაიმე, საოცრებავ! - თითქოს ღვთისმშობელმა მზერა მაქცია: - მტუქსავდა, ალბათ, ეს საზარელი რამ გულში როგორ გაივლეო...

დიდება უფალს! ამჯერადაც, ადამიანის ორი საწყისის სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილში მამაკაცმა-მამამ გაიმარჯვა!.. მამრის ავხორც ზრახვებსა და ვნებებს, რაც არ უნდა მაცდური და რომანტიკული იყოს, ვერ გადავაყოლებდი და ვერ გავათელვინებდი წმინდათაწმინდას - ქართველი მამისა და მამაკაცის ზნეობას, ღირსებას, ნამუსსა და მორალს... ვერ დავთმობდი გასაბახებლადა და შესაბილწად ქართველი ქალის მანდილს, მომავალი დედის ნამუსსა და ღირსებას...

მშვიდობით, პატარა ანგელოზო! არცერთ ინტერნეტ თუ სოციალურ ქსელში აღარ შეგეხმიანები!.. ერთსა გთხოვ მხოლოდ - მსოფლიოში რაც ოქრო და სიმდიდრეა, რაც ფულია და ამ ფულით სასყიდლად შესაძლებელია დროსტარება და ხალვათი განცხრომა, არც სხვა რამ, მით უმეტეს სწავლის საფასურის თუ პედაგოგ-მასწავლებლის განწყობის მოპოვება, თუნდაც აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების ან სხვასთან პროტეჟეს ყოლის მიზნით, ეგებ არ სჯობდეს ინტიმური ურთიერთობის შეთავაზება, სულის წაწყმედა და, რაც მთავარია, ქართველი ქალის მან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილის სიწმინდისა და დედის ღირსების ფეშქაშად შეთავაზება... იფიქრე ამაზე!.. ავხორცობას ნუ დაემონები! ვითომ უკომპლექსო, ფსევდოემანსიპაციურ - ფსევდოთანასწორობას, ფსევდოღირებულებებს, ყმაწვილურ თავქარიანობასა და „ბზიკებს“ ნუ გადააყოლებ შენს ქალწულებრივ უბიწობასა და ქალურ ღირსებებს! მენდე, ასე სჯობია! მოთმინება იქონიე! ყოველივე ეს შემდეგში ასმაგად დაგიფასდება. შენ ხომ ღირსეული ქართველი ვაჟკაცის მეუღლე, ქართული ოჯახის რძალი, ქართველთა დედა და ბებია უნდა გახდე! ჩემი ასაკის გადმოსახედიდან გეუბნები, მადლიერი დამირჩები, რომ შენი აცუნდრუკება ბოროტად არ გამოვიყენე და შენი შეთავაზება უარვყავი!..

შეგიძლია, გამამტყუნო, გამლანძღო, უსულგულო, უგუნური... კიდევ ბევრი რამ შეურაცხმყოფელი მაკადრო და დამძრახო კიდეც...

ეეჰ! მაშინ, მომავალი თაობების ქართველთა დედა და ბებია რომ გახდები, მაშინ ბოლომდე გაითავისებ და დამიფასებ! მადლიერი და ფრიად მადლობელი დამირჩები, რომ ბოროტად არ გამოვიყენე შენი ახირება, თავქარიანობა თუ აცეტება!.. ახლა კი, რასაც გეუბნები, დამიჯერე!

იფიქრე! იფიქრე! ჩემი „განწირული სულისკვეთება“ და ძილნატეხი ნააზრევ-ნაფიქრალი კეთილად აღიქვი, განსაჯე, გაითავისე და რეალური დასკვნები გამოიტანე!

დაე, დიდხანს გევლოს ამ მადლიან ქართულ მიწაზე ბედნიერი, თავაწეული და ღირსეული!

მშვიდობით სალომე!..”

ბათუმი
2018 წელი

„ბოროტსა სძლია კეთილმან!..“

(ძილნატეხი ექსპრომტი)

არ დაიჯერებთ და უცნაური სიზმარი ვნახე!..

უფრო სწორად, სიფხიზლეში ნაფიქრალ-ნააზრევი ძილშიც შემყვა, ალბათ...

ერთი სიტყვით, ჩემს მხრებზე შემოსკუპებული ორი ანგელოზი ეპაექ-რებოდა ერთმანეთს - ბოროტისა და სიკეთის!..

ბოროტმა ანგელოზმა თქვა:

- წუთია წუთისოფელი, ამაოა ამაოება, არ ღირს ფაფხური და ჭაპან-წყვეტა...

სიკეთის ანგელოზი შეეკამათა:

- ვერ დაგეთანხმები! წუთისოფელი, ზოგადად სამყაროს მცნებაა, მას მოვიაზრებთ როგორც მარადისობას, უკვდავებას!

- კი მაგრამ, მოკვდავი ადამიანის წუთისოფელი?!. ის ხომ ხანმოკლე და მცირეა!

- ადამიანის?.. ჰო, ადამიანის „წუთისოფელი“ მართლაც რომ მცი-რეა, მაგრამ სამყაროა უსასრულობა, თვით უკვდავებაა მარადისობა, კა-ცობრიობის დასაბამი და ჟამთაღმრიცხველია, უკვდავია, ვით სამყარო, უკიდეგანო და უსასრულოა, ვით თავისუფალი აზრის აღმაფრენა, უსაზ-ღვროა, ვით ადამიანის, ამ ყველაზე მაღალორგანიზებული მოაზროვ-ნის, განცდები, ოცნება და წარმოსახვის უნარი!

- მაგრამ თვით იესო ქრისტე გვასწავლიდა განკითხვის ჟამისა და მე-ორედ მოსვლის გარდუვალობას, ამაზე რას იტყვი, კეთილო ანგელო-ზო?! - აგდებულად ჩაიქირქილა ბოროტმა ანგელოზმა.

- გეთანხმები, ბოროტო სულო, მაგრამ ერთი რამ ნუ გავიწყდება: მეორედ მოსვლისა და განკითხვის ჟამი უფრო ყოვლისმომცველი, გან-ზოგადოებული, უფრო შესაძლებლობათა მცნებაა, საკრალური, გენი-ოსთა და ღრმად ღვთისნიერთა შესაცნობადი ნიშნებით თუ მიგვახვედ-რებს მის სავარაუდო მოახლოებას, ბრძენი ადამიანების მიერ გადმოცე-მული ქრისტესმიერი ცნებაა, რათა ადამიანში ბოროტებასა და სიკეთეს ზღვარი დაედოს, საკრალური რწმენა და გარდუვალობის შიში დათე-სოს, რათა ბოროტებამ უსასრულოდ არ იბოგინოს. განკითხვის ჟამის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიში ჩანერგოს მომაკვდავ ადამიანში, რამეთუ დაუსჯელი არავინ დარჩება და ბოროტებისთვის ყველას მოეკითხება, სამგიერო და საკადრისი მიეზღვება, თუ სიკეთითა და მადლით არ იცხოვრებს...

- აქ კი გამახარე! ბოროტება ბოროტებითვე დაითრგუნება?! სამაგიერო მიეზღვება?!

- არა. დიდმა შოთამ გაახმიანა არსი:

„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

ბოროტება სიკეთით იძლევა. სიყვარულით - სიძულვილი. სასოწარკვეთილება - მომავლის რწმენითა და იმედით...

- მაშ, განკითხვის ჟამი როდისაა, მისი საწყისი სადღაა?!

- ყველას დამსახურებისა და სიკეთის საწყაოთი მიეზღვება. ბოროტება დაისჯება. სიკეთე განდიდდება. ყველას თავისი ადგილი მიეჩინება: ცოდვილთ - ჯოჯოხეთი, მადლით მოსილთ და ღვთისნიერებით განწმენდილთ - სამოთხე! განკითხვის, ცოდვა-მადლის აწონვის და შენდობის შემდეგ კი იქნება მარადიული სიცოცხლე!!!

- მაგრამ მოკვდავმა ადამიანმა რა ქნას? ის ხომ ვერ შესწვდება უკვდავების მარადისობას?!

- გეთანხმები, ბოროტო სულო, მაგრამ ორი რამ ნუ გავიწყდება! ღმერთმა ადამიანი დააჯილდოვა უკვდავი სულით, ცოდვების გათავისების, აღსარების, შენდობის და მადლის გამრავლების უნარით. იმის ნიჭიც მისცა და ცოდნაც, თუ როგორ არ წაიწყმიდოს სული და ამრავლოს ჯანსაღი და ღირსეული შთამომავლობა, რათა მისმა მოდგმამ სრულყოფილებას მიაღწიოს და მადლი მოისხას მეორედ მოსვლისა და განკითხვის ჟამს. ამრავლოს სიკეთე და მადლი, რათა სასუფეველში, მარადიულ ცხოვნებაში დაიმკვიდროს უკვდავი სული...

- გეთანხმები, ადამიანი არსებითად თავისუფალია, იბადება თავისუფალი ნებითა და ქცევით, არჩევანის უფლებით, მაგრამ მოკვდავია და ბევრის გაკეთება და მიღწევა სურს. მას უსასრულო შესაძლებობებისა და ცდუნებათა სამყარო ეგება ფიანდაზად...

- კი, გეთანხმები, ბოროტო სულო! მაგრამ ის დაიბადა პირობით, რომ მან, მისმა სულმა უნდა ეზიაროს უკვდავებას, ამიტომაცაა, რომ ადამიანის მოდგმა, მისი საუკეთესო წარმომადგენლები - ბრძენი თუ გენიოსი, ღვთისმეტყველი თუ წმინდანი, ექსტრასენსი თუ ნათელმხილველიც კი იოტისოდენადაც ვერ განჭვრეტენ წუთისოფლის დასასრულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოახლოებას, რომლის შესაძლო ნიშნების გამოთვლა შეუძლიათ მხოლოდ...

- მაშ, რით ვანუგეშოთ ადამიანი, რით დავამშვიდოთ, დავაწყნაროთ, როგორ ჩავუნერგოთ მას მომავლის რწმენა და იმედი?!

- ღვთის ნებას უნდა მიენდოს. ამქვეყნად ყველაფერი ღვთის ნებითაა. მან ღვთივნაბოძები ათი მცნებით უნდა იცხოვროს!

- აბა, ბედისწერა რაღაა?!

- ბედისწერა არ არსებობს. ის ღვთის ნებაა, ღვთის ნების ყოვლისმომცველი გაგება, აღქმა და განმარტებაა. წუთისოფლის კანონზომიერებაა, მას ვერ გაექცევი. ღვთიური ნება თვითმყოფადია, თავისთავადი, თავისი კანონებითა და რიგით მოქმედებს. ადამიანი ღვთის ნებას აღასრულებს, თუ დაიცავს ათი მცნების რაობას და მას ცხოვრების წესად გაიხდის, ის ბედნიერი იქნება, უკვდავი სული კი მადლმოსილი და სასუფევლისთვის შემზადებული...

- მაშ სიკვდილი რაღაა?!

- სიკვდილი დასასრული როდია. სიკვდილი არაა სწორი მცნება. გარდაცვალება, ერთი განზომილებიდან მეორე განზომილებაში გარდასვლაა, ის გარდასახვაა, ფერისცვალება. უკვდავი სული ერთი განზომილებიდან მეორეში გადადის და მეორედ მოსვლისა და განკითხვის ჟამს ელის!

- მაგრამ ადამიანი მაინც კვდება! ის ხომ ამქვეყნიურ ცხოვრებას წყვეტს. „ამოება ამაოა“, რატომ არ გინდა დაიჯერო, კეთილო ანგელოზო!

ბრძენმა ქართველთა წინაპარმა ისე ლამაზად თქვა:

“მოვა სიკვდილი უჩინო,
ერთ წამში აგვყრის იარაღს,
ჩვენ რას წავიღებთ იმ ქვეყნად
სხვას არა წაუღია რა... ”

ჩემი ღრმა რწმენით, ეს მან სევდითა და უიმედობით წაიღიღინა...

- ოო, ბოროტებავ! შენ ერთი რამ გავიწყდება - ქართველს რწმენა არასოდეს დაუკარგავს, მართალია, ეს წაღიღინებაც სევდანარევი გამოუვიდა, მაგრამ ქართული სულის სიამაყისა და უძლეველობის ფონზე... მერე რა, რომ სევდიან-დარდიანად წაიმღერა, წაიღიღინა. ამით ამაოებას დასცინა. მან ამქვეყნიური მადლიანი ცხოვრების და იმქვეყნიური მარადიული სასუფეველის ფასი ყოველთვის იცოდა. აკი, ამ ქვეყნის და ერის საუკეთესო შვილმა, დიდმა ილია მართალმა, დამოძღვრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შთამომავლობა: „კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო - ამბობენ ჩვენი ერის ბრძენკაცები:

- ერთი აქ დასარჩენი,
- მეორე თან წასაყოლი“.

ილია საუკეთესო მაგალითსაც იძლევა: - „ეს ანდერძი ქართველისა ისე არვის შეუსრულებია, როგორც დავით მეფესა. აქ აღმაშენებლის სახელი დარჩა, როგორც მეფის და იქ, როგორც დიდ-ბუნებოვანმა კაცმა - წაიღო სახელი წმინდისა, დიდების გვირგვინით შემკული“.

ქართველები, ღვთის ნებას მინდობილნი, მაინც ვცხოვრობთ, მაინც ვგეგმავთ, მაინც მომავალს რწმენითა და იმედით ვუყურებთ... ადამიანის ბედი უფრო მარტივია: ჯახირობს, ქმნის, წვალობს, თუმცა იცის, რომ ბოლოს მაინც წავა, განა არ თქმულა: „ადამიანი ისე ცხოვრობს, ვითომ არასდროს არ მოკვდება და კვდება ისე, ვითომ არასდროს უცხოვრია“... „იგი წავა და სხვა მოვა, ტურფასა საბაღნაროსა“... ქართველი ერი?! ქართველი ერი უკვდავია! მე იოანე ზოსიმეს მჯერა!

„ამაოება ამაოებათა ამაოებაა“... ეს უტყუარი და ჭეშმარიტი სიმართლე და სინამდვილე კი თავისთავად, თვითმყოფადად, სამყაროსა და ადამიანის უკვდავი სულის სიღრმეებში, ცხოვრების ლაბირინთებსა და უსასრულობაში თავის უჩინარ, გარდაუვალ საქმეს აკეთებს...

- თუ ეს ასეა და ყველაფერი ამაოებაა, მაშ, რა აზრი ჰქონია ადამიანის ცხოვრებას, ამდენ წვალებას და წვა-დაგვას... ეს უსასრულობიდან, ათადან და ბაბადან მოგვსდევს. დაწყებული ევოლუციის სათავეებიდან: წელში გამართულმოსიარულე - „ჰომო ერექტუსიდან“ მოაზროვნე ადამიანის - „ჰომო საპიენსის“ განვითარების თანამედროვე პერიოდამდე...

- ადამიანები მომავლის, უკეთესი მერმისის იმედით ვცხოვრობთ, მაინც ვქმნით ოჯახებს, ვაჩენთ შვილებს, ვზრდით იმ იმედითა და რწმენით, რომ :

„ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“.

ესე იგი, სამყაროს და საზოგადოების განვითარების მამოძრავებელი ძალა - უკეთესობისკენ სწრაფვა - პროგრესი ყოფილა...

პროგრესი უკეთ ცხოვრების მოწყობისათვის, რასაც მეცნიერ-მოაზროვნეებმა შესაბამისი ტერმინი გამოუნახეს და დაანათლეს - სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი...

ცხოვრების უკეთ მოწყობის სურვილი რომ არა, მისი გაუმჯობესებისკენ სწრაფვა და შეუჩერებელი ლტოლვა რომ არა, ადამიანი ვერ განვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარდებოდა, ვერ მიაღწევდა თანამედროვე პროგრესის დონეს. დარჩებოდა პირველყოფილ ადამიანად ან უკეთეს შემთხვევაში, ვერ გასცდებოდა პირველყოფილი თემური, უფრო სწორად, ჯოგური ცხივრების წესსა და გარემოს...

- ჯოგური ცხოვრებაო და, რაღაცეები გამახსენდა, დღევანდელი პროგრესის, 21-ე საუკუნის ცივილიზაციის პირობებში ჯოგურობისკენ სწრაფვა, უფრო სწორად, მედროვე მავანთა და მავანთა მხრიდან უსუსური მცდელობანი გამახსენდა - ცივილიზებული საზოგადოება, განათლებული და განვითარებული ადამიანები საწყის მდგომარეობაში დააბრუნონ, კვლავ ჯოგად აქციონ, რათა თავიანთი მერკანტიულ-ოლიგარქული ხუშტურები და შიზოფრენიამდე მისული ამბიციები დაიკმაყოფილონ...

- აქ დიდი შოთას ღაღადისი მომაგონდა:

„ ვაჰ სოფელო რაში განბ ხარ, რას გვაბრუნვებ, რა ზნე გჭირსა“...

- ოო! უკვე „პოლიტიკაში“ შემიტოპია, სადაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართავს ყველა მედროვეს, კარიერისტსა თუ ვიგინდარას, მატყუარასა და თვალთმაქცს, ფლიდსა და ლაჩარს, გამორჩენის მოსურნეს თუ უშრომლად და უდავიდარაბოდ სხვის ხარჯზე, სხვის ოფლსა, სისხლსა და ცრემლზე, სხვის უბედურებაზე საკუთარი ცხოვრების მოწყობის მოსურნეს, რათა ხალვათად და ბედნიერად განცხრომაში თვითონ იყოს, იცხოვროს და დანარჩენი... დანარჩენი ჭირსაც წაუღია, სტიქიას წაულეკავს, დაუმეწყრავს, შთაუნთქავს, ყველა უბედურებასა და სახადს თან გაჰყოლია...

- სახადიო და გამახსენდა, ვაი, რომ ზოგიერთი პოლიტიკური გაერთიანება, დაჯგუფება თუ ცალკეული პიროვნება სახადად და მოუნელებელ ჭირად მოევლინა ჩვენს ბედკრულ ქვეყანას, მრავალ ჭირვარამგამოვლილ ჩვენს მშობელ ერსა და ჩვენს გმირ, მომთმენ, ამტანსა და გამტან ხალხს...

არ მინდა პოლიტიკაში ჩარევა, ამ სიბინძურეში ფათური, მით უმეტეს, თანამონაწილეობა, თანაზიარობა თუ თანამზრახველობა, მაგრამ მე შედეგი მაწუხებს, მტკივა და მაშინებს...

- გვეშველება რამე?! უნებურად თავი შემახსენა კითხვამ, თუ ისევ ბედისწერასა და ღვთის ნებას მინდობილებმა თვითდინებას მივყვეთ...

- ესაა ჩემი ნათქვამიც და სათქმელიც. დანარჩენი კი ჭკვიანი კაცებისთვის და ფართო საზოგადოებისთვის მიმინდია განსჯისა და მართებული დასკვნების გასაკეთებლად. გვიღირს კი ცხოვრება, თუ სხვისი ხუშ-

ტურების დაკმაყოფილებისთვის მოგვიწევს ჩვენი თავისუფლების, ქართული ეროვნული თვითმყოფადობის, ჩვენი და ჩვენი შვილების მომავლის დათმობა?!

გვიღირს კი მავანის ხუშტურებისა თუ მერკანტილური ინტერესების გამო დავთმოთ ყველაფერი და გადავიქცეთ იოლად სამართავ, უპრინციპო და უსახურ ბრბოდ?! დავუბრუნდეთ საწყისს?! - პირველყოფილი ადამიანების ინსტიქტებსა თუ პირველყოფილი თემური წყობილების თანაცხოვრების თუ არსებობის წესებს, სადაც „ჯუნგლების კანონი“ მოქმედებს - „გადარჩება უძლიერესი...“ განა, მაშინ რამედ ეღირება ეს ცხოვრება? და თუ გვიღირს, მოქმედებაა საჭირო, მოქმედება საზრიანი, ცივ გონებაზე გააზრებულ - გაანალიზებულ - გაშალაშინებული და საბოლოო შედეგზე მომართულ-ორიენტირებული...

- ბოლოს?!

- ბოლოს სულმნათ ტატოს (ნიკოლოზ ბარათაშვილი) დავესესხები:

„ მაგრამ რადგანაც კაცნი გქვიან - შვილნი სოფლისა,
უნდა კიდევაც მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისათვის არა იზრუნვოს“!

- მაგრამ სიკვდილი?

- სიკვდილი გარდაუვალია, მაგრამ ცხოვრება უაზრობა როდია... ნაზრახ სიცოცხლეს რომ სახელოვანი სიკვდილი სჯობია, ესეც ნაანდერძევი გვაქვს დიდი შოთასგან:

„ ვერ დაიჭირავს სიკვდილსა, გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი,
მისგან გასწორდეს ყოველნი, სუსტი და ძალგულოვანი,
ბოლოს შეჰყარნა მიწამან ერთად მოყმე და მხცოვანი,
სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“...

... და გამომეღვიძა!..

ახლადგაღვიძებულ გონებას გამოჰყვა ბოროტისა და კეთილის ანგელოზთა პაექრობის მთელი სიცხადე, რომელიც ფურცელზე გადმოვიტანე და მაქსიმალური სიზუსტით თქვენს სამსჯავროზე გამოვიტანე...

საღი გონებით მყოფს ამეკვიატა ფიქრი: სად და როდის გაჩნდა ბოროტება, რას ნიშნავს სიკეთე, რამ განაპირობა ამ ორი მცნების თუ არსის გამიჯვნა და მარადლიული, შეურიგებელი დაპირისპირება.

არსებობს მოსაზრება, რომ ადამიანი დაბადებიდან არც ბოროტია და არც კეთილი. ეს ორი საწყისი მასში თავიდანვეა ჩადებული, ოღონდ

ზრდისა და ცხოვრების მთელ პერიოდში ვითარდება, იზრდება, მრავალფეროვნდება, იშლება, ეპაექრება, ექიშპება, ებრძვის ერთურთს და ბოლოს ადამიანი საბოლოოდ ყალიბდება: კეთილი - სიკეთის განსახიერება, ბოროტი - ბოროტების განსახიერება, ეშმაკის მოციქული.

ბოროტებისა და სიკეთის მცნების, არსის და ბრძოლისუნარიანობის გამოსაკვლევად, შესაცნობად, შესასწავლად, და რაც მთავარია, სწორი დასკვნების გასაკეთებლად და სამზეოზე გამოსატანად ვუხმე ჩემს ცოდნა-გამოცდილებას, ბრძენთა და სწავლულთა ნააზრევსა თუ შეგონებებს, მაგრამ ცნობისწადილი ბოლომდე ვერ დავიკმაყოფილე, ჩემში უკმარისობისა და ეჭვის ჭია ვერათუ ვერ ჩავკალ, უფრო იზრდებოდა და ძლიერდებოდა...

გამოგიტყდებით - ამ მცნებებისა და მათი დაპირისპირების პრობლემატიკის შესწავლის მიზნით ბევრი მასალა გადავიკითხე, ბევრ მოსაზრებას შევეჯიდე, ბევრი თეორია თუ ჰიპითეზა გავითავისე, ბევრი უძილო ღამეც მქონია, ბოლოს ჩემი გონი და გონიერება განათდა - ჩემს კითხვებზე პასუხები სამყაროს დასაბამისა და ადამიანის გაჩენის მომენტიდან უნდა მეძებნა...

მხსნელად და ჩემი გრძნობა-გონიერების საწვრთნელად და სავარჯიშოდ ღვთივბოძებული წმინდა წიგნი - ბობლია და მისი განმარტებანი მომევლინა.

დიდება უფალს! წმინდა ბიბლიაში ამოვიკითხე და გავითავისე ყოველივე ზემოთხსენებულის ირგვლივ ცოდნა, მიზეზ-შედეგობრივი რაობა თუ მადლი...

... სამყაროს შექმნის მეექვსე დღეს ღმერთმა მიწისაგან გამოძერწა ადამიანი - მის დარად და სახიერად. ნახა, მოეწონა, მისი გაცოცხლება გადაწყვიტა და უკვდავი სული შთაბერა! მას, ბევრ მადლთან ერთად, დიდი და, ამავდროულად, საცდური უნარებიც მისცა: თავისუფალი ნება და არჩევანის უფლება...

მისი ქმნილება და მასში შთაბერილი უკვდავი სული გონიერი, ჰარმონიული და საამური აღმოჩნდა, ღმერთს შეუყვარდა ადამიანი, ყველაზე ორგანიზებული, გონიერი და მოაზროვნე არსება და გადაწყვიტა ბოროტებისაგან დაეცვა, განერიდებინა ყოველგვარი განსაცდელისა და საცდურისაგან. ის ედემის ბაღში, სამოთხის მახლობლად, დაასახლა.

ბოროტისა და კეთილის შეცნობის ნაყოფით დახუნძლული ხე - სამოთხის ვაშლი, ედემის ბაღში, ერთ მიყრუებულ და ადამისთვის მიუწვდომელ ადგილას ახარა.

თავიდან უფლის ანგელოზებიც, მხოლოდ კეთილნი იყვნენ, სიკეთესა და მადლს აფენდნენ ქვეყნიერებას. ენდობოდნენ და მორჩილებდნენ მამა - ღმერთს.

მაგრამ მათ შორისაც შურმა იმძლავრა. სიმართლეს მოგახსენებთ, ვერ გავიგე, ყოვლისმომცველმა და ყოვლისგამგებელმა უზენაესმა ძალამ - ღმერთმა შურის მცნების არსებობა და თვით შურის წარმოშობა როგორ დაუშვა!.. ეტყობა, ეს ნეგატივი თავად სამყაროს ძალთა ჭიდილმა ღვთის უნებართვოდ, უნებლიეთ შვა და... ყველაზე აღმატებულ ანგელოზში ჩაიბუდა შურმა. ღვთივმოსილება მოუნდა, ღმერთთან გატოლება გადაწყვიტა და უფალს დაუპირისპირდა. ამის გამო უფალმა ის ცათა სასუფეველიდან განდევნა და წყვდიადი მიუჩინა. დაცემული ანგელოზი, სატანა, გინა ეშმაკი ასე იშვა...

მე მთელი არსებით მწამს - ღმერთი თვით სიკეთეა, ბოროტება ღმერთს არ შეუქმნია!..

სამყაროში თანაფარდობის დარღვევამ, ურთიერთრეაქციამ და უზენაეს ძალთა ჭიდილმა დაუშვა ნეგატივი, რომელიც თავისთავად ჩამოყალიბდა ბოროტ ძალად, რომელმაც მოიცვა ყველაზე აღმატებული ანგელოზი. მას ადამიანმა მოგვიანებით ზნედაცემული ანგელოზი, სატანა, გინა ეშმაკი უწოდა. ეს მაშინ მოხდა, როცა სატანას წყალობით, რომელიც გველის სახიერად მოევლინა ადამის თანამეცხედრეს, ღმერთის ნებითა და წყალობით მისი ნეკნისაგან შექმნილს - ევას და აცდუნა - ეჭამა აკრძალული ხილი - ედემის ვაშლი - ბოროტისა და კეთილის შეცნობის ხის ნაყოფი. ედემის ვაშლი ჯერ ევამ იხმია, მან კი, თავის მხვრივ, ერთსულ-ერთხორცი თანამეცხედრე - ადამი აცდუნა...

ადამმა და ევამ ბოროტისა და კეთილის შეცნობის ხის ნაყოფი რომ იგემეს, მათ გაუცხოველდათ გონიერება, ფიქრისა და განსჯის უნარი. მისი პირველი გამოვლინება იყო სირცხვილის, მორიდების გრძნობა - სიშიშვლის გამო სირცხვილის შეგრძნება. ეს გამოჩნდა კიდეც ღმერთთან ურთიერთობისას - მათ შერცხვათ, მოერიდათ სიშიშვლის, და მას ბუჩქებში დაემალნენ. აქვე ჩადენილი დანაშაულის სხვაზე გადაბრალების ქვენა გრძნობამაც თავი იჩინა, როცა ადამმა ევას გადააბრალა ვაშლის არხმევის პირობის დარღვევა.

ღვთიური მცნება-დარიგების დარღვევის გამო განრისხებულმა უფალმა ადამი და ევა ედემის ბაღიდან გააძევა, მის შორიახლოს დაასახლა. ედემის ბაღის შესასვლელთან კი ცეცხლმახვილოსანი ქურუმები დააყენა მცველებად...

ამ შემთხვევაში ბოროტი ძალა - სატანა გვევლინება გველის სახით, როგორც ზნედაცემული ანგელოზი, ბოროტების სათავე და მისი მთესველ-განმავრცელებელი...

ამრიგად, ადამიანის არსში გამოიკვეთა და ჩაბუდდა ორი არსი: ბოროტება და სიკეთე. მათი ქიშპობა და ჭიდილია ადამიანში დაბადებიდან გარდაცვალებამდე...

ბოროტება, ესე იგი, განსახიერებული სატანა, განყენებულად არ არსებობს. სატანა ადამიანის სხეულს დაეუფლა და მისი არსებობის არსიც განაპირობა, რომელიც უფალმა თავიდანვე დიდი, უშრეტი გონითა და გონიერებით დააჯილდოვა!..

გონის, გონიერების პატრონი ადამიანის სხეული, ღმერთის მიერ მიწისაგან გამოძერწილი სხეული, სატანის სარბიელი გახდა, ის დაეპატრონა ადამიანის სხეულს და თავის ჭურჭლად აქცია. ღვთის მიერ შთაბერილი უკვდავი სული კი ვერ დაიმონა, ვერ მოდრიკა, ვერ გაიხადა თავისი ნების აღმსრულებლად...

ამრიგად, ადამიანის განკაცებულ სხეულში ორმა არსმა დაიდო ბინა. უკვდავმა სულმა - ადამიანის თავის ტვინის ღეროვან უჯრედებში, ხოლო გრძნობა-გონებამ და მოაზროვნე ნაწილმა - თავის ტვინის სხვა სივრცესა და ადამიანის დანარჩენ სხეულში, რომელიც თავის მხვრივ სატანამ ჭურჭლად გაიხადა...

კეთილი, სიკეთე - ღვთის მიერ შთაბერილი უკვდავი სულია.

ბოროტი, ბოროტება - ღვთის მიერვე მიწიდან გამოძერწილი ადამიანის სხეული, რომელიც თავიდანვე გონით, გონიერებით, აზროვნებისა და ფიქრი-განსჯის უნარით დააჯილდოვა, რითაც ის აღმატებულ და მაღალორგანოზებულ არსებად აქცია და დაუდგინ-დაუმორჩილა ყოველივე - სულიერი და უსულო სამყარო.

ადამიანის არსში, საუბედუროდ, ბოროტებამ იმძლავრა. ბოროტება სიცოცხლის შექმნის კეთილი პირობების საზიანო, საწინააღმდეგო ქმედებებია. ბოროტების წყარო სატანაა. სატანა არსებითად ადამიანის სხეულია, ის აცდუნებს და აგდებს ცოდვებში მის არსს და არსებობას.

ადამიანის ცოდვები მოდის ადამიანის სხეულის მოთხოვნილებებიდან.

ადამიანის სულისა და სხეულის მოთხოვნილებები ერთმანეთის თანხვედრაში არ მოდის. ეს უკანასკნელი განპირობებულია და გამოდის ადამიანის სხეულის ყოველწამიერი, ყოველდღიური საჭიროებებიდან. საბოლოოდ, სხეულმა, საჭიროებებისა და მოთხოვნილებების მოჯადოებული წრის გამოისობით, ადამიანის უკვდავი სული დაატყვევა.

აქ ღვთის ნება დაირღვა - სხეული უნდა იყოს სულის მონობაში და არა პირიქით. უკვდავ სულს ევალება, შეძლოს ადამიანის სხეულის მოთხოვნილებების მოთოკვა და სულიერების პირველ რიგში დაყენება. ეს თავიდანვე ასე იყო განზრახული: ადამიანის სხეული უკვდავი სულის გარეშე ჩვეულებრივი უსულო საგანია, მას არაფერი შეუძლია დამოუკიდებლად, ის, როგორც ქვა, სანამ სხვა, გონიერი, სულიერი არსება არ აიღებს და არ შეუცვლის მდგომარეობას, ვერ გადაადგილდება.

ადამიანის მამოძრავებელი ძალა უკვდავ სულშია, ამიტომაც უნდა იდგეს სულიერება პირველ რიგში და არა პირიქით.

საუბედუროდ სხვაგვარად მოხდა: გონითა და გონიერებით, ბოროტისა და კეთილის შეცნების უნარით შეიარაღებულმა ადამიანის სხეულმა, ყოველდღიური მოთხოვნილებებით, რომლებიც გამოწვევულია ყოველდღიური საჭიროებებისაგან, საბოლოოდ დაატყვევა ადამიანის უკვდავი სული.

უკვდავი სული სხეულის ტყვეობიდან თავისუფლდება ადამიანის გარდაცვალების შემდეგ.

თავისუფლებამოპოვებული უკვდავი სული ხვდება ან სამოთხეში ან ჯოჯოხეთში.

უკვდავი სული არაა აღჭურვილი იმ ნებით, რომ თავად აირჩიოს - სად დაიდოს ბინა: სამოთხეში თუ ჯოჯოხეთში.

ყველაფერს განაპირობებს ის გარემოება, თუ რამდენად დამძიმდა ცოდვებისაგან უკვდავი სული, როცა ის ზნედაცემული ანგელოზის - სატანის, ადამიანის სხეულის ტყვეობაში იყო.

უკვდავმა სულმა ბოროტების გარემოცვაში და მასთან ჭიდილში რამდენადმე შეძლო შეენრჩუნებინა სიკეთე, მადლი. რამდენადმე შეძლო, ცოდვებს განრიდებოდა.

ბოროტებამ თავიდანვე იმძლავრა ადამიანის არსში. ხორციელმა არსმა სულიერ არსს აჯობა, დაჯაბნა და დაატყვევა. პირველი გამოვლი-

ნება იყო ის, რომ შურითა და ბოღმით შეპყრობილმა კაენმა თავისი ძმა - აბელი უღვთოდ მოკლა. სწორედ ამის შემდეგ ქვეყნიერებაზე განივრცო და მძლავრობს ბოროტება.

ბოროტება, სატანა, ზნედაცემული ანგელოზი, ბოროტების მთესველი და გამავრცელებელი გველი ღვთის ანგელოზებსა და ადამიანის სულიერ არსს ყველგან და ყველაფერში მახეებს უგებს. მასში სხვადასხვა მიზეზით ებმებიან ანგელოზები და ადამიანები და მათ, ყველგან და ყველაფერში, ელოდება უამრავი ფორმის, ზომისა თუ არსის განსაცდელი, ცდუნება, მახე, რომლებშიც ისინი ებმებიან.

ასე გრძელდებოდა საუკუნეების განმავლობაში, სანამ უზენაესი, მაორგანიზებელი და ყოვლისმომცველი ძალა - ღმერთი არ გადაიღალა და არ გადაწყვიტა მისი უპირველესი ქმნილების -ადამიანის დასჯა. წარღვნა მოავლინა. უფალს ამით სატანა, მისი არსი უნდა მოესპო – ადამიანში ბოროტების, გარყვნილების, უზნეობის მრავალფეროვნებაში განსხეულებული და განფენილი.

მხოლოდ ნოეს შეენარჩუნებინა ღვთისმოშიშობა და ღვთისნიერება. სატანას მხოლოდ მასში ვერ დაეჩაგრა, დაეთრგუნა, დაემონებინა უკვდავი სული. უფალმა მასვე დაავალა კიდობნის აგება და თავის ცოლშვილთან ერთად უზენაესისავე შექმნილ ცოცხალ არსებათა დაწყვილება და გადარჩენა. უზენაესმა წარღვნით წალეკა და მოაშთო ცოდვისა და გარყვნილების ბუდედ ქცეული დედამიწა და მასზე სახლული სულიერი არსებანი...

ბოლოს ისევ ღმერთს შეეცოდა ადამიანები. ინანა ნამოქმედარი - კვლავ გაჰყარა წყალი და ხმელეთი, კვლავ დააჯილდოვა დედამიწა ნაყოფიერების, ხოლო ცხოველები და ადამიანები გამრავლების უნარით. ნოეს აღუთქვა, რომ წარღვნას აღარ მოავლენდა, ნიშნად და პირობად კი ცისარტყელა დაუდო.

ნოეს შთამომავლობა კვლავ მომრავლდა, ისევ განსახლდა დედამიწაზე. საუბედუროდ და დასანანად უფალმა ბოროტება-სატანა-ზნედაცემული ანგელოზი ვერ განაშორა ადამიანს, რადგან ბოროტი სულის ნავსაყუდელი კვლავ ადამიანის სხეული დარჩა.

ბოროტებამ, პირველივე შესაძლებლობა ჰპოვა თუ არა, მაშინვე გამოავლინა თავისი არსი. რაც გამოიხატა კიდეც ნოეს ერთერთი შვილის ქცევაში, როცა ღვინისგან გამოწვეული სიმთვრალით ჩაძინებულ ნოეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხეული მოეშიშვლა, მამას დასცინა, მაშინ როცა დანარჩენმა ორმა შვილმა შიშველ მამას ზეწარი დააფარეს.

განრისხებულმა ნოემ დასაჯა უზნეო შვილი - ის და მისი შთამომავლობა დანარჩენ ორ, ღვთის მადლით დაჯილდოვებულ შვილებს და მათ შთამომავლობას დაუმორჩილა და დაუქვემდებარა. ამან, თავის მხვრივ, ბოროტებას ახალი გასაქანი და მოტივაცია მისცა. ამას მოჰყვა ადამიანთა ურთიერთჩაგვრის, დამონების და სხვა სოდომ-გომორული ცოდვების კასკადი.

მრავალი საუკუნე ასე გრძელდებოდა...

ღმერთს კვლავ შეეცოდა ადამიანი. ცოდვების აღიარების, მონანიებისა და მისგან განწმენდის და შენდობის შესაძლებლობა უბოძა!.. ამისთვის თავისი განკაცებული ძე - იესო ქრისტე მოავლინა დედამიწაზე. იესომ იტვირთვა მისი ცოდვები. ადამიანებს ცოდვების აღიარების, მონანიების, შენდობის, უკვდავი სულის განწმენდის და სასუფეველში დამკვიდრების გზა და შესაძლებლობა უქადაგა, ასწავლა. იესო ადამიანების ცოდვებს თავისთავზე იღებს, ეწამება და ჯვარს ეცმება. მკვდრეთით აღდგომის შემდეგ ჯოჯოხეთში ჩადის, ადამიანების სულები ამოჰყავს და შეწყალებას, შენდობას აძლევს. ამაღლების შემდეგ კი კვლავ მის მეოხად, იმედად და სასოებად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ მათვე გასწირეს.

ქრისტემ ადამიანებს ცოდვების აღიარების და მონანიების უფლება და ნება მისცა. სანიშნოდ დაუდო მეორედ მოსვლის პირობა, ცოდვა-მადლის აწონვის, შენდობის, მადლიერთა და მადლიანთა სამუდამო სასუფეველში დამკვიდრების შესაძლებლობა.

ზნედაცემულმა ანგელოზმა, სატანამ, ბოროტებამ განკაცებულ ღვთის ძესაც კი მოუწყო გამოცდა. მასაც მოუვლინა სამი განსაცდელი, ცდუნება.

როცა, იესო უდაბნოში გავიდა და ორმოცი დღე იმარხულა, სწორედ მაშინ შეეცადა სატანა, ეცდუნებინა. ჯერ უკიდეგანო უწყლო და უსახსრო, ყოველგვარ საარსებო საშუალებას მოკლებულ უდაბნოში აუტანელი შიმშილით და წყურვილით შეწუხებულს ქვიშა-ქვის პურად ქცევა შესთავაზა, რათა შიმშილისა და წყურვილის გრძნობა და მოთხოვნილება მოეკლა.

ქრისტემ ბრძანა - მარტო პურით არ საზრდოობს ადამიანიო და ცდუნებას სძლია... უკვდავმა სულმა სძლია ბოროტებას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე გამოცდა მოუწყო სატანამ - აიყვანა ქრისტე უზარმაზარ გოდოლზე და იქიდან გადმოხტომა შესთავაზა, ის ხომ ძე ღვთისაა, უზენაესი არ დაუშვებს მისი საყვარელი ძის განწირვას, ღვთის ანგელოზები აიტაცებენ და ცათა სასუფეველში აამაღლებენო მას. ქრისტეს უკვდავმა სულმა ამ ცდუნებასაც გაუძლო, - არ ეგებისო მამა ღმერთის გამოცდა, - ბრძანა იესომ.

მესამე ცდუნება იყო ყველაზე მზაკვრული, საცდურისა და ცბიერების ზენიტი. სატანამ ქრისტეს ხელისგულზე გადაუშალა მთელი სამყარო და შესთავაზა:- თუ იესო ქრისტე აღიარებს სატანას და მამა-ღმერთს განუდგება, მას მთელ სამყაროს დაუმორჩილებს, სამყაროს მბრძანებლობას უბოძებს. აქაც ქრისტეს უკვდავმა სულმა და ღვთისადმი უანგარო და უსაზღვრო რწმენამ იმძლავრა, არ დაემონა ეშმაკს, არ დათმო უფალი და თავისუფლება.

ამით იესო ქრისტემ უკვდავი სული არ წაიწყმიდა, ბოლომდე უერთგულა მამა-ღმერთს. უდიდესი მადლი და ღვთისნიერება მოისხა. ჩვენც, მომაკვდავ ადამიანებს, უზენაესი რჩევა-დარიგება, მაგალითი მოგვცა: ადამიანის უკვდავი სული ბოროტების წყაროს - სხეულს და მის მოთხოვნილებებს არ უნდა დაემონოს, შეინარჩუნოს სულიერი სიმტკიცე, თავისუფლება, რითაც, გარდაცვალების შემდეგ, ტყვეობიდან დახსნილი უკვდავი სული სამოთხეში, მარადიულ სასუფეველში დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს.

ბოროტებას ადამიანი ემონება თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად განხორციელებული ქმედებებით, უფალი კი მას სჯის საკუთარი თავის და სხვის მიმართ მის მიერ ჩადენილი ბოროტებისთვის.

ადამიანი ცდუნებას არ უნდა აჰყვეს, არ უნდა შეცდეს. ყველა ღონე და საშუალება უნდა გამოიყენოს, რომ გაუძლოს ნებისმიერ გამოცდასა და ცდუნებას. ეშმაკი სცდის, აჰყვება თუ არა მას ადამიანი. ეს მისი გადასაწყვეტია...

ბოროტი, ბოროტება იძლევა კეთილით, სიკეთით!..

ადამიანის უკვდავი სული მისივე სხეულის მონობაშია. ყოფითი პრობლემები, მოთხოვნილებები და საჭიროებები თრგუნავს და ბოჭავს ადამიანის უკვდავ სულს. ყველაზე მძლავრი ყოფითი ცდუნებებია შიმშილის, წყურვილის და სიცივის გრძნობა.

„პური ჩვენი არსობისას“ მოპოვება და ყოფითი მოთხოვნილებებისა თუ საჭიროებების დაკმაყოფილება შესაძლებელია როგორც პატიოსანი, ასევე უპატიოსნო გზით.

სადღეისოდ ბოროტების ენერგეტიკის სიმბოლოდ იქცა ფულის შოვნის მოთხოვნილება, რათა მისი მეშვეობით ადამიანმა შეიქმნას უკეთესი ყოფითი პირობები და დაიკმაყოფილოს ყოველდღიური მოთხოვნილებები.

ფულის შოვნის, ესე იგი უკეთესი ყოფის შექმნის გასაღების, შოვნა-მოპოვების სხვადასხვა გზები არსებობს. ამაზე ბევრს არ შევჩერდები, რამეთუ ყველა ნორმალური ადამიანისთვის ეს გზები მეტნაკლებად ცნობილია!.. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ არის ფულის შოვნის სამართლიანი, კეთილი გზა და უსამართლო, ბოროტი გზა...

მადლიანი, ღვთისნიერი ადამიანები თავის კეთილდღეობას სხვისთვის ბოროტების ჩადენის ხარჯზე არ ქმნიან. საბოლოო ჯამში, ისინი კოსმოსში დადებით ენერგეტიკას ქმნიან, ბოროტი, ცოდვილი ადამიანები - უარყოფით ენერგეტიკას.

კეთილმა (მადლის, სიკეთის თესვამ) კოსმიურმა ენერგეტიკამ უნდა სძლიოს შავ, ბოროტ ენერგეტიკას. მხოლოდ მაშინ გადარჩება სამყარო და, შესაბამისად, ადამიანის მოდგმა!..

ადამიანის ნამუსი და ზნეობაა მასში ჩადებული ღვთაებრივი მადლის წყარო. გნებავთ, პატარა ღმერთია ადამიანში!..

ასე რომ, ადამიანო, შენზეა დამოკიდებული, რომელ გზას და ენერგეტიკას აირჩევ!..

მერე?! - მკითხავს ზოგიერთი ჭირვეული, „ურწმუნო თომა“...

მერე!.. ისღა დამრჩენია, კიდევ ერთხელ გთხოვო, უფრო სწორედ შეგავედრო: - შე დალოცვილო! რახან ღმერთმა შეგქმნა - გაგაჩინა მის დარად და სახიერად, როგორც ყველაზე აღმატებული და ორგანიზებული არსება, მოგმადლა თავისუფალი ნება და არჩევანის უფლება, მართალია, თავად ეცდუნე ეშმაკს და იხმიე ბოროტისა და კეთილის შეცნობის ნაყოფი - ედემის ვაშლი, კეთილი ინებე და გამოავლინე თავისუფალი ნება, აირჩიე სიკეთე და არა ბოროტება, ჯანსაღი ცხოვრების წესი და არა გაუკუღმართებულ-გარყვნილი, კეთილსინდისიერება და არა უნამუსობა-უწესობა, პატიოსანი ცხოვრება და არა ქურდობა, ყაჩაღობა და ძარცვა-გლეჯა, შრომისმოყვარეობა და არა მცონარობა, უსაქმურო-

ბა და პარაზიტული ცხოვრება, და ბოლოს: - ცხოვრების ქრისტესმიერი წესი და გზა და არა სატანისეული!..

სხვა რა შემიძლია!..

მე მხოლოდ ჩემი სათქმელი და გულისტკივილი გითხარი!..

შენი გასაკეთებელი არჩევანი, გზები და შესაძლებლობები, კიდევ ერთხელ, შეძლებისდაგვარად, შეგახსენე საფიქრად და განსასჯელად!..

გვფარავდეს უფალი!

ბათუმი
2021 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ანდერძის ექო

წინათქმის მაგივრად

უზენაესი ზენაარსი სამყაროში ერთია! მხოლოდ მასთან მისასვლელი გზებია სხვადასხვა... როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყნიერებაზე!.. ასევე ერთიანი, უნიკალური და განუყოფელია ქართველი ერი!..

რელიგიური აღმსარებლობა და რწმენა სინდისის კატეგორიაა. ადამიანს უნდა ძალუძდეს საკუთარი სინდისის კარნახით იცხოვროს და იღვაწოს, მაგრამ არასდროს უნდა დაავიწყდეს ვისი "გორისაა"...

ჩვენს სამშობლოს და ერს ოდითგანვე აურაცხელი მტერი, მოშურნე და არეკეთილმოსურნე ჰყოლია!..როგორც შორეული, ასევე ახლობელი. სამწუხაროდ და საუბედუროდ, თავისი რიგებიდანაც კი...

ჩვეენს დასამორჩილებლად და „მოსარჯულებლად" რა ხერხს არ მიმართავდნენ: ცეცხლსა და მახვილს, შანთსა და სადგისს, „მათრახსა და თაფლაკვერს", მაამებლურ შეპირებებსა თუ „სემირამიდას კიდული ბაღების" ხიბლს, და, ვინ მოსთვლის, კიდევ რას...მაგრამ, საუბედუროდ, ყოველთვის იცოდნენ ჩვენი პატივმოყვარეობის, ბედოვლათობის, ინდივიდუალისტობისა და განდიდების, ქვეცქერისა და პირველობის დაჩემების და, ვინ იცის, კიდევ რომელი მანკიერების შესახებ და სულ ყოველთვის მიმართავდნენ „ციხის შიგნიდან გატეხვის" პოლიტიკას. ვაი, რომ ხშირად საწადელსაც აღწევდნენ...

ახლაც, თითქოსდა, ძნელი დრო გვიდგას. ჭორითა და ორპირობით, გამრუდებული და ძირგამომთხრელი, იაფფასიანი ფასეულებობითა და შემპარავი პროპაგანდა-აგიტაციით თავს გვახვევენ ფსევდორელიგიურ თუ ფსევდოდასავლურ ღირებულებებს, რისი საბოლოო მიზანია: გაგვთიშონ, ერთმანეთს გადაგვამტერონ, ნდობა და სიყვარული დაგვაკარგვინონ, ჩვენი სახელმწიფოებრიობა დაასუსტონ და ქვეყანა საერთოდ მოშალონ... ხელში ჩაიგდონ წარმტაცი და ჯანსაღი საკურორტო ზონები, ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრეები და სასარგებლო წიაღსეული, ეკოლოგიურად სუფთა და უხვმოსავლიანი ძირძველი ქართული მიწები, ევროპა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზიის სატრანზიტო კორიდორი და გზაგასაყარი, საბოლოოდ დაასამარონ ერთიანი და ძლიერი ქართული სახელმწიფოებრიობის იდეაც კი. თვითონ სურთ ჩვენი გმირი წინაპრებისა და თანამედროვეების სისხლითა და ოფლით გაჯერებულ და გაპოხილ მიწა-წყალზე და ნამოსახლარებზე იცხოვრონ, იბატონონ და იჯეჯილონ...

ამისი ნიშნები, კერძოდ, ანტიქართულ, ანტისახელმწიფოებრივ ქმედებათა ელემენტები უკვე იგრძნობა როგორც მორალის, ასევე აღმსარებლობის და სხვა მრავალი ფუნდამენტური ქართული ღირებულებების დაკნინება-დევალვაციის გზით, რასაც, საუბედუროდ, შეუგნებლად თუ გამიზნულად ზოგიერთი უმწიფარი და შეუგნებელი, ბედოვლათი ქართველიც უწყობს ხელს...

წინამდებარე მოთხრობაც ამ სატკივარის გამოძახილია, ერთ-ერთი სახიფათო ტენდენციის წინააღმდეგ გალაშქრების მცდელობა!..

***

... სურვილი ოცნებად მექცა. ვერ იქნა და ვერ მოვახერხე ნათლისღების ღამეს, წყალკურთხევის წმინდა საიდუმლოს გაცხადებას შავი ზღვის სანაპიროზე, ბათუმის ბულვარის მიმდებარე ტერიტორიაზე, დავსწრებოდი.

ბათუმ-ლაზეთის მიტროპოლიტი დიმიტრი, მღვდელმსახურებთან და უამრავ მრევლთან ერთად, ზღვის კურთხევის ცერემონიალს ატარებს და ისინი ზღვის წყალში შთაიფლებიან...

ზღვისკურთხევის რიტუალზე დასწრება, რომ ვერ შევძელი, ამიტომ დილაუთენია, ცისკრის ლოცვის შემდეგ, გადავწყვიტე ზღვაზე გასვლა და საიდუმლო კურთხევას ნაზიარევი ზღვის ხილვა. ცოტა ხნით განმარტოებით ყოფნაც მინდოდა...

მართლაც, ზღვისპირა პარკის მთავარი შესასვლელიდან მოყოლებული, მთელი სივრცე დაცარიელებული დამხვდა. სიჩუმეს დროდადრო რუსთაველის გამზირზე ტრანსპორტის გაშლიგინება არღვევდა.

არსად მეჩქარება. ჩემთვის მივუყვები ხეივანს. თვალს ახარებს ხასხასაბალახიანი გაზონები, ზღაპრული პალმები, თვალწარმტაცი, კეკლუცა მაგნოლიები და დეკორატრიული კლუმბების ჯადოსნური ყვავილნარი. მიადვილდება სუნთქვა. თავს ლაღად ვგრძნობ. ზღვაზე გავედი.ზღვის საოცარი ლურჯი მოლივლივე სარკე, სუფთა, მარილიანი ჰაერი უსაშვე-

ლოდ, ძალუმად მეღვრება ფილტვებში. თავს მსუბუქად და საოცრად ლაღად ვგრძნობ. რა ლამაზი და ზღაპრულია კამკამა და ნაზად მოდგაფუნე ტალღები... ამ ზღაპრულ გარემოს და საოცარ შეგრძნებას ისიც ამძაფრებს, რომ წყალი ნაკურთხია, წმინდაა.

მზის პირველ, თვალისმომჭრელ სხივებსა და კამკამა წყალს დავუჩოქე, უფალს მადლიერებით აღსავსე ლოცვა შევღაღადე და პირჯვარი გადავისახე, პეშვით ნაკურთხი წყალი შუბლსა და ღაწვებზე ვისხურე. საოცრებაა ღმერთთან და მშობლიურ გარემოსთან ერთსულ-ერთხორცობა და მის წიაღში მშობლიურობის მათრობელა შეგრძნება და იმის შეგნება, რომ ეს ყველაფერი შენია, ღირსეული, მამა-პაპათა ოფლითა და სისხლით მორწყული, რომ ყოველივე ამის ორგანული, თავისთავადი ნაწილი ხარ!..

მოზღვავებული გრძნობებითა და მოჯარებული ფიქრებით დახუნძლული და გათანგული ნამდვილ განცხრომას განვიცდი. სიამაყითა და პასუხისმგებლობით კიდევ ერთხელ განვიმსჭვალე ყოველისადმი. მიხარია!.. ბოლოს მუხლებმა შემახსენა ასაკი და ტენიანი გარემოს მკვიდრშვილობა. ბილიკზე გამოვედი. ფიჭვნარში, დიდი პალმების ჩრდილში მოხერხებულად ჩადგმული ძელსკამისკენ ნელი ნაბიჯით გავწიე. გარშემო ადამიანის ჭაჭანება არაა. მომწონს. არავინ შემიშლის ხელს, ჩემთვის ვიფიქრო და ვიოცნებო. ვისეირნო...

ძელსკამზე მოხერხებულად მოვეწყვე, საზურგეს ხალვათად მივწექი და ნასიამოვნებმა ღრმად ჩავისუნთქე, თვალებიც მივნაბე და გავირინდე. ნეტარი განცხრომიდან ტოტის შეტეხვით გამოწვეულმა ჩქამმა გამოიყვანა. არე-მარე მოვათვალიერე. უჩვეულო ჩქამის მიზეზი ფიჭვზე მარდად მოსხტუნავე ციყვი აღმოჩნდა. ისევ უნდა დავბრუნებოდი განცხრომას, რომ თვალი ერთი ძელსკამისკენ გამექცა, რომელზედაც მამაკაცის ლაბადა შევნიშნე. ალბათ, უბრალო, ადამიანურმა ცნობისმოყვარეობამ მძლია. მომინდა მისი პატრონის მოძებნა. მოვათვალიერე, მაგრამ პატრონი ვერ დავინახე. ბოლოს ისევ ციყვმა მიმანიშნა, დამფრთხალი ისარივით კენწეროსკენ აიჭრა. ციყვს ავაყოლე თვალი. კენწეროები მოვათვალიერე. მეამა. რა სილამაზეა! შეუდარებელი! ბოლოს ფიჭვს კენწეროდან თვალი დავაყოლე და მეზობელი ხის ძირას მიწოლილი ახალგაზრდა კაცი შევნიშნე. ოცი-ოცდაორი წლის თუ იქნებოდა. წაბლისფერკულულებიანი თავი ხეზე მიედო, ხელები მკერდთან გადაეჭდო და განაბული, სევდიანი თვალებით შორეთს გასცქეროდა. ნაცნობი სიუჟეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომაგონდა ფილმიდან „ნატვრის ხე", მინის ნატეხის "დურბინდით" შეიარაღებული ელიოზი, რომ ცას მისჩერებია ცის გახსნის მოლოდინში, იმის მზადყოფნაში, რომ მოასწროს ნატვრის ჩათქმა.

ჩემი „ელიოზა" კი არც ჭარმაგი იყო, არც შეძონძილ ტანსაცმელში გამოხვეული და არც ფანატიკურად განწყობილი, არც ფუჭი მეოცნებე და, ალბათ, არც სასწაულების მოლოდინით გაბანგული. მოხდენილად, გემოვნებით გამოწყობილი, მოვლილ-დავარცხნილი, დარდიან-სევდიანი ყმაწვილი კაცი... მისმა უცნაურმა ქცევამ და ჩემმა ჟინიანმა ცნობისმოყვარეობამ ჩემში დაუძლეველი სურვილი აღძრა - გავცნობოდი მას.

„არამკითხე მოამბეო, მიტყეპეს და მიაგდესო" გამეგონა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ და ახალგაზრდა კაცის არაბუნებრივმა დასევდიანებამ, ჩემს ზრდილობასა და დარბაისლობას სძლია და...

მივუახლოვდი. ყურადღების მიქცევის მიზნით, ალბათ, ხმამაღლა ჩავახველე და მის რეაქციას დაველოდე. ახალგაზრდა ოდნავ შეცბა. ბურანიდან თავის დახსნას ლამობდა, ერთი შემომხედა და ისევ ჩაჰკიდა თავი. არ ელოდა ჩემს გამოჩენას. ალბათ, ისიც ჩემსავით ფიქრობდა, ამ სისხამ დილით, შუა ზამთარში ბულვარში მარტო ის ერთია...

ბურანიდან მალე გამოერკვა, ამომხედა. თაფლისფერი, დამფრთხალი თვალები შემომაფეთა, მაგრამ მალევე თავი ხელში აიყვანა და მოჩვენებითი გულგრილობით, ოდნავ გასაგონად სალამი ჩამომართვა. მიუხედავად გულზე მოწოლილი სევდა-კაეშნისა, ბიჭის მკვირცხლი და ცოცხალი გამომეტყველება მის მხიარულ ზნე-ხასიათსა და სიცოცხლის უსაზღვრო სწრაფვასა და სიყვარულზე მეტყველებდა. გული დამწყდა: ასაკისათვის შეუფერებელი უსაზღვრო დარდი, კაეშანი და ნაღველი რომ ამოვიკითხე მის გამოხედვაში.

ბუნებით ქომაგსა და კაცთმოყვარეს, ბიჭისამდი ცნობისმოყვარეობისა და თანადგომის სურვილი გადაულახავ გრძნობად აღმეძრა. ტვინს მიბურღავდა აზრი: ასეთი რა დარდი და კაეშანი აწუხებს სიცოცხლით სავსე ახალგაზრდას, რომ უთენია, თბილი ლოგინიდან წამოაგდო, ზღვის სანაპიროზე გამოიყვანა და პარკში, ნესტიან მიწაზე, ფიჭვის ძირას მიაგდო დაოსებული და... იქნებ სულაც არ უძინია, თვალიც არ მოუხუჭავს, ღამე თეთრად ტეხა და გულის გადასაყოლებლად და ფიქრთა და დარდთა გასაქარვებლად უთენია განმარტოება ისურვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივუახლოვდი. შევჩერდი. მივუბრუნდი. უხერხულობის გრძნობას ვძლიე და თითქოს ჩემთვის სულმნათი ტატოს უკვდავი სიტყვები ჩავიღიღინე:

” წარვედ წყალის პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად,
აქ ვეძიებდი ნაცნობ ადგილს განსასვენებლად;
აქ ლბილ მდელოზედ სანუგეშოდ ვინამე ცრემლით,
აქაც ყოველის არე-მარე იყო მოწყენით.”

უცნობი ცოტა შეცბა, გაიკვირვა. ცნობისმოყვარე თვალები შემომაფეთა. დაძაბული სახე კი ერთმნიშვნელოვნად მეტყველებდა: ეს არამკითხე გიჟ-პოეტა მაკლდა ახლაო. მიხვედრამ გამახალისა და ჩამეცინა. ბიჭი კვლავ მოიღრუბლა და ახლა მისი სახის გამომეტყველება და მიმიკა მიმანიშნებდა: „ერთი შენ მაკლდი, ბიძიკო, შენს გზას დაადექ, გაიარე, შენს საქმეს მიხედეო”. ისევ თავის დარდს მისცა თავი.

უადგილო წამღერება და არამკითხაობის სიწუწკე არც მე მომწონდა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ და ბიჭის კერკეტა უკონტაქტობამ იმდენად აზარტი მომიზღვავა, რომ საღ აზრს აღარ დაგიდევდით და ვკითხე:

- უკაცრავად. უნდა გამოგიტყდეთ. მეზობელ ძელსკამზე ვიჯექი, ნესტიან მიწაზე, ფიჭვის ძირას მიყუჟული რომ გნახე, აზრმა არ მომასვენა-დიდ სევდა-კაეშანსა და დარდს დაუპყრია ახალგაზრდის გრძნობა-გონება, მეთქი. რატომღაც მეჩვენა, რომ ახალგაზრდა კაცს, მარტოს, გიმძიმს ამხელა ტვირთის ზიდვა და გავბედე მოსვლა: ეგებ, მენდოს, გამიზიაროს სევდა-ვარამის მიზეზი, რამეში შეიძლება მეც გამოვადგე ან რაიმე რჩევა მივცე, მეთქი?

ახალგაზრდამ ცოტა გაიკვირვა, დაუჯერებლობის გრძნობით გაჯერებული თვალები მომაპყრო და კითხვაზე კითხვითვე მიპასუხა:

- უკაცრავად, თქვენ პროფესიით ვინ ბრძანდებით?

- მე?! მე პროფესიით მეთაური ვარ, დიპლომით - იურისტი, მოწოდებით კი პედაგოგი, - მისი დაინტრრიგება და საუბარში ჩათრევა მინდოდა, ამიტომაც გოროზად და „მაღალფარდოვნად” მოვუქციე...

- ეს როგორ გავიგოთ?

- მე თადარიგის ოფიცერი ვარ, ისე კი უმაღლეს სასწავლებლებში პედაგოგიურ საქმიანობას ვეწევოდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- მე კი რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მეორე კურსზე ვსწავლობ, რატომღაც არ მინახიხართ, ვერ გიხსენებთ!

- მართალია. ვერ გამიხსენებთ. მე იქ დიდი ხანია აღარ ვასწავლი, მაგრამ კარგად ვიცნობ კოლექტივს და იქ არსებულ ვითარებას.

- ახლა აღარ მუშაობთ? სად მოღვაწეობთ?

- ათი წლის წინათ, საქართველოს მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა, რატომღაც გადაწყვიტა, რომ სამხედრო-პატრიოტული აღზრდა და სამხედრო დისციპლინების სწავლება საშუალო და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში საჭირო აღარაააო და სამხედრო დისციპლინების სწავლება ყველა დონის სასწავლო დაწესებულებებში გააუქმა. შესაბამისად, ბათუმის უნივერსიტეტშიც გაუქმდა სამხედრო კათედრა და დავრჩით სამხედრო პედეაგოგები უმუშევრები. ესეც აღარ იკმარა და კადეტთა კორპუსი და შეიარაღებული ძალების სამხედრო აკადემიაც დახურა.

- კი მაგრამ, ეს მართლა დასაშვები და შესაძლებელი იყო?

- იმჟამინდელ გამოუცდელ ხელისუფალთათვის, რა თქმა უნდა...

- მართალი ბრძანდებით. არაპროფესიონალიზმი და გამოუცდელობა ცუდი ამხანაგია.

- შენ რომელ პროფესიას ეუფლები? - ვცდილობ მის საუბარში ჩათრევას.

- მე იურისტ-სამართალმცოდნე ვიქნები...

- მომწონს შენი არჩევანი. მეც ასევე იურისტი ვარ. კოლეგები ვიქნებით. ამ მიმართულებით დამოუკიდებელ უნივერსიტეტში ვკითხულობდი ლექციებს...

- ამჟამად იქაც აღარ მუაობთ?

- აღარ. ახლა საზოგადოებრივი დატვირთვა მაქვს. საზოგადოება „მარეთის" თავმჯდომარე ვარ. გამოგიტყდები, იურისპრუდენცია და იურისტის სპეციალობა საკმაოდ რთული და პასუხსაგებია, რამ გაგაბედვინა ეს არჩევანი?

- ჯერ ერთი, მამაჩემიც იურისტია, მეორეც, ვთვლი, რომ ჩემი პროფესიის კაცი უფრო მეტ სიკეთეს მოუტანს საზოგადოებას სიმართლისა და სამართლიანობის დამკვიდრების საქმეში.

- სრულად გეთანხმები და სოლიდარობას გიცხადებ. მაგრამ, როგორც ვგრძნობ, ამჟამად უსამართლობამ ასე უთენია, გამოგაგდო ზღ-

ვაზე, - ვთქვი და გამომცდელი, მაგრამ მიამიტი ღიმილი გავიკარ ბაგეზე.

- მართალი ბრძანდებით!

- ოო! ეს სერიოზული განაცხადია... მეც შევეცადე მეხუმრა და მივხვდი: საქმე უიღბლო ან გაუმხელელ, ცალხმვრივ სიყვარულთან გვაქვს. ახლა, როგორმე უნდა წამექეზებინა, რომ გულახდილი საუბარი შემდგარიყო.

- გამიჯნურობა, ეს კარგია. საამოა სიყვარულის ფრთებით ოცნების კოშკებზე ფრენა...

არ ვიცი რატომ, მაგრამ ჩემი თანამოსაუბრის ეს მწირი ნაძალადევი იუმორი ამით დამთავრდა. მან ისევ სერიოზული სახე მიიღო, ზურგი მაქცია და უიმედოდ ხელი ჩაიქნია, რითაც მანიშნა, რომ ჩემთან საუბრის გაგრძელება აღარ სურდა. საქმის ასე შემობრუნებას არ ველოდი, ცოტა დავიბენი, მაგრამ უკან დახევას აღარ ვაპირებდი, საერთოდ არ მჩვევია ასე იოლად დანებება, ან ჩემი ცნობისმოყვარეობის დაუკმაყოფილებლობა, ეს, ალბათ, ჩემი პროფესიის ბრალიცაა, ამიტომ უხერხულობის გრძნობას ვძლიე და ისევ ვკითხე:

- რა მოხდა, ასე რამ დაგზაფრა, უნებლიეთ ხომ არაფერი გაწყენინე?

- თქვენ არაფერ შუაში ხართ. მეუხერხულება და მიმძიმს პირად პრობლემაზე უცნობ ადამიანთან საუბარი...

- მერე, შე კაცო! ხელს რა გვიშლის, გავეცნოთ ერთმანეთს. ხომ გაგიგონია: „კაცი კაცითაო, ღობე სარითაო". ჩემი არ გესწავლება, მაგრამ კი გსმენია: ადამიანი შიშველი იბადება. შემდეგ იძენს ცოდნა-გამოცდილებას, ნაცნობებს, ამხანაგებს, მეგობრებს...

უკაცრავად, რა გქვია, სადაური ბრძანდები?

- მე დათო მქვია. შუახაველი ვარ. მართალი თქვით: ადამიანს დედის მუცლიდან არაფერი დაჰყოლია, კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა!

- კეთილი. მეც შუახეველი ვარ, ერთი რაიონიდან ვყოფილვართ. ჩემს შესახებ ბევრი რამ გითხარი, შენ კი არ მეუბნები, რამ გამოგაგდო უთენია ზღვაზე?

- კარგი. თუ გაცნობა გსურთ, ყაბულს ვარ. გეტყობათ, გამოცდილი და პატიოსანი კაცი ბრძანდებით. შეძლებთ, გამიგოთ, ეგებ, რჩევა-დარიგებაც მომცეთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ჩემო დათო! ასაკით თუ ვიმსჯელებთ, ვატყობ, შენზე უფროსი შვილები უნდა მყავდეს. კარგად ვიცნობ ახალგაზრდა კაცის ბუნებას და მისი გრძნობა-გონების მოძრაობას. ასე, რომ დიდი ილიასი არ იყოს:

„გულს გული იცნობს და ღონეს-ღონე,
მენდე, გაგიყო ჭირი და ლხენა.”

დათოს ჩაეცინა. პოეზია გყვარებიათო, თავისთვის დაასკვნა. მე კი ვიგრძენ: გაუცხოებისა და უნდობლობის ყინულმა დნობა იწყო. საჭირო იყო მიღწეულის შენარჩუნება. ამიტომ ისევ ლირიკას მივმართე:

- ჩემო დათო! ახლა ბულვარში მარტო მე და შენ ვართ, დიდი ილიას უკვდავი პოემის გმირებივით მარტონი ვართ ბათუმის „კუდი-გორის ტყეში”, ამიტომ ისევ ლექსად გეტყვი:

„ - ხოშ-გელდი ძმაო!.. მე ვარ მდიდარი,
ამ ტყეში მარტო მე მაქვს მეფობა;
გაშლილი არის ჩემი სახლ-კარი,
და ვერას მაკლებს აქამდინ მტრობა.”

სტროფი გამოთქმით წავიკითხე. ჩემი ემოცია დათოსაც გადაედო და გახალისდა. ახლაც ჩემს პროფესიულ ალღოს ვენდე და მეგობრულად დავკარ მხარზე ხელი. დათო მენდო. მომიშინაურდა. საუბრის ხასიათზე განეწყო. ადგა. ტანისამოსი შეისწორა, ჩამოიბერტყა. ხვეული, წაბლისფერი კულულები შეისწორა, თითებით შეივარცხნა. ცოტა ვაცალე. აუცილებელი იყო, დათო ჩემს კომპანიონობას ბოლომდე შეგუებოდა და კომფორტულად ეგრძნო თავი. ხელკავი გავუკეთე, ძელსკამზე ჩამოჯდომა შევთავაზე.

- ერთი ხეობიდან ვყოფილვართ! ახლა კი ნამდვილად უცნობად და უცხოდ აღარ აღგიქვამთ... სიმართლე გითხრათ, თავიდან გავღიზიანდი, რა არამკითხე ამეკიდა, მეთქი. ზრდილობას რა ვუყო, თორემ მინდოდა უხეშად მოგქცევოდით, - ვინ ეკითხება ჩემს საქმეს თუ განცდებს, მეთქი... - ეტყობოდა ცოტა ეამაყებოდა კიდეც, რომ მოთმინებისა და ზრდილობის წყალობით ახლა საბოდიშო არაფერი ჰქონდა.

ცოტა შემეშინდა, მთავარი სათქმელი ვაი თუ ვერ ვათქმევინო, ისევ ფიქრმა და დარდმა არ დარიოს ხელი, ისევ საკუთარ თავში არ ჩაიკეტოს, მეთქი და ვისარგებლე ხელსაყრელი მომენტით, პირდაპირ ვკითხე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ჩემო დათო, წეღან მიჯნურობაზე რომ ჩამოგიგდე საუბარი, რატომღაც დანაღვლიანდი, ვატყობ, კაეშანი და დარდი არ გასვენებს, ხომ არ სჯობს, გამენდო, იქნებ, რამეში მოგეხმარო, რჩევას მაინც მოგცემ რასმეს...

დათოს ძლივს გამოკეთებული განწყობა ისევ წაუხდა, მოიღუშა. ანერვიულდა, ძელსკამზე აწრიალდა. ვაცალე, ასეთ სიტუაციაში ერთ უადგილო სიტყვასაც შეუძლია ყველაფერი გააფუჭოს. მით უმეტეს, ვგრძნობდი, უკვე მენდობოდა. გულის ნადებს მიმხელდა.

დუმილი. ზედიზედ მოქაჩული სიგარეტის ნამწვავები სანაგვე ყუთის ცხაურზე ისევ ბოლავს... დათო წუხს, წრიალებს. ბოლოს ადგა. წინ და უკან ბოლთის ცემას მოჰყვა. როგორც იქნა, დამშვიდდა, დაწყნარდა. ისევ ჩემს გვერდით ძელსკამზე დაჯდა. თითები აწვალა, ატკაცუნა. ხუჭუჭა თმაც აწვალა... უცებ მარჯვენა მომუშტა, წინ გაიშვირა, ვიღაცას დაემუქრა,- მჯიღი მოუღერა, ვაჰმე, დედასაო. სახის ნაკვთები დაეჭიმა, საფეთქლებზე სისხლმოზღვავებული ძარღვები აებურცა. თვალები სევდისა და დარდის, ბოღმისა და ზიზღის, სიძულვილისა და, ამავდროულად, შემართების ნაპერწკლებით ააკვესა, კბილები ააღრჭიალა და სინანულით თავი გააქნია.

იმ მომენტში, დათო როგორ ჰგავდა ზურაბ გორგილაძის აჭარელს :

”... მთებს ტყეები ბალანივით,
აბურძგლოდა უბიდანა,
ღელე-ღურდანს დავეძებდი,
კანკალებდა ხელში დანა,
გამჩენელო, სხვა რა მექნა,
აჭარელი ვიყავ განა!..”

როგორც იქნა გადაწყვიტა, ეამბნა, „ამოშაქრა” დალოცვილმა:

- საქმე ძალიან დელიკატურია, თანაც პირადული. შემპირდით, საიდუმლოს შემინახავთ, არ მკითხოთ, რატომ, მაგრამ, როცა თხრობას დავასრულებ, თვითონვე მიხვდებით და განსჯით, - მეტი დამაჯერებლობისთვის ხელი გამომიწოდა, მეც ხელი გავუწოდე. ჯენტლმენური ჟესტით დავადასტურეთ განდობილი ურთიერთნდობა. ორივეს უნებლიეთ ჩაგვეცინა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

- გულს აღარ გაგიწყალებთ, გეტყვით ჩემს სადარდებელს და სატკივარს: როგორც უკვე გითხარით, დავიბადე და გავიზარდე შუახევის რაიონის ერთ-ერთ თვალწარმტაც სოფელში. მეგობრული ოჯახი გვაქვს. მამაჩემი ადრე შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა. ახლა პენსიონერია. დედა კი ჩვენი სოფლის სკოლაში პედაგოგია. მშობლები შვილებს პატარაობიდანვე პატიოსნებას, მადლის კეთებას, ერისა და სამშობლოს სიყვარულს გვასწავლიდნენ და გვინერგავდნენ. წარჩინებით დავამთავრე სკოლა. წარმატებით ჩავაბარე ჯერ საატესტატო, შემდეგ კი ეროვნული გამოცდები და გავხდი რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი. პირველი კურსის დამთავრების შემდეგ არდადეგებზე ავედი მშობლიურ სოფელში. ერთმა თანაკლასელმა დაბადების დღეზე მიმიწვია, რომელზეც მისი დეიდაშვილი ხათუნა გამაცნო. იგი მეზობელი რაიონიდანაა. მათი სოფელი ჩვენი სოფლის სამეზობლოა. წელს დაამთავრა საჯარო სკოლა. სწავლის გაგრძელებაზე არ უფიქრია, არც ოჯახური პირობები უწყობდა ხელს. პირველი დანახვისთანვე მოგვეწონა ერთმანეთი. მის მიმართ ჯერ მანამდე უცნობი სითბო და სინაზე, შემდეგ კი მწველი და საამო გრძნობა დამეუფლა. ან როგორ არ უნდა შეგყვარებოდა! - ქორფა, ტანკენარი, საშუალოზე მაღალი, საოცარად შეხამებული, პროპორციული სხეული და ნაკვთები... მრგვალი სახე, თეთრ-ყირმიზა, ოდნავ აბრაწული ფუმფულა ლოყები. მოკლე, სწორი, მოხდენილი ცხვირი. პატარა პირი. ალისფერი ტუჩები. მაყვალივით შავი წარბწამწამი, მოშვილდული. თაფლისფერი, დიდრონი, ბრიალა თვალები. წაბლისფერი თმა. ორი გრძელი ნაწნავი და დალალები. ისე მოხდენილად ელაგა მაღალ შუბლზე დატალღული კულულები, გამოცდილი დიზაინერის ნამუშევარი გეგონებოდა.

სულის სიღრმემდე ჩამწვდა ხათუნას მწველი, მომაჯადოებელი ღიმილი. ღმერთო! ასეთი მოხდენილი ქალი ჯერ არ მენახა. რომ იღიმებოდა, განსაკუთრებით შვენოდა პირის კუთხეებში წარმოქმნილი ჩაჭუპვნები. ეს განსაკუთრებულ ეშხსა და სიტურფეს ჰმატებდა... ხათუნას სილამაზემ და კდემამოსილებამ დამატყვევა, მომაჯადოვა. თავდავიწყებით შემიყვარდა. პირველი შეხედვისთანავე ჩემში იშვა ნამდვილი სიყვარული!..

მაშინ, ახლადაფეთქებულმა გრძნობამ და საგულედან ამოსავარდნად გამზადებულმა გულმა, გამბედაობა და მხნეობა წამართვა. გაცნობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი მოვახერხე, მაგრამ ჩემი გრძნობებისა რა მოგახსენოთ, ვერ გავბედე, გამემხილა...

მოგვიანებით თანაკლასელს, ხათუნას დეიდაშვილს, გავანდე ჩემი გრძნობები და გულისნადები. მანაც გამიგო, დალოცვილმა. ჩემი თხოვნით, რაღაც ოჯახურ ზეიმზე მოიწვია ჩემი გულის კოკობი და უძილოდ ნატეხი ღამეების მიზეზი! ხილვებში, საოცნებო არსებასთან ერთად, ნეტარი სიყვარულით რამდენჯერ დავმტკბარვარ... რამდენჯერ მიფრენია სიყვარულის ფრთებით ოცნების კოშკებზე, სადაც ჩემი გულისსწორისა და მიჯნურის ხატება მეგულებოდა. და აი, ნანატრი დღეც. კიბეზე თვით ქალღმერთი ამოდიოდა! ჩემი ერთადერთი ხილული ღვთაება და ანგელოზი! ეტყობა, თანაკლასელმა „ენას კბილი ვერ დააჭირა" და ხათუნას გაუმხილა ჩემი გრძნობები. ეს მაშინვე ვიგრძენი, როცა ხათუნამ მოსალმებისთანავე ლოყებაფაკლულმა დაიმორცხვა და თვალები ამარიდა... ბევრი, რომ არ გავაგრძელო, იმ საღამოსვე ვიხელთე დრო და გადავუშალე გული. ჩემი წრფელი და მარადიული სიყვარული შევავაედრე და სამუდამო ერთგულება აღვუთქვი. ვგრძნობდი: ხათუნამ მიიღო ჩემი გრძნობები. ჩემს აღსარებას გულგრილად არ შეხვედრია, მეტიც, ვატყობდი, ჩემი სიყვარულის ალმა მისი გულისა და სულის კუნჭულებსაც უწია...

მთელი ზაფხული სულ იმის ცდაში ვიყავი, როგორმე დამემარტოხელებინა ხათუნა და სულ სიყვარულზე მესაუბრა. მობილური ტელეფონი გახდა ჩემი მესაიდუმლეც, ფოსტალიონიცა და კალამ-უსტარიც. ბათუმში წამოსვლის წინ მშობლებს გავუმხილე გულის ნადები. შევუთანხმე ხათუნას და მშობლებს ვთხოვე, ტრადიციისამებრ, მაჭანკლების მიგზავნა და ნიშნობის გამართვა. მათ მოეწონათ ჩემი არჩევანი და ნიშნობის თადარიგის დაჭერას შეუდგნენ.

აჭარის მთიანეთში ეროვნულ ტრადიციებსა და ადათ-წესებს დღესაც განუხრელად იცავენ. დათქმულ დროს მამაჩემი და კიდევ ორი ნათესავი, მათ შორის ჩვენი თანასოფლელი, ხათუნას დეიდას მეუღლე, ესტუმრნენ საპატარძლოს ოჯახს. მე და ხათუნას ერთმანეთი გვიყვარდა. ამიტომ, ვიმსჯელეთ და დავასკვენით, რომ მაჭანკლებს-"ელჩიონს" რაიმე დაბრკოლება არ ელოდა. საქმის კეთილად დაგვირგვინებას განსაცდელი არ ემუქრებოდა.

თბილად დახვედრიან ხათუნას მშობლები. ტრადიციული, სარიტუალო სუფრაც გაშლილა. სტუმარ-მასპინძელი სადღეგრძელოებს შეჰყვ-

ნენ და მთავარი სათქმელიც ითქვა. ყველაფერი რომ ნათქვამი და შეჯერებული ეგონათ, სწორედ ამ დროს შემოსულა მომავალი სასიდედრო და, ვითომ სხვათაშორის, უკითხავს:

- ჩვენი სასიძო რომელი რელიგიური აღმსარებლობის მიმდევარიაო? -ეს შეკითხვა ყველას უადგილო და არაფრისმთქმელად მოჩვენებია.

მამაჩემს უთქვამს: - ჩემი შვილი, როგორც ყველა შეგნებული და თანამედროვე ახალგაზრდა, მართლმადიდებლად არის მონათლული და ქრისტეს რჯულს ეთაყვანება. რამდენიმე წლის წინათ, გამონათლევის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის კურთხევის დღეს, ჩემი ოჯახის ყველა წევრი ეზიარა მართლმადიდებლობის მადლს და შუბლგახსნილი და თავაწეული დაუბრუნდა მრავალტანჯული წინაპრების ჭეშმარიტ სარწმუნოებას - ქრისტიანობას!

სასიდედროსთვის მამის პასუხი მეხის გავარდნას ჰგავდა. ის ანთებულა და გაკაპასებულა:

- მე მუსლიმანი ვარ. ჩემი ოჯახის ყველა წევრი ამ სარწმუნოების მიმდევარია და არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებ, ჩემი ქალიშვილი ქრისტიანს გაჰყვეს ცოლად და, საერთოდ, ჩემმა რომელიმე ვაჟიშვილმა ქრისტიანი ქალიშვილი შემოიყვანოს ოჯახში.

ვერცერთმა არგუმენტმა და შეგონებამ გაალმასებულ და გაკაპასებულ ქალს აზრი ვერ შეაცვლევინა. ბოლოს ყველაფერი იმით დასრულებულა, რომ ქალი ისტერიულ კრუნჩხვებში ჩავარდნილა. სასიმამროს ხმაც არ ამოუღია, თურმე სახლში ქალი ყოფილა წარმმართველი და დომინანტი.

მამაჩემი და მისი მხლებლები შერცხვენილები, გაწბილებულები და პირში ჩალაგამოვლებულები დაბრუნებულან სოფელში. ორი თვე მამას დანა პირს არ უხსნიდა, თურმე, გაოგნებული და შეურაცყოფილი გმინავდა და გულზე მჯიღს იცემდა:

- ეს რა დღეს მოვესწარი!.. როდის იყო აჭარაში სარწმუნოება-აღმსარებლობის გამო გათხოვება-დაქორწინება არ შემდგარიყოსო.

ხათუნას დედა ამით არ დაშოშმინებულა, არ დამცხრალა. გაალმასებულს შვილის სიყვარული და გულისნადები არაფრად ჩაუგდია. მეტიც, გაულახავს კიდეც საცოდავი. მობილური ტელეფონიც წაურთმევია, ჯერ ქუსლით დაუმსხვრევია, შემდეგ კი ბუხარში შეუყრია. შვილისთვის კატეგორიულად მოუთხოვია ჩვენი სიყვარულის გულიდან ამოგდება, ხოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი, როგორც „ურჯულოს," დავიწყება უბრძანებია. ოჯახის წევრებიცა და ახლო ნათესავებიც გაუფრთხილებია, რომ ვინმეს არ გაებედა და ხათუნასთვის ჩემთან დაკავშირებასა ან შეხვედრაში ხელი შეეწყო. ხათუნას სახლიდან გასვლაც კი კატეგორიულად აუკრძალა. ყოველ ნაბიჯს უკონტროლებდა...

მე კი არშემდგარი სიყვარული, დაკოდილი გული და დამსხვრეული ოცნებები და იმედები შემრჩა... ბევრჯერ ვცადე, მაგრამ ვერ შევძელი ხათუნასთან დაკავშირება. ერთი პირობა მისი მოტაცება განვიზრახე, მაგრამ მშობლები წინააღმდეგ წავიდნენ. ჯერ ერთი, იმ სირცხვილსა და შეურაცყოფას ვერ აპატიებდა იძულებით მოყვრებს ჩემი დარბაისელი და ღირსეული მამა და, მეორეც, ქალის ოჯახი მაინც ვერ შეეგუებოდა შვილის თავნებობას და ცხოვრება ჯოჯოხეთად გვექცეოდა.

დავიტანჯე. გზა ვერ გავიკვლიე. გამოსავალი ვერ მინახია. ხათუნა ძალიან მიყვარს. სულ მისი ხატება მიდგას თვალწინ. ვეღარც სწავლასა და მეცადინეობას ვუდებ გულს. ცხოვრება ერთ სევდიან და დარდიან კოშმარად მექცა. არ მესმის შეგონების - „დრო ყველაფრის მკურნალიაო"...

დაამთავრა დათომ უიმედო და უიღბლი სიყვარულის ისტორიის თხრობა... მძიმედ და მწარედე ამოიგმინა.

გაგონილით გაოგნებულმა და სულშეძრულმა ისღა მოვახერხე, რომ საცოდავს ორივე ხელი მოვხვიე და გულში ჩავიკარი.

რა მეთქვა, რით მენუგეშებინა... ცოტა რომ დავწყნარდი და ოდნავ მაინც ჩავწვდი დათოს ტრაგედიის არსს, გული შემეკუმშა, სული ამეწვა.

იმდენად გაოგნებული ვიყავი, რომ მხოლოდ ამ მახინჯი ტენდენციისა და მომავალი შესაძლო საფრთხის მყისიერმა,ზედაპირულმა გააზრებამაც კი შემზარა და დამამუნჯა.

- ვიცი, ამ საქმეში დახმარება შეუძლებელია. თუ მითანაგრძნობთ მხოლოდ. თქვენმა გულწრფელმა თანაგრძნობამ ყველაფერი მითხრა. დიდი მადლობა, რომ გეყოთ ნებისყოფა და მოთმინება და ბოლომდე მოისმინეთ განწირული სიყვარულის ისტორია. ესაა და ეს. მე კი შეგნებული მაქვს საქმის მთელი სირთულე, პრობლემის არარაობა, შევეგუე კიდეც, მაგრამ რა ვქნა, გული არ მემორჩილება. სისხლად და ცრემლად მეღვენთება და მელევა, - ეს თქვა და მწარედ ამოიოხრა. ვატყობდი, საუბრის გაგრძელება აღარ სურდა. საათს დახედა. მომიბოდიშა, ლექციებზე წასასვლელად უნდა მოვემზადოო და უკანმოუხედავად გამშორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და. სანამ თვალთახედვა მიმიწვდებოდა, სევდიანი მზერით გავაცილე დათო...

ის წავიდა. მე კი დამტოვა აფორიაქებული სულითა და აწეწილი გრძნობა-გონებით...

ჩემი თავი ძლიერი მეგონა, მაგრამ თურმე ვცდებოდი...

ვითომ ასაკის ბრალია?! სიბერე შემომეპარა?! გულჩვილი გავხდი?! არა! არა! ეს ჩემს არსებაში სახიფათო და საშიში ტენდენციის მკაფიო გამოძახილია, ჩვენს მრავალტანჯულ კუთხეში, ამ მრავალტანჯული ხალხის ცხოვრებაში ძალუმად და უსინდისოდ შემოხვეწილ-შემოხიზნულ-შემოპარული ტენდენციისა...

ვერ წარმომედგინა და ვერ დამეჯერა, თუ აჭარის მკვიდრი, ძირძველი ქართველი და პირველი ქრისტიანის შთამომავალი შვილს არ გაათხოვებს ან რძალს არ შემოიყვანს ოჯახში სარწმუნოებისა და აღმსარებლობის სხვადასხვაობის გამო.

ჩვენ ხომ ამ მრავალტანჯული კუთხის შვილები ვართ. ერთი გვარტომის ჩამომავალი. ჩვენზე უკეთ ვინ იცის, რომ ჩვენ ძირძველი ქართული მიწის, ძირძველი ქრისტიანი ქართველის ჩამომავლები ვართ. ერთად გამოვიარეთ ოსმალეთის იმპერიის სამასწლიანი ბატონობისა და მონობის ულმობელი ხანა. განა, ერთად არ გვხოცავდნენ და ერთად არ გვწვავდნენ? განა, შუახევთან, „ყალაბოინზე“, აჭარისწყლისა და ჩირუხისწყლის შესართავთან ერთ დღე-ღამეში ასი ათასი აჭარელი დედა და მამა არ ამოხოცეს ოსმალებმა ქრისტიანული რწმენის ერთგულებისა და მუსლიმანური აღმსარებლობის აღიარებაზე უარის თქმის გამო?!. ნუთუ, იმ ასიათასში ხათუნას დედის ერთი ნათესავიც არ ერია?.. ვერ დავიჯერებ. ან როგორ უნდა დავიჯერო, როცა ეს ჭეშმარიტებაა!

ჩვენ ხომ ერთად ვუსმენდით სულმნათ ზურაბ გორგილაძეს, როცა უკვდავ ლექსს, აჭარელთა სულიერების ჰიმნს - „ჰოი და ნანას” გვიკითხავდა. თავადაც თვალცრემლიანი გვმოგვძღვრავდა. კაიქართველობაზე გვაფიცებდა და ანდერძად გვიტოვებდა. განა ერთად, სიმწრის ცრემლით არ მოვსთქვამდით და უსამართლობით სასოწარკვეთილები, აბღავლებულები გულში მჯიღს არ ვიცემდით, როცა გვესმოდა:

„... ჩოლოქს გაღმა გოგო იდგა,
გულგუნდა და თვალმარყვალა,
ღმერთმა რაფერ გადმომხედა,
ღმერთმა რაფერ გამახარა,

- გოვ! კისერში ჩეგეფუნჩხე,-
ჩემებურა ვკადრე მარა,
გოგო რაცხამ დააფეთა,
გოგო ვინცხამ გადამალა,
თოხის ტარზე დაყუდებულს,
ცამ სიცილი დამაყარა,
შიგნით-შიგნი ჩევიფუფქე,
აჭარელი ვიყავ განა!”

...მაგრამ ეს ხომ ადრე იყო?!. ის, გათიშულობის და ბედუკუღმართობის გამო, თითქმის გაუცხოებული ჩოლოქგაღმელი ქრისტიანი გოგო იყო ცეცხლითა და მახვილით გამუსლიმანებულ, გულდაშანთულ და სვეტედდამწვარ აჭარელს რომ გადაგიმალეს... ეს მაშინ იყო... ჩოლოქგაღმელსაც „დავიწყებოდა”, რომ მასზე ნაკლები ქართველი არაფრით იყავი, რომ სამასწლიან ოსმალოს ბატონობას გადაურჩი, გულში შეახვიე და დედის უბეში გამოაცხვე „დიდი ნენეს ნანა”, ქართული ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, ქართული ზნე და მორალი. მაგრამ შენ ხომ გახსოვს და გახსოვდა ეს ყველაფერი! ერთად არ ვიდექით? ერთად არ გვკლავდნენ? ერთად არ გვხოცავდნენ? ერთად არ გვყიდნენ?!. დაგავიწყდა, რომ ერთი კუთხის, ერთი მრავალტანჯული ხალხის შვილები ვართ?!.

ახლა რაღა მოგვივიდა? ასე მალე დაგვავიწყდა ყველაფერი?! ვის ვუჯერებთ? ვის ფანდურზე ვცეკვავთ გან-და-განას?!.

სანამ გვიანი არაა, გონს მოვეგოთ! ნუთუ, ჩვენზე უკეთ ვინმემ იცის, რომ ეროვნულობა და აღმსარებლობა სხვადასხვა მცნებებია?!. ნუ გავხდებით ნურც გლობალიზაციისა და ნურც ყოფილი იმპერიების ბინძური ამბიციებისა და გაუკუღმართებული პროპაგანდა-აგიტაციის მსხვერპლი. ისინი ხომ ჩვენთან ყოველთვის „გათიშეს და იბატონეს” პოლიტიკით შემოდიოდნენ. არასოდეს უნდა დაგვავიწყდეს: - ისინი მხოლოდ თავიანთ საქმეს აკეთებენ. იქ ჩვენი ადგილი არ იქნება და საჭიროც არ ვიქნებით.

ჩვენი შევინარჩუნოთ, ჩვენსას გავუფრთხილდეთ, გადავრჩეთ და გადავარჩინოთ ჩვენი ქართველობა, სრულიად საქართველო და მისი ერთიანობა გადავარჩინოთ, მის ძლიერებასა და მომავალზე ვიზრუნოთ. ჩვენ მხოლოდ აჭარლები არ ვართ, ჩვენ მხოლოდ აჭარა-აჭარლობის გადარჩენა არ გვევალება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგიერთ გზააცდენილ და თავგზააბნეულ, ისლამის ბაიათებით გაბანგულ თანამემამულეს კი ისევ ზურაბ გორგილაძის სიტყვებით გავაფრთხილებ:

„ჰოიდა ნანა, ნანოვ ნანა,
ვერ წამიხვალ განა-განა,
ეგ ლიზღობა, ეგ ლირწობა
კმარა-მეთქი, უკვე კმარა!”

* * *

თხრობა უკვე დასრულებული მქონდა, რომ ჩემი თხოვნით, ერთ ჩემს თანამოაზრეს მიუკვლევია დათოსთვის ქალიშვილის მითხოვებაზე უარისმთქმელი ოჯახისთვის. ოჯახის წევრებს გასცნობია. გასაუბრებია ხათუნას ნიშნობის ჩაშლის გამო. ხათუნას დედას შემდეგი უამბნია: ცხრა დედმამიშვილი ყოფილან. მამა ადრე გარდაცვლიათ. ოჯახისთვის დიდი ამაგი დაუდვია ბაბუას - დედის მამას. ის მუსლიმანური რელიგიის ღვთისმსახური - ხოჯა (იმამი) ყოფილა. გასაკვირი არცაა, რომ შვილიშვილებიც მუსლიმანური აღმსარებლობის სულისკვეთებით აღუზრდია. ხათუნას ბებიაც თავგადადებული მუსლიმანობის აღმსარებელი ყოფილა. იმ ოჯახაშენებულს კი მოუხერხებია ცხრა შვილის აღზრდა -„დაკარება”, მაგრამ შვილებისთვის არა მარტო მაჰმადის რჯული ჩაუნერგავს და ჩაუგონებია, არამედ სიკვდილის სარეცელზე მიჯაჭვულს ანდერძიც დაუტოვებია: შვილებს უნდა ეცხოვრათ მუსლიმანური წესებით, არა მხოლოდ მათ, არამედ მათ შთამომავლებსაც არ უნდა ეღალატათ ისლამისთვის. არ უნდა დამოყვრებოდნენ განსხვავებული აღმსარებლობის ადამიანებს...

ხათუნას მამა, ცოლის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული, ერთი უნებისყოფო და უბირი კაცი, ისიც მტკიცედ ადგას სიდედრის ანდერძს და ცოლის „ღირსეული” თანამოაზრეცაა...

ხათუნა კი უსიყვარულოდ, დედის ნებითა და ძალისხმევით, დაუნიშნავთ ისლამის მიმდევარ თანასოფლელ ახალგაზრდაზე და უახლოეს მომავალში ქორწილსაც გეგემავენ...

***

ნაწარმოებზე რომ ვმუშაობდი, გაზეთში, შემდეგ კი ინტერნეტში, გამოქვეყნდა ჩემი უფროსი მეგობრის და სახელოვანი მამულიშვილის, გულანთებული მარეთელის - ემენ დავითაძის ვრცელი ნაშრომი - „გზა-ჯვარ-ე-დინ-ი". თურმე ერთ „საჯილდაო ქვას" შევჭიდებივართ... მენიშნა მისი ნააზრევი და წუხილი: „ღმერთმა დამიცვას ყოველგვარი რიტორიკისაგან, საამისოდ თავს მწიფედ არ ვთვლი, მაგრამ მაინც ვიტყვი: თითო-ოროლას გარდა, თქმა არ უნდა, თვითონაც იციან, ძნელად რომ ეროვნული სატკივარით „სენშეყრილს" შეხვდე. იმისთანა ერისთვის, როგორიც ჩვენა ვართ, ესოდენ საჭირო ეროვნულ-პატრიოტული თემა და ჟანრი ლამის არის მხოლოდ კრინავს. ბევრს არავის აწუხებს შენი და ჩემი, ჩვენი კუთხის ბედი, ჩემიანო, ერთეულთა გარდა. რამ დაგვაძაბუნა!.."

ამანაც შემაგულიანა და გამაბედვინა ამ საჭირბოროტო და ერთობ რთული ტენდენციის, თუ ერთი ანდერძის ირგვლივ წერა... მაგრამ საქმე ძალიან სახიფათო და საბედისწერო ტენდენციასთან გვაქვს...

იმედია, თანამოაზრეები გააქტიურდებიან, მხარში ამოგვიდგებიან, გააგრძელებენ ერისათვის ესოდენ მნიშვნელოვან და საჭირბოროტო საქმეზე მუშაობას...

დროა ყველამ ერთად დავარისხოთ განგაშის ზარები!..

ბათუმი
2014 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენ თუ არა, ვინ?!.

ვუძღვნი ჩემს ძმას ვლადიმერ მახარაძეს,
რომელმაც შთამაგონა იდეა ამ ნაწარმოების
დაწერისა ...

"სიცოცხლე იმით კი არ იზომება, რამდენჯერ ჩაისუნთქავ,
არამედ იმით, რამდენჯერ შეგეკვრა სუნთქვა".
ლევ ტოლსტოი

...2012 წლის 21 მაისს კრასნოიარსკი-მოსკოვი-სოჭის მიმართულების მატარებლით ვიმოგზაურე.

მოსკოვში ჩემი დეიდაშვილის მიწვევით ვიყავი. ვაჟიშვილის დაბადების ოქროს წელს აღნიშნავდნენ. ჩემი დეიდაშვილი გვიან დაქორწინდა. შვილიც დიდხანს არ შესძენიათ. ხანგრძლივმა მკურნალობამ და მოლოდინმა, ბოლოსდაბოლოს, შედეგი გამოიღო და მშვენიერი ვაჟიშვილი შეეძინათ. 1994 წლის 18 მაისი იყო. მაშინ დავთქვით, ბიჭის დაბადების ოქროს იუბილე ჩემი თამადობით უნდა გამართულიყო.

ჩემს დეიდაშვილს ბათუმში საკმაოდ გამოცდილი და სახელმოხვეჭილი ქირურგის სახელი აქვს. მან, თავის დროზე, მოსკოვში მიიღო სამედიცინო განათლება და ორდინატურაც იქვე გაიარა. გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების ბოლოს, ჩვენში არსებული ვითარების გამო, ცხოვრება გაჭირდა, იმატა უმუშევრობამ, გაჭირვებამ და სიდუხჭირემ. მაშინ ძალიან ბევრს გაუჭირდა. რა თქმა უნდა, ჩემი დეიდაშვილიც გამონაკლისი არ ყოფილა. მისმა ყოფილმა თანაკურსელმა და მეგობარმა, იმჟამად კი მოსკოვში ცნობილმა სამედიცინო სფეროს მუშაკმა, გაიგო რა მისი გაჭირვება და უმუშევრობა, მოსკოვის ერთ-ერთ პრესტიჟულ კლინიკაში თავისი დარგის მიხედვით სამუშაოდ მიიწვია.

ცდუნება დიდი იყო. მოსკოვში ამირანი /ასე ქვია დეიდაშვილს/ ოჯახს ეკონომიურადაც წელში გამართავდა, ცოდნასა და გამოცდილებასაც გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იღრმავებდა და უფრო დახელოვნებული დაუბრუნდებოდა მშობლიურ ქალაქს და დედასამშობლოს.

ამირანი გულანთებული პატრიოტი და ღირსეული მამულიშვილია. ერთად ვართ შეზრდილები, ვიცი მისი სულისა და გონების ყოველი მოძრაობა, საქმისადმი თუ ქართული ცნობიერებისადმი მიდგომა, ეროვნულ-პატრიოტული შემართება და ნაკლებად მიმაჩნდა, რომ ის შეძლებდა სამშობლოდან შორს დიდხანს ყოფნასა და ცხოვრებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ცდუნება დიდი იყო. ბოლოს ის და მისი თანაკურსელი ყველა დეტალებსა და პირობებზე შეთანხმდნენ და აღნიშნულ კლინიკასთან ხელშეკრულებაც გაფორმდა.

მეთორმეტე წელია დეიდაშვილი მოსკოვში ცხოვრობს და საქმიანობს. იქვე გაუჩნდათ ქალიშვილი. ვაჟს კი უკვე 18 წელი შეუსრულდა.

ძველებს უთქვამთ: სიტყვა ოქროზე ძვირად ფასობსო. მეც არ მინდოდა სიტყვის გატეხა და პირობის დარღვევა. თანაც ჩემს ამირანს და სანდროს (ასე ქვია დეიდაშვილის ვაჟს) როგორ დავაღალატებდი.

ერთი სიტყვით, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ვოიაჟმა შთამბეჭდავად ჩაიარა. მოსკოვიც ვინახულე, მომნატრებოდა თურმე... მეც ხომ ერთხანს ამ ქალაქში ვსწავლობდი და ვცხოვრობდი - ვეუფლებოდი ერთ-ერთი სამართალდამცავი სტრუქტურის რთულ, მაგრამ საპატიო პროფესიას, ვაგროვებდი ცოდნა-გამოცდილებას და ვხვეწდი უნარ-ჩვევებს.

დიდებული სუფრა გაიშალა. ძალ-ღონე არ დამიშურებია მოსკოვის ცენტრში, ქართულ რესტორანში, სუფრისთვის მეხელმძღვანელა და დამსწრეთათვის ტრადიციული ქართული სადღეგრძელოებიც შემეთავაზებინა.

დათვლილმა დღეებმა მალე გაირბინა და მე ისევ ქალაქ მოსკოვის ყაზანის რკინიგზის სადგურში ვდგავარ (სამხრეთის მიმართულებით მატარებლები მოსკოვის ამ სადგურიდან მიემართებიან). გარს მახვევიან მოსკოველი ნათესავები და ახლად შეძენილი მეგობარ-ამხანაგები.

განსაკუთრებით სანდროსა და თინათინს (რძალს) უჭირთ განშორება. მე ხომ მათ საყვარელი სამშობლოს დვრიტა ჩავუტანე, ნოსტალგია და მონატრება ცოტათი გავუქარვე და დარდი შევუმსუბუქე... რა ვქნა, მათგან ისევ მივდივარ და თან მიმაქვს მათი გულის ნაწილი და მშობლიურობის ნატამალი. თავს იმით იმშვიდებენ, რომ ამირანს ორი წლის შემდეგ კონტრაქტი უმთავრდება და სამუდამოდ და სამარადჟამოდ დაუბრუნდებიან სამშობლოს, მშობლიურ გარემოს, უამრავ ნათესავ-მოყვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესა და მეგობრებს, ყველაფერს მშობლიურს, დედის რძესთან ერთად შეთვისებულსა და შესისხლხორცებულს...

თინათინმა და ამირანმა მშობლებთან და ახლობლებთან არა მარტო მხურვალე მოკითხვები, არამედ უზარმაზარი, საჩუქრებით გაძეძგილი ჩანთაც გამომატანეს.

სანდროს ხელში ახლაც უპყრია, ჩემი, საგანგებოდ და სანიშნოდ შერჩეული დაბადების ოქროს წლისადმი მირთმეული საჩუქარი - მშვენივრად გაფორმებული და ილუსტრირებული "ვეფხისტყაოსანი". იგი მაშინვე მიმიხვდა, გამიხმო და შეთქმულივით მიჩურჩულა: ეს საჩუქარიც იყო და გაფრთხილებაც, რომ ქართველი ჭაბუკი მოსკოვური ცივილიზაციის „ჯუნგლებში" არ გათქვეფილიყო, ყოველთვის და ყველგან ხსომებოდა „ვეფხისტყაოსანის" დიადი სიბრძნე, წინაპართა სწორუპოვარი საქმენი საგმირონი, მშობლიური ენის სიდიადე, მშობელი ერის სიქველე, დედა - საქართველოს მრავალფეროვნება, სიტკბო და განუმეორებლობა... რომ „როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა"...

მატარებლის გასვლის დროც დადგა. თინათინი, ამირანი და სანდრო გულმხურვალედ, მშობლიური ამბორით მეთხოვებიან. ხუთი წლის თამარი ხომ ვეღარ მომაშორეს... პაწია ხელები ყელზე სუროსავით მომხვია და პატარა ტუჩების ცმაცუნით მეჩურჩულება: - ბებო დამიკოცნე, მენატრება და მალე ჩამოვალო.

ასეთი ამაღლებული, დიადი, მონატრება-ნოსტალგიით გაჟღენთილი სითბოთი გაბრუებულმა მატარებლის ვაგონის კიბეზე ბოლო წამს ავხტი. კიდევ დიდხანს მესმოდა ბავშვის აღტაცებული, ცრემლნარევი შეძახილი და ვხედავდი უფროსების ლანდებს, ერთმანეთზე სახეარიდებულს, თითქოს არ უნდოდათო ცრემლდანამული თვალები ერთმანეთვისთვის ეჩვენებინათ.

დიდხანს ვიდექ ფანჯარასთან. ბოლოს ვაგონში შემოპარულმა ბინდმა და სიგრილემ ჩემი თვალები და გახურებული გრძნობა-გონება დაააშოშმინა და დაამშვიდა. რეალობას დავუბრუნდი. მოვძებნე „ჩემი" კუპე. ბარგი დავალაგე და საწოლზე მოხერხებულად მოვკალათდი. არაფერზე ფიქრი არ მინდოდა. გამომშვიდობების განცდა ჯერ არ გამქარვებოდა, გრძნობა-გონება ჯერ არ დამცხრალიყო და რაღაცნაირ ეიფორულ განცხრომას განვიცდიდი.

დეიდაშვილს წინასწარ ეზრუნა - საძინებელ ვაგონში ორსაწოლიანი კუპე შეერჩია. ბილეთიც წინასწარ დაეჯავშნა. ცოტა რომ დავმშვიდდი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ მაშინ აღმოვაჩინე, რომ მარტოდ არ ვიყავი. მეზობელ საწოლზე, ზურგშექცევით, მამაკაცი იწვა და გვარიანად ფშვინავდა.

...მატარებელი გასცდა მოსკოვს. მთელი დღე-ღამე უნდა მემგზავრა. ვაგონში ყველას ეძინა. ადამიანის ჭაჭანებაც არ იყო. თეთრეული გამოვართვი, სპოტრული მაისური გადავიცვი და საწოლზე მოვთავსდი.

ვერ დავიძინე. ჯერ კიდევ ახლობლებთან გამომშვიდობების შთაბეჭდილებები არ გამნელებოდა და, მეორეც, მატარებლის ბორბლების მონოტონური ტაკა-ტუკი და ვაგონების ღერძების უსიამო, მჭახე ღრჭიალი ძილს მიქარვებდა. ფიქრებში გახვეულს ძილ-ღვიძილი დამეუფლა. ასე გაგრძელდა ერთ ხანს. ბოლოს, კუპეს მეზობელმა ფშვინვა შეწყვიტა, ეტყობა, გაიღვიძა. მართლაც, უცნობი ფრთხილად წამოჯდა, ფლოსტები მოძებნა და კუპედან ფეხაკრეფით გავიდა. მეც წოლა მომწყინდა. ავდექი. საწოლი ნაწილობრივ ავკეცე. ღამის ნათურა ავანთე. ხელბარგიდან „ბორჯომის" ბოთლი ამოვიღე, დავლიე, ნარჩენი კი მაგიდაზე დავდგი. მაგიდაზე გაზეთები ელაგა, ერთი ავიღე და დათვალიერება დავიწყე. ცოტა ხნის შემდეგ თანაკუპელი შემოვიდა. მჯდომარე რომ მნახა, მომიბოდიშა: ეტყობა უნებლიეთ გაგაღვიძეთ, საპირფარეშოში გასვლის აუცილებლობა, რომ არა, როგორ დავუშვებდი თქვენს შეწუხებასო. მანაც ნაწილობრივ აკეცა საწოლი და ჩამოჯდა.

გაზეთი თავის ადგილას დავაბრუნე. მინერალური წყალი კვლავ ჩამოვასხი და სვენებ-სვენებით დავლიე.

უცნობმა „ბორჯომის" ბოთლს თვალი შეავლო. უეცრად ნირი ეცვალა, თვალებიც კი გაუფართოვდა. ათრთოლებული ხელით ბოთლი აიტაცა და ეტიკეტის წარწერებს ჩააკვირდა. ჩაიკითხა. ერთი ღრმად ამოიგნეშა და მორიდებით მკითხა:

- შეიძლება ერთი ყლუპი მოვსვა?..

თავის დაკვრით დავთანხმე.

სუფთა ჭიქა მოძებნა. მინერალური წყალი ჩამოასხა. ღვინის დეგუსტატორივით ფაქიზად დაყნოსა. წყალი პირში შეიგუბა, დააგემოვნა და დიდი ყლუპით გადაუშვა ყელში, თითქოს წყურვილით დამაშვრალმა, დაწაფებით დაცალა. ესიამოვნა, თვალებში სინათლის ნაპერწკალი გაუკრთა, ტუჩები ააწკლაპუნა და აღტკინებებულმა მომმართა:

- ეს ნამდვილი „ბორჯომია"! აქ საიდან ?!...

- რატომ გაგიკვირდათ? ჩემია. მიირთვით, შეგერგოთ. მიყვარს მინერალური წყალი, თან დამაქვს ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ბორჯომის ნამდვილი მინერალური წყალია... გამიკვირდა, შენ მოსკოვიდან მოდიხარ, „ბორჯომი" საიდან გაჩნდა?! ერთი პირობა გულში გამკრა თბილისი-ბათუმის მატარებლის ვაგონში, ხომ არ ვარ, მეთქი.

- წყალი ნამდვილად საქართველოდანაა ჩამოტანილი, ნატურალურია, - და უეცრად გონება გამინათდა. ჩავწვდი ჩემი თანამგზავრის გაკვირვების მიზეზს: ჩვენი ერისა და სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივ - პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების პროგრესული, ევროპული გზის არჩევანისა და „რუსულ სამყაროში" დარჩენაზე უარის თქმის გამო, 2006 წლის დამდეგს, რუსეთის ფედერაციამ, დასჯის მიზნით, საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ემბარგო გამოუცხადა. აკრძალა ნებისმიერი საქონლის, მათ შორის ქართული ღვინის და მინერალური წყლების რუსეთის ტერიტორიაზე შეტანა. სხვათა შორის, მოსკოვშიც ბევრს გაუკვირდა, სანდროს საიუბილეო ბანკეტზე ქართული ღვინო და „ბორჯომი''.

- თქვენ გაიხარეთ! რამდენი წელია ნატურალური ქართული პროდუქტი, მათ შორის მინერალური წყალი, არ დამიგემოვნებია! ეს ჩემთვის სიურპრიზია! - თქვა, ისევ ჩამოისხა, ახლა უკვე მოურიდებლად დაეწაფა ქართული მთების ნაჟურს. თითქოს დიდი ხნის მწყურვალმა წყურვილი მოიკლა, სული ჩაიბრუნა, გრძნობა-გონება დაიმშიდა... საგრძნობლად ათრთოლებული ხმით,რუსულად მკითხა :

- უკაცრავად, თქვენ ქართველი ბრძანდებით?!

- კი ბატონო, ქართველი ვარ! - ქართულად ვუპასუხე და მხოლოდ ახლა დავაკვირდი ჩემი უცნობი თანამგზავრის ოვალურ, შავგვრემან სახეს, ოდნავ კეხიან ცხვირს, დიდრონ, ბრიალა შავ თვალებს, გაშვილდულ შავ წარბ-წამწამს, ოდნავ შემელოტებულ, შეჭაღარავებულ, ხუჭუჭა თმას და ეს ყველაფერი სარწმუნო საბუთად მივიჩნიე, რომ მეფიქრა: ჩემს წინ ნამდვილად ქართველი ზის.

თანამემამულესთან მოულოდნელმა შეხვედრამ ჩემი თანაკუპელი ააღელვა, ამის დამალვა არც უცდია, გრძნობამორეულმა მომმართა :

- უფალმა დაგლოცოს, ჩემო კეთილო კაცო! თითქმის ოცდაათი წელია მადლიანი, გამართული, უაქცენტოდ წარმოთქმული ქართული სიტყვა აღარ მსმენია! მომნატრებია ჩემი ქართული... - სევდანარევ ნათქვამს ლაზათიანი, ნოსტალგიით გაჟღენთილი, ოხვრაც ამოაყოლა, ხელი გამომიწოდა და ვინაობაც გამანდო:

- გოჩა ლაცაბიძე, წარმოშობით ხაშურიდან!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეც მოწიწებით ჩამოვართვი ხელი და მისებურ მანერაზევე მივუგე:

- ლადო მდინარაძე, ბათუმიდან!

გოჩა მიმიხვდა სიანცით თქმულ იუმორს, ჩაიცინა და ისევ აქოთქოთდა:

- რამდენი ხანი გავიდა, რამდენი წელიწადი... როგორ მონატრებია ყურს ქართულის მოსმენა და თვალს - ქართველის ხილვა. შენ გაიხარე, შენა! მატარებელში, ასე უცაბედად, არ ველოდი თანამემამულესთან შეხვედრას!

გაცნობის აღსანიშნავად, ტრადიციულად, გულღია და მგრძნობიარე ქართველის კვალობაზე, გოჩას პურობა შევთავაზე, დავილოცოთ, მეთქი. ამოვალაგე ჩემი საგზალი. თინათინს საგანგებოდ შეერჩია და ჩანთაში სათუთად ჩაელაგებინა ტაბაკად მოხარშული დედალი, დაბრაწული იმერული ხაჭაპური, მოსკოვური სალათა, ჩვენში რომ ვინეგრეტს ეძახიან, ძეხვეულობა, ფოლგაში შეხვეული კიტრის მწნილი, მწვანილი და სამი ქართული შოთი. არც ერთჯერადი თეფშ-ჭიქა-დანა-ჩანგლის კრებული და სამგზავრო დანა დავიწყებოდა... ხოლო ამირანს მარიფათად ორი ბოთლი შესანიშნავი მარკის არაყი ჩაედო.

გოჩამაც თავისი საგზალი ამოალაგა. მაგიდა სახელდახელოდ გააწყო. მგზავრის კვალობაზე ავ თვალს არ ენახვებოდა...

არაყი ჭიქებში ჩამოვასხი. ჩანთიდან კიდევ „ბორჯომის“ ორი ბოთლი ამოვდგი და ჩამოვასხი. პირველი სადღეგრძელოს თქმა გოჩას შევთავაზე. ჯერ იუარა, მაგრამ მალევე დამყაბულდა, ეტყობოდა, პირველობას ჩვეული იყო. წამოდგა. სასმისი აიღო, ჩაახველა, ყელის ჩაწმენდა უნდოდა, ალბათ, რომ სადღეგრძელოს თქმისას ხმა არ გაბზაროდა და დაიწყო:

- ბატონო ლადო, ჩემთვის სასიამოვნო სიურპრიზია თანამემამულესთან მოულოდნელი შეხვედრა და დამგზავრება. ჩვენი გაცნობისა იყოს! - თქვა და რუსული მანერით, გაქნევით, ერთი მოთქმით გამოსცალა სასმისი.

- ჩემთვისაც სასიამოვნოა ამ შეზღუდულ სივრცეში თანამემამულესთან შეხვედრა! კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა! - რიხით ვთქვი და მეც ოფიცრის მანერაზე ერთი „ზალპით” გადავკარ.

ეს ახალგაცნობილ თანამემამულეს არ გამოპარვია. ამათვალ-ჩამათვალიერა, ჩემი სრული აღნაგობის შემხედვარემ, ცოტა გაიოცა კიდეც. ტაქტიანად, მაგრამ შემპარავად მკითხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ბატონო ლადო, თქვენი არაყის დალევის მანერით თუ ვიმსჯელებთ, სამხედრო მოსამსახურე უნდა იყოთ, თანაც ძველი ტრადიციების ოფიცერი.

თავი არ გამომიდვია და გულღიად მოვახსენე:

- მართალი ბრძანდებით, ძველი თაობის ოფიცერი ვარ. ამჟამად თადარიგში ვიმყოფები, მაგრამ, ხომ გაგიგონიათ რუსული ანდაზა: „ძველ გამოცდილებას და ჩვევებს ადვილად ვერ გაანიავებ და ვერც არაყივით დალევ", - იუმორნარევი ნათქვამი გოჩას მოეწონა. მხარზე მომითათუნა. ჭიქებში არაყი ისევ ჩამოვასხი.

გოჩამ თამადობა გადმომილოცა, შენ გააგძელეო. მეც ჭიქა ავიღე და სადღეგრძელო შევთავაზე:

- ამით ჩვენს სამშობლოს გაუმარჯოს! მადლიან და საფიცარ მამულდედულს შემოვევლე! მის მონატრებასა და გულისამაფორიაქებელ სიყვარულს გაუმარჯოს!.. ვითომ სიტყვები გამომელია, დაფეთებულივით, სასწრაფოდ გადავკარ არაყი. ცოდვა გამხელილი სჯობიაო, და მეც ასე განგებ მოვიქეცი: მაინტერესებდა გამერკვია, რამდენად შერჩა საქართველოში დიდი ხნით არმყოფ ქართველს მისდამი სიყვარული თუ ნოსტალგია. ამიტომაც მოკრძალებულად ვთქვი სამშობლოს სადღეგრძელო. მოხარშული დედალი ქართულ მანერაზე ხელით დავხლიჩე,

ერთჯერად თეფშზე დავაწყე და გოჩას შევთავაზე, - მიირთვით,-მეთქი. გოჩას რეაქციას ვაკვირდებოდი. ის საგრძნობლად ღელავდა, ეტყობოდა საჭირო სიტყვებს ეძებდა, ან იქნებ გრძნობას ვერ მოერია, ბოლოს წამოდგა, შევსებული ჭიქა ხელში აიღო და დაბალი, მიბნედილი ხმით წარმოთქვა:

- ჩემო ლადო, ამით მშობლიურ მიწას, ქართულ ანბანს და ჩვენს დედაეკლესიას გაუმარჯოს! ეს სამეული ქართულობის უკვდავების დვრიტაა და მისი მარადიულობა შევთხოვოთ უფალს! - თვალები ჯერ გაუბრწყინდა, შემდეგ მოუწყალიანდა, ეტყობა ეს თვითონაც იგრძნო, მზერა ამარიდა და არაყი მოუთმენლად გადაკრა. გოჩას ხმა აღარ ამოუღია. კედელს მიყრდნობილი, ერთხანს წყვდიადს თვალმოუწყვეტლივ გასცქეროდა. ბოლოს, ეტყობა, მოწყინდა „მორბენალი" ელექტროსადენებისა და კავშირგაბმულობის ბოძებისთვის მზერა. უსიტყვოდ ადგა. საკიდარზე ლაბადა მოიძია, ჯიბიდან სიგარეტი და სანთებელა ამოიღო, მეც შემომთავაზა,- თუ მოწევთ სიგარეტსო. უარი ვუთხარი, - არ ვეწევი, მეთ-

ქი. კეთილიო, - თავისთვის ჩაილაპარაკა და კუპედან უხმაუროდ გავიდა, კარიც მიიხურა.

მე ბევრი რამ მსმენოდა სამშობლოდან შორს გადახვეწილი თანამემამულე - ემიგრანტებზე, მათ ხვედრზე. მუდამ თანმდევი სევდისა და ნოსტალგიის შესახებ. გუმანით მივხვდი: ჩემს წინ ტიპიური ქართველი ემიგრანტია. მოვისურვე მასთან დაახლოება, მისი ემიგრანტული გუნებაგანწყობის შესწავლა და კიდევ ბევრ, ჩემთვის საინტერესო კითხვაზე პასუხის მიღება. მისი ვინაობის შესახებ ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებაც, რა თქმა უნდა.

ოცი წუთის შემდეგ გოჩა კუპეში შემობრუნდა. საგრძნობლად დაწყნარებული და დამშვიდებული მეჩვენა.

მატარებელი კი მიქროდა. ბორბლების მონოტონური ტაკა-ტუკიღა არღვევდა ვაგონში გამეფებულ სამარისებულ სიჩუმეს.

შუა ღამე იყო.

ყველას ეძინა.

მხოლოდ ორ ქართველს არ ეძინა. ერთს - სამშობლოს ძირს ძირთაგანს, მისი ბედისა და უბედობის გამზიარებელს, მისი ტკივილებით გულ და ძარღვატკიებულს, მის არმიმტოვებელს, ბევრჯერ სისხლ-ოფლცრემლნანთხევს და მეორეს - ნებაყოფლობით სამშობლოსგან სვემივიწყებულს და ფესვმოგლეჯილს, იოლი და უკეთესი საცხოვრებელი პირობების მაძიებელს, რუსეთის შორეულ ტრამალებში გადახვეწილს.

იმას, რომ გოჩა დიდი ხანია ემიგრაციაშია, დაკვირვებული კაცი იოლად შეამჩნევდა. მას ქცევისა და საუბრის მანერები ტრადიციული ქართველის მანერებისაგან მკვეთრად განსხვავებული ჰქონდა. მართალია, ქართულად საუბრობდა, მაგრამ ფრაზებს ქართული ენისთვის დამახასიათებელი ჟღერადობისა და ხმოვანებისათვის შეუფერებლად რბილად, გაკიდებულად, სუფთა სლავური აქცენტითა და ტონალობით წარმოსთქვამდა. გოჩას ხმის ტემბრი და ქართული სიტყვებისთვის უჩვეულო, მოჩლექილი რბილი ჟღერადობა, სიმართლე გითხრათ, სახალისო მოსასმენიც კი იყო, უწყინარი ღიმილის მომგვრელი.

სადღეგრძელოს თქმის პირველობა ხელიდან აღარ გამიშვია. ჭიქები შევავსე. გოჩასაც შევთავაზე და წამოვდექი:

- ჩემო გოჩა, ახლა საქართველოს პირმშოს - ქართველის სადღეგრძელო მინდა შემოგთავაზო! ქართველ მამაკაცს და მანდილოსანს გაუმარჯოს! ქართული სულის სიდიადისა და უკვდავებისა იყოს! მილი-

ონობით წელია, კავკასიაში, ქართველთა წინაპარი დამკვიდრდა. ეს დმანისისა და კიდევ სხვა ბევრი არქეოლოგიური აღმოჩენებითაც დადასტურდა. ქართველი ორგანულად შეერწყა და შეესისხლხორცა მშობლიურ, ენდემურ გარემოს, მის მთასა და ბარს. მისი ორგანული, განუყოფელი ნაწილი გახდა. ქართველი კაცის ხასიათი ბუნების მრავალფეროვანებისა და სიდიადის ადეკვატური გახდა, დიდგოროზი კავკასიონის მთების სიამაყე და კოლხეთის დაჭაობებული დაბლობის სუნი ერთდროულად რომ მუდამ თან დაჰყვებოდა. ქართველი მხოლოდ საქართველოში იფურჩქნება ბოლომდე, სრულყოფილად ვითარდება, სრულად ავლენს თავის ნიჭსა და უნარ-ჩვევებს. ქართველობის უკვდავებასა და არგადაშენებას გაუმარჯოს! ქართველი ერის, როგორც უძველესი და ცივილიზაციის სათავეებთან მდგომი ერის, სიდიადეს და მოუდრეკელ სულს გაუმარჯოს! მისი უძველესი ხნიანობა ხომ მის ობლობასაც უდებს სათავეს:

“… ფინიკიელნი, აქადელნი და შუმერები,
ხეთა, ურარტუ, ქანაანი, ხვატი ტიგროსის,
მეგვიპტელნი და სხვანიც მრავალი
შემოგძახიან, - ისევ ანთიხარ?! ისევ ცის
თაღებს ენანავები!
მოუდრეკელო სულო ქართულო,
ენთე მარადის!”

მიხაკო ლაზიშვილის უკვდავი ლექსის სტროფი ხმადაბლა, მაგრამ მთელი ემოციითა და გრძნობით ჩავაბულბულე, სულიც კი შემეკრა, ამიტომ გოჩას რეაქციას აღარ დავლოდებივარ, არც ტრადიციულად ჭიქა-ჭიქაზე მივუჭახუნე, გადავკარ და მოკლედ და ხმიანად ამოვისუნთქე. დავჯექი. ერთი ნაჭერი ქათმის ხორცი მივაყოლე და გავირინდე. ვითომ ფანჯარაში ვიცქირებოდი, ისე კი ალმაცერად გოჩას მზერასა და სახეს ვჭამდი, არ მინდოდა მისი გამომეტყველების, მისი ძარღვის ერთი შეტოკებაც კი გამომპარებოდა. ვაღიარებ, ამას ერთობ აზარტული ჟინითა და შენიღბული ცნობისმოყვარეობითაც კი ვაკეთებდი.

ჩემმა სადღეგრძელომ გოჩას გულისა და სულის ბოლო კუნჭულებსაც უწია, ტვინი და გრძნობა-გონება დაუზაფრა, გული აუჩქროლა და სისხლი აუდუღა. მაგრამ, ვაი, რომ მხოლოდ წამიერად. მხოლოდ ერთი წუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თით წაუხდა ნირი, მხოლოდ ერთხელ სახე მოეღუშა, ელვის უსწრაფესად თვალები მიაშტერა შორეთს, მხოლოდ ერთი გაელვება ძარღვები დაებერა, წარბი აუთამაშდა, აეზიდა, მაგრამ მალევე თავი ხელში აიყვანა. გრძნობები მოთოკა. მეტი თუ არაფერი, გარეგნული სიმშვიდე და ხასიათის შეუვალობა შეინარჩუნა. ისე კი, ეტყობოდა არასტანდარტულ, არაორდინალურ პირობებში ხშირად უწევდა ყოფნა. ჩანდა, ბევრჯერ დასჭირვებია გრძნობებისა და ემოციების მოთოკვა. ჭეშმარიტი ნაფიქრნააზრევის არგამხელა, თანამოსაუბრისგან დამალვა. დაკვირვებული და ადამიანის ფსიქიკის თავისებურებათა მცოდნე კაცი ადვილად იგუმანებდა, რომ გარეგნული სიმშვიდის და შეუვალობის საფარქვეშ იმალებოდა აფორიაქებული სული, აძგერებული გული, აწეწილი გრძნობა-გონება და, რაც მთავარია, სული - ადამიანის ბუნების და აზრთა მოძრაობის უტყუარი და უჩინარი სარკე. სული მრავალფერი: სპეტაკი, აფორიაქებული, მოწამლული, ცოდვის მორევში ჩაძირული, გამათხოვრებული.

გოჩამ შეძლო თავის მოთოკვა, გრძნობების მოდრეკა და მოჩვენებითი სულის სიმხნევის შენარჩუნება. მისი სულისა და გრძნობა-გონების მოძრაობა მხოლოდ იმან გასცა, რომ უსიტყვოდ, ერთი გაქნევით შესვა მთელი ჭიქა არაყი. ერთიც ღრმად ამოისუნთქა. არ დააყოლა მისაჭმელი. რუსული მანერით, მხოლოდ მარცხენა ხელის ზურგი ცხვირზე მიიდო და მისი „სურნელება" ხარბად, ხმაურით შეისუნთქა.

ჩამოვარდნილი სიჩუმისა და გოჩას აღელვების მიზეზი ჩემი წარმოთქმული სადღეგრძელო იყო. გამოგიტყდებით: საქართველოს სადღეგრძელო, არსებულ გარემოებაში, გადამეტებული პათოსით განგებ, შეგნებულად წარმოვთქვი. ის გათვლილი იყო ემიგრანტის მოსასმენად და მისი რეაქციის შესამოწმებლად, აგრეთვე ჩემი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლადაც იყო გამიზნული და თანამოსაუბრის გულახდილობის გამოსაწვევად გათვლილი.

ჩემმა განზრახვამ მიზანს უწია. გოჩა ღრმად ჩაფიქრდა. მგონი, ჩემთან შეხვედრასა და გაცნობას კიდეც ნანობდა. ვფიქრობ, მას მშვიდი მგზავრობა უნდოდა, მე კი იდილია დავურღვიე. დიდი ხნის წინათ მივიწყებული, მახსოვრობის ფსკერზე დალექილი, განსხვავებული ცხოვრების პირობებისა და წესების, ახალი რეალობის აღქმისა და შესისხლხორცება-გათავისების გამო ფერფლწაყრილი უწინდელი, საქართველოსეული გრძნობები და განცდები მეხსიერებიდან ამოვუტივტივე, გავუშიშვლე და ახლებურად გავუმძაფრე უკვე მივიწყებული მონატრების მწველი ფიქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რები. ეს მას ნამდვილად არ სჭირდებოდა, არც უნდოდა. არ უნდოდა უცნობი, შემთხვევით შეხვედრილ-დამგზავრებული თანამემამულისთვის გულის გადაშლა და განცდებსა თუ გრძნობებზე საუბარი, მაგრამ გრძნობდა, რომ ამას ვერ ასცდებოდა და, ალბათ, უფრო ამიტომაც ჩაფიქრდა. უხერხული სიტუაციის განმუხტვის მიზნით ჩემი მოსკოვური შთაბეჭდილებების მოყოლას შევუდექი:

- 1994 წლიდან მოსკოვში აღარ ვყოფილვარ. დიდი ძვრები მომხდარა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ქალაქი ხელმეორედ აუშენებიათ. ბევრი ცათამბჯენი გაჩენილა. ყოფითი ცხოვრებაც გაუმჯობესებული მეჩვენა. ხალხიც იმდენად მოღუშული და სასოწარკვეთილი აღარ ჩანს, ვიდრე კრიზისის პირველ წლებში...

საუბრის განყენებულ თემაზე გადატანა გოჩას მოეწონა, გამოცოცხლდა. ისე კი ნამდვილად მიხვდა, რომ ეს უხერხული სიტუაციის განმუხტვისათვის იყო გამიზნული.

- მართალი ბრძანდებით. მოსკოვსა და, საერთოდ, რუსეთის დიდ სამრეწველო ქალაქებში ცხოვრების დონე შესამჩნევი გახდა. ხალხის ყოფითი პირობებიც გაუმჯობესდა. ბევრმაც დააგროვა კაპიტალი, მაგრამ მკვეთრად თვალშისაცემია სიმდიდრის და, საერთოდ, მატერიალური დოვლათის არათანაბარი გადანაწილება მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის. ერთნი უსაშველოდ გამდიდრდნენ, მეორენი კი საგრძნობლად გაღარიბდნენ. განსაკუთრებით უჭირს სოფლის მოსახლეობას.

- რუსეთში თუ არსებობს მოსახლეობის საშუალო ფენა? როგორია მათი მატერიალური და სოციალური მდგომარეობა?

- კი, იგრძნობა საშუალო ფენის არსებობა, მაგრამ არასტაბილური და სუსტია. ამ ფენის წარმომადგენლები დაცული არ არიან. მსხვილ ბიზნესს შეუძლია, სულ ადვილად ჩაყლაპოს საშუალო და მცირე ბიზნესი ან, შეიძლება, ნებისმიერ დროს გააკოტროს.

- მაინც რატომ?

- რუსეთში კრიმინალური ბიზნესი, მონოპოლიებს შორის კარტელური გარიგება და სახელისუფლებო კორუფცია, საუბედუროდ, ჩვეულებრივი მოვლენაა. არ მუშაობს ანტიმონოპოლიური სამსახური. ხშირია რეკეტი და ყაჩაღური თავდასხმები. ამას ხელს უწყობს მთელს რუსეთში, განსაკუთრებით კი რეგიონებში, ხალხში ძველი, საბჭოური მენტალიტე-

ტისა და მიდგომების შენარჩუნება. ცხოვრების პირობებიც იგივე დარჩა, რაც მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში იყო...

- საბჭოური მენტალიტეტისა და აზროვნებისაგან თავის დაღწევა რატომ ვერ მოხერხდა?

- ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. ისე კი მიზეზი რუსული საზოგადოების თავისებურებებში და ტრადიციულ, ეროვნულ მენტალიტეტში უნდა ვეძებოთ. ზედა ფენები, ეგრეთ წოდებული, კომუნისტურ-პარტიული ნომენკლატურა ადრეც მიჩვეული იყო განცხრომით, ფუფუნებაში ცხოვრებას. მეოცე საუკუნის ბოლოსა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში რუსეთში კრიმინალი როგორ მძვინვარებდა, საყოველთაოდაა ცნობილი. სახელმწიფო ხელისუფლების სისუსტემ, ქვეყანაში შექმნილმა გაუსაძლისმა ეკონომიკურმა და სოციალურმა კრიზისმა განაპირობა ის, რომ მომძლავრებულმა კრიმინალმა შეაღწია უმაღლესი და რეგიონული ხელისუფლების ეშელონებსა და შტოებში. ერთი სიტყვით, მოხდა ხელისუფლებისა და კრიმინალის, კრიმინალისა და ბიზნესის შერწყმა... ამ საერთო განუკითხაობისა და მატერიალური დოვლათის დატაცება-გადანაწილების პირობებში უბრალო, მშრომელი ხალხი აღარავის ახსოვდა. ახლა მდგომარეობა საგრძნობლად შეცვლილია, მაგრამ საშუალო და მცირე ბიზნესი კვლავაც დაუცველი და ადვილად მოწყვლადია, როგორც არაკეთილსინდისიერი სახელმწიფო მოხელეების, ასევე დიდი ბიზნესისა თუ კარტელური გარიგებების მიმართ. კრიმინალი და კორუფცია ისევ რჩება ქვეყნის მთავარ პრობლემად და დღევანდელი ხელისუფლების მთავარ გამოწვევად... ამას ისიც ემატება, რომ საშუალო ფენისთვის ყოფითი ფასეულობების შენარჩუნება და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაა მთავარი. მათი მიზანია ისეთი პირობების შექმნა, რომ მაძღრად და უდარდელად იცხოვრონ. ხოლო დაბალი ფენა, რომელიც ადრეც არ იკლავდა თავს ცხოვრების პირობების და დონის რადიკალური გაუმჯობესებისათვის, ისწრაფვის, ჰქონდეს საცხოვრისი (როგორც აქ ამბობენ ხოლმე - თავს ზემოთ სახურავი) და სტაბილური საშუალო შემოსავალი. ამ ფენებში გავრცელდა მოთხოვნილებათა, ეგრეთწოდებული, „სამეულის“ პრინციპი:

რა დავლიო;

რა დავაყოლო (რა მივაჭამო არაყს);

ვისთან ერთად გავათიო ღამე (თუ მარტივად ვიტყვით, სექსუალური პარტნიორის ყოლა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას იზამ, ეს რუსი „ობივატელის” და „მეშჩანის” ჩამოყალიბებული მენტალიტეტია და ამას მყარი ისტორიული და სოციალური საფუძველიც აქვს.

- რაც შეეხება კრიმინალს?!

- კრიმინალი ძველებურად ყვავის, უფრო დახვეწილ და საშიშ ფორმებს იღებს.

- რას გულისხმობთ?

- რას და... რუსეთში, მეოცე საუკუნის ბოლოს რაც მოხდა, უკვე გითხარი - კრიმინალი შეერწყა ბიზნესსა და ხელისუფლებას, ესე იგი, კრიმინალური ავტორიტეტები უკანონო გზებით დაეუფლნენ ქონებას და ამჟამად უმდიდრესი ბიზნესმენები არიან, ხოლო უფრო განვითარებულმა, მოქნილმა და დახვეწილმა კრიმინალურმა ავტორიტეტებმა შეაღწიეს სახელისუფლებო ეშელონებში და თბილ სავარძლებში მოკალათდნენ. ახლა ისინი მსხვილი მესკუთრეები და ბიზნესმენები, გავლენიანი თანამდებობის პირები და პოლიტიკოსები არიან. ამიტომაა რომ, საუბედუროდ, რუსეთში დღესაც ყვავის როგორც ელიტარული, ასევე ყოფითი კორუფცია და მექრთამეობა.

- თქვენ თქვით, რომ საშუალო ფენისა და ბიზნესის მდგომარეობა არამდგრადია, შეიძლება ნებისმიერ დროს გაკოტრდესო. ეს რა მიზეზით შეიძლება მოხდეს?

- უბრალოდ, მსხვილი და საშუალო ბიზნესის ინტერესები თუ გადაიკვეთა, მსხვილი ბიზნესი თავისუფლად გადაყლაპავს უფრო მცირესა და დაუცველს, რადგან მის ხელშია როგორც სახელისუფლებო, ასევე ფინანსური სადავეები. მართალია, ანტიმონოპოლიური და ანტიკორუფციული სამსახურებიცაა შექმნილი, მაგრამ ისინი უსუსურნი და არაეფექტურები არიან.

მე და გოჩა საკმაოდ გავუშინაურდით ერთმანეთს, ამიტომ გადავწყვიტე უფრო კონკრეტული, ჩემთვის საინტერესო კითხვების დამესვა.

- ბატონო გოჩა! თქვენ დიდი ხანია რუსეთში ცხოვრობთ და მოღვაწეობთ?! აქ რა საქმით ხართ დაკავებული? - ვკითხე, მაგრამ ნაკლები იმედი მქონდა, რომ გულღიად მიპასუხებდა.

- მე, როგორც უკვე გითხარით, წარმოშობით ხაშურის რაიონიდან ვარ. მამაჩემი საბჭოთა მეურნეობის დირექტორი იყო. მშობლებს ქალვაჟი ვყავდით. როგორც ერთადერთი ვაჟი, ფუფუნებაში ვიზრდებოდი. მამის წყალობით ოჯახს არაფერი აკლდა. დავამთავრე საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით. მოგეხსენებათ, ეს სპეციალობა, იმ დროს, ერთ-ერთი პრესტიჟული და მოთხოვნადი იყო. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ჯარში გამიწვიეს. ქალაქ კრასნოირსკში, ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში ვმსახურობდი უმცროსი ოფიცრის რანგში. დემობილიზაციის შემდეგ სახლში დავბრუნდი. მამის წყალობით ხაშურის ერთერთ ქარხანაში დავიწყე მუშაობა. მეოცე საუკუნის ბოლოს, როგორც თვითონაც იცით, საბჭოთა კავშირი დაიშალა. ტრადიციული, საყოველთაო, სახელმწიფო საკუთრებაზე დაფუძნებული მეურნეობის დარგები, მათ შორის სოფლის მეურნეობის მართვისა და ორგანიზების საბჭოური სისტემა მოიშალა. ოჯახებში შემოსავალმა იკლო... სამუშაო ადგილები შემცირდა. ამას ჯერ ცხინვალის არეულობა დაერთო, შემდეგ კი აფხაზეთის ომი. მე, ფუფუნებასა და კარგ ცხოვრებას შეჩვეული, ვერ შევეგუე სიღარიბესა და უმუშევრობას. ჯერ საქართველოს სხვა ქალაქებში ვცადე ბედი, მაგრამ იქ დასაქმება ან რაიმე წარმატების მიღწევა ძალიან რთული აღმიჩნდა. ადამიანისგან მოითხოვდა გონებრივი და ფიზიკური ძალების მაქსიმალურ დაძაბვას. აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტი დღითიდღე მწვავდებოდა, საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადებაც არ იყო შორეული პერსპექტივა. ჩავთვალე, რომ ბედი და ცხოვრების საარსებო საშუალება საზღვარგარეთ უნდა მეძია. მაშინ საქართველოდან ამ მიზნით ბევრი წავიდა. განერიდა არეულობას, სიღარიბესა და უპერსპექტივობას. მეც გადავწყვიტე ჩემი უნარი და შესაძლებლობა რუსეთში მომესინჯა. უკეთესი და შედარებით იოლი ცხოვრების პერსპექტივები მხიბლავდა...

- კრასნოიარსკში, შორეულ ციმბირში, რა ბედმა გადაგაგდო?

- როგორც გითხარით, ჯარში კრასნოიარსკში ვმსახურობდი. ჩემი ნაწილის ერთ-ერთი ოფიცრის ქალიშვილთან ვმეგობრობდი. დემობილიზაციის შემდეგ რამდენიმე თვე მასთან დავრჩი. შეგვიყვარდა ერთმანეთი. ცოლად შერთვაზე თავი შევიკავე, ვინაიდან ჩემი მშობლები კატეგორიულად წინააღმდეგნი იყვნენ. მათ სურდათ ტრადიციული ქართული ოჯახი შემექნა. მეგობრულად დავშორდით. ერთმანეთთან მიმოწერა გვქონდა. როცა საქართველოში ვითარება აირია და ცხოვრება გაჭირდა, მაშინ ამ შანსის გამოყენება გადავწყვიტე. დავუკავშირდი. მოვილაპარაკეთ და 1992 წლის გაზაფხულზე კრასნოიარსკში ამოვყავი თავი. მშობლები სახლიდან წასვლაზე, რა თქმა უნდა, არ დამთანხმდებოდნენ, ამიტომ გავიპარე. პირველად იქაურ, როგორც სიცივეს, ასევე სოცია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლურ და ყოფით პირობებს ვერ შევეგუე, მაგრამ, როგორც იტყვიან - დრო ყველაფრის მკურნალიაო, ადამიანი კი ნებისმიერ პირობებს ეჩვევა. ამაში ისიც დამეხმარა, რომ მეგობარ ქალზე ვიქორწინე. ერთი სიტყვით, ბინა და თბილი ოჯახური გარემო მოვიწყვე. სიმამრის ნაცნობობის მეოხებით პრესტიჟულ სამშენებლო კომპანიაში, ინჟინრად დავიწყე მუშაობა. ეს კომპანია მაშინ სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა. ბედმა აქაც გამიღიმა და ქარხნის მთავარ ინჟინერთან, წარმოშობით ებრაელთან, დამაახლოვა. სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პერიოდში იქაური კანონიერი ქურდის, ეროვნებით ქართველის, მთავარი ინჟინრისა და ჩემი სიმამრის კავშირების წყალობით, ქარხანა კერძო სააქციო საზოგადოებად გადაკეთდა, რომლის აქციების ლომის წილი, ესე იგი, სააქციო საზოგადოების საკონტროლო პაკეტი სამეულის ხელში აღმოჩნდა. ერთი სიტყვით, მდიდარი და გავლენიანი ბიზნესმენი გავხდი. წელს კი, თუ ყველაფერი ისე აეწყო, როგორც ჩვენ ვგეგმავთ, კრასნოიარსკის გუბერნატორის მოადგილის პორტფელსაც მივიღებ.

- 1992 წლიდან მოყოლებული, საქართველოში თუ ყოფილხართ?

- არა. სიმართლე გითხრათ, არც დრო მქონდა, არც სურვილი...

- საქართველოში ამჟამად ნათესავები თუ გყავთ?

- როგორ არა. უფროსი და ჯერ კიდევ ჩემს წამოსვლამდე გათხოვდა. მისი ოჯახი, მოგვიანებით, თბილისში გადავიდა საცხოვრებლად. მშობლები, სანამ ჯანმრთელად იყვნენ, ხაშურთან ახლოს, სოფელში ცხოვრობდნენ, როცა მოხუცდნენ დამ და სიძემ გადაიყვანეს მათთან. სამი წლის წინათ ერთმანეთის მიყოლებით გარდაცვლილან. დამ დეპეშით მაცნობა, მაგრამ გასვენებაში ვერ ჩავედი.

- კი მაგრამ, მშობლების გასვენებაში, როგორ ვერ ჩახვედით, მშობლიური ან მშობლების წინაშე ვალდებულების გრძნობის ნატამალიც აღარ შეგრჩათ?..

- ეჰ! როგორ არა! მაგრამ ბიზნესს და ყოფით პრობლემებს თავი ვერ წავართვი. ძალიან განვიცადე. ბევრი ვინერვიულე. დის ოჯახსა და იქაურ ნათესავებს დეპეშით მივუსამძიმრე, სოლიდური თანხითაც ხელი წავახმარე...

- გასაგებია. გიფიქრიათ კი სამშობლოში დაბრუნებაზე, იქ ბიზნესის გადატანასა და ფულის დაბანდებაზე?

- სიმართლე გითხრათ, არა. თანაც საქართველოში, როგორც ჩემთვის ტელეგადაცემებითაა ცნობილი, ჯერაც არასტაბილური და არამდგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება და ბიზნესისათვის არა-ხელსაყრელი პირობებია.

- როგორ გეკადრებათ! ამჟამად საქართველო სტაბილური, უსაფრთ-ხო, კრიმინალისა და კორუფციისაგან თავისუფალი ქვეყანაა, მზარდი ეკონომიკით და ევრო-ატლანტიკური პერსპექტივით.

- რას ლაპარაკობთ! მიწებდაკარგული, ომწაგებული, დაბომბილი და გადამწვარი ქვეყანა და მისი სტაბილურობა?! არ მჯერა... კრიმინალისა და კორუფციისგან თავისუფალი?! ჩემი ღრმა რწმენით, ქართველები ქურდობასა და ქრთამის აღებას არასდროს შეეშვებიან. ვერ წარმო-მიდგენია!..

- კი ბატონო, ვერც წარმოიდგინოთ და არც დაიჯეროთ, ეს თქვენი ნება და საქმეა, არც თქვენს გადარწმუნებას ვაპირებ, ვატყობ, რუსულმა მასობრივმა და მიზანმიმართულმა, ტოტალურმა ანტიქართულმა პრო-პაგანდამ თქვენში ნაყოფიერი ნიადაგი ჰპოვა და მკვიდრადაც გაიდგა ფესვები, საერთო ჯამში ეს თქვენი პრობლემაა, არ დაიჯეროთ, თქვენი ნებაა, მაგრამ ეს სიმართლეა. ჭეშმარიტი რეალობა. მხოლოდ ისაა გუ-ლდასაწყვეტი, რომ თქვენი ისტორიული სამშობლოსა და მშობელი ერ-ის შესაძლებობების არ გჯერათ, მაგრამ ერთი რამ მინდა გკითხოთ: თუ საქართველოში იქნება მშვიდობიანობა, ბიზნესის კეთებისა და ფულის დაბანდების მშვიდი და მომგებიანი გარემო, სამშობლოში დაბრუნდე-ბით და ფულს დააბანდებთ?

- სიმართლე თუ გინდათ, მე ამ თემაზე არც მიფიქრია... მაგრამ თუ ქვეყანაში უსაფრთხო ვითარება იქნება, სოციალურ-ეკონომიური გარე-მო კი - სტაბილური, მაშინ შეიძლება დავფიქრდე...

- მანამდე?!

- მანამდე? აქ სერიოზული ბიზნესი მაქვს. მყავს ოჯახი. ცხოვრება მა-ქვს აწყობილი.

- შვილები თუ გყავთ?

- რა თქმა უნდა, ქალ-ვაჟი. უკვე სტუდენტები არიან.

- შვილებს საქართველო თუ გააცანით, ქართული ენა თუ იციან?!

- საიდან?! ისინი საქართველოში საერთოდ არ ყოფილან, მე კი არც დრო და არც საშუალება მქონდა, მათთვის ქართული მესწავლებინა. ისე კი, რომც სცოდნოდათ, რუსეთში რაში გამოადგებათ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოჩას უგემურმა და უგერგილო პასუხმა, მშობლიური ენისადმი გულგრილმა და აგდებულმა დამოკიდებულებამ განმაცვიფრა და შემძრა. დიდი ძალისხმევა დამჭირდა, საუბარი მშვიდად გამეგრძელებინა.

- კრასნოიარსკში თუ ცხოვრობენ ქართველები?

- კი, არიან, კიდევ სამნი. ყველას კრიმინალური წარსული აქვს. სასჯელის მოხდის შემდეგ იქ დარჩნენ. იქაური ცოლები ჰყავთ. მათმა შვილებმაც არ იციან ქართული ენა. საერთოდ კი, რუსეთში მცხოვრებ ქართველებთან, გარდა ჩემი ბიზნესპარტნიორისა, რაიმე კონტაქტი არ მაქვს. ვერიდები, არც სურვილი გამაჩნია.

- როგორ ფიქრობთ, რუსეთში, საერთოდ, ბევრი ქართველი ცხოვრობს?

- რა თქმა უნდა, ჩემი მონაცემებით, თითქმის მილიონამდე არიან.

- გასაგებია. საწყენად ვერ გკადრებთ, მაგრამ ერთი უნდა გკითხოთ: როგორ ფიქრობთ, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებაზე, ქვეყნის ფეხზე დადგომა-დაყენებაზე, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე, სახელმწიფოებრიობის განმტკიცება - განვითარებაზე ვინ უნდა იზრუნოს? და კიდევ, სხვა მრავალი საქმე ვინ უნდა აკეთოს?

- რა, საქართველოს ხალხი შემოაკლდა? დაჩიავდით თუ გადაშენდით?!

- ღმერთმა ნუ ქნას, საქართველოს შემოაკლდეს ქომაგი და მზრუნველი, მაგრამ თქვენ თუ გიფიქრიათ, თქვენი წილი ღვაწლი დაგედოთ და ერთი აგური მაინც მიგეტანათ ქვეყნის აღმშენებლობის ბალავარზე?

- მე ჩემს საქმეს აქ ვაკეთებ. თქვენ კი თქვენი საქმე იქ გააკეთეთ. რა პრობლემაა?!

- მართალია, არაა პრობლემა, მაგრამ თქვენ თუ არა, მაშინ ვინ?! - სინანულით ვკითხე.

- თქვენ, ვინც საქართველოში ხართ. ყველამ თავის საქმეს მიხედოს და, საერთოდ, თავი დამანებეთ! ჩვენი შეხვედრა და გაცნობა არ მინდა ვინანო!..

- სამშობლოზე ზრუნვა ყველა ქართველის ვალია, განურჩევლად კუთხური წარმომავლობისა, ცოდნა-გამოცდილებისა, ფინანსური თუ სოციალური მდგომარეობისა და სხვა. კი გსმენია, ალბათ: „სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა!..”

- რა გინდათ მაგით თქვათ, მანამუსებთ თუ მძრახავთ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

- როგორ გეკადრებათ. მე რა უფლება მაქვს, ვინმე განვსაჯო! ეს მხოლოდ უფლის ხვედრი და უფლებაა! მე მხოლოდ ჩემი გითხარით. ვიფიქრე, მაქვს მორალური უფლება თანამემამულეს და მოყვასს ჩემი და მისი ვუთხრა - მეთქი. ხომ გსმენიათ წინაპართა თქმული: "მოყვარეს პირში უძრახე, მტერს კი პირის უკანაო"...

- მსმენია, მერე რა ბედენაა!!! მე ჩემი ცხოვრება მაქვს, სხვას მისი, ყველამ თავის „მამიდას" მიხედოს! - უეცრად აენთო, წამოიყვირა, მაგიდაზე ნერვიულად ხელი დაჰკრა, ისარნაკრავივით უკან გადაქანდა, შეტორტმანდა, დამდუღრულივით წამოვარდა საწოლიდან, სიგარეტი და სანთებელა მუჯში ჩაბღუჯა და კუპედან გავარდა.

სახტად დავრჩი. ერთი პირობა მეც გული მომივიდა, მაგრამ თავი შევიკავე... თითქმის ნახევარი საათი ველოდი გოჩას მობრუნებას, მაგრამ ამაოდ. ბოლოს იმედი გადამეწურა. მადა წამიხდა. ნარჩენი სურსათი პარკებში ჩავაწყვე და სამგზავრო ჩანთაში ჩავალაგე. საწოლი ისევ გავშალე. ვერა და ვერ დავმშვიდდი. სამშობლოსა და ყოველივე მშობლიურისადმი ასეთმა გულგრილმა და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებამ შემძრა და აღმაშფოთა. ბოლოს მაინც სულმა წამძლია. ვერ მოვითმინე და კუპედან გავედი. გოჩას მოძებნა მომინდა. გარკვეულწილად, მორალური თვალსაზრისით მაინც, მე ვიყავი დამნაშავე. არამკითხე მოამბესავით დავანამუსე და ავაფორიაქე. გავაბრაზე. განა ყველას და ყველაფერს მე გავასწორებ, ჯანდაბამდე გზა ჰქონია მეთქი, - ერთი პირობა ვიფიქრე, მაგრამ მაინც მოვძებნე. ვაგონის ბოლოში, ტამბურში დავლანდე, სიგარეტს აბოლებდა და ისევ ელექტროგადაცემისა და ტელეგრაფის „მორბენალ" ბოძებს „ითვლიდა"... კუპეში შევბრუნდი. ვიცოდი, ვერ დავიძინებდი. გოჩასთან საუბარი აღარ მინდოდა. გული მეტკინა, მეწყინა.

ერთხან ვიწრიალე, ვიბორგე. ვერა და ვერ დავმშვიდდი. თავი მიბრუოდა. ბოლოს მატარებლის ბორბლების მონოტონურმა ტაკა-ტუკმა და არაყმა თავისი ქნეს...

ზოგადად, არ მჩვევია მოუწესრიგებელი სახლიდან გასვლა. ახლაც, ვაგონის გამცილებელს ადრევე ვთხოვე, დაგომისის სადგურის გავლის შემდეგ გავეღვიძებინე. დათქმულ სადგურზე გამაღვიძა. თვალი შევავლე ღამეული თანამემამულის საწოლს. ის ალაგებული დამხვდა. გამცილებელს გოჩას საწოლზე ვანიშნე, ის რა იქნა, მეთქი. სადგურ ბელორეჩენსკაიაში ჩავიდაო, - ბედნიერი დილა მისურვა და კუპედან გავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ვინ ვარ, ან ვინ მომცა უფლება, ვინმე განვსაჯო, ეს მხოლოდ უფლის მადლი და ნებაა, მაგრამ ჩემი კაცთმოყვარე და შემწყნარებელი გულის, გრძნობების და საღი აზრის მიუხედავად, გონებიდან ვერ ამოვიგდე აბეზარად აკვიატებული, ერთი ჭეშმარიტად პრაქტიკული, სხარტი გამონათქვამი: „ჩასაძირად განწირულ გემს, პირველები ვირთხები ტოვებენო"... ნეტა, თუ ეს სიმართლეა?! პირველივე შესაძლებლობისთანავე გამოცდილ მეზღვაურებს უნდა ვკითხო...

გოჩას გულგრილობითა და უღვიძლობით ისე ვიყავი შეძრწუნებული და განადგურებული, რომ არაფერი არ მინდოდა, არაფერი არ მახარებდა. დადარდიანებული ჩავედი ქალაქ სოჭის რკინიგზის სადგურის ბაქანზე. მაშინვე ტაქსი ვიქირავე და საზღვაო ნავსადგურში გადავედი. სოჭი-ბათუმის მიმართულებით მიმავალ სწრაფმავალ კატარღაზე ბილეთი შევიძინე და უკვე საღამოს, უფრო სწორად შებინდებისას, მშობლიური საქართველოს სანაპიროებს ვუახლოვდებოდი!..

გემბანზე გამოვედი. მშობლიურ მთებს შორიდან შევავლე თვალი. გული მომილბა. გუნება გამომიკეთდა და სულმნათი აკაკის უკვდავი სიტყვები ამომიტივტივდა მეხსიერებიდან... რაც ყველაზე მეტად მაწვალებდა მთელი გზა, რის მიმართაც ვერ ვაპატიე ჩემს გულგრილ, გულქვა და გადაგვარებულ ქართველს, სწორედ იმ გრძნობამ ამოფეთქა ჩემი გულიდან, სითბო სულში ჩამეღვარა, მთელს სხეულში ძარღვ-ძარღვ დამიარა და ავღიღინდი:

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო..."

ერთი თვე დავყავი რუსეთში, მაგრამ სამშობლო, მშობლიური გარემო, ოჯახი და ახლობელ-ნათესავები მომნატრებოდა, თანაც ძლიერ.

მშობლიური გარემო და ოჯახური იდილია სულ სხვა რამაა. ყველას უყვარხარ, ყველას ენატრები!..

ის საღამო შინ გავატარე. ახლობლების დანაბარებისა და მოსკოვური შთაბეჭდილებების თხრობაში შუა ღამეც წამოგვეპარა...

გვიან წავედი დასაძინებლად, მაგრამ ვერა და ვერ დავიძინე. გამახსენდა მატარებელში შეხვედრილი ქართველი, თანამემამულე, მასზე დასმული კითხვა: - შენ თუ არა, ვინ?!. და მისი უღვიძლო, უსისხლო და გუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლგრილი, ნიჰილიზმითა და სარკიზმით აღსავსე მსჯელობები თუ მოსაზრებები...

გული ისევ შემეკუმშა. ისევ აკვნესდა. ისევ ჩამეღვენთა ტვინში ერთი წვეთი სისხლი... პასუხგაუცემელი ერთი კითხვა სულს მიფორიაქებდა: - ნეტა, გოჩასთანა ქართველები კიდევ ბევრნი არიან?

კი, ქართველები ემიგრაციაში ბევრნი არიან. მარტო რუსეთში თითქმის მილიონამდე იქნება. ეს გოჩამაც დამიდასტურა. ახლა ამას მივუმატოთ უკრაინაში, თურქეთში, საბერძნეთში, ამერიკაში თუ ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში წასული ჩვენი თანამემამულეები და შესაზარი ციფრს მივიღებთ. ქვეყნის მოსახლეობა, მასობრივ ემიგრაციამდე, ხუთმილიონნახევარი იყო. აქედან ეთნიკური ქართველების ხვედრითი წილი 70 პროცენტს არ აღემატებოდა. გამოდის, რომ ბოლო 25-30 წლის განმავლობაში საქართველოს ყოველი მეხუთე მოქალაქე გასულია საზღვარგარეთ. მათგან თითქმის ერთი მილიონი ეთნიკური ქართველია, ესე იგი თითქმის მეოთხედი ემიგრაციაშია წასული. ისინი ოდესმე თუ დაბრუნდებიან?..

საუბედუროდ, გოჩასნაირებიც ბევრნი იქნებიან...

გამახსენდა გოჩას ნათქვამი: - საქართველოში როდის იქნება სტაბილურობა, მიმზიდველი სოციალურ-ეკონომიკური გარემო? როდის შეიქმნება ბიზნესის წარმოებისა და ფინანსების დაბანდების ხელსაყრელი და მომგებიანი პირობები?! ჯერ ბოლომდე დააწყვეთ ქვეყანა, გაატარეთ რეფორმები და მერე ვიფიქრებ ჩამოსვლაზე, მანამდე იქ რა მინდაო... ის რუსეთში ისედაც კარგად მოეწყო და ბედნიერადაც ცხოვრობს.

უცხოეთში გადახვეწილი ბევრი ჩვენებური კარგად მოეწყო, ფუფუნებასა და განცხრომაში ცხოვრობს, ცნობილი ბიზნესმენი და წარმატებული სპეციალისტია, მაგრამ, სამწუხაროდ, არაპატრიოტულად, არაქართულად აზროვნებს...

კი ბატონო! თქვენთვის, როგორც გავიგეთ, ყოფითი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება და ფუფუნებაში ცხოვრებაა მთავარი, მაგრამ თუ გიფიქრიათ, თუ ერთხელ მაინც საკუთარი თავისთვის დაგისვამთ კითხვა, ან თუ დაინტერესებულხართ: ვინ უნდა დაამყაროს საქართველოში მშვიდობა? ვინ უნდა შექმნას სამუშაო ადგილები, სტაბილური სოციალურ-ეკონომიკური გარემო? ააღორძინოს ქვეყანა, რომ შენ ჩამოხვიდე, მზამზარეულად შექმნილი სამუშაო ადგილი დაიკავო, ხელსაყრელ ბიზნესგარემოში ფული დააბანდო, მოიგო და ღირსეულად იცხოვრო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავში კვლავ მიტრიალებს აკვიატებული კითხვა: შენ თუ არა, ვინ?!

„ჩემო“ გოჩა, შენ უცხო ქვეყანას შეეკედლე და ის გაიხადე მშობლიური და შეესისხლხორცე კიდეც, ამიტომ შენთვის გასაგებ ენაზე ორ ანდაზას შეგახსენებ: პირველი - „სვიატოე მესტო პუსტო ნე ბივაეტ” (წმინდა ადგილი ცარიელი არ რჩება) და მეორე - „ზაბროშჩენნუიუ ცერკოვ ჩიორტი ოვლადელი” (მიტოვებულ ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენ)... გსმენია, ალბათ...

მოდი, ახლა, გავარჩიოთ ამ ორი ანდაზის არსი:

პირველი ანდაზა გვეუბნება: - წმინდა ადგილი ცარიელი ე.ი. უპატრონო არ რჩებაო. ხომ დამეთანხმები, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა - საქართველო მართლაც რომ წმინდა და მადლიანი ადგილია - შესანიშნავი ბუნებრივი და კლიმატური პირობებით, ჯანსაღი ბუნებითა და წყლით, თბილი, ლურჯი ზღვითა და ზურმუხტი, თვალწარმტაცი მთაბარით, ნაყოფიერი და უხვმოსავლიანი მიწით, ეკოლოგიურად სუფთა და ბიოლოგიურად საიმედო მოსავლით, კიდევ ვინ მოსთვლის, რა სიკეთითაა შემკული... როგორ გგონია - უმადურ და უსისხლო ქართველთაგან დაცარიელებული და მიტოვებული მიწა-წყალი, მართლაც ხილული სამოთხე და ედემის ბაღი, ცარიელი დარჩება?! როგორ გგონია, ვინმე არ დაეპატრონება შენს მიერ მიგდებულ-მიტოვებულს?!..

მეორე ანდაზა გვეუბნება: - მიტოვებულ ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო. რატომ გგონია, რომ ამ მიწაზე მაინცდამაინც პატიოსანი უცხოელი მოვა? მოვა, შენს მიერ მიტოვებულ ბარაქიან ქართულ მიწაზე დასახლდება, დააწყობს ქვეყანას, ააღორძინებს ქართულ სოფელს, ააშენებს ინდუსტრიულ ზონებსა თუ საკურორტო ინფრასტრუქტურას, შექმნის ღირსეულ, მაღალანაზღაურებად სამუშაო ადგილებს და სულგრძელად დაგიძახებს, გიხმობს, ნებაყოფილებით და სულ ფერებ-ფერებით, ხვევნა-კოცნით გამოგემშვიდობება, დაგითმობს, ჰუმანურობით გაცისკროვნებული დაგიტოვებს მის მიერ შექმნილ დოვლათსა და სხვა მატერიალურ სარგებელს და თვითონ ისევ თავის ისტორიულ სამშობლოში დაბრუნდება?!.

ნურას უკაცრავად! ის თუ შექმნის დოვლათს, ააღორძინებს და აამუშავებს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას, ააშენებს ინდუსტრიულ თუ ტურისტულ ინფრასტრუქტურას, ის თუ ჩვენს ქვეყანაში ცხოვრების ნორმად კანონის უზენაესობას დაამკვიდრებს და სამართლიანი ცხოვრების წესს დაადგენს, ამას მხოლოდ თავბისთვის და თავისი შთამომავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობისთვის გააკეთებს! მაშინ კი ნამდვილად გვიანი იქნება დაბრუნება! იქ შენი ადგილი აღარასოდეს იქნება! იქ შენ აღარავის დასჭირდები! ახლოსაც არ მიგიშვებენ, არ მიგაკარებენ.

ნუთუ, არ წაგიკითხავს ვაჟა ფშაველას უკვდავი პოემა - „ჰაოს და ქართლოს", არ ჩაწვდომიხარ მის არსს?..

ვერც გავბედავ, წარმოვიდგინო და, ღმერთმა დამიფაროს, წამიერად აზრმაც რომ გულსა და გონებაში გამკრას - აქ დარჩენილმა ქართველებმა, ჭეშმარიტად პატრიოტმა მამულიშვილებმა, დავუშვათ, რომ შენს მიერ მიტოვებულ სამშობლოს ეშმაკებმა დაეპატრონონ... მაშინ აღარც ჩვენ ვიქნებით... შენს შესაძლო დაბრუნებაზე ხომ ფიქრიც ზედმეტი იქნება!..

ერთი წამით წარმოიდგინე: აქ დარჩენილები უშენოდ, შენს დახმარებასა და თანადგომას მოკლებულები, მტერმა რომ მართლა დაგვიმორჩილოს და სამშობლო წაგვართვას, მაშინ რა იქნება?!. რას იტყვი?! ვის გაამტყუნებ, ვის რას დააბრალებ?!

ისიც მინდა შეგახსენო: უშენოდ დარჩენილს მტრებმა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მძლიეს, მშობლიური მიწის ოცი პროცენტი წამართვეს, ძირძველ ქართულ მიწაზე ძირძველ მკვიდრ მოსახლეობას მოუწყეს ენით აუწერელი მხეცობა და გენოციდი, ნახევარ მილიონამდე ეთნიკური ქართველი და სხვა ეროვნების საქართველოს მოქალაქე გამომიყარეს მამა-პაპური სახლებიდან!.. ცეცხლითა და მახვილით აჰყარეს მშობლიური მიწა-წყლიდან და ახლაც ლტოლვილობასა და უიმედობაში ეწევიან უსაშველოდ მძიმე და დუხჭირი ცხოვრების ჯაპანს...

იცი ამის შესახებ, მაგრამ მეეჭვება, ისინი შეგბრალებოდა, პროტესტის ნიშნად რაიმე მოგემოქმედა ან მატერიალურად დახმარებოდი, ან საპროტესტო აქცია ჩაგეტარებინა მაინც!..

მაგრამ, შენ ხომ შენს დოვლათს და ბიზნესს უფრთხილდებოდი, შენს, საქართველოსთვის დაკარგულ, გაუცხოებულ და გადაჯიშებულ შთამომავლობას ეფერებოდი!..

როგორ გძინავს იმ შეგნებით, რომ შენი შვილები აღარ არიან ქართველები?! არ იციან ქართული ენა, საქართველოს ისტორია, ქართული მრავალსაუკუნოვანი კულტურა, წეს-ჩვეულებები, არ ესმით ქართული მორალის, ზნეობის, ღირსების... ისინი ქართულად ვერ აზროვნებენ. მათ გული არ შეუტოკდებათ და ხელი არ აუკანკალდებათ, თუ ოდესმე, საქართველოს მტრების ჯარში იმსახურებენ და შენი დაობლებული სამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შობლოს დასაპყრობად, მისი წინაპრების საფლავების ამოსათხრელად და ქართული გენისა და ჯიშის ამოსაგდებად გამოგზავიან!.. როგორ ფიქრობ, ამას არ გააკეთებენ? გააკეთებენ! იმიტომ, რომ მათ საქართველო არ სტკივათ და არც ეტკივებათ. მათთვის საქართველო ისეთივე ცივი და უცხო იქნება, როგორც არქტიკა თუ ანტარქტიდა. ხოლო ქართველები მათთვის ისეთივე მშობლიური ხალხი იქნება როგორც პაპუასები ან ავსტრალიის აბორიგენები. გიფიქრია ამაზე შენ?! საშოვარს გადაყოლილო ქართველო თუ უკვე ნაქართველარო?..

სამშობლოსა და ერის სახელით, თავს უფლებას მივცემ გკითხო: - ვინ მოგცა უფლება, საქართველოს, ქართველ ერს საკუთარი გენი, ხორცი და სისხლი წაართვა და გააუცხოვო? ვინ მოგცა უფლება, შენს სახელოვან და საარაკო გმირ წინაპრებს შთამომავლობა გადაუჯიშო და მოუსპო?! გიფიქრია ამაზე?! თუ გაგიაზრებია ეს ერთხელ მაინც?!.

ნუთუ ბოლომდე წაგბილწა ავადსახსენებელი ანდაზის არსმა: ” სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო”. არ დაგავიწყდეს, გოჩა, იმ ქვეყანაში, რომელსაც შენ მიეტმასნე, შენთვის უცხო და ურგო ”დედობილის” ძუძუს მიები და შენეული სიამოვნებით, ხარბად, ქლოშინ-ქლოშინით წოვ, ანტიკავკასიური და ანტიქართული განწყობები დღითიდღე ღრმავდება. ერთ მშვენიერ დღეს რომ გაახსენდეთ შენი კავკასიელობა და ქართველობა, აგიკრან გუდა-ნაბადი და გამოგაგდონ, სად წახვალ?.. უსამშობლოდ და უძიროდ დარჩენილი ბოშასავით იწანწალებ ქვეყანა-ქვეყანა მთელი ცხოვრება და სად ამოგხდება ცოდვილი სული და შენი უსისხლო გული სად შეწყვეტს ცემას, არ გეცოდინება, თუ გიფიქრია ამაზე შენ?!

უფლება გაქვს შემეპასუხო: მე ხომ იმ ქვეყნის მოქალაქე ვარ?!. ამაზე, ერთ, ისევ მაგ ქვეყნის ხალხის მიერ შეთხზულ ანეგდოტს მოგიყვები:

„აბრაამი გახარებული მივიდა სახლში და სარას ახარა:

- სარა, ძირფასო, როგორც იქნა ამ ქვეყნის მოქალაქებობა მივიღე, აი პასპორტიც! დღეის შემდეგ ვეღარ წამომძახებენ, შენ ებრაელოო, და სადარბაზოების ბნელ კუთხეებში, ჩემი ებრაელობის გამო, ვეღარ დამხვდებიან და გამლახავენ!

სარა არც დაფიქრებულა, ისე მიაძახა:

- ეეხ! საცოდავო აბრაამ, სკინჰედები და შოვინისტურად განწყობილი ახალგაზრდობა პასპორტს არ კითხულობენ, პირდაპირ სიფათში ურტყმენ”. ესე იგი, ებრაულ სიფათს პასპორტი ვერ შეგიცვლისო,- ამას გული-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხმობდა სარა. მგონი ყველაფერს მიმიხვდი, რაც მინდოდა შენთვის მეთქვა...

თუ ყველა შენსავით მოვიქცევით, არ ვიაზროვნებთ სახელმწიფოებრივად და არ ვიღვაწებთ ერთიანი და ძლიერი საქართველოს საკეთილდღეოდ, დაიმახსოვრე: - დადგება დრო და მსოფლიო ხალხთა რუკაზე ახალი რეალობა და ახალი ტერმინი გაჩნდება. ჩვენს ქვეყანას მომხვდური სახელსაც გამოუცვლის... ნეტავი, ამის მაგალითები არ გვაქვს ჩვენს სამეზობლოში თუ: ისტორიული ბიზანტიისა და რიგ ქართულ ტერიტორიებზე ახლა თურქეთია, ალბანეთისაზე - აზერბაიჯანი, სომხითისაზე - არმენია, ხაზარ-ყივჩაღებისაზე - რუსეთის პროვინციები და სხვა მრავალი!.. გაქრება ქართული სახელმწიფო და ქართველი ერი. განა, ჩვენზე დიდი სახელმწიფოები არ წაშლილან, ან ჩვენზე ურიცხვი და ძლიერი ერები არ გადაშენებულ-ამოწყვეტილან?!

შენ ქართულ სკოლაში გისწავლია და ქართული ისტორიის გაკვეთილებზე გივლია. შენს მეზობლად სურამის ციხეც არ გინახავს?! შე დალოცვილო, შესანიშნავი ქართული ეკლესია-მონასტრებისთვის ერთხელაც არ შეგივლია თვალი და არ დაინტერესებულხარ, ვინ, როდის ან როგორ ააგო ისინი?! ნუთუ, არ იცი, რა ისტორიულ ქარტეხილებს გადაურჩა შენი წინაპარი! სკოლაში არ გისწავლია?! არც გსმენია?! რა, შენი წინაპრები ყოველთვის დალხენილი, გალაღებულები ფუფუნებაში ცხოვრობდნენ?! ვერ დავიჯერებ, რომ არ გსმენია, ვერ დავიჯერებ, რომ არ იცი და შენს გონებაში ეს ყველაფერი არ აღბეჭდილა, არ დალექილა... საკმაოდ ჭკვიანი და გამჭრიახი გონების, პრაქტიკული უნარებისა და თეორიული ცოდნის პატრონი რომ არ იყო, უცხო გარემოსა და ხალხში ფეხს ვერ მოიკიდებდი, ვერ დამკვიდრდებოდი, ვერ გახდებოდი ცნობილი და მდიდარი ბიზნესმენი, შესანიშნავი მეცნიერი, ექიმი, ინჟინერი და კიდევ ვინ იცის, რა ძვირფასი პროფესიისა თუ მეცნიერების რომელი დარგის მუშაკი!..

აქ საქმე უფრო რთულად უნდა იყოს!..

ბევრი მიფიქრია, ღამეები მიტეხია, ბევრი წამიკითხავს და მიჩხრეკია, მდომებია, ჩავწვდომოდი ჩვენი უბედურების მიზეზებს, თორემ შედეგები უჩემოდაც კარგად იცი.

დიდი მოწიწებით, ჩემო მკითხველო, ბოდიშს მოგიხდი და გაგიბედავ ჩემი სუბიექტური აზრის მოძრაობას: პრობლემათა პრობლემის სათავე ჩვენში, ჩვენს ცნობიერებაში დევს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა შევძლოთ, მომხმარებლური ცნობიერება შევცვალოთ მეპატრონის ცნობიერებით!!!

ჩვენში მომხმარებლური ცნობიერების ჩამოყალიბება დაიწყო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში „შესვლიდან" (კარგად აქვს ახნილი სულმნათ ჭაბუა ამირეჯიბს „დათა თუთაშხიაში" და განმეორებას არ შევუდგები) და, საბოლოოდ, დამკვიდრდა კომუნისტური რეჟიმის სამოცდაათწლიანი ბატონობის პირობებში. კომუნისტური იდეოლოგია იყო ფილოსოფიურ-პოლიტიკური მწყობრი თეორია, რომლის ფუნდამენტური საყრდენი და პლატფორმა იყო პროლეტარიატის (უქონელთა) დიქტატურა და საერთო სახელმწიფო საკუთრება, როგორც მიწაზე და წიაღისეულზე, ასევე წარმოების საშუალებებზე. სახელმწიფო განაგებდა ყველაფერს: საკუთრებას, წარმოებას, მატერიალური დოვლათის შექმნის მთელ ციკლსა და განაწილებასაც. ამ სისტემას იდეოლოგიურად ამაგრებდა ფილოსოფიური დოგმატი - დიალექტური მატერიალიზმის მთავარი მცნება: „ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას" და არა პირიქით - "ცნობიერება განსაზღვრავს ყოფიერებას" (ეს იდეალიზმის მთავარი მცნებაა, რომელსაც გადაგვარებადი და გახრწნადი იმპერიალიზმისა და კაპიტალიზმის შიშით გვაიძულებდნენ, უარგვეყო), რაც გულისხმობდა ღმერთის გმობას, ადამიანის თავისუფალი ნების გამოხატვის დათრგუნვასა და სხვა მრავალს...

კერძო საკუთრების მოსპობამ და საერთო სახელმწიფო საკუთრების დამკვიდრებამ მოშალა ქართული ტრადიციული მეურნეობა - ქართველი ადამიანი მოწყვიტა მიწას. ის აღარ იყო მესაკუთრე. ის შრომობდა და მოიხმარდა მის მიერვე შექმნილ დოვლათს პრინციპით: „თითოეულისაგან უნარის მიხედვით, თითოეულს გაწეული შრომის მიხედვით", ესე იგი, საერთო დოვლათიდან მიიღებდი იმდენს, რამდენსაც შეიძენდი შენს მიერ ჩადებული შრომის ანაზღაურებით (თავის დროზე უტრირებული პერიფრაზიც კი გაჩნდა - „ვინც არ შრომობს, ის არჭამსო"). თან გვპირდებოდენ, რომ უახლოეს მომავალში კომუნიზმს ავაშენებდით, სადაც საერთო ძალისხმევით შექმნილი დოვლათი ყოველ ადამიანზე გადანაწილდებოდა პრინციპით: -

"თითოეულსაგან უნარის მიხედვით, თითოეულს მოთხოვნილების მიხედვით", - რაც გულისხმობდა, რომ იმუშავებდი უნარის მიხედვით, ხოლო საერთო დოვლათიდან მიიღებდი შენი მოთხოვნილების შესატყვისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა სფეროში, მათ შორის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ცენტრალიზებული დაგეგმვის პრინციპის დანერგვამ ადამიანში, ჩაკლა თავისუფალი ნება. ადამიანს რაციონალური იდეების წამოყენებისა და ინიციატივის უფლება ფაქტობრივად ჩამოერთვა. ის მხოლოდ მისდადაუკითხავად სხვის მიერ დაგეგმილის უსიტყვო შემსრულებელი გახდა. ყველაფერი წინასწარ გაწერილი იყო. ადამიანს მხოლოდ კეთილსინდისიერად უნდა ეშრომა და საერთო ძალისხმევით შექმნილი დოვლათიდან მიიღებდა დამსახურებისა და შრომის ნაყოფიერების მიხედვით. ეს ეხებოდა ცხოვრების ყველა სფეროს. ბევრისთვის გაუგებარი იყო ის გარემოებაც, რომ საერთო დოვლათიდან მის წილად მოიაზრებოდა უფასო განათლება, უფასო საყოფაცხოვრებო თუ სამედიცინო მომსახურება, საბინაო-კომუნალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება...

ბევრი, რომ არ გავაგრძელოთ, საბჭოთა, კომუნისტური იდეოლოგიით აღზრდილი ადამიანი იყო მხოლოდ მომხმარებელი და არა საერთო ძალისხმევით შექმნილი დოვლათის პატრონი ანუ

კონკრეტულ პიროვნებას არავინ ეკითხებოდა, თუ როგორ უნდა გადანაწილებულიყო, ან როგორ უნდა მოეხმარათ საერთო ძალისხმევით შექმნილი დოვლათი.

ამ მიდგომამ განაპირობა შესაბამისი ფსიქოლოგიისა და ზნეობის ჩამოყალიბება. მოკლედ რომ ვთქვათ, არაკეთილსინდისიერ და გაიძვერა პირებს საერთო დოვლათის ხარჯზე უკეთ მოწყობისა და ფუფუნებით ცხოვრების დაუოკებელ სურვილს აღუძრავდა. ამან, თავის მხვრივ, გამოიწვია მანკიერი მოვლენებისა და ქმედებების დამკვდრება, როგორებიცაა: სპეკულაცია, საერთო ქონების უკანონოდ მითვისება, საერთო ქონების არამიზნობივად ხარჯვა და გაფლანგვა, ქრთამის აღება, კორუფცია, მიწერები და კიდევ ვინ მოსთვლის რა...

საზოგადოების ყველა ფენაში გაჩნდნენ სხვის ხარჯზე ცხოვრების მიმდევრები შესაბამისი ფსიქოლოგიით, ზნეობით, მიდრეკილებებითა და თანმდევ მანკიერებათა პრაქტიკული გამოვლინებების ფართო სპექტრით.

მაშინდელი საზოგადოების საგრძნობი ნაწილი მორალურად გაიხრწნა. სულიერად გადაგვარდა. ბევრი მიეჩვია პარაზიტულ ცხოვრებას. პატიოსანი ნაწილი კი თავის შესაძლებლობებს აღარ ენდობოდა. სამართლიანობისა და მომავალი ბედნიერი ცხოვრების აღარ სჯეროდა. მავანი მეშჩანი და ობივატელი კი ცხოვრობდა იმედით, რომ მოვიდოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთილი ბიძია და მის მაგივრად იმუშავებდა, ფულს თუ ცხოვრების სხვა საშუალებას მუქთად მისცემდა, მოუგვარებდა ფინანსურ თუ სხვა ყოფით პრობლემებს...

რელიგიისა და რწმენის დევნა-შევიწროვებამ საზოგადოების დიდი ნაწილი სულიერად გადააგვარა. არავინ დაგიდევდა ათი მცნების განუხრელი დაცვის აუცილებლობას, მადლის კეთებას, ცოდვათა გათავისებას და მონანიებას თუ განკითხვის ჟამს გარდაუვალ პასუხისგებას.

ასე ცხოვრება აღარ შეიძლებოდა...

ამ და სხვა საშინაო თუ საგარეო პრობლემათა თუ მოვლენათა ერთობლიობამ განაპირობა საბჭოთა კავშირში რევოლუციის წინაპირობები. ესე იგი, შეიქმნა ვითარება, როცა ქვედა ფენებს აღარ სურდათ ძველებურად ცხოვრება, ხოლო მმართველ წრეებს აღარ ძალუძდათ ძველებური, დრომოჭმული ფორმებითა და მეთოდებით საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვა და ხალხის მზარდი უკმაყოფილების თუ მოთხოვნილების დარეგულირება-დაკმაყოფილება.

ყოველივე ეს დამთავრდა ერთიანი, „ძმური და მეგობრული" საბჭოთა სახელმწიფოს დაშლით...

ქართველი ერი ყოველთვის თავისუფლებისმოყვარე იყო. ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ცდა და ძალისხმევა არ მიუკლია, მოეპოვებინა ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, შეექმნა საკუთარი სახელმწიფო და ეროვნული კანონებითა და პრინციპებით ეცხოვრა.

საქართველოს მოწინავე საზოგადოებამ და პატრიოტულად განწყობილმა ძალებმა მოხერხებულად გამოიყენეს შექმნილი ვითარება, გონივრულად ისარგებლეს საბჭოთა კავშირში შექმნილი რევოლუციური სიტუაციით და ჩვენმა ქვეყანამ, როგორც იქნა, მოიპოვა მრავალ თაობათა ნანატრი თავისუფლება და სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. საქართველომ უარი თქვა კომუნისტურ იდეოლოგიაზე, საზოგადოებრივი მეურნეობის წარმართვის, საკუთრების სოციალისტურ-კომუნისტურ ფორმებზე, განვითარების პროგრესული, ევროპული გზა აირჩია. თავის მხვრივ, გეგმიურ ეკონომიკაზე უარის თქმა გულისხმობდა თავისუფალ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლას და კერძო საკუთრების დამკვიდრებას.

საუბედუროდ, ჩვენი საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი ყოველივე ამას მოუმზადებელი შეხვდა. ის მომხმარებლიდან მეპატრონედ ვერ იქცა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერც ახლად ჩამოყალიბებულმა ეროვნულმა მთავრობამ აუბა მხარი ახალი ცხოვრების რეალობას. ბოლომდე ვერ გაითავისა, ვერ შეიმუშავა, ვერ ჩამოაყალიბა და დანერგა სრულიად ახალი ეროვნული იდეოლოგია.

ეროვნული იდეოლოგია უნდა გამხდარიყო დამოუკიდებელი ქვეყნისა და თავისუფალი ერის ცხოვრების, მოღვაწეობის და შემდგომი განვითარების იდეაც და ახალი გეზიც.

საუბედუროდ, ბევრი შეცდომა იქნა დაშვებული როგორც პრივატიზაციის და საზოგადოებრივი მეურნეობის გამართვა-ამუშავების, ასევე სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა თუ მართლწესრიგის აღდგენა-დაცვის პროცესებში...

ამას დაერთო ჩვენი ქვეყნისადმი ტრადიციულად არაკეთილგანწყობილი ქვეყნების, პირველ რიგში რუსული, შემდეგ კი საბჭოთა იმპერიის დომინანტი სახელმწიფოს დაუფარავი ძალისხმევა, რომ საქართველო მისი გავლენის სფეროში კვლავ მოქცეულიყო.

ყოფილი საბჭოთა იმპერიის სამართალმემკვიდრემ, დომინანტმა ქვეყანამ, წააწყდა რა ჩვენი ქვეყანისა და ხალხის ურყევ ნებას ყოფილიყო სუვერენული, დამოუკიდებელი, ევროპული იდეისა და ფასეულობების მატარებელი, გააჩაღა ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები, აგიტაცია-პროპაგანდა, რაც, პირველ რიგში, გამოიხატა ჯერ კიდევ საბჭოთა რეჟიმის ჩამოყალიბება-დამკვიდრების გარიჟრაჟზე საქართველოში ჩადებული „ნელი მოქმედების ნაღმების“ ამოქმედებაში, კერძოდ, ხელოვნურად შექმნილ ავტონომიებში ნაციონალისტური, სეპარატისტული იდეების გაღვივებაში, რასაც საბოლოოდ მოჰყვა სამოქალაქო დაპირისპირება და ჯერ აფხაზეთის, შემდეგ კი ცხინვალის ომი და ამ რეგიონების ძალისმიერი ჩამოშორება საქართველოს ერთიანი სხეულიდან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საუბედუროდ და დასანანად, ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილი ახლად შექმნილ რეალობებს მოუმზადებელი შეხვდა, კომუნისტური იდეოლოგიის მარწუხებს და მომხმარებლურ ცნობიერებას თავი ვერ დააღწია.

ამას დაერთო სეპარატისტული, ძმათამკვლელი, ჩვენი ხალხისთვის დამღუპველი შედეგების მქონე სამოქალაქო ომები, ქვეყნის ეკონომიკის მოშლა, სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუარესება, მანკიერებათა აღზევება და უკეთურთა და უკეთურებათა მომრავლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრმა, სხვადასხვა, ერთობ საჭირო, შესაძლებლობის მქონემ, მაგრამ სულმოკლემ, იმის მაგივრად, რომ შებრძოლებოდა შინაურ თუ გარეულ მტრებს, კორუფციას, განუკითხაობასა და სიდუხჭირეს, თავად დაემყარებინა წინაპართა სისხლით, ოფლით და ცრემლით შენარჩუნებულ-დანატოვარ მამულში მშვიდობა, სამართლიანობა ექცია ცხოვრების ნორმად, შებრძოლებოდა და დაემარცხებინა კრიმინალი და განუკითხაობა, დაემკვიდრებინა ქვეყანაში თავისუფალი საბაზრო ურთიერთობები, აეღორძინებინა მოშლილი მეურნეობა, დაემუშავებინა და მოევლო ბარაქიანი ქართული მიწისთვის, მისი ყველა სიმდიდრე და დოვლათი ჩაეყენებინა მთელი ერის სამსახურში, უფრო იოლი გზა აირჩია - უსისტემო და უმართავი ემიგრაციის გზას დაადგა. მშობლიურ სახლში, წინაპართა მამულში, თუნდაც გაჭირვებულ, დუხჭირ ცხოვრებას სხვასთან ხიზნობა არჩია. ცხოვრებისა და მუშაობის შედარებით იოლი გზა გამონახა. თავისი ცოდნის, ნიჭისა და ძალ-ღონის საკუთარ ქვეყანასა და ერზე ზრუნვაში დახარჯვა-გამოყენების მაგივრად სხვის სამსახურში ჩადგომა არჩია.

ერთი სიტყვით, საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სხვადასხვა ქვეყნებში დაიქსაქსა, მიმოიფანტა.

რა თქმა უნდა, ემიგრანტთა უმეტესობა უცხოეთში იძულებით წავიდა. იქ ნაღვაწ-ნაშრომით, წვა-დაგვით ნაშოვნი და ნათესავ-მოკეთეებზე გამოგზავნილი ფულით თუ სხვა მატერიალური სახსარით ბევრი ოჯახი სულდგმულობს. ესეც რომ არ ყოფილიყო, არავინ იცის, აქ დარჩენილებს რა დაემართებოდათ. ისინი, უდავოდ, დიდი მადლობისა და მოფერების ღირსნი არიან...

მე მესმის მათი. ბევრს ელემენტარული, საარსებო საშუალებაც არ ჰქონდა. ბევრი მათგანი ოჯახის წევრების შიმშილით სიკვდილის საშიშროების წინაშე დადგა. საკუთარ ქვეყანაში სხვა გზა და საშველი ვერ გამონახა და თვალცრემლიანი, გულდამძიმებული და მორალურად განადგურებული დაადგა ემიგრაციის გრძელ, ძნელ, ფათერაკებიან და ეკლიან გზას.

ვაი, რომ ბევრი მათგანი არალეგალური მიგრაციის მსხვერპლი გახდა.

ჩემი მიზანი არ არის, ჩემო მკითხველო, ახლა თქვენი გრძნობა-გონება დავამძიმო არალეგალური მიგრაციის თუ ემიგრაციის ფათერა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კებისა და საშინელებების შესახებ თხრობით. ამის შესახებ, შეძლებისდა-გვარად, ჩემს ერთ-ერთ რომანში მოგითხრობდით.

მე ემიგრანტების ერთი კატეგორია არ მომწონს. მათი ქცევები და აზრთა მოძრაობანი მაშფოთებს. თუნდაც გოჩას მაგვარი, შუადღის შემდეგ გადიდკაცებული, გაკეთებული, გამდიდრებული, მაგრამ გონება-აზროვნება გაუკუღმართებული...

ვაი, რომ, სამშობლოში დარჩენილები, რომლებმაც გავუძელით სეპარატისტებისა და იმპერიული ძალების მიერ თავსმოხვეულ ომებს, გაჭირვებას, შიმშილსა და სიდუხჭირეს, დავღვარეთ სისხლი, ოფლი და ცრემლი, პატარა ბეღურებსავით არ შევუშინდით სიცივესა და შიმშილს, არ შევიცვალეთ მამულისადმი ერთგულების რწმენა და შემართება, არ ვუღალატეთ და ბოლომდე ვუერთგულეთ სამართლიანი და პროგრესული განვითარების გზას, ამ არჩევანის შეუქცევადი გადაწყვეტილებისთვის კი აუწყავი, აუნაზღაურებელი საფასური გადავიხადეთ კონფლიქტებსა თუ მამულისათვის ბრძოლებში დაღუპული ქართველების, საკუთარი სახლებიდან გამოდევნილი ნახევარი მილიონი ლტოლვილი მოქალაქის და ქვეყნის ტერიტორიის ოცი პროცენტის ოკუპაციის სახით, მაშინ, როცა ჩვენი დასავლელი მეგობრებისა და პარტნიორების დახმარებით შევძელით კორუფციის დაძლევა, სამართლიანობის შეუქცევადი გზების დასახვა-დამკვიდრება, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შექმნა-შენარჩუნება და ამაღლება, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის აღორძინება-განვითარების პერსპექტივების რეალობად ქცევა და ბევრი სხვა სიკეთის დამკვიდრება. თურმე კიდევ ბევრი უნდა გავაკეთოთ და „გავხდეთ ღირსნი“, რომ ძნელბედობის ჟამს სამშობლომიტოვებული, იოლი, უკეთესი ცხოვრების ძიებაში გადაგებული, სხვის თეოზე წამოწოლილი და სხვის სამსახურში ჩამდგარი, სხვის „უღელში ნაბამი”და „კისერგადაღლეტილი“ ზოგიერთი ვაიემიგრანტი, ვაიქართველი თუ უკვე ნაქართველარი ჩამოვიდეს, აწყობილი ცხოვრება მიითვალოს და შეიფეროს, ამასთან ქედმაღლურად გადმოგვხედოს და ჩვენზე ბატონობას შეეცადოს...

ვერ მოგართვით!!!

თუ პატრიოტი ხარ, თუ სამშობლო გიყვარს და გტკივა, დროზე ჩამოდი და გვერდში დამიდექი.

მე ახლაც მიჭირს ეკონომიკურადაც და ბევრი რამ მაკლია სოციალურ სფეროებშიც. მე ახლაც მიჭირს გარე თუ შინაურ მტრებთან გამკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლავება. აქ ახლაც აქტუალურია იმის საფრთხე, რომ შენს მიერ უგულოდ და უღვიძლოდ მიტოვებულ ნასახლარს, ნაფუძარ-სავარგულს, შენი წინაპრების საფლავებს გადამთიელი და უცხოტომელი დაეპატრონება... ის კი ძალუმად მოდის, წინ მოიწევს ბევრი ფულით, ინვესტიციების ჩადების ცბიერი ფანდებით, აშკარა თუ ფარული მუქარით, ბევრი დოვლათის შექმნის შეპირებით, ზოგიერთი ბედოვლათი, სულმოკლე და, ხშირ შემთხვევაში, გაუცნობიერებლად თუ გაცნობიერებულად მტრულად განწყობილი თანამემამულის ხელშეწყობით თუ წინამძღოლობით, ფერებ-ფერებით და ხვევნა-კოცნით უნდა წამართვას თავისუფლება, სახელმწიფოებრიობა, ცივილიზებული სამყაროსკენ ლტოლვა და სწრაფვა, თავისუფალი განვითარებისა და მომავალი თაობების ღირსეული აღზრდის შესაძლებლობა, თავზე უნდა დამამხოს ეროვნული ფასეულობები, ქართული თვითმყოფადობა, ღირსება და მორალი, ანტიკური, მრავალსაუკუნოვანი კულტურა, ჩვენი წინაპრების სისხლით, ოფლით და ცრემლით შექმნილი ისტორია და ტრადიციები...

გოჩა, მე მხოლოდ გარეშე მტრებს როდი ვებრძვი. სიმართლე ბოლომდე ითქვას: მარტო გარეშე მტრებთან როდი მიწევს გამკლავება! შინაურიც ბევრი მყავს მოშურნე და არაკეთილმოსურნე!.. ახლაც ბევრს, ეთნიკურად არაქართველს, თუ ვაიქართველს არ ვეხატები გულზე. ბევრი ოცნებობს ჩემს გადაგვარება-გადაშენება-გადაჯიშებაზე. ამის დასტურად საკმარისია გავიხსენოთ დიდი ვაჟას პოემის - „ჰაოს და ქართლოს" პერსონაჟის თანამედროვე პროტოტიპები, ანდა ჩვენი თანამემამულე ეთნიკური სომხებით დაკომპლექტებული ავადსახსენებელი „ბაგრამიანის" ბატალიონის „საქმენი საგმირონი" აფხაზეთის ომში...

მე ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ზოგიერთი რაიონის რიგი უმადური შვილის ქცევები ახლაც მაშფოთებს და დღესაც პირშეუკრელ იარასავით მაჭდევია სხეულზე, რომლიდანაც პერიოდულად ქართული სისხლი წვეთ-წვეთად ჟონავს. ქართული სხეული ნელ-ნელა სისხლიდან მეცლება...მართალია, ცდას არ ვაკლებ, ამ მიმართულებითაც რაღაცებს ვაკეთებ, მაგრამ მარტოდ-მარტოს გამკვლავება დღითიდღე მიძნელდება, აქაც ხელის შეშველება დროულად მჭირდება, შენი ხელის შეშველება...

ვაი, რომ მტრულად განწყობილი ძალებისთვის ანტიქართული საქმეების საკეთებლად ეს „შმორიანი ჭაობი" ნოყიერი ნიადაგი და საიმედო საყრდენი გახდა. აკი, მოსკოვში თბილად მოკალათებული, გაზულუქებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, პირადცხოვრებააწყობილი, მშობლის უარმყოფელი, დედინაცვალს შეკედლებული, სხვის „თეოზე" ნაპატივები, წარმოშობით აქაური, სეპარატისტული საზოგადოებრივი გაერთიანება "ჯავახკ"-ის ქოფაკ-ემისრები ამ კუთხეების ეთნიკურად სომეხ მოსახლეობას პერიოდულად უწამლავენ გრძნობა-გონებას, აგულიანებენ და აქეზებენ.

ეს ყველაფერი ერთ „დიად საქმეს" ემსახურება: ძალისხმევასა და ცდას არ აკლებენ, რათა საერთაშორისო არენაზე საქართველოს სახელი გაუტეხონ, დემოკრატიული და ტოლერანტი ქვეყნის იმიჯი შეულახონ, რათა ამ ბრალდებების გაქარწყლებასა თუ აბსურდულ შემოტევებზე მებრძოლ ქართველ ერს ძალები დაექსაქსოს და მთელი ენერგიით ვერ იბრძოლოს და იღვაწოს ევროპული იდეის, ქვეყნის ეკონომიკის აღორძინება-გამართვის, რეალური სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დამკვიდრება-განხორციელებისათვის.

მტრულად განწყობილი ძალები ამ „ჭაობის" ანტიქართულად, სეპარატისტულად განწყობილ "ბინადრებს" პერიოდულად იყენებენ საქვეყნოდ საკიჟინებლად, რომ, თურმე, მზრუნველი და შემწყნარებელი ქვეყანა არ გვაქვს, რომ მართლმადიდებელი ქართველები სათანადოდ არ ვზრუნავთ ეროვნული უმცირესობების თუ განსხვავებული რელიგიური იდეოლოგიის მატარებლების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის კუთხით და გვიყენებენ აბსურდულ ბრალდებებსა თუ მოთხოვნებს...

კიდევ რომელი ერთი ჩამოგითვალო, ჩემო გოჩა, რომ დაგარწმუნო: შენ აქ უფრო სჭირდები დედასამშობლოს, უფრო მეტად უნდიხარ, გულისა და თვალების აწვამდე ენატრები აქ დარჩენილ შენს ღვიძლ დაძმებს...

მე ჯერჯერობით ამ ყველაფერს ვუმკლავდები, მაგრამ ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს: „საწყალ კაცს ქვა აღმართში დაეწევაო..." ყველა ზემოთ ჩამოთვლილ უბედურებას დაემატა გლობალიზაციის, ფსევდოფასეულობების და გაუკუღმართებული ცხოვრების წესების შემოტანა-გავრცელება-დამკვიდრების საფრთხეც და მარტომ, შეიძლება, მართლა ვეღარ გავუძლო, გავტყდე, გავნადგურდე, გავჩანაგდე და ხილული თუ უხილავი მტერი სამუდამოდ დაეპატრონოს ჩვენს მიწა-წყალს, დაგვინგრიოს სალოცავები, გადაგვითხაროს მამა-პაპათა საფლავები, კავკასიაში საქართველოსა და ქართველობის სახსენებელიც კი მოსპოს!..

ამიტომ, ჩემო შეძლებულო ემიგრანტო ქართველო, ულტიმატუმებსა და წინაპირობებს კი ნუ მიყენებ, დროზე ჩამოდი, ჩამოიტანე შენი ფინან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სები, ქართულ ეკონომიკასა და ინფრასტრუქტურაში ჩადე ინვესტიციები. ერთად ავაწყოთ ბიზნესი, ავაღორძინოთ ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა და აღვადგინოთ ყოველივე ქართული, გავაძლიეროთ დედასამშობლო, რათა სამარადჟამოდ „ჩვენი თავი, ჩვენვე გვეყუდნეს“...

...იცი, როგორ მინდა შენც დაგაავადოს დიადი მგოსნის - აკაკის გულიდან ამოხეთქილმა განცდამ!.. მთელი არსებით დროზე მიიღო ვაჟკაცური გადაწყვეტილება, დროზე წამოხვიდე და საქართველოს კარიბჭეზე მოსულმა, ეგებ, სინანულითაც, მაგრამ ამაყმა და თავაწეულმა, ნოსტალგიით დაღლილმა და მონატრებით გათანგულმა, ზნეობრივად და სულიერად განწმენდილმა, განსპეტაკებულმა და ამაღლებულმა, სამშობლოში დაბრუნების სიხარულის ცრემლით თვალდანამულმა, წაიღიღინო:

„ვერ ავიტანე ობლობა,
სისხლის ცრემლები ვღვარეო;
წამძლია სულმა და გულმა,
შენს ნახვას დავეჩქარეო...“

მე კი გპირდები, შეგაგებო „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი“ სამშობლო მხარე!.. ჩამოდი ძმაო!.. სანამ გვიანი არაა, ჩამოდი... გევედრები!!! დამიდექი გვერდში, დავიკაპიწოთ მკლავები და ერთად ვაშენოთ და გავაძლიეროთ ჩვენი სანუკვარი და საყვარელი ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო, იმ შეგნებით და შეგონებით, რომ ჩვენი საქმე ჩვენ ვაკეთოთ, ჩვენი ასაშენებელი ჩვენ ავაშენოთ, ჩვენს საპატრონებელს ჩვენვე ვუპატრონოთ და თუ სამშობლოს დასჭირდა, ჩვენი დასაღვრელი სისხლი ჩვენვე გავიღოთ!

P.S. ბოლოს, ისევ შენზე დანატრებული, თვალცრემლდანამული მოგმართავ! ამჯერად მისაბაძი "კაი ყმის", ბიზნესმენისა და მამულიშვილის ლევან ვასაძის სიტყვებით:

„დაბრუნდებოდი მშობლიურ სახლში,
რაც ღმერთმა მოგცა, იმით ძლიერი,
დათმენის სიბრძნეს ჩაჰხედდი თვალში,
მოიქცეოდი, როგორც ივერი.
ჩაგიხუტებდი, რაც წლები დაგრჩა,
ჩვენს სამკვიდროში კვლავ იქნებოდი
და შენნაირი გარეთ ვინც დაგრჩა,
აწი, იმაზე დაფიქრდებოდი...”

ბათუმი
2015 წელი

„შოშია“ დაბრუნდა!!!

საღამოს სახლში მობრუნებულს მეუღლემ მახარა: - ჩვენი „შოშია“ უცხოეთიდან ოჯახთან ერთად დაბრუნდაო!.. „შოშია“ ჩემ მეგობარს ჰქვია, მისი საფერებო თიკუნია... იგი მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში რუსეთში გადავიდა საცხოვრებლად...

გახარებულს, ჩემდა უნებურად, მეხსიერებიდან ამომიტივტივდა ბავშბაში ნასწავლი ლექსი და ჩემთვის წავიღიღინე:

„ - რად მოფრენილხარ, შოშიავ, შენ ესე ადრიანადა?

- რა ვქნა, ვერ ვძლებდი, სხვა მხარეს, სულ ვიყავ დარდიანადა...

ვიცოდი, ზამთრის ნაგლეჯი აქ კიდევ დამიხვდებოდა,

შემაწუხებდა შიმშილი და კიდეც შემცივდებოდა,

მაგრამ მივენდე იღბალსა, არ შევუშინდი ზამთარსა

და მოვატანე კიდეცა ჩემის სამშობლოს მთა-ბარსა“...

ჩემო ქართველებო, ჩემო თაობისანნო! მართალია, ეს ლექსი ჯერ კიდევ მესამე კლასსში გვისწავლია, მაგრამ ახლა უკვე ჭარმაგს, მეგობრის დაბრუნების შესახებ ცნობის მიღებუსთანავე, უნებლიედ გამახსენდა, ჩემთვის ვღიღინებდი, ცრემლმორეულს თან მიხაროდა, ნამდვილად ამაყი ვიყავი...

- არ მკითხავთ, რატომ?

- კი ბატონო, ამ ცნობით გახარებული აღსარებასავით გეტყვი, კი არ გეტყვი, დავიქუხებ, ყვირილით შევძრავ ქვეყანას! მე ბედნიერი ვარ, ბედნიერი და უზომოდ გახარებული!

სანატრელმა ცნობამ ამალექსა...

სიხარულით გული საგულედან ამოვარდნას ლამობს, ადგილს ვერ ვპოულობ, შენ კი არა, მთელი მსოფლიოს გასაგონადაც ვიყვირებ: - ჩემი ბავშობის მეგობარი, მეზობელი, დიდი ხნის ემიგრაციაში, რუსეთში მცხოვრები, ჩამოვიდა! თანაც ოჯახთან ერთად და, რაც მთავარია, მუდმივ საცხოვრებლად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი ბატონო! შეიძლება კიდეც გაიკვირვო, ეგებ, ყასიდად ჩაიცინებ და გულგრილად იტყვი: - დიდი ამბავი, ვიღაც რუსეთიდან ჩამოვიდა! ახლა ბევრი მიდის ემიგრაციაში, მაგრამ, საუბედუროდ, უკან სულ ნაკლები ბრუნდება...

- არ დამიკოდო გული, არ მაწყენინო უგუნურად წამოსროლილი უვიცი სიტყვებით, ჯერ მე მომისმინე:

იცი ვინ ჩამოვიდა!

- ვინღაა რომ? - მკითხავ და შესაძლოა, კიდეც იქედნურად შემომცინებ, მაგრამ მაცალე, მინდა გახარო! ჩემი სიყრმის მეგობარი, ბავშვობიდან მოყოლებული კარის მეზობელი ჩამოვიდა! კაცი, რომელიც მერამდენე წელიწადია უცხოეთში ცხოვრობს! ის კაცი ჩამოვიდა, ერთი წლის წინათ საქართველოში დაბრუნების შესახებ გაგონებაც რომ არ უნდოდა... ჩამოვიდა ოჯახთან ერთად, წყნარად, ჩუმად... მაგრამ მე არ გამომპარვია მისი ჩამოსვლა, ეტყობა, კარის მეზობელია და იმიტომ?! არამც და არამც!..

- მკითხავ, - მერე რა, ემიგრაციიდან სულ მოდიან და მიდიან...

- არა, არა, კაცო! ის სულ ჩამოვიდა! გესმის! დედასამშობლოში, მშობლიურ სახლში დაბრუნდა, საქართველოს დაუბრუნდა ღვიძლი შვილი! ის ხომ თავის დროზე გაჭირვებისა და უმუშევრობის გამო საშოვარზე რუსეთში წავიდა... გადაიხვეწა ცხოვრების უკეთესი პირობების საძებნელად... სამშობლოზე - მამა-პაპურ სამკვიდროზე დამდურებული და განაწყენებული... მართალია, წასვლიდან რამდენიმე წლის შემდეგ, ერთხელ კიდევ ჩამოაკითხა მშობლიურ ქვეყანას, ბავშვობის ქალაქს, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ სოციალური ქსელის მეშვეობით გაცნობილი და გამიჯნურებული ჩვენებური გოგონა ცოლად შეერთო და თან წაეყვანა... რუსეთში თავისთვის იყო, ბელგოროდის ოლქის ერთ-ერთ ქალაქში დაიდო ბინა და ცხოვრობდა, როგორც ყველა რუსი ობივატელი... მუშაობდა სატვირთო მანქანის მძღოლად. ოჯახი მაძღრად, ჩაცმულ-დახურული ჰყავდა, ყოფითი პრობლემები არ აწუხებდა, მომავალიც, თითქოსდა, არ ადარდებდა... იყო თავისთვის, წყნარად, უპრეტენზიოდ. ფიქრობდა, ალბათ - „მე კარგად ვიყო, სხვამ კი მისი იცისო“...

ახლა კი, ადრე უდარდელი და მშობლიურისადმი გულცივი, სულ დაბრუნდა, ორსული ცოლითა და მცირეწლოვანი ქალიშვილით! - აღარ წავალო! სულ ერთად ვიქნებითო, გესმის! - ერთადო! ამ მიწა-წყალს, სამშობლოს აღარ მივატოვებო!.. იცი კიდევ რა მითხრა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

- სამშობლოში წამოსვლის მრავალ მიზეზთაგან მთავარი დამისახელა - მინდა შვილები ქართულად აღვზარდოო! ქართულ კულტურას, მორალსა და ზნეობას, ადათ-წესებს ვაზიაროო, გესმის! მამა-პაპათა სამკვიდროს უძღები შვილი დაუბრუნდა თავისი ნაგრამით, წინაპრებს ჩამომავალობა არ უნდა გადავუჯიშოო, არ უნდა გავუუცხოვოო, არ უნდა დავუკარგოო...

აფერუმ „შოშია“, ბარაქალა შენს გადაწყვეტილებას და საარაკო, სანაქებო დაუბრუნებას!

„ ვიცოდი, ზამთრის ნაგლეჯი,
აქ კიდევ დამიხვდებოდა“...

ალბათ, ამითაც მანიშნა, საქართველოში ჯერ კიდევ ყველაფერი არაა მოწოდების სიმაღლეზე, ბევრი გაჭირვება და პრობლემა დამხვდებაო, მაგრამ ყოჩაღ - არ შეუშინდა „სუსხიანი ზამთრის ნაგლეჯს“ და სამუდამოდ დაბრუნდა!..

- ჩემო გულამომჯდარო, მაგრამ ოდნავ გაბრაზებულო აქაურო მკითხველო, მკითხავ: - ის თუ „შოშიაა,“ მე და შენ ვინღა ვართ?!

- მე და შენ ბეღურები ვართ, იცი, პატარა, გულიანი და გულადი ბეღურები!!!

ვიცი, გაგიკვირდება და ცოტა გეწყინება კიდეც, ამდენი სახელიანი და გოროზი ფრინველია და რაღა მაინც და მაინც ბეღურას შეადარე ჩვენი თავი?!.

- კი, ნამდვილად მესმის შენი გულისწყრომისა და გაკვირვების, მაგრამ თამამად გეტყვი, - არ შევმცდარვარ, ჩვენ ნამდვილად ბეღურები ვართ! ჩვენ არც გაჭირვების და სიდუხჭირის, არც ჩვენს და ახლად დამოუკიდებლობამოპოვებულ ქვეყნის თავზე დამტყდარი ომების და სხვა ვაი-უშველებელის არ შეგვშინებია, პატარა ბეღურებივით მშობლიური „ნალიის ბოღოზს“ შევეკედლეთ, არსად წავსულვართ, არსად „გავფრენილვართ,“ არსად გვიძებნია უკეთესი თუ იოლი ცხოვრება. არ მიგვიტოვებია მშობლიური „ნალიის ბოღოზი“ და ბუდე - დედა საქართველო! მშობელი ერი! არც ჩვენი ბარტყები წასულან არსად! ერთად ვებრძოდით შინაურ თუ გარეშე მტერს, შიმშილსა თუ სიცივეს, საყოველთაო გაჭირვებასა თუ ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში გაბატონებულ დისკომფორტს, შიმშილ-სიცივისგან გაწამებულნი და შეწუხებულები, პატარა გათოშილი, მშიერი ბეღურებივით მობუზულები, ერთმანეთს გვერდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვერდ ვედექით, ერთად ვიტანდით „ზამთრის სუსხსა და ყინვას, ნამქერსა და ქარბუქს,“ გაჭირვებას, შიშსა და შიმშილს!..

- ამ უშველებელში, თქვე უბედურებო, რამ გაგაძლებინათ, რამ გადაგარჩინათ, მთელი ნაგრამით როგორ გადაიტანეთ „სუსხიანი ზამთარი“? - აკი, მკითხა კიდეც გაკვირვებულმა, როცა ძველებურად მხნე და იმედიანი მნახა...

- არ მოიკითხო, ვერ მოგიყვები, არ მინდა, ხასიათი წაგიხდინო! - ვანუგეშე და კიდეც დავინდე ის ...

- მაინცო?! - დაჟინებით მკითხა, იხტიბარს არ იტეხდა და ცნობისწადილის დაკმაყოფილება სურდა!..

- მაინც... თუ არ იშლი, გეტყვი, ბატონო, კი, კიდეც გვშიოდა, კიდეც გვციოდა, „მეზობელ-ნათესავმა ორმა ბიჭმაც“ გვნახეს, როგორ დავძაბუნდით და გაგვიჭირდა, ჩრდილოელი „ბიძა“ იხმეს, გააფრთებით გვეომეს, წინაპართა დანატოვარი ერთი წყობა ბუდე-ოჯახი მოგვიშალეს, სისხლით და ოფლით ნაპოხი მიწა-წყალი წაგვართვეს და მოშლილი ბუდიდან გამოგვაგდეს... გამომიგდეს ჯალაბი, გასაწირად გადამიყარეს „ბარტყები...“ ჩრდილოელი „ბიძის“ დახმარებითა და თანადგომით წახალისებულებმა და გათამამებულებმა სულ „რაგატკით“ მსდიეს, ლაზათიანად მომარტყეს კიდეც, თანაც ბევრჯერ!.. „ბუდეც“ მომიშალეს, ბევრი „ბარტყიც“ დამიხოცეს, სადგომ-საჯალაბოც გადამიწვ-გადამიბუგეს, ჩემს კუთვნილ მიწაზე, მამა-პაპათა სამკვიდროზე - აფხაზეთსა და სამაჩაბლოს რეგიონში... მაგრამ, დიდება უფლის მადლსა და შეწევნას, მაინც გადავრჩი! მართალია, უძღებმა, ორპირმა და ცბიერმა სახლიკაცმა გამწირა, მაგრამ ჩემზე არანაკლებ გაჭირვებულმა, მაგრამ გულიანმა და ბედნიერმა თანამოძმე „ბეღურებმა“ შემიფარეს, ცოტა გაიჭირვეს, ცოტა მიიწ-მოიწიეს და შესაკედლებელი მიწილადეს! ახლაც დალხენილი როდი ვარ, ხან სევდიანი, ხან ბედნიერი, ხან მოწყენილი, ხან გაჭირვებული... მაინც არ შემშინებია, სხვა დევნილ და იძულებით გადაადგილებულებსაც ხელი გავუმართე, ახალი ბუდე გავუჩინე. ახლა ის მაქვს, რაც შემრჩა - ჩემი უყვედრებელი „კერე-კუჩხე“! ახლა ნამდვილად ვერავინ დამაყვედრებს, ვერ წამომძახებს, ვერ დამაპანღურებს! ჩემს „ქოხში“, ჩემს „ბუდეში“ ვარ!!!

ერთსაც გეტყვი, გაუტეხლებმა და მომავლის რწმენით აღვსილებმა წინაპრების საფლავზე წმინდა ფიცი დავდეთ - აუცილებლად დავიბრუნებთ უთანასწორო, მუხანათურ ბრძოლაში მტრისგან წართმეულს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

- მკითხავ: „იქ“ დარჩენილი „ბუდე“თუ გახსოვს, გენატრება?!

- ოო! შენ ვერ გაიგებ, როგორ ვიტანჯები. ჩემი იქაური „ბუდე“ სულ მესიზმრება, მისი სითბო, სიმყუდროვე და მადლი მაგონდება, მისი ლაჟვარდოვანი ცა, თბილი გარემო, ზღვიდან მონაბერი საამო სიო მენატრება... იქ ვიყავი ბედნიერი. მჯერა, დავიბრუნებთ!.. ახლა ისევ ბედნიერი ვარ, ვერ წარმოიდგენ! არ მჯერა, არც მჯეროდა, თუ ოდესმე ბედნიერი ვიქნებოდი, მაგრამ ნამდვილად გეუბნები, მართლა ბედნიერი ვარ! ახლა მითუმეტეს - ჩემი სიყრმის მეგობარი და მეზობელი დამიბრუნდა!

შენ რომ დაგენახა მისი მოხუცი დედის თვალები, დაუჯერებლობის და ფანტასტიკის ტოლი გაკვირვება, შენც ბედნიერი იქნებოდი, არც ჩემი ეიფორიული „სიგიჟე“ გაგიკვირდებოდა!.. ეეხ, მეზობლის ბიჭი სულ ახალგაზრდა წავიდა, ახლა თმაშევერცხლილი კაცი დაბრუნდა!..

მაგრამ დაბრუნდა, გესმის! ეჰ! რამდენჯერ მინატრია ჩემი „შოშია“ გვერდში მყოლოდა! ახლა კი დამიბრუნდა!.. მართალია, ცოტა გვიან, მაგრამ მაინც დამიბრუნდა, ცოცხალი და უვნებელი ცოლ-შვილითურთ! აკი ძველებს უთქვამთ - „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“!

გრძნობებს ახლაც ვერ ვერევი... მისმა ახლობლებმა საზეიმო, სანაქებო სუფრა გაშალეს, მე კი, როგორც მეგობარი, ოჯახის ქომაგი და მეზობელი, ვთამადობდი, ეგზომ უჩვეულოდ ბედნიერ და სევდანარევ მოგონებათა სუფრას... შენ უკეთ იცი ჩვენი ავან-ჩავანი, შენზე უკეთ ვინ იტყვისო, - მითხრა თვალცრემლიანმა, მაგრამ უზომოდ გახარებულმა და ბედნიერმა დედამისმა... მთელი საღამო თან მიხაროდა, თან სევდა მახრჩობდა! - ჩვენი, ჩემი „შოშია“ დაბრუნდა! განა, ჰყავს საქართველოს დასაკარგი შვილები?!! - არა! არა!! არა!!

- ჩემო „შოშიავ“, მართალია, მრავალმა სტიქიონმა - ქარმაც და ავდარმაც შენი „ბუდე“ ცოტა შელახა და ნაწილობრივ მოშალა კიდეც, მაგრამ გულს ნუ გაიტეხ, ჩვენ ერთად კიდევ ბევრ რამეს შევძლებთ... მთავარია, შენ ჩამოხვედი, ისევ დაეპატრონე მშობლიურს, მთავარია, შენს „ბუდეს“ ეშმაკები ვეღარ დაეპატრონებიან, ვერ მოასწრეს!.. ერთად ყველაფერს მოვერევით და გავუმკლავდებით. ერთად მოვესწრებით ჩვენი „ბარტყების“ დაზრდა-დაფრთიანებას! ახლა მთავარი მხოლოდ ერთია - შენ დამიბრუნდი, მეტი რაღა უნდა ვინატრო?!!

გავიდა ხანი. მე ყოველთვის თავს ვიკავებდი, „შოშიასთვის“ მეკითხა, თუ რას საქმიანობდა რუსეთში, რამ გადააწყვეტინა მამა-პაპათა სამკვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროში დაბრუნება... არ მინდოდა მისი შეწუხება, იქნებ, დადარდიანებულიყო კიდეც...

ერთხელ, ზღვისპირა პარკში სეირნობისას, აზრი გაუკრთა, ხომ არ შეგვევლოო მეზობელ კაფეში!.. დიდი სიამოვნებით დავთანხმდი. არაყი და ლუდი შევუკვეთეთ. შეზარხოშებულები პალმასთან, ძელსკამზე, მოკალათებულები ვტკბებობით ზღვის გრილი სიოთი და ტალღების დგაფუნს ვაყურადებდით. „შოშიამ“ უცებ თავი ასწია, თვალი თვალში გამიყარა, მეგობრულად მომხვია ხელი, ცოტა მისკენ მიმიზიდა და საყვედურნარევი ტონით თქვა:

- მეგობარო, აღფრთოვანებული ვარ შენი ნებისყოფითა და თმენით, რამდენი ხანია ჩამოვედი, თითქმის ყოველდღიურად ერთად ვართ და ერთხელაც არ დაგცდენია საყვედური, მეტიც, გაკვრითაც კი არ მიგინიშნებია, თუ რას ვაკეთებდი რუსეთში, ან რამ გადამაწყვეტინა სამშობლოში დაბრუნება...

- ჩემო „შოშია,“ შენი საქმისა შენ უკეთ იცი. სიმართლეს გეტყვი, თითქმის ჩავწვდი კიდეც შენს აზრისა და სულის მოძრაობას, მიზეზსაც თითქმის მივაგენი, მაგრამ ზედმეტად რატომ უნდა შეგაწუხო, მოგონებებში „გაბოდიალო“ ან აგიწეწო საფიქრალი... ჩათვლი საჭიროდ, მომიყვები, ჩემთვის მთავარი შენი დაბრუნება და ერთად ყოფნაა!..

- ვაფასებ შენს მოთმინებას და ასე დიდ პატივისცემას ჩემს მიმართ. ჩემს წარსულ ცხოვრებაში დიდი არაფერი მომხდარა - არც გადასარევად საამაყო და არც საძრახი რამ... უკეთესი, ამავდროულად ცხოვრების იოლი პირობების ძიებამ გადამაგდო რუსეთში... ჯერ მოსკოვის გარეუბანში დავსახლდი. იქ ჩვენებურებს გავეცანი და სამშენებლო ობიექტზე სატვირთო მანქანის მძღოლად მოვეწყვე. ანაზღაურება და ცხოვრების პირობები ნორმალური მქონდა. სამუშაოს დასრულების შემდეგ „ღვინო, დუდუკი, ქალები“- იოლი გამოწვევა იყო. ერთხანს ასე ვიყავი, უდარდელად და უზრუნველად... საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთშიც საკმაოდ გართულდა და გაძვირდა ცხოვრება. აფხაზეთსა და სამაჩაბლოში სეპარატიზმის გაღვივებისა და თანმდევი საომარი მოვლენების და რუსეთის აქტიური ჩართულობის გამო, ინფორმაციის მასობრივ საშუალებებში გაიმართა წარმოუდგენელი აღვირახსნილი ანტიქართული აგიტაცია-პროპაგანდა. სამხედრო დაპირისპირებისა და ძმათამკვლელი ომების ინსპირირება და გაჩაღება, რა თქმა უნდა, ქართველებს დაბრალდათ, ხოლო აფსუა-აფხაზები და ოსები წარმოაჩინეს ჩაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულ ხალხებად, თითქოს ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის თვითგამორკვევის უფლება მხოლოდ მათ ჰქონდათ!..

მოსკოვში დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა. ერთი იქაური ნაცნობის რჩევით, მის მშობლიურ მხარეში - ბელგოროდში გადავედით. იქ, დედაქალაქთან შედარებით, მშრომელი კაცისთვის უფრო მეტი საარსებო სახსარი იყო და ნაკლებად იგრძნობოდა ეროვნული კუთვნილების გამო მზარდი განსხვავება ან შევიწროვება... ერთი სიტყვით, იქაც მოვეწყვე და გავაგრძელე ჩვეული ცხოვრება... მართალია, წლებს თავისი მიჰქონდა.

დადგა დრო, ოჯახის შექმნაზე მეზრუნა. სიმართლეს გეტყვი, სლავური წარმოშობის გოგოები ნაკლებად მიზიდავდნენ. სოციალურ ქსელში გავიცანი და დავუმეგობრდი თანაქალაქელ ქართველ გოგონას... ვირტუალურ გარემოში იმდენად დავუახლოვდით და გავუშინაურდით ერთმანეთს, რომ ცხოვრებისეულ თითქმის ყველა თემაზე თავისუფლად ვსაუბრობდით და ვმსჯელობდით. ერთხელაც გავანდე გულისნადები, მისი ცოლად შერთვა მინდოდა... ბევრი რომ არ გავაგრძელო, ვირტუალური ურთიერთობები სიყვარულში გადაიზარდა.

გადავწყვიტეთ შეუღლება. პირობისამებრ ჩამოვედი საქართველოში. ჯვარი დავიწერეთ და ერთად დავბრუნდით რუსეთში. მეუღლის მოქალაქეობის საქმეც იოლად მოგვარდა და შევეჯიდეთ ოჯახურ ცხოვრებას. მალე ქალშვილიც გაგვიჩნდა...

დრო უცბად გავიდა. ქალიშვილი უკვე საბავშვო ბაღის აღსაზრდელია.

დაოჯახების შემდეგ მამა მალე გარდამეცვალა. დედა ჩემს დასთან გადავიდა საცხოვრებლად. სიმართლე გითხრა, უცხოეთში წასვლის არჩევანს ახლობლები თავიდანვე გულგრილად შეხვდნენ. მამას არაფერი უთქვამს, ეტყობა, წამსვლელისთვის გულის ტკენა არ უნდოდა, მხოლოდ დედამ საყვედურნარევი თხოვნა გამატანა - წერილები ხშირად გამოგვიგზავნე, შეძლებისდაგვარად ხშირად გვინახულე, ერთადერთი ვაჟიშვილის მონატრებით ნუ აგვატირებო. მე კი, სამსახურისა და ყოფითი პრობლემების გადამკიდე, წერილებს იშვიათად ვწერდი, დაქორწინების შემდეგ საქართველოში აღარც ვყოფილვარ, მამაც „სამძიმრის ტელეგრამით“ დავიტირე...

ერთხელ, სამსახურიდან დაბრუნებულმა სადარბაზოში საფოსტო ყუთს შევავლე თვალი. კონვერტის ბოლო ჩანდა. ამოვიღე და, ვაიმე! დედაჩემის რუსულად ნაწერი ბატიფეხური ვიცანი... გუნება-განწყობა წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხდა, თავს ვტუქსავდი, - ამდენი ხანია საქართველოდან რამე ცნობა არ მიმიღია და მეც არ გამომიჩენია განსაკუთრებული ინტერესი. ახლა კი... გული საგულედან ამოვარდნას ლამობს, წარმოვიდგინე დედჩემის მონატრებისა და ხშირი ცრემლისაგან ჩაწითლებული თვალები, წლებისა და ფიქრი-დარდისაგან დაღარულ-დანაოჭებული შუბლი, ჩამომდნარ-ჩამომხმარი ღაწვები, მოცახცახე ბაგეები და გული მომეწურა... პირველად შემრცხვა... პირველად ამეფაკლა ლოყები... გრძნობა-გონება არეულმა წერილი ჯიბეში ჩავჩურთე... სუნთქვა შემეკვრა, სუფთა ჰაერი მომინდა.

ბავშვების სათამაშო მოედანზე გავედი, კუთხის საქანელაზე ჩამოვჯექი და, ალბათ, ცხოვრებაში პირველად, სინდისის ქენჯნას დავნებდი. კინოფირივით თვალწინ გამიელვა ბედნიერმა ბავშვობამ, მშობლიური სოფლის თვალწარმტაცმა პეიზაჟებმა, საოცნებო და სანატრელი მთაბარის ხედებმა, მშობლიურმა ზღვისპირეთმა... მონატრების, დარდის და ვარამის ხვაშიადმა დამრია ხელი, სინდისის ქენჯნამ და მშობლის მდუმარე, უთქმელმა საყვედურმა, ხომ მთლად მომთიკრა და მამუნათა!..

როგორც იქნა, გავბედე და დედის წერილი გავხსენი. მშობლიური სურნელი ქაღალდს ჯერ კიდევ შერჩენოდა!.. წერილი ამოვიღე და დედის მადლიანი ქართულით ჩაგვირისტებულ სტრიქონებს ჩავაყოლე თვალი. ჩვეულებრივი სელამ-ქელამი ერთი ამოსუნთქვით ჩავიკითხე და, ვაიმე, ღმერთო, ფურცლის ბოლოში ჩაყვითლებული, გადღაბნილი წრეები შევნიშნე... წამსვე ვიგუმანე - თვალცრემლიანი დედა წერდა წერილს!.. ეტყობა, ბევრს ეცადა, მაგრამ ფურცელზე ცრემლის ერთი წვეთი მაინც დავარდნია!.. დედის ცრემლი - მონატრების, სიმწრის და არსებული რეალობიდან გამოუვალობის შეგნებით გათანგული თვალებიდან წამოცვენილი... აკანკალებული ხელით ფურცლის მეორე გვერდიც წავიკითხე:

„ ... შვილო, უთქვენოდ აღარ შემიძლია, ლამის გული გასკდეს!.. ჩემო სიხარულო, ჩვენი ოჯახის ერთადერთო იმედო და მამის გვარის ერთადერთო გამგრძელებელო, ძალიან მენატრები! შენს ლოდინსა და ცრემლთაღვრაში ვარ, სულ მესიზმრები, ამომიღამდა თვალები... ღამღამობით ძილი წამიხდა, ეზოში გაფაჩუნება და გაშრიალებაც კი შენი მგონია, რამდენჯერ ძილბურანში საწოლიდან წამოვხტარვარ, გულისხეთქვით კარებთან მივვარდნილვარ - ჩემი შვილი მოვიდა, მეთქი... ეტყობა, სიბერის ბრალიცაა!.. ძალიან კი მოვტყდი. სიბერემ აქეთ მძლია, იქ-

ით მამაშენის უდროოდ წასვლამ!.. მართალია, ქალიშვილი და სიძე პატივსა და ყურადღებას არ მაკლებენ, მაგრამ სულ სხვაა ვაჟიშვილის ზრუნვა, რძლის მადლიანი მზერა და ბადიშის ტიტინი და ალერსი!.. ყოველივე ამას მომაკელი, გაუსაძლისად დამანატრე!.. ეეხ! ცოტასაც გავუძლებ კიდევ... ისე დავხავსდი და დავძაბუნდი, ალბათ, ორიოდე პარასკევიღა დამრჩენია... მეც მოვისვენებ და შენც სინდისის ქენჯნა აღარ შეგაწუხებს - ნეტა როგორააო დედაჩემი... კი გაგახსენდება, ალბათ, თან გეცოდინება, მე და მამაშენი მშობლიურ მიწას რომ შევერიეთ!.. ვიცი, ახლა რასაც მოგწერ, არ გესიამოვნება, მაგრამ მშობლის ვალი უკანასკნელად უნდა მოვიხადო: - საქართველოს დასაკარგი შვილები არ ჰყავს!.. იქნებ, გამიბრაზდე კიდეც, მაგრამ მაინც გეტყვი - მშობელსა და სამშობლოს თავსი შვილი უნდა, მის გვერდით და მის გულში!.. ნუ დაგავიწყდება ეს!.. შენ ხომ გიყვარდა მშობლები... სამშობლო... მომკალი და ვერ ვიჯერებ, როგორ ძლებთ უღვიძლოდ და უსამშობლოდ შენ ან შენი ცოლშვილი!

ვიცი, მანდ, შენი რჩეული სამსახური, სტაბილური შემოსავალი, შესაძლოა, უკეთესი საცხოვრებელი პირობები გაქვს, ვიდრე საქართველოში, მაგრამ, განა, უმჯობესი პირობებია მთავარი?!. მაქაური ცხოვრების წესი, სამეზობლო და მსუყე ცხოვრების პერსპექტივა, განა, უფრო ღირებულია?.. ერთი რამ მინდა იცოდე - ეს ყველაფერი დროებითია, წარმავალი... ქართველობა, გვარიშვილობა და საქართველოა უკვდავი!.. დაფიქრდი, შვილო, გიღირს კი ყოველივე ეს იმად, რომ შენ და შენი შთამომავლობა მშობლიურ ფესვებს საბოლოოდ და სამარადჟამოდ მოწყდეთ, გადაგვარდეთ და გადაჯიშდეთ, თუ მამა-პაპათა სამკვიდროსა და სამშობლოს, მშობელ ერსა და მშობლიურ გარემოს დაუბრუნდეთ?.. იფიქრე, შვილო... იფიქრე!.. გკოცნი და გეფერები, შენი გულდათუთქული და გაუსაძლისი ლოდინით გულდამძიმებული და თვალებდასიებული, მომლოდინე დედაშენი...“

სუნთქვა შემეკრა. გული შემეკუმშა!.. ამომიჯდა. თვალისჩინი და გონება დამებინდა და ჯერაც უცნობმა და გამოუცდელმა კანკალმა ამიტანა!.. თითქოს მეხი დამეცა, მართალია, ცოცხალი გადავრჩი, მაგრამ შეტრუსულ-შელანძული და ნაგვემი. ასე, გაუნძრევლად და უბრად ვიჯექი ერთხანს, ბოლოს, როგორც იქნა, გონება დაიწმინდა, თვალისჩინი დამიბრუნდა, საგრძნობლად დავმშვიდდი. ალბათ, სკვერიდან მონაბერმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრილმა სიომ თავისი ქნა, ან, სულაც, მამაჩემის უკვდავმა სულმა ვერ გამიმეტა, ნაზად მეამბორა და გამამხნევა?!.

...სულ სხვა კაცად წამოვდექი საბავშვო საქანელადან. მართალია, მორალურად განადგურებული და დათრგუნული, მაგრამ გონებაგანათებული და მიზანსახული!.. გრძნობები მოვთოკე, თავი ხელში ავიყვანე, შეძლებისდაგვარად მოვწესრიგდი და სახლში წავლასლასდი.

შინმისულს კარებთან მეუღლე შემომეგება. ხალისიანი, მომნუსხველი მზერა მომანათა. მეუცხოა და გამიკვირდა კიდეც ცოლის ამაღლებული ხასიათი, მაგრამ არ შევიმჩნიე. დალოცვილმა უხასიათობის მიზეზი არ გამომკითხა, სათქმელი ამოშაქრა: - ჩემო სიხარულო, დღეს პოლიკლინიკას ვეწვიე, ორსულობის ტესტი ჩავაბარე!.. გიხაროდეს, მალე მეორე შვილის მამა გახდები! - მომახარა და ყელზე სუროსავით შემომაჭდო მშობლიური ნაზი და თბილი ხელები. საყვარელმა და ამდენადვე მშობლიურმა ამბორმა მომალბო. დიდება უფალს, მეორე შვილი გვეყოლება!..

მაშ, მეორე შვილის მამა გავხდები?!. სასიამოვნო ამბავმა და ახლად „თავსდამტყდარმა“ ბედნიერებამ ხასიათი კი გამომიკეთა, მაგრამ ფიქრები და დედის შეგონება უფრო გამიცხოველა და მეტი აქტუალობა შესძინა!.. წერილის შესახებ მეუღლესთვის არაფერი მითქვამს. არ მინდოდა, ხასიათის წახდენოდა!

ქალიშვილის ძილადწასვლისას მგრძნობიარე კოცნამ უფრო ჩამაფიქრა!..

არ იქნა და ვერ დავიძინე. რული თვალს არ მიეკარა. დედის წერილმა და მისმა დარდიანმა შეგონებამ, განწირული ადამიანის თხოვნა-მუდარამ სრულიად დაიპყრო ჩემი არსება, მიიჯაჭვა ჩემი გრძნობა-გონება... მალე მეორე შვილის მამა გავხდები! ქალიშვილი, ისიც პატარაობისას, მხოლოდ ერთხელ მყავდა საქართველოში... მას, ალბათ, სრულიად არ ახსოვს მშობლიური სახეები, სამშობლოს ბუნება, მადლიანი, ჯადოსნური გარემო... მართალია, შვილი ჯერ კიდევ ქართულად მეტყველებს, მაგრამ საგრძნობი რუსული აქცენტით, მაგრამ ის ჯერ პატარაა... სკოლა, სამეგობრო, განსხვავებული გარემო მას საბოლოოდ გადაადგვარებს, მხოლოდ ქართული გვარსახელი და იერი შერჩება, მეტი არაფერი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რუსული აქცენტით ნაცოდვილარ ქართულ გამონათქვამებს. საბოლოო ჯამში, რუსული მენტალობისა და ხასიათის მატარებელი იქნება... დედის შეგონება - საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაკარგავი შვილები არ ჰყავსო, ტვინსა და გულში მახვილივით ჩამერჭო და ამატკივა!..

მეორე დღეს სულ სხვა გუნება-განწყობით გამოვცხადდი სამსახურში. კარისკაცმა სანდომიანად შემომცინა და მომესალმა - „დობროგო დნია ტებე, გრუზინ“ (კეთილ დღეს გისურვებ, ქართველო). მხოლოდ ახლაღა მივაქციე ყურადღება „ქართველო“!.. თითქოს ამდენი ხანი გაბანგულს მეძინა, გონება გამინათდა: ქართველად, ესე იგი, მათთვის უცხოდ და უცხოელად აღმიქვამენ, ამდენი ხნის თანაცხოვრებისა და თანამშრომლობის მიუხედავად, განა, მათზე ნაკლები გვარ-სახელი მაქვს, თუ რა?!.. ახლაღა მეხსიერებიდან ამომიტივდა, ნართაულად როგორ გვიხსენიებდნენ კავკასიური წარმოშობის პირებს - „ლიცო კავკაზსკოი ნაციონალნოსტი“ (კავკასიური ეროვნების სახე)... რა გამოდის? კავკასიაში ორმოცდაათზე მეტი ერისა და ეროვნების ხალხი ვცხოვრობთ განსხვავებული წარმომავლობითა და ენით, ამათ კი ყველა ერთ ქვაბში ჩაგვყარეს და ციცხვს ისე ურევენ, როგორც მოეპრიანებათ და მოესურვებათ... ახლაღა გამახსენდა ზოგიერთის სარკაზმით თქმული - „პონაეხალი ტუტ“ (მოეთრიენ რა ესენიც)... კიდევ ვინ მოსთვლის ჩვენი, არასლავური წარმომავლობის ხალხის მისამართით თქმულ, საშაყირო და დამამცირებელ ეპითეტებს თუ ანეკდოტებს!.. ყოველივე ეს გონებაში გადაიხარშა და, ვგონებ, პირველად ჩემს ცხოვრებაში, ერთადერთი და მართებული დასკვნა გავაკეთე: - არასლავური წარმოშობის ხალხი რუსებისთვის თავისიანი და მშობლიური არასოდეს გავხდებით, საზოგადოებაში რაც არ უნდა სერიოზული პოზიცია თუ თანამდებობა გვეკავოს!.. დედაჩემის წერილი მომაგონდა და კვლავ გავითავისე მისი ყოველი სიტყვის ჭეშმარიტი აზრი და მნიშვნელობა!..

ერთი კვირა მივლინებაში დავყავი. გზის ეგზოტიკა, ბარები და ლამაზმანები აღარ მიზიდავდა და მხიბლავდა. გონებით სულ სხვა სამყაროში ვიყავი! სულ სხვა აზრები მიტრიალებდა თავში, გულსა და სულს სულ სხვა განცდები მიფორაქებდა...

სახლში დაბრუნებული უკვე სულ სხვაგვარად აღვიქვამდი წლობით გამეფებულ ვითარებას, ცოლ-შვილის ყოველდღიურ ყოფასა და საზრუნავს. ისინი ჩემთვის მხოლოდ ნათესავები აღარ არიან!.. ისინი ბუმბერაზი კავკასიონის, მადლიანი საქართველოს და ყოველივე მშობლიური ქართულის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილნი არიან!.. ვაი, რომ ჩემგან ასე უგულიდ და უღვიძლოდ მიტოვებული და მივიწყებული!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეხსიერებიდან ერთი ბრძნულად ნათქვამი ამოტივტივდა: „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“ - მართალია, სანამ არ გადავჭიშებულვარ, შვილები კი სრულად ასიმილირებული და გადაგვარებული არ არიან, უნდა მოვუსვა აქედან, უნდა დავბრუნდე „ცა - ფირუზ, ხმელეთ - ზურმუხტ“ საქართველოში!.. კმარა ობლობა, კმარა ბედის გამოცდა, უნდა წავიდეთ, სანამ მონატრების „სისხლის ცრემლები“ არ უღვრიათ ჩემს ცოლ-შვილს!..

ძილგატეხილს, რატომღაც, კომპიუტერთან დაჯდომა მომინდა. ეკრანზე ქართული ფილმის „ფესვები“ ტიტრები დამხვდა. მიგიხვდი, ძვირფასო თანამეცხედრევ! შენც იგივე დარდი და ფიქრები გიღრღნის გრძნობა გონებას ხომ?.. მომინდა ფილმის ნახვა... ჩემი თავი და ფილმის გმირების ფათერაკებიანი გზა-სავალი შევადარე!.. ამაფორიაქა გიორგი ზაქარეიშვილისა და სამსონ ჯანდიერის გაცნობის სცენამ და მათ შორის გამართულმა დიალოგმა, განსაკუთრებით კი სამსონის ნათქვამმა: „ჩვენ, ჩემო გიორგი, ფესვებიდან მოგლეჯილი ხეები ვართ, დავბრუნებოდით ჩვენს ფესვებს“, ასევე გიორგის ბადიშისადმი შეგონებამ: - „გახსოვდეს, ხის სიმაღლე მიწის ზევიდან კი არ იზომება - ფესვებიდან, შენი ფესვები იქ არის, საქართველოში“! ჩემი ხუთი წლის ქალიშვილი და ჯერ არდაბადებული მეორე შვილი წარმოვიდგინე და უხმოდ ავქვითინდი... ჩემი საბოლოოდ აღრიალების კულიმინაცია იყო ფილმის, უკვე ბებერი გმირების შეხვედრა, გაკვირვებული და ნანახით გაოგნებული გიორგის შეკითხვა: - „თქვენ, ბატონო ჩემო, არ წასულხართ საქართველოში?“ და სამსონის დამწვარი გულისა და გამწარებული სულის ღაღადისი: -„ჩვენ დაბრუნების მომენტი გამოგვეპარა. ვეღარასოდეს დავბრუნდებით. ჩვენ უკვე აღარცა ვართ ქართველები. ვერ ატყობ, ენაც კი თანდათან გვავიწყდება. თქვენმა შვილებმა ქართული იციან? აი... იოანე ზოსიმე ქართულს ღმერთების ენას უტოლებდა, ჩვენ კი ენა დავუკარგეთ შთამომავლობას. აბა, სადაური ქართველები ვართ, როცა ჩვენი შვილები აღარ არიან ქართველები. ასეა, გეთაყვა, ამიტომ ნუღარ ოცნებობ საქართველოზე. მომიტევეთ“... თავი ვეღარ შევიკავე და გულამოსკვნით, ხმამაღლა ავქვითინდი...

თურმე მეუღლეს არ ეძინა. სავარძელში მიყუჟული მიცქეროდა და ჩემი და მისი საცოდაობით გათანგული, გულამოსკვნით, გულისგამგვირავად უხმოდ ქვითინებდა!.. მე, ფიქრებში ჩაძირულმა, და ეკრანზე მიჯაჭვულმა, მისი საძინებლიდან გამოსვლა და ჩემი თანაზიარი საცოდავობა ვერ შევნიშნე... ბოლოს საბრალომ ვეღარ გაუძლო, გრძნობამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეული ფეხაკრეფით მომიახლოვდა და უსიტყვოდ მომეხვია, ჩამეკონა... ცრემლის აღარ მოგვრიდებია!.. პირველმა მან დაარღვია უბრობა:
- თურმე ორივეს ერთი საფიქრალი და სადარდებელი გვქონია, ეშმაკსაც წაუღია ყველაფერი!.. წავიდეთ საქართველოში!

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, სულ რაღაც ოც დღეში, რის წამოღებაც ვერ მოხერხდებოდა, გავყიდეთ და,... „მოვატანეთ კიდეცა ჩვენი სამშობლოს მთა-ბარსა“!

მომავალში რას ვაპირებ?! ვიცხოვრებ მამა-პაპათა მამულში!.. აქ გავზრდი შვილებს ქართველებად და ქართული ჯიშ-ჯილაგის გამგრძელებლად!.. რა თქმა უნდა, იმის იმედიც მაქვს, რომ ნათესავები და ახლობელ-მეგობრები ამომიდგებით გვერდში!..

ბედნიერებმა და მეგობრის მართებული და საამაყო ქცევით გაცისკროვნებულებმა ერთმანეთს ძმურად გადავეხვეთ!

ბათუმი
2020 წელი

„სად წაიყვან სადაურსა,
სად აღუფხვრი სადით ძირსა!“
შოთა რუსთაველი

მოთხრა, მაგრამ ამისთანა?!.

(სინანანულითა და სიმწრით თქმული)

ერთხელ, რუსეთში ყოფნისას, ჩემმა ძველმა ნაცნობმა ვარაზამ საგულისხმო და საჭირბოროტო, რამ მომითხრო. მენიშნა. გული ძალიან მეტკინა. საერთო ჭირად და სახიფათო ტენდენციად აღვიქვი და ჩავთვალე საჭიროდ თქვენთვისაც მეამბნა.

„...1992-1993 წლების აფხაზეთის ტრაგედიის შემდეგ ჩვენს სტანიცაში გამოჩნდა 3 ქართული ოჯახი. მამაკაცები დაღვრემილები იყვნენ, ხოლო ქალები სულ ტიროდნენ. დასტიროდნენ ომში დაღუპულ ახლობლებს, მამა-პაპური ბუდის მოშლას, უპატრონოდ მიტოვებულ წინაპართა საფლავებს, დანგრეულ და გადაბუგულ სახლ-კარს, გაპარტახებულ ეზოკარს და შვილივით ნალოლიავებ და მოვლილ ყანა-ბაღჩებს... სამშობლოდან შორს, დევნილებაში, გადახვეწასა და გაურკვეველ მომავალს... გული მეტკინა: მათაც ის ბედი ეწიათ, რაც ოდესღაც ჩემს წინაპრებს, მართალია, სხვა ინტეპრეტაციით და სხვა ვითარებაში, მაგრამ თითქმის ერთნაირი სიმძიმითა და სიმწარით... ჩვენი სტანიცის სომხური სათვისტომოს თანადგომით და მუნიციპალური ხელმძღვანელობის კეთილი ნების წყალობით, მოხერხდა სტანიცის ამბულატორიის ძველი შენობის შეკეთება. ისინი დროებით იქ შესახლდნენ. მათ ლტოლვილის სტატუსი მიენიჭათ და შესაბამისი საბუთიც მიეცათ. სამუშაოც გამოიძებნა... სტანიცას სამი კომლი შეემატა.

მინდა, მოკლედ დაგიხასიათო სამივე და ჩემი სატკივარიც გითხრა:

ერთი ოჯახი სამი წევრისგან შესდგებოდა: დედა - ჟანა, იქნებოდა 35 წლის, ტანადი, სიმპათიური, შავთმა-შავთვალწარბა ქალი. პროფესიით ბუღალტერი იყო. ორი ვაჟიშვილი ჰყავდა: 15 წლის ვაჟა და 13 წლის ვალერიანი. ჟანას მეუღლე საომარი მოქმედებების დროს დაეღუპა. სო-

ხუმის დაცემამდე რამდენიმე დღით ადრე ოჯახი ქალაქ სოჭში გახიზნულა.

მეორე ოჯახიც სამი წევრისგან შედგებოდა: ბებია - სალომე, დარბაისელი ქართველი დედაკაცი, იქნებოდა სამოცი წლის, მაგრამ სიმწრისა და ტანჯვა-ვაების გამო უფრო ხნიერი და მოტეხლი ჩანდა. მისი შვილი - ზურაბი, იქნებოდა 40-42 წლის, პროფესიით მძღოლი. ჰყავდა 12 წლის გიორგი. მათი ოჯახი გაგრაში ცხოვრობდა. დაბომბვის დროს სახლს ჭურვი დასცემია, ნანგრევებში მოყოლილან ზურაბის მამა, მეუღლე და ქალიშვილი. მეზობლების დახმარებით მოუხერხებიათ ცხედრების ამოყვანა და იქვე, ეზოში, დაუმარხავთ. თავად ტყვეობას ბეწვზე გადარჩენიან და ნაცნობი აფხაზის წყალობით ფსოუ გადმოულახავთ.

მესამე ოჯახი ოთხწევრიანი იყო: ბაბუა - თედო, იქნებოდა 72 წლის, ჯანმაგარი და სათნო ბერიკაცი; რძალი - მარიამი 37-38 წლის, მოდგმული, საშუალო სიმაღლის, ლამაზი, ქერათმიანი, ლურჯთვალება მანდილოსანი, პროფესიით რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი; 11 წლის ქალიშვილი რუსუდანი და 8 წლის ვაჟიშვილი - თემური. ისინი სვანები არიან, გუდაუთაში ცხოვრობდნენ. მარიამის მეუღლე - ნოდარი კოდორის ხეობაში წასულა ნათესავების მოსანახულებლად და უკან აღარ დაბრუნებულა. ბაბუის მეგობრებისა და ძველი თანამშრომლების (ადრე მილიციის ოფიცერი ყოფილა) წყალობით სამშვიდობოს უვნებლად გამოუღწევიათ და რუსეთში გამოხიზნულან.

ახალ ადგილას დაფუძნებული ოჯახები ნელ-ნელა შეეჩვივნენ მათთვის უცნობ და უჩვეულო ყოფას. უმეტესობამ თავიანთი სპეციალობის მიხედვით დაიწყო მუშაობა. ომით მიყენებული ფიზიკური თუ სულიერი იარები ნელ-ნელა დაუამდათ, მაგრამ მათ თვალებში სევდას, ხოლო გულებში მონატრებას სამუდამოდ დაესდადგურებინა. ცხოვრება გაგრძელდა... ბავშვები სკოლაში შეიყვანეს. მართალია, რუსულ სკოლაში პირველად გაუჭირდათ, მაგრამ მალე აუღეს ალღო, მით უმეტეს, რომ სალაპარაკო რუსული თავიდანვე იცოდნენ.

გიორგი და რუსუდანი იმთავითვე გამოირჩეოდნენ სწავლის წყურვილით, შრომისმოყვარეობით და სიბეჯითით. წარმატებით დაამთავრეს სკოლა. სკოლის მერხიდანვე შეუყვარდათ ერთმანეთი... ორივე კრასნოდარში სწავლობს. თემურიც ბეჯითი და მოსიყვარულე ყმაწვილია. თავიდანვე ეტყობა, რომ კაი ვაჟკაცი დადგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბედუროდ დრო თავისას შვრება... ჯერ თედო პაპა, შემდეგ კი სალომე ბებია მივაბარეთ რუსეთის მიწას... დავიტირეთ ქართულად, ყველა წესის და ადათის დაცვით და ჩვენებურადვე მოვუწყვეთ საფლავები. მინდა, იცოდე: ჩვენ, ახალქალაქელი სომხები, ბევრ ქართულ ადათ-წესს ვიცავთ. ცხოვრების და ოჯახის გამართვის წესებიც მეტ-ნაკლებად ქართული გვაქვს. ალბათ, ამიტომაცაა, რომ ერევნელი სომხები მთლად თავისიანებად არც გვთვლიან... - თქვა და გაჩუმდა.

ორი ძმის - ვაჟას და ვალერიანის ბედით რომ დავინტერესდი, ვარაზა უფრო მოიღუშა.

- ამ ბიჭებმა ვერ გვასახელეს, შეგვარცხვინეს, - თქვა დანანებით და მწარედ ამოიოხრა.

- რა მოხდა, რატომ ამოიოხრე? - ვკითხე.

- ეს გრძელი და უსიამოვნო ისტორიაა!.. - წარმოსთქვა ცოტაოდენი დუმილის შემდეგ და განაგრძო:

- ვაჟა და ვალერა თავიდანვე არ ჰგავდნენ სხვებს - არც ქცევით, არც აზროვნებით, არც მისწრაფებებით. გული ვერც შრომას დაუდეს, ვერც სწავლას. ზარმაცობდნენ, გაკვეთილებს აცდენდნენ. ჟანა ჯერ სასოფლო-სამეურნეო კომპლექსში მოლარე-მოანგარიშედ მუშაობდა, შემდეგ კი კერძო ფირმაში გადავიდა ბუღალტრის თანამდებობაზე. მარტოხელა ქალი წელებზე ფეხს იდგამდა, რომ შვილებს ობლობა არ ეგრძნოთ, არაფერი დაჰკლებოდათ, თანატოლებში გამორჩეულები არ ყოფილიყვნენ. მუხლჩაუხრელმა შრომამ, მეუღლის დაკარგვის ვარამდარდმა, ახლობლებთან და სამშობლოსთან განშორებამ მძიმე დაღი დაასვა საწყალი ქალის გულს. საგრძნობლად მოტყდა, გაიცრიცა, ამას დაერთო შვილების უგუნურობა და სიზარმაცე, რამაც საბოლოოდ მოუთავა ხელი. მუყაითობით და მეზობლების თანადგომით ორსართულიანი სახლის აგება, მეურნეობის გამართვა და დოვლათის შექმნა შესძლო. მისი კარ-მიდამოს და ბოსტან-ბაღჩის ნახვა ერთ რამედ ღირდა... სხვებისთვისაც სამაგალითო გახდა, ბევრმა მიბაძა ჟანას, შერცხვათ: ის, რაც მცირე ხანში ქვრივმა, ორი ობოლი ბავშვის დედამ შეძლო და შეიძინა, ბევრ ძველ ადგილობრივ მკვიდრს არც ებადა და ვერც იოცნებებდა...

ერთი რამ გამომრჩა, თუ ამას აქვს რაიმე მნიშვნელობა - ჟანას ოჯახი მეგრული წარმოშობის იყო. ეს იმიტომ გამახსენდა, რომ მისი ვაჟების საუბარი არ მესმოდა. თავიანთ ნაფიქრ-ნააზრევს არავის ანდობდნენ, განმარტოებით ყოფნას არჩევდნენ. ერთმანეთთან მეგრულად საუბრობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ, ხშირად ამავე ენაზე ჩურჩულებდნენ. ეტყობა, ეს გარემოებაც აფერხებდა მათ გაგებას და სხვებთან ურთიერთობაში გულწრფელობის დეფიციტს იწვევდა. ჯერ სიგარეტის მოწევა დაიწყეს. სტანიცელ თანატოლებთან, მათ შორის გიორგისა და თემურისთან ურთიერთობას, გაურბოდნენ. ალბათ, შურდათ, რომ ისინი წარჩინებული მოწაფეები, ოჯახისთვის მზრუნველი და გამრჯე ბიჭები იყვნენ. ჩუმად დასცინოდნენ კიდეც. ერთხელ ვალერამ, რომ წაკამათდნენ, რუსუდანს წამოაძახა, - რაღა ქალოია გიორგი შეგიყვარდაო. ამან უფრო გათიშა ქართველი გოგო-ბიჭები...

თავიდანვე საეჭვოდ იქცეოდნენ. სტანიცაში ლოთობით და დებოშით ცნობილ კაზაკ ბიჭებს - სტეფანეს და ბოგდანს დაუახლოვდნენ და მალე მათი თანამეინახეებიც გახდნენ. დაიწყეს ალკოჰოლთან "მეგობრობა." გაგანია ზაფხულში, როცა ყველა მინდორში იყო, სამკალში თუ სათოხარში, ეს „შესანიშნავი" ოთხეული სტანიცის ბირჟაზე, დიდი ცაცხვის ძირას ბახუსით ერთობოდნენ. არც ნარკოტიკებზე ამბობდნენ უარს. ჯერ მარიხუანას დაუმეგობრდნენ - დალევდნენ, გააბოლებდნენ და, წავიდაააა... განსაკუთრებით დაწიოკების ობიექტად ამოიჩემეს სტანიცის საცეკვაო მოედანი, სადაც ახალგაზრდობა საღამოობით დისკოთეკას მართავდა. გამომთვრალი და „დაბოლებულები" გამომწვევად იქცეოდნენ, ქალიშვილებს ეპოტინებოდნენ, უაზრო და უწმაწურ სიტყვებს გაისროდნენ... ერთხელაც მეზობელი სტანიციდან მოწვეულ ქალ-ვაჟებს აუშარდნენ, ჯერ აგინეს და ლანძღეს, შემდეგ კი ჩხუბი დაუწყეს. საცოდავი მეზობლები, თავპირჩამტვრეულ-ჩასისხლიანებულები, შინ ტრაქტორის მისაბმელის ძარაზე ჭერეხებივით დაყრილები მიიყვანეს. ამის შემდეგ მათით სამართალდამცავები დაინტერესდნენ. მალევე მიაკვლიეს და დაადგინეს ჩხუბის და დებოშის მოთავე-ორგანიზატორების ვინაობა. კროპოტკინიდან მოსულმა ოპერატიულმა ჟგუფმა ოთხივე წინასწარი დაკავების იზოლატორის გზას გაუყენა. ერთი კვირის შემდეგ გაათავისუფლეს. ამბობდნენ, ბოგდანის ბიძამ - დედის ძმამ, რომელიც სამხარეო მილიციაში სერიოზულ თანამდებობაზე მუშაობდა, ადმინისტრაციული სახდელი გაუჩალიჩა და გაათავისუფლებინაო.

ვირის აბანოგამოვლილმა „ბრწყინვალე ოთხეულმა" თითქოსდა ჭკუას მოუხმო: აღარ არღვევდნენ საზოგადოებრივ წესრიგს, არც უაზროდ ქუჩაში დაბორიალობდნენ. ერთი ის იყო, რომ საწყალ ჟანას პირველად ინფარქტმა მაშინ დაარტყა. რამდენიმე თვეს მკურნალობდა, ჯანმრთე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობა საგრძნობლად შეერყა. ბუღალტრად მუშაობა უკვე აღარ შეეძლო, მაგრამ მაინც მოახერხა საოჯახო მეურნეობის შენარჩუნება. ბატების მოშენებას მიჰყო ხელი. მეზობლებიც ვეხმარებოდით. ოჯახს საკმარისი შემოსავალი ჰქონდა. ბიჭები არსად მუშაობდნენ და არც ცდილან, დედას ცოტათი მაინც შეხიდებოდნენ. მალე ყაყაჩოს ხარშვა დაიწყეს. ვიღაც კრასნოდარელი „ბარიგა" ამარაგებდა. ვენაში არ იკეთებდნენ - სვამდნენ, ჭარხლის ერთნახად არაყსაც აყოლებდნენ და მთელი დღე სტანიცის ბირჟაზე, ცაცხვის ძირში კოტრიალობდნენ. სტანიცელები, განსაკუთრებით ახალგაზრდა გოგო-ბიჭები, ერიდებოდნენ ბირჟის სიახლოვეს გავლას, რადგანაც ოთხეულის მხრიდან, ძირითადად, მაინც ახალგაზრდები ხდებოდნენ დაცინვის, აგდების თუ ძალადობის ობიექტი...

მალე უფრო ღრმად შეტოპეს. კრასნოდარელმა „ბარიგამ" დაბოლებისა და კაიფის უფრო ეფექტური და სანდო საშუალება შესთავაზა - ჰეროინი, ეს კი საკმაოდ ძვირადღირებული სიამოვნება იყო. ბევრი ფიქრის და განსჯის შემდეგ გადაწყვიტეს, სავაჭრო თუ საჯარო მომსახურების ობიექტებისთვის „წილი" შეეწერათ. სანაცვლოდ რეკეტისა თუ გაუთვალისწინებელი სიტუაციებისაგან დაცვა-დაზღვევას შეპირდნენ. მათი მუქარა და დაცვის თავმდებობა მცირე ბიზნესმენებსა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მეპატრონეებს სასაცილოდაც არ ეყოთ, ცივი უარით გაისტუმრეს. განსაკუთრებულად აღშფოთებულა ვარაზას მეზობელი და შორეული ნათესავი - ოვანესა, რომელსაც სტანიცაში საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი ჰქონდა.

ვაჟას და ბოგდანს ცალყბად უხუმრიათ:

- ოვანესჯან, სილამაზის სალონი აღარ გექნება, შენი თანამემამულეები კი მამა-პაპური სამართებლითაც იოლად გავლენო.

მართლაც, მეორე დღეს სტანიცის ცენტრში ოვანესას სილამაზის სალონი ცეცხლის ალში გახვეულა. მართალია, მეხანძრეებმა იყოჩაღეს, მაგრამ სტანიცის მამაკაცები და მანდილოსნები მამა-პაპური სამართებლებისა და „ბიგუდების" ამარა კარგა ხანს დარჩნენ. ბიჭებს ისე სუფთად ემუშავათ, სამართალდამცავებმა დანაშაულის მამხილებელი ხელჩასაჭიდი ვერაფერი ნახეს, ხანძარი დენის მოკლე ჩართვას დააბრალეს და საქმე „ჩამოწერეს."

ოვანესას „ხვედრით" შეშინებულმა სტანიცელმა ბიზნესმენ-მესაკუთრეებმა იფიქრეს, ითავლხელეს, იანგარიშეს და „ბრწყინვალე ოთხეულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან“ მიაღწიეს გარიგება-შეთანხმებას: დათქმულ დროს და ადგილას შეწერილთანხიან კონვერტებს ტოვებდნენ.

სტანიცაში კვლავ სიმშვიდემ დაისადგურა...

„შესანიშნავი ოთხეული“ აგრძელებდა ჩვეულ საქმეს. მუდმივი ალკოჰოლური და ნარკოტიკული თრობის გამო საკუთარი თავიც დაავიწყდათ. გაბურძგნილები, გაუპარსავები და ჭუჭყიანები საფრთხობელებს დაემსგავსნენ. მათი დაგლახავებისა და წყალწაღებულობის შემხედვარეს, რომ არ გცოდნოდა, ვინ ოხრები და არამზადები იყვნენ, გული გეტკინებოდა. განა, შვილების ასეთ მომავალზე ოცნებობდა ვაჟას და ვალერას მამა, როცა სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის, მათი უკეთესი მერმისისთვის იბრძოდა და გმირულად დადო თავი?! განა, შვილების ასეთ ყოფისა და ამ დღეში ჩავარდნისთვის წვალობდა საწყალი ქვრივი, მარტოხელა ქალი და წელებზე ფეხებს იდგამდა?! ეეჰ! უმადურობავ და უნამუსობა-უპასუხისმგებლობავ!.. საწყალი ჟანა ხშირად ავადმყოფობდა. ტანჯვა-ოხვრით ლოგინიდან წამომდგარი წალასლასდებოდა სტანიცის ბირჟაზე. იქ ლანდად ქცეული შვილების შემხედვარე მდუღარე ცრემლებად იღვრებოდა, ემუდარებოდა, მუხლებზე ჩაჩოქილი უფალს და ღვთისმშობელს იხმობდა საშველად და შემწედ... ბიჭებს, თავდაპირველად, დედა ეცოდებოდათ, ხათრს ვერ უტეხდნენ. უგულოდ მიძუნძულებდნენ დაავადებული და წელში მოხრილი დედაბრის უკან თმააბურძგნილი, ლანდად ქცეული ქართველი „ვაჟკაცები.“ შვილების ასე „გაფარჩაკებით“ მორალურად განადგურებული დედის შემხედვარე მეზობლებს გული გვიკვდებოდა. ხშირად მინახავს ასაკოვანი ქალების თვალებზე მალული ცრემლი...

ერთხელ ბირჟაზე ჩოჩქოლი ატყდა. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა დროზე მივიდა, მაგრამ ამაოდ - სტეპანეს გადარჩენა არ მოხერხდა... უკვე „სამეული“ უაზრო, დაფეთებული თვალებით ერთმანეთს ზომავდა, გაოგნებული და შეშინებული ბიჭები სტეპანეს ცხედართან მიახლოვებასაც ვერ ბედავდნენ...

ცოტა ხნის შემდეგ ყველაფერს ნათელი მოეფინა: სტეპანეს გვამის გაკვეთისა და ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად დადგინდა მისი სიკვდილის მიზეზი, - მოწამვლა.

„ბარიგას“ ბიჭებისთვის ჰეროინის დროზე მიტანა დაჰგვიანებია და „ლომკით“ გათანგულებს გაულახავთ, „წამალი“ წაურთმევიათ და მოკვლითაც დამუქრებიან, თუ წამალს კიდევ დაუგვიანებდა... ბარიგა დაბო-

ღმილა და ბიჭებზე სამაგიეროს გადახდა განუზრახავს. მორიგ პარტიაში გაურევია ქვიშა და თაგვის წამალი. ვაჟა, ვალერა და ბოგდანი იმან გადაარჩინა, რომ ჰეროინს ვენაში არ იკეთებდნენ, ეწეოდნენ. სტეპანე ამას არ დაგიდევდათ და მყისიერი და სწრაფი „კაიფის“ მოტრფიალე ჰეროინს პირდაპირ ვენაში იკეთებდა. ახლაც ასე მომხდარა: სანამ დანარჩენები პაპიროსში შეაკეთებდნენ და „ყალიონს გამართავდნენ,“ სტეანემ ნემსი სასწრაფოდ ვენაში იჩხვლიტა და შედეგმაც არ დააყოვნა. მეგობრები კომაში ჩავარდნილ და გადაფიჩინებულ სტეპანეს ვერც მოეხმარნენ და ვერც „კაიფის დაჭერა“ მოასწრეს... ასე გადაურჩნენ ჩვენი „გმირები“ ნაღდ სიკვდილს. სამართალდამცავებმა სამივე დააპატიმრეს. ისინი გამოძიებასთან თანამშრომლობაზე იოლად დათანხმდნენ. კრასნოდარის ოპერატიულ-სამძებრო სამსახურის თანამშრომლებმა „ბარიგა“ აიყვანეს. როგორც ნარკომომხმარებლებს და, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, დაზარალებულებს, სასამართლომ სამივეს სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა და ადმინისტრაციული სახდელი დაადო.

ჟანამ, შვილების დაპატიმრების ამბავი რომ შეიტყო, ერთი ძლიერ შეჰკივლა და გონწასული იატაკზე გაიშხლართა - ინფარქტი გაუმეორდა. ექიმები ბევრს ეცადნენ, მაგრამ სიკვდილის კლანჭებიდან ვერ დაიხსნეს. სტანიცაში გადმოვასვენეთ. განსაკუთრებული თავდადება მარიამმა გამოიჩინა - სასაფლაოც მოამზადებინა, მღვდელს გააპატიოსნებინა და ქელეხიც გადაუხადა, პარაკლისიც შეუკვეთა. სტანიცა კაზანსკაიას სასაფლაოს ერთ განაკიდურს მესამე ქართველის საფლავი შეემატა. ჟანას უმადურ და გზასაცდენილ, ნარკომან შვილებზე დარდმა და ვარამმა მოუსწრაფა სიცოცხლე...

სამი თვის შემდეგ სასჯელმოხდილი „გმირები“ სტანიცაში დაბრუნდნენ. ძმებს დედის გარდაცვალება საკანში შეეტყოთ. სამივე მორალურად განადგურებული, საგრძნობლად გამხდარი და დაჩაჩანაკებული მეჩვენა. სამ დღე-ღამეს გლოვობდნენ დედას და ძმაკაც სტეპანეს.

ვაჟამ და ვალერამ დედის საფლავზე პირობა დადეს, რომ შეეშვებოდნენ ნარკოტიკებს და ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდებოდნენ. მართლაც, რამდენიმე თვის განმავლობაში ისინი არც ბირჟაზე, არც დისკოთეკასა და სხვა გასართობ ადგილებში აღარ უნახავთ. სახლიდანაც თითქმის არ გამოდიოდნენ. დედის დანატოვარ პირუტყვს და ბატებს, ბაღბოსტანს უვლიდნენ.

სამწუხაროდ ასე დიდხანს არ გაგრძელებულა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედის ირონიაც ამას ჰქვია! ერთ საღამოს მათ ჭიშკარს ორი შავი ჯიპი მიადგა. მანქანებიდან შავი ქაშმირის პალტოებში გამოწყობილი მუტრუკები გადმოვიდნენ და დასისხლიანებული და ცხვირპირდალილა-ვებული ბოგდანიც გადმოათრიეს. ერთი გარეთ დარჩა, სამმა კი ბოგ-დანი ძმების სახლში შეაგდო და კარი მიიკეტა. კრასნოდარის მხარის „მაკონტროლებელ-მაყურებელი“ კრიმინალური დაჯგუფების ავტორი-ტეტები აღმოჩნდნენ.

ქურდული გამოძიება-გარჩევის შემდეგ „ბარიგას“ გალახვის, დასმე-ნისა და ნარკოტიკული საშუალების გასაღების დამუშავებულ-გამართუ-ლი არხის დახშობის გამო ვაჟა და ვალერა უმოწყალოდ სცემეს, ბოგ-დანსაც თვალებზე „ლურჯი ვარსკვლავები უფრო აუკიაფეს“ და მათი ბე-დიც გადაწყვიტეს: „შეაწერეს“ კრიმინალური სამყაროს წევრობა, დაა-კისრეს მიყენებული ზარალის ანაზღაურება. ბოგდანს, ამას გარდა, საჭი-როების შემთხვევაში, ბიძამისის კავშირებისა და შესაძლებლობების გა-მოყენება დაავალეს. ეს ბოლო პირობა რომ არა, სამივე ასე იოლად ვერ გადარჩებოდა. იმის დასამტკიცებლად, რომ „თავისიანებად მიი-ღეს,“ სამეულს, თანახელმძღვანელობის პრინციპით, გადაეცათ კროპო-ტკინის და ტიხორეცკის რაიონების „მაყურებლის“ უფლებები და ქურდუ-ლი „ობშიაკის“ შევსების და განმგებლობის დავალება-თანხმობა-დასტუ-რიც...

რამდენიმე წლის შემდეგ ზურაბს უკურნებელი სენი შეეყარა და გარ-დაიცვალა. ასე გაჩნდა სტანიცის სასაფლაოზე ბედ და სვედამწვარ ლტოლვილ ქართველთა მეოთხე საფლავი.

გიორგიმ და რუსუდანმა უნივერსიტეტი დაამთავრეს, დაქორწინ-დნენ.

კოდორის ხეობიდან უკანმოუბრუნებელი რუსუდანისა და თემურის მამა გადარჩენილა... ბრძოლების გააქტიურების გამო სოხუმში ვეღარ დაბრუნებულა, სახალხო ბატალიონ „მონადირის“ წევრი გამხდარა და საომარი მოქმედებების დამთავრებამდე იქ დარჩენილა. სოხუმის დაცე-მის და აფხაზეთის ოკუპაციის შემდეგ სად არ ყოფილა, დაკარგული ოჯახი სად არ უძებნია, მაგრამ უშედეგოდ. ბედს შეგუებია. თბილისში დაფუძნებულა, აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის ერთ-ერთ სამინის-ტროში დაუწყია მუშაობა. სრულიად შემთხვევით შეხვედრია ახალქალა-ქელ სომეხს, რომელიც რუსეთში ნათესავების მონახულების შემდეგ სახ-ლში ბრუნდებოდა. ბატონი ნოდარი - ასე ერქვა თედო პაპას ვაჟს, დაინ-

ტერესებულა კრასნოდარის მხარის, კავკაზსკოეს რაიონის სტანიცა კაზანსკაიაში დევნილი ქართული ოჯახების მდგომარეობით, მით უმეტეს, რომ საქართველოს ლტოლვილთა, იძულებით გადაადგილებულთა და განსახლების სამინისტროს მათ შესახებ არავითარი ინფორმაცია არ ჰქონდა. ნოდარის თხოვნით და დაფინანსებით ახალქალაქელი კაცი რუსეთში ისევ გამგზავრებულა და სტანიცა კაზანსკაიაში მცხოვრები ქართული ოჯახების შესახებ ცნობები შეუგროვებია. რომ გაუგია, მისი ოჯახი გადარჩენილა, ნოდარს იმ კაცისთვის „მერსედესის“ მარკის „ჯიპი“ უჩუქებია და მისი ოჯახისთვის მატერიალური დახმარებაც აღმოუჩენია. ბატონი ნოდარის და მისი ახლობლების კაზანსკაიაში ჩამოსვლა, დაკარგულ ოჯახთან შეყრა, მამის, მძახლების და სხვა ლტოლვილ-წამებული ქართველების საფლავებზე მისვლა მთელი ცხოვრების მანძილზე მეც და მთელი სტანიცის მოსახლეობასაც ენით აღუწერელ, სიტყვით გადმოუცემელ ამბად დაგვრჩება... საამბობად ძნელია სიხარულცრემლდარდიანი განცდა და გოდება... ჩემს ცხოვრებაში პირველად ვნახე ქართველი მამაკაცის თვალებში სპეტაკი ცრემლი... ტკივილიან-სიხარულიან-იმედიანი...

შეერთებული ოჯახი დაბრუნდა დედასამშობლო საქართველოში!.. სტანიცის სასაფლაოზე კი ოთხი ლტოლვილის საფლავი დაგვრჩა - ქართველი, რუსი და სომეხი ხალხების ძმობის, ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთვალდებულებების სიმბოლოდ!..

...სტანიცაში დასახლდა სამი ლტოლვილი ოჯახი. სულ ათი ქართველი. რუსეთის მიწაზე სამუდამო სამყოფელი დაიმკვიდრა ოთხმა. ბედნიერი ოთხეული დაბრუნდა სამშობლოში, ხოლო ორი - ვაჟა და ვალერა კი, საუბედუროდ, სიციცხლეშივე რუსეთისთვისაც და საქართველოსთვისაც უკვე დაკარგულები არიან: გამოუსწორებელი ნარკომანები, რეციდივისტ-კრიმინალები, ქურდული სამყაროს აქტიური წევრები, ამჟამად ჯგუფური ყაჩაღობის და მკვლელობებისთვის, სადღაც ციმბირში, მკაცრი რეჟიმის კოლონიაში იხდიან ოცწლიან სასჯელს” ...

ვარაზას ნაამბობმა გული მომითუთქა და ცხოვრების ამაოება მთელი სიცხადით და სიმკაცრით კიდევ ერთხელ დამანახა და მაგრძნობინა.

„გულმა გაუძლოს, სულმა რაღა ქმნას”...

* * *

ვაჟას და ვალერას ბედმა ძალიან დამაინტერესა. მათ საქმეში ჩახედული ხალხის დადგენა-მოძებნა და საქმის ვითარებაში გარკვევა გადავწყვიტე. აქაც ვარაზა დამეხმარა: დამიდგინა ძმების ადვოკატის ვინაობა და მისამართი. ვარაზას ერთი ძველი ნაცნობი ბიჭების სასამართლო სხდომას დასწრებია და მოწმის სახითაც დაუკითხავთ.

მთელი არსებით მაინტერესებდა:

სად გადის ზღვარი სიკეთესა და ბოროტებას, ზნეობასა და უზნეობას, პატიოსნებასა და უპატიოსნობას შორის;

აქვს ბოროტებას საზღვარი?

აქვს შუბლზე ძარღვგაწყვეტილი კაცის ქცევებს ლოგიკა და ახსნა?

ემორჩილება ეს ქცევები რაიმე კანონზომირებას? თუ არა და რა ინსტიქტებზეა დაფუძნებული?

აქვს თუ არა ცოდვას მიზღვის თანაფარდი საზომი და როგორ იწონება ცოდვა-მადლი?..

მკითხავთ: რატომ დავინტერესდი ლტოლვილი - კრიმინალი ქართველების ბედით?..

ეჰჰჰ! აქაც ქვეცნობიერად ვმოქმედებდი, ჩემი საქციელის გამართლების დვრიტას ვეძებდი, ალბათ, მაშინ ფსიქიურ და ფსიქოლოგიურ კრიზისს განვიცდიდი.

წინაპრების სიბრძნე ამეკვიატა - „მიწა თავისას მოითხოვსო.“ მიწის ყივილის, ფესვებიდან მოგლეჯილ-მოწყვეტილი კაცის აგონიის შეგრძნების და აღქმის სურვილი იყო, ალბათ... მშობლიური მიწიდან მოთხრილი, გასახმობ-გასანადგურებელ-გადასაჯიშებლად განწირული კაცის ქცევის რაიმე გამართლების მოძებნის, ან განწირული სულის დამშვიდება-დაშოშმინების და გათავისების კიდევ ერთი ცდა იყო, ალბათ... მართალი უთქვამს ბრძენკაცს - „წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო...“ მეშინია, სიმართლეს თვალი გავუსწორო, მაგრამ ვგრძნობ, ეს ჭეშმარიტებაა, რომელსაც კაცი ვერსად გაექცევა, უფრო სწორად - საკუთარ თავს ვერ გაექცევა...

ჩემი თანამემამულეობისა და თანამოძმეობის, ზოგადქართული იდენტობის, მორალისა და ზნეობის, ჯერაც ბოლომდე გაუთავისებული, მაგრამ სულისშეძვრამდე აღქმული და პასუხგებული თანაზიარობის სინდისის ქენჯნაცაა, ალბათ!..

ადვოკატი მოვძებნე. გავეცანი, როგორც ვაჟას და ვალერას ახლობელი, მათი ბედით დაინტერესებული პირი.

ანტონ სერგეევიჩი, ასე ერქვა ადვოკატს. ყუბანელი კაზაკია - შუა ხანს მიტანებული, თმაშეჭაღარავებული კაცი. იგი ენაწყლიანი მოსაუბრე გამოდგა, კავკასიელებისადმი კეთილგანწყობილი ადამიანი. კრასნოდარის ერთ-ერთ რესტორანში მივიწვიე. იზოლირებულ კაბინაში შევუკვეთე სადილი. მინდოდა, ადვოკატთან განმარტოებით მესაუბრა. ერთი-ორი სირჩა გადავკარით და ერთმანეთსაც გავუშინაურდით. საუბარი თავისუფალი და გულწრფელი გამოგვივიდა...

... კრასნოდარის მხარის „მაყურებელმა," კრიმინალური დაჯგუფების ლიდერმა, „რამკიანმა" ქურდმა პაშა ყუბანსკიმ, ეტყობა, გუმანითა და გამოცდილებით იცოდა, რომ ქართველები არაორდინალური, რადიკალურად განსხვავებული ბუნების და მიდრეკილების ადამიანები არიან. პატივმოყვარენი, სახელის მაძიებელნი და მომხვეჭელნი. აკი, მათთვის ჯერ კიდევ რვაასსამოცდაათი წლის წინათ სულმნათ შოთა რუსთაველს ანდერძად დაუტოვებია: „სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოვლისა მოსახვეჭელსა..." მაგრამ, ვაი, რომ ყველას თავისებურად და თავისთაზე მორგებულად ესმის ეს ბრძნული შეგონება... პაშა ყუბანსკიმ, ეტყობა, ისიც იცოდა, რომ ქართველებში ერთდროულად, არეულად და შეტყუპებულად ორი საქართველო ცხოვრობს:

- საქართველო წამებულთა, თავდადებულ და თავდაუზოგავ გმირთა, ქვეყნისა დე ერის უანგარო ჭირისუფალთა, ზნეობრივად და მორალურად განსპეტაკებულთა, განწმენდილთა, ამაღლებულთა, წმინდანთა...

და,

- საქართველო მოღალატეთა, გამყიდველთა, შურიან-ღვარძლიანთა, გაუტანელთა, რჯულგამდგართა, სიტყვის და ფიცის მტეხელთა, შეჩვენებულთა, მოყვასისადმი დაუნდობელთა და გამწირავთა...

გაქნილმა არამზადამ და კრიმინალური სამყაროს გამოცდილმა ლიდერმა ყოველივე ეს კარგად იცოდა. ამიტომაც „აპატია" ძმებს შეცოდებანი. წაახალისა კიდეც. ვალიც დაადო, შემდეგ კი სამარადჟამოდ და საშვილიშვილოდ მოიმტკიცა, კრიმინალურ სამყაროს აზიარა და მიამკვიდრა. მერე ხელისუფლებაც მისცა: მაყურებლობა, ქურდული „ობშიაკის" გამგებლობა და საძოვ-სამოქმედოდ ვრცელი ტერიტორია... წინასწარ ჰქონდა გათვლილი და ყოველივე ეს სათავისოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიყენა: ყველაზე სახიფათო საქმეებს მათ ავალებდა, კრიმინალური სამყაროს თავისებურებებს და საიდუმლოებებს მათ ანდობდა. სარისკო საქმეებზეც მათ აგზავნიდა...

ერთხელ ერთმა ტიხორეცკელმა ჯიბგირმა პაშა ყუბანსკის „ნაკოლი“ მისცა - ანაპის რაიონის დაბა ვიტიაზევოში, მოსკოვიდან მამასთან და ცოლ-შვილთან ერთად, მუდმივ საცხოვრებლად გადმოვიდა ქართველი ოლიგარქი, მილიარდერი, რომელსაც აურაცხელი ძვირფასეულობით და ანტიკვარული ნაკეთობებით აქვს ვილა სავსეო. ისიც მოახსენა, რომ ოლოგარქის სასახლე დგას დაბის განაპირას, შემაღლებულ ადგილას, შემოზღუდულია რკინა-ბეტონის მასიური ღობით. შიდა პერიმეტრზე უბია კავკასიური ნაგაზები, ხოლო გალავანში ჩატანებულ ერთადერთ ჭიშკარს სადღეღამისო დაცვა დარაჯობს.

პაშა ყუბანსკიმ საზრიანად და წინდახედულად იანგარიშა. ყველაფერი მიჩხრიკა-მოჩხრიკა და სამეული კრასნოდარში დაიბარა. მოკლედ გააცნო საქმის არსი და ანაპის რაიონის დაბა ვიტიაზევოში მდიდარი ქართველის სასახლის „გატანა“ დაავალა. თანაც პირობა დაუდო: დავალებას პირნათლად და სარფიანად თუ შეასრულებთ, „ქურდულ საძმოსთან“ თქვენს „რამკაში ჩასმის“ თაობაზე გიშუამდგომლებთო.

ბიჭები აღფრთოვანებულები და ფრთაშესხმულები გამოვიდნენ „კანონიერი ქურდის“ სამყოფლიდან... ახლა საჭირო იყო საქმის სწორად გარიგება, დაგეგმვა და აღსრულება. მოითადარიგეს საჭირო და მოსახერხებული ტრანსპორტი, იარაღ-მოწყობილობები, საკურორტო ზონაში ყოფნის და ცხოვრებისთვის სათანადო ლეგენდა და ანაპაში ამოჰყვეს თავი. ქალაქში დაბინავდნენ, კერძო სასტუმროს მეპატრონეს, „ქურდული გაგების,“ სომეხს გაურიგდნენ და პირველ სართულზე მოხერხებელი, იზოლირებული ოთახი იქირავეს. რამდენიმე დღეში ქალაქს გაეცნენ, ყველა ქუჩა და გასასვლელი, დასასვენებელ-გასამხიარულებელი დაწესებულება შეისწავლეს და მოინიშნეს. შემდეგ გავიდნენ დაბა ვიტიაზევოში, რომელიც თითქმის ქალაქის გარეუბანს წარმოადგენდა. მოძებნეს მათთვის საინტერესო ვილა, კარგად შეისწავლეს, დაამუშავეს ყველა გზა და ბილიკი, დაცვის შემადგენლობა, შეიარაღება და მათი შეცვლისა და ადგილზე მოძრაობა-გადაადგილების მარშრუტი, კავკასიური ნაგაზების ვოლიერი, ჩაბმის სიგრძე, მდგრადობა და სხვა დეტალები. საჭირო გახდა კავკასიური ნაგაზების ზნის და სატყუარას გამოყენების შესაძლებლობის გარკვევა. საამისოდ ბოგდანმა მოძებნა ქა-

ლაქის კინოლოგთა საზოგადოება, გაწევრიანდა და ძაღლთმცოდნე სპეციალისტებთან გაიარა სათანადო კონსულტაცია. საჭირო ლიტერატურაც კი მოიძია. ქართველი ოლიგარქის ვილის ზღვასთან სიახლოვე და დამსვენებელთა ნაკადის გათვალისწინებაც იყო საჭირო. საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ. შეარჩიეს სახლის „გატანის“ ხელსაყრელი დრო - აგვისტოს მიწურული. ამ დროისთვის დამსვენებელთა და ტურისტთა ძირითადი ნაკადი, აგრილებისა და სასწავლო წლის დაწყების გამო, სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში მცირდება, მაგრამ გვიანსეზონური დამსვენებლის დაბაში ყოფნა და ზღვაზე ბანაობა არავის გაუკვირდება.

საძმოს წევრებმა, როგორც გვიანსეზონურმა დამსვენებლებმა და თევზაობის მოყვარულებმა, წყალსაცავთან ახლოს, ოლიგარქის ვილიდან გონივრულ მანძილზე, მარტოხელა ქალის სახლში იქირავეს ორი ოთახი და მოიწყვეს ზღვაზე უდარდელი დამსვენებლის სადარი ცხოვრება. შესაფერისი ტანისამოსი და მოყვარული მეთევზის აღჭურვილობაც კი შეიძინეს.

დაიწყო ვილის „გატანის“ სამზადისი. თვალთვალმა შედეგი გამოიღო. შეისწავლეს მობინადრეთა ცხოვრების წესი, გადაადგილების მარშრუტები და მოსვენების დრო. დაადგინეს მომსახურე პერსონალის და დაცვის შემადგენლობა, მათი საცხოვრებელი ადგილი და მისამართები, ოჯახური მდგომარეობა და პირობები, ხასიათი და მიდრეკილებები. სართულების და ოთახების განლაგების და სხვა საინტერესო ინფორმაციის მიღება-გადამოწმება შესაძლებელი იყო პერსონალის დადგენით, შესწავლით, მათი გაცნობით და ნდობის მოპოვებით. ამ მიზნით ამოირჩიეს ორი ქალბატონი - ვილის მზარეული და დიასახლისი, გაარკვიეს მათი ვინაობა. ისინი ნათესავები აღმოჩნდნენ იმ ქალბატონისა, ვისთანაც ბინა იქირავეს - ახალგაზრდა, გაუთხოვარი ქალები. ვაჟა და ვალერა, როგორც ქართველთა უმეტესობა, გამორჩეული მექალთანე-ლოველასები იყვნენ. ამას ემატებოდა ქართული აზარტი, ტემპერამენტი, ადამიანების გაცნობის, მათზე მზრუნველობის გენეტიკური უნარი და ალღო, საჭირო კონტაქტების დამყარების და ნდობის მოპოვების ბუნებრივი, გაქნილი უნარები და ხალასი ნიჭი. შეისწავლეს დაინტერესებულ ქალებთან „მათი“ დიასახლისის ურთიერთობები და გამოარკვიეს, რომ ვერა და გალია (ასე ერქვათ მათ) დიდად აფასებდნენ და თავისებურადაც კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უყვარდათ საშუალო ასაკის, მაგრამ საკმაოდ ლამაზი და სანდომიანი ნათესავი.

ვაჟამ, ბოგდანთან და ვალერასთან შეთანხმებით, დიასახლისს გამოუცხადა, ხვალ დაბადების დღე მაქვსო. დიასახლისს, საკმაოდ ფართო და მოსახერხებელ ვერანდაზე, საზეიმო სუფრის გაშლა და ნათესავი ქალების მოპატიჟება სთხოვა. ნადია (დიასახლისის სახელია) ნდობამ და შეთავაზებამ აღაფრთოვანა, ძალიან მოეწონა ვაჟას წინადადება და უსიტყვოდ დასთანხმდა.

ვაჟა და ბოგდანი ანაპაში სურსათ-სანოვაგის შესაძენად წავიდნენ. ვალერამ მაყალის გამართვა ითავა და ნადიას საოჯახო საქმეებში წაეშველა ხელი. საღამოსთვის ყველაფერი მზად იყო. ვერანდაზე გაშალეს მაგიდა. სუფრა ხვავრიელი და სხვადასხვა ნუგბრით დახუნძლული იყო. ვერა და გალია გამოწყობილ-გამოპრანჭულები გამოცხადნენ და „იუბილარს“ სამახსოვრო საჩუქარ-სუვენირები მიართვეს. გაცნობა-წარდგენის შემდეგ მაგიდას მიუსხდნენ. „ვაჟბატონებმა“ დაითავისეს მანდილოსნები: ბოგდანმა - დიასახლისი, ვაჟამ - გალინა, ვალერამ კი - ვერა. ქართული წესით შემწვარი მწვადი და მომზადებული კერძები არემარეს მადის აღმძვრელ სურნელებას ჰფენდა. ვაჟა თამადობდა. სუფრას უნარიანად უძღვებოდა. სადღეგრძელოებს სათავისო წყობით და შინაარსობრივი დატვირთვით ხუნძლავდა. ღვინოც რიგიანი ჰქონდათ. სულ მალე უცხოობის და უნდობლობის ყინული გალღვა და სუფრასთან სრული ჰარმონია და ინტიმური ვითარება დამყარდა. ღვინომ თავისი ქნა - ქალები გათამამდნენ, აზარტულ ჯიბრშიც კი ჩაუდგნენ მამაკაცებს და ალკოჰოლს გაუშინაურდნენ, საკუთარ თავსაც არ ზოგავდნენ. მამაკაცები შეზარხოშდნენ, ქალები კი საგრძნობლად შეთვრნენ. ნადიას წინასწარვე გაეთვალისწინებინა და თადარიგი დაეჭირა - მომართა მაგნიტოფონი. ვერანდა და მიმდებარე არე-მარე მსუბუქი მუსიკის ჰანგებმა დაჰფარა... პარტნიორები დაწყვილდნენ და ერთ რამედ ღირდა მთვარის შუქსა და ზღვის ლივლივა ტალღების ფონზე სამი შესანიშნავი წყვილის ფეხშეწყობილი ცეკვა-თამაში. შემდეგ წყვილები ცალკე ოთახებში გადანაწილდნენ და დიდხანს ისმოდა ვნებიანი ჩურჩული, სიამოვნებით მოგვრილი ხვნეშა-ფრუტუნი, ჟრუანტელნაზიარები შეკივლება და მოძველებული საწოლების საამო, ტაქტში მოყვანილი ჭრიალი...

მომდევნო შეხვედრები შინაურული და სრული ნდობით თავმოდგმული იყო. ნდობამოპოვებულმა „მეთევზე-მოყვარულებმა“ ქალებთან ინ-

ტენსიური ურთიერთობის შედეგად ისე, რომ ეჭვი არ გამოეწვიათ, დაადგინეს მათთვის საჭირო და საშური ინფორმაცია. კერძოდ: ოლიგარქის მამა (ოთარი ჰქვია, წარმოშობით ბათუმელია) ახალგაზრდობაშივე, მეუღლესთან ერთად, საცხოვრებლად მოსკოვში გადასულა. სამოც წელს მიტანებული დარბაისელი ქართველისთვის დამახასიათებელი გულკეთილობით, კეთილზნეობით, სათნოებით, ურთიერთობის სისადავით და დახვეწილი მანერებით გამოირჩევა. ექვსი წლის წინათ მეუღლე გარდაცვლია. გადაუსვენებიათ საქართველოში - საგვარეულო სასაფლაოზე. მისმა ერთადერთმა ვაჟმა - დავითმა თხუტმეტი წლის წინათ შეირთო მოსკოველი ბიზნესმენის, ეროვნებით ასევე ქართველის, ერთადერთი ქალიშვილი - ინგა. ჰყავთ თერთმეტი წლის ვაჟი - გიორგი და ხუთი წლის ქალიშვილი - ნინო. დავითმა სიმამრის ხელშეწყობით და მამის თანადგომით, თავად ნიჭიერმა და ფრიად განათლებულმა ახალგაზრდამ, ბიზნესი წამოიწყო. მალე სერიოზულ მეწარმედ და გავლენიან პიროვნებად ჩამოყალიბდა.

ოჯახი მოსკოვიდან ანაპაში მამის ინიციატივით გადმოსახლდა. ჭარმაგ ქართველს, მეუღლის გარდაცვალებასა და ასაკთან ერთად ნოსტალგია მოეძალა. სამშობლოში დაბრუნება სურდა, მაგრამ შვილის სერიოზული და მზარდი ბიზნესის გამო, ამ ეტაპზე ეს შეუძლებელი იყო.

მშობლის სიყვარულით და ხათრით გამსჭვალულმა დავითმა მამას სამშობლოს დარი გარემო და ბუნებრივი პირობები შეურჩია. ანაპის ჰავა, ბუნება და საცხოვრებელი პირობები საოცრად ჰგავს საქართველოს ზღვისპირეთს. აიყვანა მომსახურე პერსონალი, დაცვა და მამას ყოფა-ცხოვრების ყველა პირობა შეუქმნა. დავითი, ოჯახთან ერთად, მოსკოვში დარჩა. ყოველ ზაფხულს ცოლშვილით სტუმრობს მამას. ახლაც რამდენიმე დღით ჩამოვიდა. ძმაკაცებმა ისიც გაარკვიეს, რომ სამ დღეში ოლიგარქი, ახალი სასწავლო წლის მოახლოების გამო, ცოლშვილით მოსკოვს მიემგზავრება. ასე, რომ ვილაში რჩება ოთარი და მომსახურე პერსონალი, კერძოდ, მზარეული ვერა, დიასახლისი გალინა (მას ბაღის მოვლა და კავკასიური ნაგაზების კვება-პატრონობაც ევალებოდა) და ორი მცველი, რომლებიც კერძო დაცვის სამსახურის თანამშრომლები არიან. ყოველ ხუთშაბათს დაცვის სამსახურის პასუხისმგებელი პირი ამოდის, ამოწმებს მცველებს, სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის სისტემებს. ისიც დაადგინეს, რომ ოთარის რძალი დაუმეგობრდა ვიტიაზევოს სკოლის მუსიკის მასწავლებელს, ახალგაზრდა

ქვრივს, რომელიც ყოველდღიურად, შაბათ-კვირის გარდა, თორმეტი წლის ქალიშვილთან ერთად, სტუმრობს ოჯახს და პატარა ნინოს ფორტეპიანოზე დაკვრას ასწავლის. სხვათაშორის, მუსიკის მასწავლებლის ქალიშვილიც შესანიშნავად უკრავს ფორტეპიანოზე და, რომ ბატონი ოთარი იტყვის ხოლმე, ვერონიკას (ასე ჰქვია ქალიშვილს) ფორტეპიანოზე დაკრული ერთ რამედ ღირსო. ხშირად თხოვს, მისი საყვარელი მელოდიები დაუკრას. ისიც შეიტყვეს, რომ ოთარი და მუსიკის მასწავლებელი ურთიერთსიმპათიით არიან განწყობილი, შვილი და რძალი ორი ქვრივის ურთიერთობის წინააღმდეგი არ არიან. ასე, რომ მუსიკის მასწავლებელსა და მის ქალიშვილს ვილაში თავისუფლად მისვლის, გადაადგილების და ღამის გათევის უფლებაც აქვთ.

დრო და გარემოება ბანდიტების წისქვილზე ასხამდა წყალს.

სამი დღის შემდეგ ოლიგარქი მოსკოვს მიემგზავრება. ეს კი ვილის „გატანა-წაღების“ გარემოებას საგრძნობლად აადვილებს. შეირჩა ძარცვის ყველაზე ხელსაყრელი და შედარებით უსაფრთხო დრო - შუა ღამე. სახლში ამ დროს მხოლოდ პატრონი, ვილის შესასვლელში კი ორი მცველი რჩებიან. კიდევ ორი ქართული ნაგაზი, რომლებიც, ალბათ, ქართული ჯიშის ძალღის შესაშური ერთგულებითა და სიფრთხილით გამოირჩევიან. მართალია, ძაღლები მუდამ დაბმული არიან, მაგრამ ჯაჭვის და სახოხავის სიგრძე საკმარისია, რომ ვილის თითქმის მთელ პერიმეტრს შემოუარონ და მისწვდნენ. პატრონებმა ისიც გაითვალისწინეს - ძაღლებმა რომ არ იჩხუბონ (ორივე ნაგაზი ხვადია), ბაღის ერთ კუთხეში, ეგრეთწოდებული მკვდარი ზონაა, ადგილი, სადაც ძაღლები ერთმანეთს ვერ მისწვდებიან. მხედველობიდან არც ის გამორჩენიათ, რომ შეიძლებოდა სახლში დარჩენა დიდხანს მოსწეოდათ და წამლის ძაღლებზე ზემოქმედების დრო გასულიყო.

საჭირო დარჩა იმის გამორკვევა, თუ სად ინახებოდა ოლიგარქის ოჯახის განძეულობა, ანტიკვარული ნივთები და ფული. დასაზვერად ვილის ტერიტორიაზე შეღწევა სარისკოც იყო და შეუძლებელიც. „ციხე შიგნიდან უნდა გაეტეხათ.“ საამისოდ ყველაზე შესაფერისი კანდიდატურა გალინა აღმოჩნდა. მას, როგორც დიასახლისს, თავისუფლად, ნებისმიერ დროს ნებისმიერ სათავსოში შესვლის უფლება ჰქონდა. მასზე ეჭვსაც არ აიღებდნენ, სეიფის ადგილსამყოფელის დადგენის მიზნით სათავსოებსა და ოთახებს თუ მოიხილავდა, დალაგებისა და მტვრისგან გაწმენდის მიზნით ნებისმიერ კარადას, სურათის ჩარჩოს, გობელენს ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხსნიდა ან ადგილს შეუცვლიდა. გალინას სამუშაო დრო არანორმირებული იყო, ასე, რომ გვიანობამდეც შეეძლო ემუშავა და ღამის გასათევადაც დარჩენილიყო.

ბევრი თათბირის და ჩხრეკა-ძიების შემდეგ გადაწყვიტეს, გალინას პიროვნება საფდუძვლიანად შეესწავლათ, მის სანდოობაში დარწმუნებულიყვნენ და გადმოებირებინათ. ეს საქმე ვაჟას მიენდო, რადგანაც ის იყო გალინას საყვარელი და სარეცელმყოფი. ბოგდანმა და ვალერამ ანაპაში მეორე, უფრო უბრალო და სადა, სამამულო წარმოების მსუბუქი ავტომობილის დაქირავება მოახერხეს. ქირავნობის ხელშეკრულება ორივეზე გაფორმდა, რათა მართვა ორივეს შესძლებოდა. ეს მანქანა იმიტომ შეარჩიეს, რომ მათი „ტოიოტას“ მარკის ჯიპი მდიდრული იყო და სხვებს თვალში ადვილად მოხვდებოდა. იოლი დასამახსოვრებელიც იყო.

ვაჟამ მოახერხა და ქალს თავი შეაყვარა...

შეყვარებული ქალი, მით უმეტეს სლავური წარმოშობის, საამურია. უყვარს ბოლომდე. ენდობა სრულად. მზადაა, საყვარელი მამაკაცის გულისთვის თავიც კი გასწიროს. ვაჟამ ამ „სუსტი წერტილის” სათავისოდ გამოყენება გადაწყვიტა. გალინასადმი ყურადღება გაათმაგა. მოუხშირა საჩუქრების და ვარდების თაიგულების მირთმევას. ერთი სიტყვით, ქალს გაგიჟებით შეუყვარდა, თვითონ კი თავის გრძნობებს ზედაპირული მინიშნებებით თუ მიახვედრებდა.

ქალის სიყვარულში რომ დარწმუნდა, „უკანასკნელი სოლის ჩარჭობა” გადაწყვიტა. ნაშუადღევს ანაპაში წავიდა. შეიძინა სანიშნო ბეჭედი, შამპანიური ღვინო, ერთი ფილა შოკოლადი, ვარდების თაიგული და გალინას სახლის ეზოს კუთხეში დახვდა. სამუშაოდან დაბრუნებული ქალი არ ელოდა ვაჟასთან მოულოდნელ შეხვედრას. ვაჟმა გაკვირვებაც არ აცალა, თაიგული მიართვა და მხურვალედ გადაკოცნა. ქალი ათქვირებულ ვარდის კოკორს დაემსგავსა, მორცხვობის და აღფრთოვანების დარმა შეუფაკლა ისედაც წითელ-ყირმიზა ლოყები.

ვაჟამ მანქანით გასეირნება შესთავაზა და მის ღიმილს, გამოხედვას და ქცევას იდუმალება და ეშხი შეუკეთა. გულანთებული ქალი არც დაფიქრებულა, პეპელასავით ნაზად და ნარნარით „შეფარფატდა” სალონში. წინა სავარძელზე მოკალათდა თუ არა, ალისფერი, მოხდენილი ბაგეები შეაგება ვაჟას ვნებიან ტუჩებს. ვაჟამ უდაბური ადგილი მოინიშნა და ზღვის პირას, პატარა გორაკთან, ტირიფის კორომში შეაყენა მანქანა. გად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიდნენ. გალინამ ღრმად შეისუნთქა ზღვის საამო, გრილი ჰაერი, ისე-დაც ვნებიანად ამობურცულ-ათქვირებული მკერდი ზღვის მოზრდილ ტალღასავით წამოზიდა და ვაჟა გააქვავა... მხურვალე, ვნებიანი კოცნა მოწონების და ქალისადმი აღტაცების დასტურად ნამდვილად გამო-დგებოდა!..

გალინა ბედნიერების მეათე ცაზე იყო. წამიერად გულში შიშიც გაუ-კრთა, სიყვარულის ფრთებს უნებურად ზეცაში არ აეზიდა მისი ჰაეროვა-ნი, სიყვარულისაგან გაცისკროვნებული ნებიერი სხეული...

ვაჟამ შამპანურის ბოთლი გახსნა, წინასწარ დათადარიგებულ მაღა-ლფეხიან ფუჟერებში ჩამოასხა და მანქანის საბარგულზე შოკოლადის ფილა დატეხა.

ქალის და სიყვარულის სადღეგრძელოები შეისვა.

ვაჟამ ისევ ჩამოასხა შამპანური. ფუჟერი ქალს მიაწოდა, მის წინ, მარჯვენა მუხლზე ჩაიჩოქა, ჯიბიდან კოლოფი ამოიღო, აუჩქარებლად გახსნა და გალინას შეყვარებული თვალები მიაპყრო. ხმას თრთოლვა და კანკალი შეჰმატა და გაოგნებულს ხელი სთხოვა. ქალი ჯერ დაიბნა, შემდეგ, თანახმა ვარო, ჩურჩულით წარმოსთქვა და შეციებულივით გაა-ჟრჟოლა...

ეს სიყვარულის და ბედნიერების აპოგეა იყო. ქალმა ათრთოლებუ-ლი პაწია მარჯვენა ჩაუდო ვაჟას მარცხენაში, თვალები მინაბა და სანუ-კვარ მოლოდინში გაინაბა. ბიჭისთვის ეს სრულ ნდობას და დასატურს ნიშნავდა. ვაჟამ არათითზე ბეჭედი გაუკეთა, წამოდგა და ჯერ თვალებს ეამბორა, შემდეგ მხურვალე კოცნით მიესალბუნა ქალის ლოყებს, ნი-კაპს. ბოლოს ტუჩები ერთმანეთს ჩააწნეს, მოდუნდნენ და სიყვარულის მორევში თავდავიწყებით გადაეშვნენ, ნებიერად შესცურეს!..

ვაი, რომ ეს ქალისთვის წრფელი და ალალი გრძნობა იყო, ვაჟის-თვის კი - მხოლოდ ფარსი, თამაში, მზაკვრული, ფლიდი გეგმის ნაწილი, გაუგონარი ცინიზმით, ლაჩრული ფარისევლობით ადამიანის კვლა, ოღონდ ფერებ-ფერებით, ხვევნა-კოცნით, იუდას ამბორით.

ვახტანგურით დაბეჭდეს „მარადიული სიყვარული.”

ვაჟამ გრძნობამორეული და აფორიაქებული, ღონემიხდილი და სია-მოვნებისაგან მისავათებული ქალი მანქანის საბარგულზე შემოსვა და ბროლის ყელზე მხურვალედ აკოცა. ნაზად გაუხსნა გულისპირი და ახლა ქათქათა მკერდს დააკვდა... მამაკაცის ვნებიანი ალერსის წყალო-ბით ორი ყავისფერი ქვირითი გაზაფხულის ნაწვიმარზე სოკოებივით

ეროვნული ბიბლიოთეკა

იზრდებოდა და ვნებით იბერებოდა... დიდხანს ისმოდა ქალის ვნებიანი კვნესა-შეკივლება და მამაკაცის დამაშვრალი, „ნააღმართალი სიარულის“ ხვნეშა...

სახლში გვიან დაბრუნდნენ.

ვაჟამ გალინა სულხორციანად დაიპყრო. საჭირო იყო მოსახერხებელი მომენტის შერჩევა და „კარტების გახსნა.” ვნებიანი ღამის შემდეგ ვაჟა განსაკუთრებით ყურადღებიანი გახდა. დილით, სანამ ქალს ეძინა, ყავა მოხარშა, ნამცხვარი და ფორთოხლის წვენი, სხვა ტკბილეულთან ერთად, ლანგარზე დააწყო და გაკვირვებულ და ყურადღებით დიდად ნასიამოვნებ ქალს საწოლში მიართვა. შემდეგ ფრთხილად, შემპარავად, მაგრამ შეუვალი ტონით, ერთობლივი თანაცხოვრების უღიმღამო პერსპექტივები დაუსახა, თუ საჭირო ფულადი თანხა არ გაიჩინეს. გალინას ცოტა ეწყინა, რომ შეყვარებულმა ანგარიშიანობა დაიწყო, მაგრამ მასაც, ხელმოკლე ოჯახში გაზრდილს, კარგად ესმოდა, რომ უფულოდ ნორმალურ ცხოვრებას ვერ მოიწყობდნენ. უღიმღამო მომავლის წარმოდგენაზე ქალს გააჟრჟოლა. ვაჟამ ეს რომ შენიშნა, მხრებზე მოეხვია, ტუჩებში აკოცა და დაუყვავა:

- თუ მენდობი და ნამდვილად გიყვარვარ, მაშინ მომეხმარე, ხელი შემიწყვე, ფული ვნახოთ და ჩვენი ბედნიერი მომავალი უზრუნველვყოთ.

ქალს ცნობისწადილი რომ შეატყო, განაგრძო:

- ამისთვის საჭიროა სრული ნდობა, საიდუმლოს შენახვა და ცოტა ხელის გამოღება.

გალინამ ქვეცნობიერად იგუმანა, რაც სურდა მის მიჯნურს, ჩაფიქრდა და ერთხანს თავჩაქინდრული და გარინდული იჯდა. ბოლოს რაღაცა გაიაზრა თუ მოაგონდა, გულზვიადად თავი ასწია და ვაჟას უჩურჩულა:

- ძვირფასო, შენთან ერთად ჯოჯოეთშიც წავალ და ეშმაკსაც გავურიგდები, ოღონდ უნდა შემომფიცო, რომ სიკვდილამდე გეყვარები და სულ ერთად ვიქნებით.

ვაჟასაც ეს უნდოდა, თითქოს ელოდა კიდეც, შემართული და მომზადებული დახვდა თანხმობას და ფიცით გაამყარა ქალის ისედაც ურყევი რწმენა, რწმენა მამაკაცისადმი ერთგულებისა და საუკუნო სიყვარულისა.

ეჰჰჰ! რა იცოდმა საცოდავმა, რომ სოდომურ ცოდვაზე მოაწერა ხელი და მართლაც ეშმაკს გაურიგდა.

ვაჟამ ქალი დამოძღვრა და დაავალა, დაედგინა: დავითი ოჯახთან ერთად მოსკოვში როდის მიდის? ოთარის გარდა ვინ რჩება ვილაში? როდის ისვენებს დაცვა, ან რა რიგითობით? რა საკვებით კვებავენ ძაღლებს? სად ინახავენ ფულს და განძეულობას? სად აქვთ სეიფი, სად ინახება ან ვის აქვს მისი გასაღები? ვინ იცის სეიფის კოდი?.. ქალი დაარწმუნა, რომ ამ ფულით ჰავაის კუნზულებზე შეიძენენ ბინას, იცხოვრებენ ერთად, დიდხანს და ბედნიერად. ბედნიერი მომავლის აღქმნითა და წარმოდგენით აღფრთოვანებულმა ქალმა სრული თანადგომა და დავალების ზედმიწევნით აღსრულება აღუთქვა.

ვალერა და ბოგდანი დროს ტყუილად არ კარგავდნენ: ძირფესვიანად შეისწავლეს ვილის მიმდებარე ტერიტორია. მონიშნეს გალავანის ყველაზე სუსტი ადგილი. კედელზეც კი აცოცდნენ. კარგად დაზვერეს შიდა ტერიტორია, ობიექტების და შენობა-ნაგებობების განლაგება, შესასვლელები. ძაღლების ვოლიერების ადგილები, მათი გადაადგილების ან წვდომის შესაძლებლობები. დაცვის წევრების ადგილსამყოფელი, პერიმეტრის შემოვლისა და დათვალიერების პერიოდულობა, შეიარაღება, კავშირგაბმულობის საშუალებები და სხვა.

თითქმის ყველაფერი მზად იყო...

ორი დღის შემდეგ საჭირო ცნობებით „ხელდამშვენებული" გალინა მივიდა ნადიასთან. იმ ღამეს ვაჟასთან დარჩა. ოთახში შეკეტილებმა დიდხანს იჩურჩულეს. „შესანიშნავ სამეულს" დილით სრული ინფორმაცია ჰქონდა: ბიზნესმენს თვითმფრინავის ბილეთები უკვე აეღო. ორი დღის შემდეგ, ცოლშვილთან ერთად, მოსკოვს მიემგზავრებოდა. დიასახლისი სამკაულებს თავის საძინებელში, კარადაში ინახავს, არც კი კეტავს, შენობის უსაფრთხოების იმედი აქვს. ნაღდ ფულსა და განძეულობას ინახავენ სეიფში, რომელიც ჩატანებულია ბიზნესმენის სამუშაო კაბინეტის კედელში, ბუხრის მარცხნა მხარეს, დაფარულია „მონა ლიზას" სურათით. შვილის არყოფნისას კაბინეტის გასაღები ოთართან ინახება. თვლიან, რომ პროვინციული ქალაქი უფრო უსაფრთხო და კრიმინალებისთვის ხელმიუწდომია, ვიდრე - დედაქალაქი. სეიფის კოდი ოთარმა რომ იცის, ამაში გალინა სავსებით დარწმუნებულია: ერთხელ დრო იხელთა და, როცა ოჯახის წევრები შინ არ იყვნენ, აცრემლებულმა ფულის სესხება სთხოვა, დედისთვის წამლების საყიდლად მჭირდებაო. ოთარი შვილის სამუშაო კაბინეტში შევიდა, გალინამ, ოთარს ეჭვი რომ არ აეღო, ცოტა შეიცადა და კაბინეტის კარი მაშინ შეაღო, როცა

ოთარს სეიფი გახსნილი ჰქონდა და საჭირო თანხას იღებდა. შენიშნა, რომ თაროებზე დასტებად ელაგა ამერიკული დოლარები, მაგრამ შიგთავსის ბოლომდე დათვალიერება ვერ მოახერხა. გალინამ ისიც აცნობა, რომ ძაღლებს „პედიგრით" თავად კვებავს და სუპერმარკეტიდანაც მას მოაქვს. ძაღლები ერთ ადგილას არიან დაბმული, ჯაჭვი ისეთი სიგრძისაა, რომ ცხოველები ერთმანეთს ვერ მისწვდნენ. ბაღის ბოლოში, დიდი კვიპაროსის ხესთან, ძაღლებისთვის მიუწვდომელი ორი-სამი მეტრი სიგანის ზოლია. დაცვა ღამით, უმეტესწილად, სადგომშია. რიგრიგობით, ყოველ ორ საათში პერიმეტრს შემოივლიან. შეიარაღებული არიან პისტოლეტებით, აქვთ რაციები. გალავანი ვიდეოთვალებით ჯერ აღჭურვილი არ არის, თუმცა, როგორც ერთმა თანამშრომელმა თავისიანს უთხრა, მათი დაყენება უახლოეს დროში იგეგმება. ამით საქმე გაგვიადვილდება, ხოლო დაცვის უსაფრთხოება საგრძნობლად ამაღლდებაო.

სამეული სიხარულით მეათე ცას ეწია. დარჩენილი ორი დღე პურისჭამასა და სამზადისში გაატარეს. მისადგმელი კიბე უსაფრთხო ადგილას დამალეს. მაყუჩიანი იარაღი გასინჯეს და მოამზადეს. შეისყიდეს ძაღლების საკვები, შეაზავეს ძლიერმოქმედი ძილისმომგვრელი ნივთიერებით, გადასცეს გალინას და დაუთქვეს დრო, თუ როდის ჩაუყაროს ძაღლებს. გაინაწილეს ვალდებულებები. დააზუსტეს უკან დასახევი გზები. იარაღის გამოყენება მხოლოდ უკიდურესი ვითარებისთვის დათქვეს. იმოქმედებენ ნიღბებით, ერთმანეთს არ გაესაუბრებიან, მხოლოდ წინასწარ დათქმულ ნიშნებს და რუსულ ფრაზებს გამოიყენებენ. არც ერთი სიტყვა ქართულად ან მეგრულად. მოქმედებითაც არ უნდა გამოხატონ, რომ ქართველები არიან. ერთი სიტყვით, სამხილი არ უნდა დატოვონ. მოითათბირეს. შეთანხმდნენ. დათქვეს. გალინა გააფრთხილეს, სახლში წამოსვლის წინ, პირველ სართულზე, სამზარეულოს ფანჯარა რომ არ დაკეტოს. სიტუაცია თუ გართულდა, მოსაგერიებელი და გასანეიტრალებელია დაცვის ორი თანამშრომელი...

ანაპა-როსტოვის რეისზე ავიაბილეთები წინასწარ შეიძინეს. ძარცვის დამთავრებიდან მაქსიმუმ ერთ საათში ქალაქიდან უნდა გავიდნენ. ვილის მოშორებით მონიშნეს უსაფრთხო, მოფარებული ადგილი და მანქანა შენიღბეს. ერთი სიტყვით, ყველა დეტალი, ნიუანსი თუ წვრილმანმსხვილმანი აწონ-დაწონეს და გაითვალისწინეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახვეწილმა და გონებაგახსნილმა არამზადებმა კიდევ ერთი დეტალი გათვალეს - ყველაფერს გეგმისამებრ თუ ვერ მოახერხებდნენ ან გახმაურდებოდა თავდასხმა და საჭირო გახდებოდა ქვეყნის სასწრაფოდ დატოვება, უკიდურეს შემთხვევაში, სამშვიდობოს ზღვით გააღწევდნენ, კერძოდ, ქერჩის სრუტით უკრაინაში, ყირიმში გავიდოდნენ. შესაბამისადაც მოემზადნენ - ბოგდანმა, როგორც „მეთევზე-მოყვარულმა," გაიცნო ადგილობრივი მებადური, რომელიც საკმაოდ გამართული და სწრაფმავალი კატარღით ადრე დილით სათევზაოდ ზღვაში გადიოდა. მესაზღვრეებთან და სანაპირო დაცვასთან საერთო ენაც გამონახული ჰქონდა. მან არყითა და მისაჭმელით არაერთხელ უმასპინძლა, მასთან ერთად ზღვაშიც ბევრჯერ გავიდა. თავადაც ისწავლა კატარღის მართვა და მისი სანავიგაციო შესაძლებლობები სათანადოდ შეამოწმ-შეაფასა. ბოგდანმა იცოდა, მეთევზე სად ინახავდა სადგომის და კატარღის გასაღებს, ისიც კი იცოდა, სად ედგა ბენზინით სავსე ბიდონი...

***

ბიზნესმენი და მისი ცოლ-შვილი ნაშუადღევს სახლიდან გავიდნენ. ისინი დაცვის თანამშრომელმა გააცილა და დაბრუნებულმა ოთარს მაოხსენა - ავიარეისი დროზე შესრულდაო.

გალინამ კიდევ ერთხელ შეამოწმა ყველა გარემოება. ნაგაზებს მოწამლული საკვები ჩაუყარა. დაელოდა, სანამ შეჭამდნენ და ოთარს სახლში წასვლის ნება სთხოვა. სამზარეულოში ვერას შეუარა, „გასანიავებლად" ეზოში გამავალი ფანჯარა გამოაღო და მასთან ერთად შენობიდან გამოვიდა. ჭიშკართან დაცვის თანამშრომლებს გაეარშიყნენ, ბედნიერი მორიგეობა უსურვეს და თავ-თავიანთ სახლებში წავიდნენ. გალინამ უქეიფობა და თავის ტკივილი მოიმიზეზა. სამეული მოუთმენლად ელოდა. გალინას ინფორმაციით დაიმედებულნი ოპერაციის დაწყების დროს არხეინად დაელოდნენ.

ღამის თორმეტის ნახევარზე, ნაქირავები მანქანით, სამეული დაბიდან გავიდა. გარეუბანში გზის განაპირა ბარში შეიარეს, თითო კათხა ლუდი დაუკვეთეს, ბარმენთან ილაზღანდარეს, მერე, ვითომ სხვათაშორის, ბარმენს „გაუმხილეს," რომ ერთ-ერთ სანატორიუმში ლამაზმანები ელოდებიან და მათთან ერთად ანაპაში დისკოთეკაზე წასვლას აპირებენ. ერთი სიტყვით, ერთგვარი ალიბი გაიკეთეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილის მოშორებით, მონიშნულ და მომზადებულ ადგილზე, მანქანა შენიღბეს. იქვე გადამალული კიბე მონახეს, მხარზე გაიდეს და ფეხაკრეფით გალავანთან მივიდნენ. კედელს კიბე მიადგეს თუ არა, ვალერა სულმოუთქმელად გალავანს ზემოდან მოექცა. მიდამო დაზვერა, დარწმუნდა, რომ კავკასიურ ნაგაზებს ვოლირებთან ეძინათ, გული დაიმშვიდა და კიდევ ერთხელ მოავლო თვალი იქაურობას. მცველს შემოვლა დაესრულებინა და დაცვის ჯიხურში მეწყვილესთან ერთად ტელევიზორს უყურებდა. ეზოში ჩამი-ჩუმიც არ ისმოდა. ვალერამ ამფსონებს ნიშანი მისცა, თავად კი გალავანს გადაევლო. ვაჟა და ბოგდანიც უვნებლად დაეშვნენ მიწაზე. კედელს გაეკვრნენ, კიდევ ერთხელ დაზვერეს არე-მარე და მოკლე გადარბენებით სამზარეულოს ფანჯრისკენ დაიძრნენ. რაფაზე პირველი ვაჟა ახტა, დერეფნიდან შემოღწეული ჭაღის მბჟუტავი შუქი სამზარეულოს მკრთალად ანათებდა, მაგრამ დათვალიერების და უსაფრთხო გადაადგილების საშუალებას იძლეოდა. ვაჟამ მიაყურადა და თვალთახედვის არე მოათვალიერა. აქაც სიჩუმეს დაესადგურებინა. ცოტა ხნის შემდეგ მეგობრები სამზარეულოს კუთხეში იდგნენ და სამოქმედო გეგმას კიდევ ერთელ აზუსტებდნენ. ბოლოს სახეზე ნიღბები ჩამოიფარეს, მაყუჩიანი პისტოლეტები მოხერხებლად მოირგეს და მეორე სართულის კიბეს ფეხაკრეფით აუყვნენ. არც აქ ისმოდა ჩამი-ჩუმი, მხოლოდ დერეფნის ბოლოში, ოდნავ ღია კარიდან, სინათლე გამოკრთოდა და ტელევიზორის მისუსტებული ხმა ისმოდა. ესე იგი, სახლის პატრონს არ სძინავს, ეტყობა, სავარძელში მოკალათებული სატელევიზიო გადაცემებს უყურებს...

მეგობრები ღრიჭო კართან ერთმანეთის მიყოლებით მიიპარნენ და ელვის სისწრაფით ოთახში შევარდნენ. გაოგნებულმა ოთარმა შეყვირებაც ვერ მოასწრო - ვაჟამ და ბოგდანმა ძირს დასცეს, ხელები ამოუგრიხეს და პირზე წინასწარ მომზადებული წებოვანი ფირი ააკრეს. ვალერამ მოათრია საზურგიანი სკამი. ოთარი ზედ დასვეს, ხელები უკან გადაუგრიხეს და საზურგეს მიაკრეს, ფეხებიც სკამის ფეხებზე „მიუსკოჩეს.“ ტყვესთან ბოგდანი დარჩა, ვაჟამ და ვალერამ კი მთელი სართული შემოიარეს და მოჩხრიკეს. საეჭვო რომ ვერაფერი ნახეს, დამშვიდებულები ოთახში შებრუნდნენ. ვაჟა ოთარს ქეჩოში სწვდა, შეანჯღრია, ერთიც მტკივნეულად წაუთაქა და სისინა, გამყინავი ხმით მიაჩხავლა:

- ბებერო, წინააღმდეგობის გაწევა უაზრობაა! ახლავე გვითხარი, სად ინახავ ფულს და განძეულობას, თორემ გაგათავეთ და ეგ არის!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცს სიმწრის კურცხალი აუთრთოლდა ლამაზ, მაგრამ უკვე ნაოჭმომრავლებულ თვალებში. ჯერ თავი ჩაქინდრა, შემდეგ თამამად ასწია, უარის ნიშნად გააქნია და მოძალადეს თვალი თვალში გაუყარა. მისმა სიმხნევემ და შეუვალობამ ვაჟა გააცოფა და მთელი ძალით მუშტი ტუჩებში უხეთქა, წიხლი კი გამეტებით მუცელში ჩააზილა. ოთარმა სიმწრით ამოიგმინა, დაიკლაკნა და თავი ჩაქინდრა. ალისფერი სისხლის წვეთები იატაკზე სპეტაკი სანთლის ნაღვენთივით ეწვეთებოდა და ხელთუქმნელ გამას ქმნიდა... ვალერამ რაღაც იაზრა და ძმას ყურში ჩასჩურჩულა, მანაც მთელი სარკაზმითა და ზიზღით გვერდზე გააფურთხა, მართალი ხარო, კბილებიდან გამოსცრა, ოთარს სახესა და თავში პისტოლეტის ყუა უთაქა და ბოგდანს მოკლედ უბრძანა:

- პირიდან სკოტჩი მოაცილე!

ბოგდანმა სკოტჩის ბოლო მოხილა და მთელი ძალით დაქაჩა. ტყვედქმნილის არაადამიანური გამომეტყველება ადამიანს მიანიშნებდა, თუ რამდენად მტკივნეული იყო ულვაშიან ბაგეზე მიწებებული წებოვანი ფირის უეცრად აძრობა. ერთ დროს კოპწიად გადაწკეპილი ხშირი ქართული ულვაშის მაგივრად საცოდავი, გაჭირვებული კაცის ყანასავით გამეჩხრებული საულვაშე იმზირებოდა. ოთარმა ტკივილს ვერ გაუძლო და მწარედ ამოიკვნესა, ნაულვაშარზე კი სისხლის წვეთები აკიაფდა. ტკივილის და უმწეო მდგომარეობის შეგნებით გამოწვეული ბოღმა ერთ უწყეტ გმინვად აზავთდა და სიმწრის კურცხალმა ლოყაზე გაიკვალა გზა. ამან ვაჟა საბოლოოდ გაახელა - მისდგა და მისდგა, მუშტებს და წიხლებს გახელებით უბაგუნებდა, თან უწმაწური სიტყვებით იხსენიებდა ოთარის მშობლებს, ჯიშს და ჯილაგს, მოკეთეს თუ ახლობლებს. ბოლოს შუბლზე პისტოლეტის კონდახი სთხლიშა, სისხლიან ტუჩებზე სკოტჩი დააწება და გაშმაგებით იღრიალა:

- სასწრაფოდ უთო, უთო მომიტანეთ! მწვადივით უნდა ავაშიშხინო ეს კერპი და მოურჯულებული ბებერი ქართველი!

ბოგდანი და ვალერა ფაცხა-ფუცხით მოედვნენ ოთახებს და მალე უთოთი „ხელდამშვენებული“ დაბრუნდნენ. ვაჟამ კმაყოფილებით ხელები მოიფშვნიტა, ახლაც არ ალაპარაკდებიო, ჩაილაპარაკა და ელექტროზონარი დენს მიუერთა. სიმხურვალე უთოს ძირზე მიფურთხებით შეამოწმა და ბოგდანს ანიშნა, ხალათი გახადეო. ბოგდანმა კმაყოფილებით გააზმორა, ოთარს მივარდა, გულისპირს სწვდა და ჭიპამდე შეახია, შემდეგ პირი ფართოდ გააღო, ჩიფირის სმისაგან ჩაყვითლებულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაყავისფერებული ღოჯები გამოაჩინა, ველური ცხენივით ჩაიხვიხვინა, მუშტი თავში უთაქა და დაიროხროხა:

- ახლაც იყუჩებ, ბებერო? - და გვერდზე გადგა.

ვაჟა განაწამებ მსხვერპლს მხურვალე უთოთი მიუახლოვდა, ნიკაპში სწვდა, თავი გადაუწია, გამხეცებულმა მუშტი ამოარტყა და დასჩხავლა:

- შენ ახვარო და მუდრეგო, განძეულის სამალავს და სეიფის კოდს თუ არ გამიმხელ, გაგაუთოებ და ცოცხლად შეგწვავ! - ეს თქვა და უთო ბრტყლად მიადო ფართო და ვაჟკაცურ მკერდზე.

ბანჯგვლიანი კანი ატოკდა... ჯერ ნატრუსალის უსიამო სუნი დატრიალდა, შედეგ კი აშიშხინებული ხორცის ოხშივარმა გაავსო ოთახი...

ოთარი გმინავდა, გველივით იგრიხებოდა მისი ჩანაკვთულ-ჩაკუნთული სხეული... სახეზე ჩამონადენი ცრემლი, სიმწრის, განა ლაჩარის ცრემლი, ბაგეებთან სისხლს უერთდებოდა და მკერდზე ეწვეთებოდა... მალე ოფლ-სისხლ-ცრემლნარევი ბლანტი მასა უთოს მიეღვარა და აშიშხინდა... ვაჟამ შეისვენა, სხეულს უთო მოაშორა, ხელმეორედ გასაცხელებლად ბოგდანს გადასცა და ელვის სისწრაფით ისევ ააგლიჯა სკოტჩი. ისევ სწვდა ნიკაპში და გველივით დაისისინა:

- ახლაც არ მეტყვი, სად გაქვს გადამალული განძეულობა?

ოთარმა მწარედ ამოიოხრა, ამოაყოლა სიმწრითა და უმწეობით შეზავებული ბალღამი, დაიხედა უთოსგან დამწვარ მკერდზე, რომელიც ვარდისფერ ნახევარმთვარედ აჯდა მის ვაჟკაცურ სხეულს, ისევ ამოიოხრა, ჩაფიქრდა, უმწეოდ გადააქნია თავი და ძლივს გასაგონი ხმით ალუღლუღდა:

- საგვარეულო განძეულობა, რელიქვიები და ოქროულობა შვილის საძინებელი ოთახის იატაკში მოწყობილ სამალავშია, ადვილად ნახავთ, ზედ პუფი ადევს... წაიღეთ, ოღონდ სიცოცხლე შემინარჩუნეთ, ჩემი და ჩემი ოჯახის ჭირიც წაუღია განძეულობას, ღმერთმა ისინი მიმყოფოს უვნებლად, მეტი არაფერი მინდა, - თქვა და მწარედ აქვითინდა.

ვაჟამ „საინფორმაციო ღრუ“ ისევ გადაუკეტა და ამფსონებთან ერთად ცოლ-ქმრის საძინებელში გავარდა. პუფი წამოაყირავეს, წინასწარ მოთადარიგებული ძალაყინით და ჩაქუჩით პარკეტი აჰყარეს და სამალავიდან სანუკვარი ზარდახშა ამოიღეს. ბოგდანმა ელვის სისწრაფით თავსახური აჰხადა და თვალები გაუფართოვდა - იქ იმდენი ბრილიანტი, ოქრო და ძვირფასეულობა ეწყო, რუსეთის მთელ კრიმინალურ სამყაროს ეყოფოდა. ვაჟაც და ვალერაც აღტაცებულები იღებდნენ ძვირფას

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვლებს, ხელის გულზე აგორავებდნენ, სინჯავდნენ, ზომა-წონიდნენ და მოწონების და წარმატების ნიშნად ერთმანეთს ზურგსა და მხრებზე ხელებს უბაგუნებდნენ... ემოციები ჩაიცხრეს, აღტაცება მოიოკეს და უკვე ფხიზელი გონებითა და ჩვეული გამჭრიახობით შეაფასეს ნამოქმედარი და ნაალაფარი.

პირველმა ბოგდანმა თქვა:

- ბრატვა, ეს განძეულობა იმდენია, პაშა ყუბანსკის და ჩვენ კი არა, კრასნოდარისა და როსტოვის მთელ კრიმინალურ სამყაროსაც ეყოფა. ოპერაცია უხმაუროდ და უჩვეულოდ იღბლიანად ჩავატარეთ. მოდით, ასევე წყნარად და უხმაუროდ დავტოვოთ ვილა, ნაალაფარიც შევირჩინოთ, მშვიდად გავიდეთ სამშვიდობოს და ვიხეიროთ.

ვალერას ჭკუაში დაუჯდა ბოგდანის ნათქვამი, მაგრამ ვაჟა შეუვალი აღმოჩნდა:

- არა და არა! ამდენი ვემზადეთ, ამდენი დრო დავკარგეთ, ქალებთან ამდენი ვიჯამბაზეთ და ვიანგლეთ და სეიფი უვნებელი და დოლარებით გაძეძგილი დავტოვოთ?! არავითარ შემთხვვაში! მოხუცს იგივე ხერხით ავალაპარაკებ, სეიფის კოდს ვათქმევინებ, ისიც მოვასუფთავოთ და ჰაიდა!..

ბოგდანი გაკერპდა. ვალერამაც შეაშველა სიტყვა:

- ძმაო, მენდე, ჯერ-ჯერობით გვიმართლებს, განძეულობა - ამდენი ოქრო და ბრილიანტი, რამდენიმე მილიონის ქონებაა ჩვენს ხელთ და ქაღალდის ფულისთვის თავს ნუ გავწირავთ. იღბალი გვწყალობს - უსაფრთხოდ მოვსულვართ, უსაფრთხოდ წავიდეთ... დამიჯერე, ძმურად გთხოვ... მოიგონე წინაპრების შეგონება - „კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანსო.“ წამო, გავეცალოთ აქაურობას...

ვაჟა ისევ შეუვალი იყო. ამფსონები რომ ვერ დაარწმუნა, იძრო პისტოლეტი, ბოგდანს საფეთქელზე მიადო და კბილებიდან გამოსცრა:

- ან ახლა, ან არასდროს! შემომფიცე და დამიდასტურე, რომ მუდამ ჩემი ერთგული ხარ, თორემ გაგაფრთხობინე სული! - თქვა და ჩახმახს დაადო თითი.

ბოგდანი გაფითრდა, თვალები აახამხამა და წაილუღლუღა:

- ვაჟა, ბრატუხა, რას ამბობ, განა, ოდესმე გიღალატე, ეს როგორ გაივლე გულში? ჯანიც გავარდეს, შენ როგორც გინდა, ისე იყოს, ფული ზედმეტი არასდროს არაა, - თქვა და ვაჟას პისტოლეტიანი ხელი ფრთხილად მოიშორა საფეთქლიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაწყდა: მოხუცის წამებით ათქმევინებენ სეიფის კოდს, ფულს აიღებენ და მოუსვამენ...

გამოვიდნენ მისაღებ ოთახში.

***

ბოგდანმა ფანჯრიდან გადაიხედა. სურდა, კიდევ ერთხელ დარწმუნებულიყო, რომ გარეთ სიწყნარე და სიმშვიდეა. ამ დროს ვიღაცამ კარზე ფრთხილად დააკაკუნა. ბიჭები დაფრთხნენ, ამას ნამდვილად არ ელოდნენ. ჯერ გაინაბნენ, შემდეგ კი, გონს მოსულებმა, სიტუაციის დაზვერვა და შესწავლა გადაწყვიტეს. საჭირო იყო ნაგვიანევი სტუმრების ვინაობის დადგენა და მათი მოსვლის მიზეზის გარკვევა. ვაჟა ოთართან დარჩა. ვალერა საძინებელ ოთახში გავიდა, ბოგდანმა კი პირველ სართულზე ჩაირბინა და კარს მიაყურადა. ცოტა ხნის შემდეგ ვალერა მობრუნდა, ვაჟას მიუახლოვდა და უჩურჩულა:

- ახალგაზრდა ქალი და გოგონა არიან. ალბათ, როგორც გალინამ და ვერამ გვითხრეს, მუსიკის მასწავლებელი და მისი ქალიშვილია... საქმეებს მორჩნენ, უბანიც მიწყნარდა. ეტყობა, ოთართან ინტიმური ურთიერთობის გამჟღავნება-გახმაურება არ აწყობთ და ასე გვიან ამიტომ სტუმრობენ.

ახლა ვაჟა გავიდა საძინებელში, საიდანაც კარგად მოსჩანდა ეზოს წინა მხარე, დაცვის ჯიხური და გალავნის მთავარი ჭიშკრები.

დაცვის თანამშრომლები კვლავინდებურად ტელევიზორს უყურებდნენ. ირგვლივ სიჩუმეს დაესადგურებინა, მხოლოდ დედა-შვილი არღვევდნენ მყუდროებას და ხანგამოშვებით კარზე აკაკუნებდნენ. ალბათ, დრო ჰქონდათ დათქმული და ისიც იცოდნენ, რომ ოთარი შინ მარტოდ იყო და მათ ელოდებოდა... სანამ ქალები სიჩუმის გამო რამეში დაეჭვდებოდნენ, საჭირო იყო სწრაფად განსჯა და გადაწყვეტილების მიღება. ვაჟამ ვალერა და ბოგდანი იხმო და დაავალა, კარები ფრთლილად გაეხსნათ, დედა-შვილი შემოეშვათ, უხმაუროდ გაეკოჭათ და მასთან მიეთრიათ. ბიჭებმა დავალება ზედმიწევნით შეასრულეს - რამდენიმე წუთში შეშინებულ-დაფეთიანებული „ტყვეები" წამების ოთახში დივანზე ეყარნენ. ქალს პირობა ჩამოართვეს, რომ ყვირილს არ ატეხდა და პირი გაუხსნეს.

ვაჟამ ვინაობა და ნაგვიანევი სტუმრობის მიზეზი ჰკითხა.

ქალმა ზლუქუნ-სლუკუნითა და ცხვირის შმუტუნით ამოღერღა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

- მე მუსიკის მასწავლებელი ვარ, ქვრივი, მყავს ერთი ქალიშვილი. ოთარის ოჯახი მათი აქ ჩამოსახლების წელს გავიცანი. ბავშვებს მუსიკას ვასწავლიდი. ჩემი ქალიშვილიც მალე დაუახლოვდა და დაუმეგობრდა მათ, მით უმეტეს, ჩემი გოგონაც ფორტეპიანოზე უკრავს. მე და ბატონი ოთარიც დავმეგობრდით, ერთი სიტყვით, შეგვიყვარდა ერთმანეთი. ვერიდებით დაბაში ჩვენი ურთიერთობის გახმაურებას, ამიტომ გვიან მოვდივართ, მეტი არაფერი, - თქვა და აქვითინდა.

„გაუთოებული“ და ნაწამები ოთარი რომ დაინახა, კივილი მოინდომა, მაგრამ ბოგდანმა პროფესიონალის მოხერხებით და სიჩქარით პირზე სკოტჩი ააკრა.

ვაჟა ახლა ოთარს მიუბრუნდა:

- ჯიგარო, იფიქრე და შენი უტვინო თავით განსაჯე, გიღირს კი იმ სეიფში გადამალული ოქრო და ფასეულობა შენს და ან ამ ქალების წამებად? მოიფიქრე და სეიფის კოდი მითხარი, მე კი სიტყვას გაძლევ, სამივე უვნებელი გადარჩებით.

კაცმა მწარედ ჩაიცინა, ღრმად ამოიოხრა, ჩაფიქრდა, თვალები მილულა. მისი აღგზნებული გონება, ნაგვემი სხეული და განაწამები სული ერთი საგნის ირგვლივ ეპაექრებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ გამოსავლის პოვნას ვერ ახერხებდნენ. ბოლოს მწარედ ამოიგმინა, თავი გადააქნია და დუმილი არჩია. მოხუცის გაუტეხლობამ და მედგარმა, უშიშარმა ქცევა-ნებისყოფამ ვაჟა უფრო გააჯავრა. მივარდა მოხუცს და თავში მუშტი ჩასცხო. ბოლოს, თითქოს გამოსავალს მიაგნოო, შეხტა, სიხარულისაგან ტაში შემოჰკრა, ოთარს ჯიქურ თვალი თვალში გაუყარა და მიახალა:

- კაი, ბატონო! არ გინდა და ნუ გინდა! ჩვენ იმპროვიზირებულ წარმოდგენას გაყურებინებთ! -დაემუქრა და ბოგდანს მათთვის გასაგები ჟესტით რაღაც ანიშნა.

ბოგდანი მიხვდა, რა სურდა ვაჟას. ჯერ გაუკვირდა, ამას მის ფართოდ გაღებულ თვალებში იოლად ამოიკითხავდით, მერე გაუხარდა კიდეც. აუჩქარებლად მივიდა მუსიკის მასწავლებელთან, მსუბუქად აიტაცა ხელში და სავარძელზე გადაასვენა. ჯერ უგემურად, შემდეგ კი აზარტით დაუწყო ფერება, შემდეგ ლოშნასა და დაბურჯგვნაზე გადავიდა. ქალი იკლაკნებოდა, იგრიხებოდა, სხეულის მოძრაობით ცდილობდა აბეზარი მამაკაცის მოშორებას, მაგრამ უშედეგოდ. გაკოჭილს და დასკოტჩილს, აბა, რის გაკეთება შეეძლო. ვაჟას ოთარზე მიბჯენილი მზერა არ მოუშო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებია, მის რეაქციას აკვირდებოდა. კაცის გაყინულ სახეს ძარღვიც არ შეტოკებია. ამან გააკვირვა და უფრო გაახელა: ნუთუ, ფულის გულისთვის შეიძლება საყვარელი ქალის ნამუსის და ღირსების შელახვა? ეს რომ გაიაზრა, ოთარს თავში მარჯვენა ურუსავით ხეთქა, შეჰყვირა:

- შენ ვირო, არამზადავ! ნუთუ, ფული ან რაიმე ფასეულობა ღირებულია საყვარელი ქალის ნამუსსა და ღირსებაზე, არ გეცოდება შენი შეყვარებული?

კაცს სიმწრის ოფლმა კიდევ ერთხელ დაუნამა სახე და დადაღული გულმკერდი. შეკოჭილმა გაიბრძოლა, დაიღმუვლა და უარის ნიშნად თავი გააქნია... მაშინ ვაჟამ ბოგდანს ანიშნა და მანაც არ დააყოვნა: დედაკაცს ჯერ პერანგის გულისპირი შეახია. ქალის ათქვირებული, ქათქათა მკერდი აღმოსავლეთიდან ამომავალი მზის დისკოებივით წამოიზარდა და ორი ვარდისფერი ქვირითით ცას თვალები მოსჭრა... ბოგდანი არ ცხრებოდა, მასზე არც ქალის განწირული ქვითინი, არც თორმეტი წლის ქალიშვილის უხმო მუდარა, არც იმის გააზრება, რომ ამას მცირეწლოვანი ქალიშვილის წინაშე სჩადიოდა, არ მოქმედებდა. მან საკმაოდ პროფესიულად და გულგრილად გადაალაჯა ქალს და ყველას წინაშე ურცხვად ნამუსი აჰხადა...

ბოგდანმა, როგორც კი საქმეს მორჩა, გაბახებული, დალურჯებული და ნამუსახდილი ქალი ოთახის კუთხეში გამოუსედაგარი ნივთივით მიაგდო.

ვაჟა ისევ მიუბრუნდა ოთარს და ნიკაპში ამოსდო ხელი:

- შენ მართლა უსისხლო, ფულის ტომარა ყოფილხარ! უგულო კაცი... ნუთუ, არ შეგეცოდა საყვარელი ქალი, როგორ გაიმეტე გასაბახებლად? ფუი, შენს კაცობას! - უთხრა და პირსახეში შეაფურთხა.

ოთარი აღმუვლდა, აბორგდა, კბილები მოიცვითა ღრჭიალით, სიმწრის და უმწეობის შეგრძნებამ ლამის გააგიჟა დარბაისელი კაცი. ეს კი ამუნათებს და კიდეც ჭკუას ასწავლის, როგორ მოიქცეს და რაზე ინამუსოს... რა ქნას: სეიფში მისი და შვილის მრავალწლიანი მუხლჩაუხრელი შრომის, წვალების და დაგვის ნაყოფია. ეს ფული და ოქროს ზოდები მარტო მას რომ ეკუთვნოდეს, ჯანდაბას... თავის წამებად და, თუნდაც, საყვარელი ქალის ერთ ცრემლადაც, იქნებ, არ უღირდეს, მაგრამ ის ფული და ძვირფასეულობა მთელი ოჯახის საკუთრებაა, რძალ-შვილის, შვილიშვილების საკუთრებაა. მათი ქონების დათმობა ენანება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თორემ მარტო მისი რომ იყოს, მეწყერსაც წაუღია და ცეცხლსაც შთაუნთქავს. როდემდის გაუძლებს მისი ნებისყოფა, როდემდის...

ვაჟას უფრო მზაკვრული გეგმა მოუვიდა თავში. ახლა ვალერას ქალიშვილის გაბახება-გაუპატიურება უბრძანა.

ვალერა - ამძუვნებული ხვადი, ბოგდანის ნამოქმედარით აღგზნებული, ისედაც ცქმუტავდა და ადგილს ვერ პოულობდა. არც დაფიქრებულა, მყისვე მივარდა ვერონიკას, ხელში აიტაცა და როგორც მგელი მოიგდებს ხოლმე დავლა-ბატკანს და ტყეში გაუყენებს, ისე მიიტანა იმავე სავარძელთან, სადაც რამდენიმე წუთის წინ საწყალი დედა მცირეწლოვალი ქალიშვილის წინ ბოგდანმა გააუპატიურა. ბავშვი სავარძელზე დააგდო. საწყალს შიშისა და გაურკვევლობისგან სახე გაქვავებოდა, თვალები გაშტერებოდა, ტანჯვის და ვაება-სირცხვილის განცდა შეჰყინოდა ანგელოზის უმანკო სახეზე და სულშეხუთული და გაოგნებული უმზერდა მტარვალსა და კაციჭამია მხეცს...

ვაჟას მზაკვრულმა განზრახვამ საბრალო ოთარს თავზარი დასცა და მისი ნებისყოფა ბოლომდე გასტეხა... ალბათ, თუ წარმოიდგინა ვერონიკას ადგილზე მისი საყვარელი ნინიკო და კლდესავით მაგარი და უდრეკი ქართველი გატყდა... ჩაიფერფლა... ნაწილებად ჩაიშალა მისი სულის სიმტკიცე და ურყევი ნებისყოფა... გატყდა... დაყაბულდა. დაიკლაკნა, ერთიც დაიღმუვლა, გაიბრძოლა, დაბორკილი ფეხებისა და ხელების ნატანჯმა და ნაგვემმა ძვლებმა ჭახანი მოადინა და მტარვალს ანიშნა, პირიდან სკოტჩი მომაძრეთო...

ვაჟა აღტაცებაში მოვიდა - გაიმარჯვა, გატეხა, მოდრიკა ქართველი რაინდი... უდრეკ სულში ჩააფურთხა და ახლა ზეიმობს... დააჩოქა მზრუნველი მამა და ბაბუა, ოჯახის და საახლობლოს ჭირისუფალი და ქომაგი.

აფერუმ, ემიგრანტო ქართველო!

უცხოეთშიც ვერ აიტანე თვისტომი!

მაქაც შენ გაიმეტე და გასწირე მოსათხრელად და ამოსაგდებად შენიანი!

ამხელა, უკიდეგანო, რუსეთში თვისტომის გარდა ვერავინ ნახე დასაყაჩაღებლად, გასაძარცვად, გასაოხრებლად, გასაუთოებლად?!.

ნეტა, თუ ახსოვდათ ვაჟასა და ვალერას ძველი, მწარე შეგონება: „ქართველის დამარცხება, მოთხრა და გაპარტახება ყველაზე უკეთ ისევ ქართველს ეხერხება...”

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პირშეხსნილი ოთარი ჯერ აქვითინდა, შემდეგ კი ხმით ატირდა-აბღავლდა:

- ვინ ხართ, თქვენ უბედურებო! რა დედამ გშობათ, რომელმა ქალმა გაწოვათ ძუძუ, ვინ გიმღერათ ნანა! ახლგაზრდა კაცებს აღარც ნამუსი შეგრჩათ, აღარც შუბლის ძარღვი, აღარც გული და ქრისტიანული სული! ფულის გულისთვის მკლავთ, მაპარტახებთ, მძარცვავთ, უდანაშაულო დედა-შვილს აუპატიურებთ... ვინ ხართ ასეთები, ოხრებო? - ღმუოდა საწყალი, მდუღარე ოფლ-სისხლნარევი ცრემლი კი ნაკადულებად ჩაედინებოდა მკერდზე და ნაუთოვებ, ცოცხლადშემწვარ ხორცს მწარე ცოდვად და მომაკვდინებელ შხამად ედებოდა.

- მოკეტე, შენ ახვარო, თორემ ჩაგაძაღლე ახლავე! შენი გოდება, დარიგება და ნაბიჭვრული ჭკუის სწვალება შენთვის დაიტოვე, შენ ავხორცო და არამზადავ, თორემ... - დაიღრიალა ვაჟამ და პისტოლეტის ტარი უთავაზა. გახეთქილი თავიდან სისხლმა წამოფეთქა და შეჭაღარავებული საფეთქლები ჩამოაწითლა. ოთარს გული წაუვიდა. ბოგდანი არ დაიბნა, გავარდა სამზრეულოში, მაცივრიდან ცივი წყალი შემოიტანა და სახეზე მიათქეშა. ოთარი გონს მოვიდა, დადუმდა, წინააღმდეგობა აღარ გაუწევია. მიხვდა, რომ ამ არაკაცებთან ამას აზრი არ ჰქონდა. მიბნედილი, ყრუ ხმით ჩაიღმუვლა:

- არც ქალი დაინდეთ და მეც გამწირეთ, მაგრამ ერთს გთხოვთ: თუ კიდევ შეგრჩათ ადამიანური რამ, ბავშვს თავი დაანებეთ, არ დაღუპოთ, არ გააუპატიუროთ, ის აქ არაფერ შუაშია, მისი უმანკო სული და სხეული მე მაჩუქეთ და გეტყვით სეიფის კოდს... - საწერკალამი და ფურცელი მოითხოვა. ვაჟამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და ვალერას ანიშნა, ბავშვს მოშორებოდა. ბოგდანმა მაგიდაზე მოიხელა საწერანი და საზეიმო, მაგრამ უტიფარი და სულელური, უფრო სწორად გამოჩერჩეტებული გამომეტყველებით ოთარს შესცინა და მიართვა. ხელებგაკრული, აბა, რის დამწერი იყო - ვაჟას უკარნახა სეიფის კოდის კომბინაცია და დადუმდა. აღარაფრის თავი აღარ ჰქონდა - არც ყვირილის, არც შეწინააღმდეგების... მისთვის უკვე ყველაფერი დამთავრებული იყო. ამ გარემოებას, თითქოსდა, მძარცველებიც მიხვდნენ და პირი აღარ აუკრავთ.

ვაჟა და ბოგდანი ოთახში გავარდნენ, სურათი ჩამოხსნეს, საწოლზე მოისროლეს და სეიფს მიადგნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალერა ბერიკაცთან დატოვეს. სავარძელზე მისვენებული, მოკრუნჩხული, შეშინებული და თავზარდაცემული ვერონიკა გულამოსკვნით ტიროდა. დედამისი კუთხეში ეგდო, გულამოსკვნით მოსთქვამდა. ოთარი ოხრავდა, გმინავდა. ამ საცოდობის ცქერა, ეტყობა, ვალერასაც მობეზრდა, მათ ზურგი შეაქცია და განძის პოვნის შეყტობინებას დაელოდა.

ვერონიკას დედას ყურადღებას აღარავინ აქცევდა. ყველა თავისი საქმით იყო დაკავებულ-გართული. გაშმაგებულმა დრო იხელთა, ზურგშექცევით მდგომ ვალერასთან მიიჭრა:

- შენ, არამზადა, კაციჭამია! - შეჰკივლა და დასკოტჩილი ხელებით თმებში ჩააფრინდა, ნიღაბი მოაგლიჯა და თვალ-სახეც ლაზათიანად ჩამოკაწრა.

ვალერამ, მოულოდნელობისაგან გაოგნებულმა, დაიღრიალა და ძარღვიანი ქართული გინებაც მიაყოლა. სიმწრისაგან სახე მოექცა, საღი განსჯისა და აზროვნების უნარი დაჰკარგა. იძრო პისტოლეტი და რამდენიმე ტყვია ქალს თავში დაახალა.

ქალმა ყრუდ შეჰკივლა, ვაიმე შვილოო, და სული განუტევა. კედელს მიყრდნობილი ნელ-ნელა ჩამოცურდა და იატაკზე გაიშხლართა.

მიბნედილ, ბურანში მყოფ ოთარს ქართული სიტყვა სადღაც შორიდან ჩაესმა. ჯერ არ დაიჯერა, ზმანება ეგონა, იფიქრა, ჭკუიდან ხომ არ გადავცდი, ან ჰალუცინაციები ხომ არ დამეწყოო.

მაგრამ, არა!

ისევ მოესმა ძარღვიანი ქართული გინება, ახლა უფრო მკაფიოდ, უფრო ახლოდან და მიხვედრამ სულ მოუწურა გული და მოუკლა სული: ეს მკვლელები, მძარცველები, ყაჩაღები და უსისხლო მოძალადეები ქართველები ყოფილან, მისი ერისშვილები, თანამემამულეები, მისი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი. ამ აღმოჩენამ ორმაგად დაუთრგუნა აწეწილი გონება, გვემული სხეული, გატეხილი გული და ჩაფურთხებული სული... ნუთუ, ქართველებმა ასე გაიმეტეს? ნუთუ, არ იცოდნენ მათი სამიზნის სადაურობა და წარმომავლობა? ღმერთო! ეს რა ხდება? გაძარცვა და წამება არ ეყო, საყვარელი დედა-შვილის გაუბედურება - გაბახება, ახლა ეს აღმოჩენაც - მძარცველ-ყაჩაღები ქართველები ყოფილან...

ვაიმე, დედა! - ესღა აღმოხდა ქართულად და აღმუვლდა საწყალი.

ხმაურზე ვაჟა შემოვარდა, რა მოხდაო, იყვირა და ძმას მივარდა. ვალერა სისხლში მოთხვრილ სახეს იწმენდდა და უკვე მეგრულად ილა-

ნძღებოდა და იგინებოდა. ვაჟასათვის ყველაფერი ნათელი გახდა. ძმას პირსახოცით სისხლი მოსწმინდა, მოეხმარა, წამოაყენა. დივანზე მიაწვინა. ცოტა ხანს იყუჩა. ეტყობა, გაიაზრა, რამხელა ავკაცობა ჩაიდინეს ფულის და ძვირფასეულობისთვის. ოთარმა, თითქოს სულის მოძრაობას მიუხვდაო, თითქმის ჩურჩულით უთხრა:

- გული მომიკვდა, შემძრა იმის აღქმამ, როცა გავიგე, ქართველები ყოფილხართ. არ ვინანებდი, ამ ჭრილობებსაც მოვიშუშებდი, საყვარელი ქალის დანაკლისსაც როგორმე მოვინელებდი, მაგრამ ამას - ვერა! ხომ გაგიგიათ: „ცულით დაკოდილი მრთელდება, სიტყვით დაკოდილი კი არა.“ თქვენც სიტყვით დამკოდეთ, ქართული სიტყვით! როგორ წარმოვიდგენდი, აქ, უკიდეგანო რუსეთში ჩემი ქართველი თუ მომთხრიდა და ამომაგდებდა, - თქვა და ხმით, მოთქმით ატირდა. ის ახლა ყველაფერს ერთად დასტიროდა. ის პირველად, ცხოვრებაში პირველად ტიროდა ასე გულამოსკვნით და განწირულად.

- მოკეტე, ბებერო, თორემ ჩაგაძაღლებ, შე ახვარო, - მიაძახა და მიეჭრა, უნდოდა, პისტოლეტის ტარი თავში ჩაერტყა და დაედუმებინა, მაგრამ ოთარმა დაასწრო:

- ბარემ მომკალ და გაათავე!.. ან ამის შემდეგ ჩემს სიცოცხლეს რაღა აზრი აქვს. მიდი, მესროლე, მადლი დაიდე, ოღონდ არ დაგავიწყდეს, შენ უცხო მხარეში ფულის გულისთვის თანამემამულეს კლავ, ამას კი არც სამშობლო გაპატიებს, არც მშობელი ერი და არც შენი სინდისი. დაიმახსოვრე, თუ სიბერემდე მიათრიე შენი ცოდვილი სული, მე მუდამ დაგესიზმრები, არ მოგასვენებ... ეს უდანაშაულო ქალებიც დაგესიზმრებიან. სინდისის ქენჯნა არ მოგასვენებს, მიგასავათებს, ბოლოს მოგიღებს...

ვაჟა ოთარის ნათქვამმა წუთით გააოგნა. მისმა ანთებულმა გონებამ და ცოდვილმა სულმა სიმართლის დვრიტა იპოვა, დადუმდა. ცოტა ხნის შემდეგ კი მომბალმა, მოღუშულმა, მიმჩვარულმა, უფრო თავისთვის, ვიდრე სხვის გასაგონად, ჩაილაპარაკა:

- მე და ჩემი ძმა სამშობლოდაკარგული და მშობლიურ ფესვებს მოგლეჯილი ობლები ვართ. განა, ასეთი ცხოვრებისთვის გვზრდიდნენ მშობლები? განა, შვილების ასეთი მომავლისთვის - საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთის ომში დადო თავი მამაჩვენმა... განა, შვილების ასეთი მომავლისათვის წელებზე ფეხს იდგამდა საწყალი დედაჩვენი?! მას მშობლიურ მიწაშიც კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ეღირსა საფლავი? განა, ჩვენ გვინდოდა ასეთი ცხოვრება? განა, ჩვენ გვინდოდა მშობლიური ქვეყნიდან ლტოლვილად გადმოხვეწა? განა, ჩვენ გვინდა ემიგრანტობა იქ, სადაც უცხო ხარ და იცი, რომ თავისიანად არასოდეს მოგიღებენ და მშობლიურ მხარეშიც რომ ვერ ბრუნდები, რადგანაც ის დაპყრობილი და ოკუპირებულია?.. - ვაჟას, ერთი შეხედვით, უსისხლო მკვლელს და ბანდიტს, თვალებზე ცრემლი მოადგა, მაგრამ, ოთარს რომ არ შეენიშნა, თვალები აარიდა.

ოთარს ოდნავ გული მოულბო ვაჟას აღსარებამ. მხოლოდ ერთ კითხვაზე სურდა პასუხის მიღება. ცოტა დააყოვნა და გაუბედავად ჰკითხა:

- მე არ მაინტერესებს არც თქვენი გვარ-სახელი, არც ჩამომავლობა, არც სადაურობა... თუ ღმერთი შეგარგებთ ნაალაფარს, შეგერგოთ, ოღონდ ერთი რამ მაინტერესებს, იცოდით, რომ ქართველი კაცის ოჯახის დასაყაჩაღებლად და გასაძარცვად მოდიოდით?..

ვაჟა ჩაფიქრდა, აღარ სურდა ამ კაცთან საუბარი, მაგრამ რატომღაც გადაწყვიტა, ბოლომდე გულწრფელი ყოფილიყო. ეტყობა, ძველი წყენაც გაახსენდა, ამიტომ სინანულით ჩაილაპარაკა:

- კი, ვიცოდი. ვიცოდი, რომ ეს სახლი რუსეთში მცხოვრებ ქართველ ოლიგარქს ეკუთვნოდა... - ვაჟა გაჩუმდა, ფანჯარასთან მივიდა. მის თვალებში სევდამ და დარდმა დაისადგურა. კინოფირივით თვალწინ გაურბინა განვლილმა ხანმოკლე და შფოთიანმა ცხოვრებამ და მძიმედ ამოიოხრა.

ოთარმა კითხვა შეაგება:

- თქვენ, დალოცვილებო, ჩვენც ხომ ემიგრანტები ვართ, სამშობლოს და მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილ-მოგლეჯილები, რატომ გაგვიმეტეთ? ამხელა რუსეთში დასაყაჩაღებელი და გასაძარცვი სხვა ვერავინ ნახეთ?..

ამაზე ვაჟა უფრო აენთო:

- ჩვენი და თქვენი ბედი და ყოფა არ შეიძლება შევადაროთ!.. თქვენ ნებით, ყოფითი ცხოვრების გასაუმჯობესებლად, უკეთესი პირობების ძიებაში ჩამოხვედით ამ ქვეყანაში!.. თქვენი ნებით მიატოვეთ საქართველო, მშობლიური გარემო, მშობლიური ერი. უპატრონოდ დატოვეთ წინაპართა საფლავები. თქვენივე ხელით მოიგლიჯეთ ფესვები მშობლიური მიწიდან. თქვენივე ნებით გაწირეთ შვილები და შთამომავლობა გადაშენება-გადაგვარება-ასიმილაციისათვის. თავად მოინდომეთ, თქვენი შვილები არ აღზრდილიყვნენ მშობლიურ გარემოში, არ მიეღოთ განათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება ქართულ სკოლაში, არ ზიარებოდნენ ქართულ კულტურას, ქართულ ლიტერატურას, ქართულ ზნეობას, მორალს, ცნობიერებას... ჩვენ კი თქვენი მოწონებული მეორე სამშობლოს გამოისობოით დავობლდით, მშიერ-მწყურვალი და გაპარტახებულები ვეწევით ლტოლვილის მძიმე ჯაპანს, ვერ ვბრუნდებით მშობლიურ სახლში, მშობლიურ გარემოში, მშობლიურ კარ-მიდამოში... ვერ დავიტირეთ მამის საფლავი... მშობლიურ მიწას, წინაპართა საფლავების გვერდით, ვერ მივაბარეთ სათაყვანებელი და ამაგდარი დედა... ამაში თქვენც, რუსეთში მცხოვრებ ქართველებსაც მიგიძღვით ბრალი. არც ხმა ამოგიღიათ, არც ხელი გაგინძრევიათ და არც რაიმე ხარჯი გაგიღიათ ისტორიული სამშობლოს სასარგებლოდ... ასე, რომ, გიჯობს, გაჩუმდე, თორემ ახლა როგორც მოღალატეს და სამშობლოს პოტენციურ გამყიდველს ჩაგაძაღლებ, არც ხელი ამიტოკდება, არც სინდისის ქენჯნა შემაწუხებს და არც ჩემი წინაპრების საფლავებთან მივალ დარცხვენილი თუ, რა თქმა უნდა, განგებამ მარგუნა და მოვესწარი სამშობლოში დაბრუნებას, - თქვა ვაჟამ, ვაჰმეო, ამოიკვნესა და გამწარებით იტკიცა შუბლზე ხელი.

ოთარი არ აპირებდა უკან დახევას ან გაჩუმებას. მით უმეტეს, რომ მიუტევებელი ცილი დასწამეს და მოღალატედ დაუმსახურებლად ჩათვალეს. მოიკრიბა ნებისყოფა და შეეპასუხა:

- შენ და შენი ძმა ყაჩაღობთ, ბანდიტობთ. თქვენთვის კაცის კვლა და ქალის გაუპატიურება არ არის უცხო ხილი... ვინ უფრო უტეხს სახელს სამშობლოს და ქართველ ხალხს, თქვენ თუ ჩვენ?

ვაჟა ჩაფიქრდა, ოთხში თავჩაღუნულმა და გაფითრებულმა გაიარ-გამოიარა და განწირული კაცის ბედს შეგუებულმა აზრის ბოლომდე გამოთქმა გადაწყვიტა:

- კი, გეთანხმები. მე და ჩემი ძმა ერთი საწყალი და თითივით გალოკილი მარტოკაცები ვართ. ისიც ვიცით, რომ ამ გზაზე შემდგარებს ოჯახის შექმნა და ცოლ-შვილის მოკიდება არ გვიწერია. არ ვიცით, როდის დაგვეწევა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის ტყვია, მოშურნე ან გამცემი როდის ჩაგვარტყამს ზურგში დანას. მე და ჩემი ძმა მოვკვდებით და ჩვენი წილი გენეალოგიური ფესვიც დალპება, ერთი ძირძველი ქართული შტო შეწყვეტს არსებობას. ეს ქართველი ერისთვის აუნაზღაურებელი ზარალი და შეუვსებელი დანაკლისი იქნება. თქვენ ფერებ-ფერებით, ხვევნა-კოცნით და ლოშნა-ტლოკვით მტრობთ საქართველოს. ეს მოღალატური ქმედება იმაში გამოიხატება, რომ მშვიდობიანობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს, უკეთესი საცხოვრისის ძიებაში, ნებაყოფილებით მიატოვეთ სამშობლო და მშობელი ერი. თქვენ საქართველო აღარ გტკივათ. მის სასიკეთოდ ხელიც კი არ გამოგიღიათ. რომელმა იბრძოლეთ აფხაზეთში? ცხინვალის რეგიონში? რომელი მიტინგი ჩაატარეთ სამშობლოს მხარდასაჭერად და ოკუპაციის შეწყვეტის მოთხოვნით? ზოგიერთ თქვენგანს კიდევ გყოფნით ნამუსი და კაცობა, გამოდიხართ ტელევიზიით, პრესაში ბეჭდავთ სტატიებს და უტიფრად და უნამუსოდ მოძღვრავთ პატრიოტ ქართველებს, აბრალებთ უკადრებელს, არასწორად აფასებთ მოვლენებს, აკრიტიკებთ სამშობლოს, ქირდავთ და კილავთ საქართველოს მთავრობას და ამით მოწინააღმდეგის წისქვილზე წყალს ასხამთ. რადგანაც თქვენც ქართველები ხართ, შეცდომაში შეგყავთ საერთაშორისო საზოგადოება, ვითომდა საქართველო და ქართველი ერი რამეში მტყუანი იყოს!.. - აღელვებული ვაჟა დადუმდა, უფრო სულის მოსათქმელად, ალბათ.

ოთარს დაავიწყდა თავისი უბადრუკი ყოფა და ახლა მხოლოდ იმას ცდილობდა, როგორმე თავი ემართლებინა თვისტომის წინაშე:

- რა უნდა გვექნა? რაიმე სახით ან ფორმით უკმაყოფილება და პროტესტი რომ გამოგვეხატა, აქ ხომ აღარ დაგვედგომებოდა. ვინ დაგვტოვებდა დაუსჯელს? თანაც უკვე დიდი ხანია ამ ქვეყნის მოქალაქეები ვართ!..

ამაზე სულ გაგიჟდა და აღშფოთდა ვაჟა:

- მართალი ხართ! თქვენ ქართველები აღარ ხართ, ამ ქვეყანას ეკუთვნით. დედა სამშობლო თქვენ აღარ გტკივათ. პროტესტის გრძნობა თუ გაგიჩნდათ, კომფორტული ცხოვრების მოშლის შიშით, ხმას ვერ იღებთ და კურდღლებივით იმალებით. ზოგიერთ თავხედს მაამებლური პოლიტიკა აურჩევია და ძირს უთხრის ისტორიულ სამშობლოს. ან რომელ ქართველობაზე მელაპარაკებით? თქვენი შვილების უმეტესობამ მშობლიური ენა უკვე დაივიწყა, შვილიშვილებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ისინი ქართული ცნობიერებით არ იზრდებიან. ქართული მსოფლმხედველობა და მორალი მათთვის უცხოა. ვინ ხართ თქვენ? გეტყვით: საშოვარს გადაყოლილი, გათითოკაცებული ნაქართველარები. ზოგიერთები ჯერ კიდევ ქართველი, მაგრამ გადაგვარების, გადაშენების და გადაჯიშების პირას მყოფნი. მართალია, ეს ყველა ემიგრანტსა და ლტოლვილს არ ეხება, მათ შორის ბევრია პატრიოტი და ნაღდი ქართველი, მაგრამ, საუბედუროდ, უმეტესობა გადაგვარების გზას ადგიხართ... ბევრი შემხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვედრია ვაიქართველი... თქვენ, რუსეთში მცხოვრებ ბიზნესმენ-ოლიგარქი ქართველების უმრავლესობას, მხოლოდ ის გსურთ, ფულის კეთებაში ხელი არ შეგიშალონ და ენაზე რა მოსატანია საქართველოს სახელმწიფოებრიობის განცდა. მისი განვითარება და ცნობადობის გაზრდა? რა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა? სავაჭრო და ეკონომიკური დერეფნის ამოქმედებაში საქართველოს უდიდესი მნიშვნელობა? რა აზია-ევროპის პირდაპირი სამგზავრო-სარკინიგზო კავშირი? რა ზოგადსაკაცობრიობო მისიის დაბრუნება ქართული სახელმწიფოსთვის?.. პირიქით, უმრავლესობა ყველა მანქანებით ეწინააღმდეგებით საქართველოს ევრო-ატლანტიკურ სწრაფვას, ყველა ღონეს ხმარობთ, რომ საქართველო როგორმე შეათრიოთ რუსეთის ნააზრევ ევრო-აზიურ ეკონომიკურ კავშირში, რომ ქართველმა ერმა საბოლოოდ უარი თქვას პროგრესულ განვითარებასა და საკუთარ სახელმწიფოებრიობაზე. განა, ცოტა ხართ რუსულ ფულსა და ჩინ-მედლებ-ჯინჯილაკებზე დახარბებულ-გაგიჟებული, ეროვნულღირსებადაქვეითებული ქართველები, რომლებსაც საკუთარი ერისა და ქვეყნის წინააღმდეგ გიყენებენ?.. - ვაჟას სული შეეხუთა და კვლავ დადუმდა.

ამით დრო იხელთა ოთარმა და შეუღრინა:

- კაი, ახლა, არ ამატირო და არ ჩამაცვა შავები... შენც ზნედაცემული, გადაგვარებული და გათახსირებული ქართელი ხარ, შენც არანაკლებ უტეხ სახელს საქართველოს და ქართველ ხალხს!.. ვინ მოგცა უფლება, მე მათახსირო და მასამართლო?!.

ეს უკანასკნელი წვეთი აღმოჩნდა. ვაჟას მოთმინების ფიალა აევსო. მივარდა ოთარს, გაშლილი ხელით სილა გააწნა და მიაძახა:

- კი, მე კრიმინალი ვარ, მაგრამ არა მოღალატე და გამყიდველი!.. არა შენსავით ფულზე გაყიდული, გათახსირებული და გარეწარი!!! შენ არა გაქვს უფლება, იცოცხლო, შენი ნაბოზარი სული და ცოდვა ჩემს კისერზე იყოს! - თქვა, სახეში შეაფურთხა და შუბლზე ხუთი ტყვია დაადუღა.

ოთარმა ერთი გაიბრძოლა და პირდაღებულმა და თვალებგადმოკარკლულმა სკამის საზურგეზე გადაკიდა თავი.

მერე ყველაფერი აირია... სროლის ხმაზე ვალერა ფეხზე წამოვარდა. ბოგდანიც დაფეთებული შემოვარდა. რა მოხდაო, იყვირა, მაგრამ ოთარს თვალი შეავლო თუ არა, მისთვის ყველაფერი ნათელი გახდა. მხოლოდ ერთი რამ თქვა, საყვედურნარევი, სროლა ზედმეტი იყოო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცვის თანამშრომლები ფარდულიდან გამოცვივდნენ. სროლის ხმის მიმართულება გაარკვიეს და შენობისკენ გაემართნენ. ბოგდანმა ერთი ფანჯრიდანვე გააგორა. იქვე მოფართხალე გოგონას, მოწმის თავიდან მოშორების მიზნით, სამი ტყვია დაახალა და სირბილით პირველ სართულზე დაეშვა. ვაჟამ და ვალერამ ფული და განძეულობა სასწრაფოდ ჩანთებში ჩატენეს და ბოგდანს მიჰყვნენ. დაცვის თანამშრომელი კარების შემომტვრევას ლამობდა... ყაჩაღები ჩასაფრდნენ. აცალეს შემოსვლა. მიბჯნით ორჯერ ესროლეს. უსულო სხეულს გადააბიჯეს და გაცვივდნენ ეზოში. მათივე მიდგმული კიბით გალავანს გადაევლნენ და სიბნელეში გაუჩინარდნენ...

* * *

ყაჩაღებმა ვილადან მშიდობიანად გააღწიეს. წინასწარ გადამალულ და შენიღბულ მანქანასთან მიცვივდნენ და დიდი სიჩქარით გავარდნენ ქალაქისკენ მიმავალ ტრასაზე. სანატორიუმ „დიუნას" გადასახვევთან, დაღმართზე დაშვებისას, შეეყარნენ საგანგებო სიტუაციების სამსახურის კორტეჟს - სასწრაფო-სამედიცინო დახმარების რეანიმობილს და სახანძრო მანქანებს. აღმართის მიუხედავად, დიდი სიჩქარით ამოვარდა პოლიციის სპეცდანიშნულების სამსახურის ორი ავტომანქანა. სირენების ხმამ გააყრუა არე-მარე.

ყველაფრით იგრძნობოდა, რომ ქალაქში და დაბაში საგანგებო მდგომარეობა იყო გამოცხადებული. ჩანდა, პოლიციას უკვე გაეგო ვილის „გატანისა" და იქ მომხდარი ტრაგედიის ამბავი. ბანდიტები საგონებელში ჩავარდნენ. საიდან გაჟონა ინფორმაციამ?! სახლის ბინადარნი და დაცვის თანამშრომლები ხომ ყველა უკლებლივ „გაასაღეს." ალბათ, რომელიმე ცოცხალი გადარჩა?.. მარჩიელობის დრო არ იყო, ქალაქიდან დროულად გაღწევაზე უნდა ეფიქრათ. დარწმუნდნენ, რომ სამართალდამცავი ორგანოებისთვის ყველაფერი ცნობილი იყო. ასეთი მასშტაბის სისხლიანი ყაჩაღობა ზღვისპირა, საკურორტო ქალაქში იშვიათად ხდებოდა. როგორც წესი, საკურორტო ქალაქებში წესრიგს გაძლიერებულად იცავენ, კარგად ოპერირებული და მომზადებული სამართალდამცავი ორგანოები მუდმივ მზადყოფნაში არიან. მძარცველები იმაშიც იყვნენ დარწმუნებული, რომ ასეთ დროს მოქმედებდა ბანდიტების ცხელ კვალზე დაკავების ანუ, ეგრეთწოდებული, „პერეხვატის" გეგმა. ეს იმას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნავს, რომ უკვე გადაკეტილია ქალაქის ყველა გასასვლელი. აეროპორტში, ნავსადგურში, რკინიგზის და ავტო სადგურებში დაგზავნილია პოლიციის და უშიშროების სამსახურის სპეცპატრულები.

ერთი გამოსავალი რჩებოდა - დანაშაულის ჩადენიდან დიდი დრო არ იყო გასული და პატარა ნავმისადგომების და ნავსაყუდლების გადაკეტვა-ბლოკირებას ვერ მოასწრებდნენ. დაბიდან უხიფათოდ გაღწევის ერთადერთი არხი მოყვარულ მეთევზეთა ნავსადგომი თუ იქნებოდა. აი, სად გამოადგათ გონებაგამჭრიახი ბოგდანის მიერ წინასწარ დაჭერილი თადარიგი.

ნავსაყუდელის შესასვლელთან მიაგდეს მანქანა და, ის იყო, ნაცნობი მეთევზის ფარდულს მიადგნენ, რომ საყარაულოდან ნასვამი, მაგრამ ჯერ კიდევ საღ ჭკუაზე მყოფი კაცი, თითქოსდა, ქვესკნელიდან ამოძვრაო, წინ აესვეტა და ბორძიკა, ჩახლეჩილი ხმით იკითხა მოსულთა ვინაობა და სადაურობა, თანაც უმისამართოდ უმიზნებდა ორლულულიან სანადირო თოფს. ახსნა-განმარტების დრო არ იყო. ვაჟას ნიშანზე ვალერამ ყარაულს კეფაში ჩასცხო პისტოლეტის ყუა. საწყალი მომჩვარული ჩაიკეცა. ამასობაში ბოგდანმა მოიძია ფარდულის და კატარღის გასაღებები, წინასწარ მოთადარიგებული ბენზინიანი ბიდონიც გადაიტანა და ძმაკაცებს ანიშნა, კატარღის გამოთრევასა და ზღვაში ჩაშვებაში დახმარებოდნენ. ბოგდანმა ძრავასთან დაიკავა ადგილი, ვაჟა და ვალერა კი ძელსკამებზე მოკალათდნენ. ბოგდანი ცივი გონებით და შეძენილი გამოცდილების წყალობით გათვლილად მოქმედებდა: ჯერ საჭე და ძრავის დამაგრების საიმედოობა, შემდეგ ავზში ბენზინის რაოდენობა შეამოწმა, საწვავი ჩაამატა და დაქოქა. ძრავა ჯერ უხეიროდ ათუხთუხდა, შემდეგ, აქსელერატორის დარეგულირების წყალობით, ზომიერად აგუგუნდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ძრავი გამართულია და შესაძლებელია ზღვაში გასვლა.

მეგობრებმა სიხარულის ტაში შემოჰკრეს და მრუმე სივრცეში გაიჭრნენ... ზღვის ზედაპირი დილის ბურუსით იყო მოცული. სპეციალური მოწყობილობის გარეშე ზღვაზე სწორი გეზის გაგნება გაუჭირდებოდათ. ბოგდანს მეთევზემ ზღვაზე ორიენტაციის გარკვევა ასწავლა და ორიენტირ-ბუსოლის გამოყენების წესებიც აუხსნა, მაგრამ სიჩქარეში თაროდან ხელსაწყოს აღება დაავიწყდა. ინანა, მაგრამ რაღა დროს... ეს იაღლიში მეგობრებისთვის არ გაუმხელია - ვინ იცის, აღგზნებული გონებით და ანთებული ტვინებით რას მოიმოქმედებდნენ, წარუმატებლობას ბოგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანს დააბრალებდნენ და კრიტიკულ სიტუაციაში ფიზიკურადაც გაუსწორდებოდნენ. ბოგდანი იმასაც ფიქრობდა, რომ უკრაინის სანაპირომდე უსაფრთხოდ მისაღწევად დრო და გამოცდილება არ ეყოფოდათ, თანაც გასათვალისწინებელი იყო ორივე ქვეყნის სანაპირო დაცვის სწრაფმავალი კატარღების ძებნის ღონისძიებაში ჩართვის შესაძლებლობა. გამოსავალი ერთი იყო: როგორმე სწორი გეზი უნდა აეღოთ, გასულიყვნენ ქერჩის სრუტეში, იქიდან კი უკრაინის ნაპირებამდე იოლი იყო გაღწევა. იქ, როგორც დევნილები, თავშესაფარს ითხოვდნენ ან სადმე გაუჩინარდებოდნენ.

მეორე გამოსავალიც იყო: როგორმე ყირიმის ნახევარკუნძულამდე უნდა გაეღწიათ. იქ რუსეთის სანაპირო დაცვის კატარღები ვეღარ მისწვდებოდნენ. სანამ ორი ქვეყნის სანაპირო დაცვის სტრუქტურები და მესაზღვრეები ინფორმაციას გაცვლიდნენ და ერთობლივი ძებნის გეგმას შეათანხმდებდნენ, ბანდიტები ქვეყნის სიღრმეში შეაღწევდნენ. ამ იმედით მიაპობდნენ ტალღებს...

ჯერ ყველაფერი კარგად მიდიოდა. ნაპირიდან საკმაოდ შორს შესცურეს. დილის ბურუსი ხილვადობას მინიმუმამდე ზღუდავდა, რამდენიმე მეტრის სიახლოვიდან თუ დალანდავდა ვინმე კატარღას. ეს კარგიც იყო და ცუდიც - უცხო თვალთახედვის არეში არ მოხვდებოდნენ, მაგრამ ბურუსში გეზის გაგნებაც გაუჭირდებოდათ, მით უმეტეს, რომ კურსის გამოთვლის და დაგეზვის ტექნიკური საშუალება არ ჰქონდათ. ბოგდანმა თავის დროზე არ ჰკითხა მეთევზეს, საგანგებო სიტუაციაში ბუსოლის გარეშე ღია ზღვაში სწორი მიმართულების განსაზღვრა თუ შეიძლებოდა. ყველა წვრილმანს ხომ წინასწარ ვერ გათვლი... ახლა მათ ინტუიცია და იღბალი თუ იხსნიდა. ზღვა წყნარი და უტალღო იყო. ბურუსი ისევ მხედველობას მინიმუმამდე ზღუდავდა. ბოგდანმა იცოდა, რომ ჯანღს და ორთქლის ბურუსს მზის პირველივე სხივები გაფანტავდა, მაგრამ დრო არ ითმენდა...

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დამნაშავეთა ძებნის თეორია და პრაქტიკა გულისხმობს ძებნა-ძიების სამუშაო ვერსიების წამოყენებას და გამორიცხვის მეთოდით ყველაზე ოპტიმალურ, მეტნაკლებად სწორ ვერსიამდე დაყვანას. ვაჟა მოწინააღმდეგე სამართალდამცავთა ვერსიებს ამუშავებდა და აანალიზებდა, ამას განსაცვიფრებელი სკურპულოზურობით, შესაშური სიმშვიდით და ცივი გონებით აკეთებდა. ძარცვა-მკვლელობის შესახებ ინფორმაციის მიღებამდე საკმაო დრო გავიდოდა, ვიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე დაბიდან და ანაპიდან გასასვლელ გზებს გადაკეტავდნენ. ამას დროულად თუ მოახერხებდნენ, მაშინ ერთ მეტ-ნაკლებად რეალურ და სავარაუდო ვერსიას განიხილავდნენ - დამნაშავეები მცირე საცურაო საშუალებებით გაღწევას შეეცდებოდნენ, ასეთები კი მრავლადაა იახტკლუბსა და მეთევზე-მოყვარუთა რამდენიმე ნავსაყუდელზე. სამართალდამცავები უკვე შეამოწმებდნენ ყველა ნავმისადგომს, მოიძიებდნენ მათ პატრონებს და, ალბათ, ვალერას მიერ გათიშული ყარაულიც საჭირო ჩვენებებს უკვე იძლეოდა. გამოდის, რომ მათ უკვე ეძებენ და პოლიციის და სანაპირო დაცვის გემები, ლოკატორები თუ კატარღები ღია ზღვაში გასულ ერთადერთ უმისამართოდ მცურავ მეთევზის კატარღას ადვილად იპოვიდნენ.

* * *

ძარცვის შემდგომი ვითარება კი შემდეგნაირად განვითარდა: დაჭრილმა დაცვის თანამშრომელმა, რომელიც ბანდიტებს ვილის კართან შეეფეთა, მძიმე ჭრილობების მიუხედავდ, ცხელი ხაზის მეშვეობით პოლიციისათვის ინფორმაციის გადაცემა და დაცვის სააგენტოში განგაშის სიგნალის გაშვება მოახერხა. რამდენიმე წუთში, ქალაქის პოლიციის სამმართველოში, ოპერატიული თათბირი გაიმართა. შეიმუშავეს გადაუდებელ ღონისძიებათა გეგმა და დამნაშავეთა გზის გადაჭრის სასწრაფო ღონისძიება აამოქმედეს, ეგრეთწოდებული „პლან პერეხვატა.“ დაბიდან და ქალაქიდან ყველა გასასვლელი დროულად გადაიკეტა. დაგზავნეს პატრულები ყველა სატრანსპორტო კომუნიკაციაზე. უშიშროების და სანაპირო დაცვის სამსახურებიც გააფრთხილეს. ქალაქის პოლიციის სამმართველოში შეიქმნა ოპერატიული შტაბი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ძალოვანი უწყებების და ურთიერთმოქმედი ქვედანაყოფების წარმომადგენლები.

შეთანხმებული მუშაობის შედეგად შესაძლებელი გახდა დამნაშავეთა მოქმედების ქრონოლოგიის აღდგენა. დადგინდა მათი ვინაობა. მათი შესაძლო მოქმედებების ვერსიებიც პროგნოზირებადი გახდა. მცირე მცურავ საშუალებათა ნავსაყუდლების შესწავლით დადგინდა მეთევზე და გატაცებული კატარღა. რადიოლოკაციურმა სადგურებმა მალევე დაადგინეს მძარცველთა ადგილმდებარეობა და კოორდინატები გადასცეს სანაპირო დაცვის ხომალდს. საქმის კურსში დროულად ჩააყენეს უკრა-

ინის სანაპირო დაცვის სამსახური. ერთობლივი მოქმედებით ღია ზღვაში მალე იპოვეს გატაცებული კატარღა, რომელიც დიდი სიჩქარით ქერჩის სრუტისკენ მიემართებოდა.

...სანაპირო დაცვის ხომალდიდან ბანდიტებს მოუწოდეს: გამოერთოთ ძრავა, იარაღი დაეყარათ და დანებებოდნენ. ისინი გამაფრთხილებელმა გასროლამაც ვერ შეაჩერა. მაშინ, ტყვიამფრქვევის ჯერით ძრავა გამოიყვანეს მწყობრიდან. ბანდიტები არ ნებდებოდნენ და სროლით აპირებდნენ გაღწევას. ან რას მოახერხებდნენ - მძიმედ დაიჭრილები გადაიყვანეს ანაპის საქალაქო კლინიკაში.

ბოგდანი საავადმყოფოში გარდაიცვალა...

ვაჟა და ვალერა, მძიმე ჭრილობების მიუხედავად, სრულად გამოჯანმრთელდნენ და წარსდგნენ სასამართლოს წინაშე. ძმებმა, ადვოკატის რჩევით, სასჯელის შემსუბუქების პერსპექტივის გათავისებით, გამოძიებასთან თანამშრომლობა არჩიეს. დანაშაული აღიარეს. დამსახურებული სასჯელიც მიიღეს - მაგადანის ოლქის ერთ-ერთი მკაცრი რეჟიმის კოლონიაში ოც-ოცი წლით „გაამწესეს"!..

ბათუმი
2014 წელი

ძმას, ჩემს შოთას!..

2019 წლის 3 ივლისს ჩვენი შოთა 60 წლის გახდებოდა!.. მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის ყოფილი კანცლერი, პროფესორი, ჩოხოსანი, ბიზნესმენი, პედაგოგი, რეგისტრირებულ კავშირ „მარეთის“ გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე, ქველმოქმედი, უბადლო და შეუპოვარი ძმა და მეგობარი!.. უბრალოდ, კაი კაცი!

მაღალმთიანი აჭარის თვალწარმტაც სოფელში (შუახევის რაიონი, სოფელი მახალაკიძეები) ისრაფილ ნურისძე მახარაძის და მერი სულეიმანის ასული მახარაძე-მანელიშვილის ოჯახში შვიდჯერ დაირწა მადლიანი, ტრადიციული ქართული აკვანი!.. ორი ქალიშვილი და ხუთი ვაჟი ვახარებდით შრომასა და გარჯაში ნაადრევად თმაშეჭაღარავებულ და დამაშვრალ მშობლებს...

მეგობრული, მზრუნველი და მშობლიური სითბოთი გაჟღენთილი ოჯახი გვქონდა და ასეთად დარჩება ჩვენს მეხსიერებაში!

ქალიშვილები - ნათელა და ეთერი, მალე დაოჯახდნენ და სულ ნორჩები ჩაებნენ ცხოვრების ფერხულში.

მშობლებს ხელის წამომშველებლებად და ნუგეშად ვაჟიშვილები შევრჩით. ხუთ ძმას, მოგვიანებით, გონიერი და მადლიერი სოფელი „შესანიშნავ ხუთეულს“ გვარქმევს!..

შოთა ბავშვობიდანვე გამორჩეული იყო - განსხვავებული ძმობა და თანადგომა იცოდა!..

მახსოვს, მეხუთეკლასდათავრებული ზაფხულში მთა სანალიაზე „გამამწესეს“ მემთეურის თანაშემწედ, „მორბედად“, როგორც ჩვენთან იტყვიან ხოლმე. მთაში დასასვენებლად ამოსული სხვა თანატოლებისაგან განსხვავებით უფრო მეტი საზრუნავი მქონდა, საყოფაცხოვრებო თუ სამეურნეო სამუშაოებს ვასრულებდი, რადგან ჩემი მემთეური, ჩემი უფროსი დის დედამთილი - ჰურიე ბიცოლა ხშირად შეუძლოდ იყო ასაკისა და შერყეული ჯანმრთელობის გამო. მას საქმეში ვშველოდი, რის გამოც თანატოლების ოინბაზობისა და თამაშ-გართობათა რიტმს ჩამოვრჩი, ხშირად ვერ ვახერხებდი „სამარილოს“ მინდორზე ფეხბურთის თამაშსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ მთის ანკარა მდინარეზე საგანგებოდ შეგუბებულ ტბაზე საცურაოდ სიარულს...

ჩემი „პასიურობა“ განსაკუთრებით არ მოსწონდა მეზობელსოფლელ მოზარდს, რომლის სახლი, ჩვენი იაილის მახლობლად იდგა. რატომღაც არ მოუვედი თვალში და მორჩა. ის ჩემზე ხუთი-ექვსი წლით უფროსი იყო, ჩემზე მაღალიც და ღონიერიც. გაცნობიდან რამდენიმე დღის შემდეგ, როცა გაიგო ჩემი მდგომარეობა, ამრეზით დამიწყო ყურება, ერთხელაც ჩემი „მორბედობა“ გოგონას საქმედ ჩამითვალა და კეფაში კიდეც მითავაზა. ამას ვინ შეირჩენდა ან შეჯამდა, მეც ხელი შევუბრუნე - მამა-პაპურად, რაც ძალი და ღონე მქონდა ყბაში ამოვარტყი. ერთი სიტყვით, ძალა აღმართს ხნავსო და ნაგვემი და დამცირებულ-შეურაცხყოფილი ძლივ მივლასლასდი სახლში. ჩემი გალახვა მემთეურების განხილვა-გარჩევის თემა გახდა. რა თქმა უნდა, დედამისიც დაამუნათეს და ისიც... მეზობლის ბიჭი, იმის ნაცვლად, რომ სათანადო დასკვნები გაეკეთებინა და ჩამომშორებოდა, პირიქით, უფრო გაბოროტდა და გადამეკიდა. გასაქანს არ მაძლევდა, ხელსაყრელ მომენტს ხელიდან არ უშვებდა, მემუქრებოდა ან დამამცირებელ-შეურაცმყოფელი ეპითეტებით მამკობდა.

აქეთ შურისძიების, იქით კი მასთან ფიზიკური უსუსურობის ბოღმა მახრჩობდა. პირველ სიბრაზე-გამწარებას რომ ვძლიე, გონება გამინათდა - მე ხომ მარტო არ ვარ, ობოლი, მიუსაფარი, უპატრონო, გამნაღლებელარმყოლი - უფროსი ძმები მყავს, ვაჟკაცი და მზრუნველი, უშიშარი ბიჭები. ერთი თანასოფლელი ბიჭის მეშვეობით, ისე რომ მშობლებს არ გაეგოთ, მივაწვდინე ხმა ბარში. და აი ამოვიდნენ ჩემი უფროსი ძმები, ლადო და შოთა. ერთი პირობა შემეშინდა, ვიფიქრე კიდეც, დამძრახვენ ან დამსჯიან, უსუსურობა რატომ გამოიჩინეო, მაგრამ პირიქით მოხდა - ჯერ შემაქეს და წამახალისეს, რომ ამხელა „ვირს“ თავი არ დავაჩაგვრინე და რაც შემეძლო ვუმკლავდებოდი; მომიწონეს, რომ არ ჩავიკეტე, ბოღმა და სიძულვილი გულში არ ჩავიკალი ვითომ მაგარბიჭობის გამო და დროზე შევატყობინე ძმებს. ესეც დიდი ვაჟკაცობააო, - ხუმრობით თავზე ხელი წამომარტყა ლადომ.

ერთი სიტყვით, ძმებს მოეწონათ, სიმხდალე და სილაჩრე რომ არ გამოვიჩინე, ძალიან გაბრაზდნენ, უდანაშაულოდ და დაუმსახურებლად რომ დავისაჯე, მით უმეტეს, ყოველდღიურ ზეწოლას და დევნას განვიცდიდი ვიღაც ვიგინდარას ხუშტურების გამო. მაგრამ რაღა მახარაძეები

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებოდნენ, თუ ბოროტებას დაუსჯელს დატოვებდნენ. ჩემი მაწყენარი და შეურაცმყოფელი საჯაროდ, სამაგალითოდ უნდა დასჯილიყო.

როგორც ზოგადად ახალგაზრდებს ჩვევითათ ხოლმე, ძმებმა საქმის გასარკვევად და გამოსაძიებლად დაკითხეს „მთის ბავშვები“ და ჩემი მაწყენარიც დაიბარეს. მან არათუ ბოდიში მოიხადა, აქეთ დაემუქრა ძმებს. ერთი სიტყვით, დიდი გარჩევა დაინიშნა.

ჩვენ ჩვენი, ის კი თავისი საახლობლოთი გამოვცხადდით მიყრუებულ ადგილზე, ისეც არ გვინდოდა, მემთეურების ჩასარევი და ვაი-ვიშის თუ წყევლა-კრულვის არენად გადაგვექცია ჩვენი ახირება.

საუბარი ვერ აეწყო. უტიფრად და გამომწვევად იქცეოდნენ, ყოჩობ-დნენ სისხლაჩქროლებული და ემოციამოზღვავებული მთიელი ბიჭები... ჩხუბი და თავისტეხა გარდაუვალი იყო. მაშინ, ჯერ კიდევ თხუტმეტი წლის ბიჭმა, შოთამ დიდი, გამოცდილი და ასეთ საქმეებში გამოჯაგული კაცის სადარი უნარი და გონებაგამჭრიახობა გამოიჩინა! - ორთაბრძო-ლა შესთავაზა მოწინააღმდეგე მხარეს. ეს ლოგიკური და სამართლია-ნიც იყო. დანარჩენ ბიჭებს ერთმანეთში არასდროს ქონიათ ჩხუბი და წყენა, ისინი მხოლოდ ერთის არაკაცური ქცევების გამო შეიკრიბნენ, საყოველთაო ჩხუბში ბევრი უდანაშაულო დაშავდებოდა, რაც შემდგო-მში ორი მეზობელი სოფლის ბიჭებს შორის მტრობისა და შურისგების კასკადს გამოიწვევდა. ორთაბრძოლაში დამნაშავე კი სათანადოდ და სამაგალითოდ დაისჯებოდა, ისიც იმ შემთხვევაში, თუ შოთა დაჯაბნის. შეთანხმდენენ. შოთა და მოწინააღმდეგე შეერკინებოდნენ ძველქართუ-ლი, რაინდული წესით.

ჩვენ კიდეც ვშიშობდით, მოწინააღმდეგე შოთაზე უფრო ზორბა და ღონიერი ჩანდა. სიმართლე გითხრათ, ორთაბრძოლა ყველაზე მეტად მე არ მინდოდა. ვერ დავუშვებდი, ჩემს მაგივრად ძმა გალახულიყო.

რა დამავიწყებს შოთას მიერ წინაპართა ღვთაებრივ შეგონებათა სარწმუნო და შეუვალი არგუმენტის მოშველიებას: „ძმა ძმისთვისო და შავი დღისთვისო“. მეორეც, ვერ დავუშვებ ის არ დაისაჯოს, ახლა რომ შერჩეს, ეს სენად მთელ მახარაძეებს მოგვედება, თურმე შესაძებელია მახარაძის მოდგმის კაცის უბატონოდ და დაუსჯელად აგდებაო, მესამეც, ორთაბრძოლა სამართლიანი გადაწყვეტილებაა, ერთი ან ორივე და-შავდება, ჯგუფურ ჩხუბზე სისულელე და უსამართლო არაფერია, შეი-ძლება დამნაშავე ლაჩარი და მშიშარა გამოდგეს, იმ ორომტრიალში გვერდზე გადგეს და სულ სხვა უდანაშაულო ადამინანები დაშავდნენ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაისაჯონ! ეს შეგონება ჩემთვის საბოლოო და უდიდესი რწმუნება იყო. ერთი სიტყვით მოწინააღმდეგე მართლაც ძლიერი აღმოჩნდა, მაგრამ იმდენადვე მშიშარა და არაკაცი, საბოლოო ჯამში შოთამ იმარჯვა და გავეშებულმა და გულმოსულმა სამაგალითოდ დასაჯა. როგორც ჩვენთან იტყვიან - ბიშივით გააბრტყელა! რა თქმა უნდა, ამის შემდეგ ყველაფერი დალაგდა. გალახული და შერცხვენილი მეზობელსოფლელი მოწინაღმდეგე კი წაბუნძულდა ბარში.

ეს წესი შემდეგშიც ასე იყო.

შოთა ყოველთვის გამოირჩეოდა ერთგულებით, ვაჟკაცობითა და გულადობით. უკვე დიდობაში, რამდენიმე შემთხვევა გვქონდა. შეიძლება საბედისწეროდაც დამთავრებულიყო ჩვენთვის, მაგრამ შოთას გულადობის, გონებაგამჭრიახობის, ხასიათის შეუდრეკელობის, გამბედაობის, თავგანწირვისა და საზრიანობის წყალობით ინცინდენტები თუ კონფლიქტები მშვიდობიანად მთავრდებოდა.

შოთა ნიჭიერებითა და სიბეჯიდითაც გამოირჩევოდა. ყველა საგანს თანაბრად ითვისებდა, ყველა მიმართულებით ძლიერი იყო. სიძნელეები ახალისებდა, ძალას მატებდა კიდეც. ასევე ნიშანდობლივია, რომ სამეცნიერო ასპარეზად მათემატიკური მიმართულება აირჩია.

წიგნები განსაკუთრებით უყვარდა. მისი ბიბლიოთეკა უნიკალურია წიგნების მრავალფეროვნებითა და რაოდენობითაც. ბიბლიოთეკას ცოდნის ტაძარს ეძახდა, ამიტომაც ჰქონდა სალოცავის დარად მოწყობილ-აღჭურვილი. პოეზიაც უყვარდა. თვითონაც წერდა ლექსებს...

ზოგადად ძმები ომახიანები ვართ. შოთასაც ლექსის კითხვა ხმამაღლა, გამოთქმით, გამომეტყველებით უყვარდა. უმცროსებსაც გვაქეზებდა და გვარიგებდა: ასე წაკითხული ლექსი სიკვდილამდე შენთან დარჩებაო.

ერთიც იყო, როცა ლადო ან შოთა გაკვეთილად მიცემულ ლექსს ხმამაღლა კითხულობდნენ, უმცროსები, ჩვენდაუნებურად, ვიმახსოვრებდით. ეს გარემოება განსაკუთრებით შოთას მოსწონდა. ეამაყებოდა, ნიჭიერი ძმები მეზრდებიანო.

მახსოვს, მესამე კლასში ვსწავლობდი. შოთა მეექვსე კლასელი იყო. ჩვეულებისამებრ, ერთხელაც შოთას საგაკვეთილო ლექსი „შემომესწავლა“. ზამთარი იყო, დიდთოვლიანი. სკოლა სახლიდან საკმაოდ შორს იყო. დიდთოვლობაზე მშობლები უმცროსებს, უსაფრთხოების მიზნით, უფროსების მეთვალყურეობის ქვეშ გვაგზავნიდნენ სკოლაში. ერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელაც დაწყებითების მასწავლებელი ავადმყოფობის გამო ვერ მოვიდა. სკოლის დირექტორმა გადაწყვიტა ჩვენი სახლებში გაშვება. დიდთოვლობის გამო სახლში მარტოდ ვერ წავიდოდი, მშობლების დარიგებას როგორ გადავიდოდი, თანაც თოვლში დიდების გაჭრილ, საცალფეხო ბილიკზე დამოუკიდებელი გადადგილება ფათერაკიანი იყო. დირექტორის გადაწყვეტილებით შოთას „თანაკლასელობა“ მომიწია. ოთახის ბოლოში, კუთხის თავისუფალი მერხი მომიჩინეს და დამარიგეს, წყნარად ვყოფილიყავი.

საუბედუროდ, ძველად ჩვეულებრივი მოვლენა იყო პედაგოგის მხრიდან ზარმაცი ან ონავარი, უდისციპლინო მოსწავლის ფიზიკური დასჯა. ჩემთვის ვზივარ ბოლო მერხზე, რაღაცას ვუკირკიტებ... ნაბრძანები მაქვს, ხმა არ ამოვიღო, წყნარად ვიჯდე და დაველოდო შოთას გაკვეთილების გამოსვლას.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მოსწავლეებისადმი ძალიან მომთხოვნი და მკაცრი იყო, თანაც ბავშვების ფიზიკურ დასჯასაც არ ერიდებოდა. შოთამ პირველმა ჩააბულბულა ლექსი. ჯერი „ქრონიკულ ოროსნებზე“ მიდგა. მეც კი გული მომიწურა მათმა ნაცოდვილარმა. მასწავლებელი ხან ერთს წაუთაქებდა, ხან მეორეს. ბავშვების სლუკუნი და პირმოკუმული მოთქმა გულს მითუთქავდა. შოთას ერთი თანაკლასელი გოგონა თვალში მომივიდა. მოხდენილი და ცქრიალა... ბოლოს მისი ჯერიც დადგა. ეტყობა, გაკვეთილი არც მან იცოდა. ზლაზვნით წამოდგა, ცისფერ თვალებს მიბნედილი მზერა არ უხდებოდა, მხრებჩამოყრილმა დანაშაულზე წასწრებულივით თავი ჩაქინდრა. არც შენ გისწავლია გაკვეთილი?! - წაისისისნა მასწავლებელმა და საბრალოს ნაწნავზე სწვდა. არ ვიცი, რა მომივიდა. ეტყობა, მისი დასჯა ყველაზე ნაკლებად მინდოდა. გული შემეკუმშა და დენნაკრავივით წავმოვარდი, - მასწავლებელო, ოღონდ ეს გოგონა არ გალახოთ და მის მაგივრად ლექსს მე მოგიყვებით, - მეთქი. მესამეკლასელი ძლივს ვჩანდი მოზარდებს შორის. მასწავლებელმა გაიკვირვა, - ეს ვინღა�აა. შოთა დინჯად წამოდგა და მოახსენა ჩემი ვინაობა და კლასში ყოფნის მიზეზი. მასწავლებელმა მოიწონა ჩემი სითამამე და, - მართლა იცი ლექსიო? შოთამ მზრუნველად გადმომხედა და თვალი ჩამიკრა. მისმა მადლიანმა ღიმილმა წამაქეზა და მეც ლაღად დავუდასტურე. გამიწვია დაფასთან. ლექსი უშეცდომოდ ჩავაბულბულე. წამოწითლებული და აღელვებული გავინაბე... მასწავლებლის და სხვა ბავშვების შექება ბუნდოვნად მახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოვს, მაგრამ რა დამავიწყებს შოთას გოროზ, ღირსეულ ყელმოღერებას, სიყვარულით აღსავსე ცრემლჩამდგარ ცისფერ თვალებს და ყირმიზად შეფაკლულ და ოდნავ მოცახცახე ღაწვებს. იმ დღეს ორივე ამაყი და ბედნიერები ვიყავით!

ამის შემდეგ რამდენჯერ მინახავს მისი გახარებული თვალთციმციმი და მისი, მეტწილად კი სხვისი წარუმატებლობით გამოწვეული, ფარული სევდა თუ კაეშანი.

ეეხ! როგორ მაკლიხარ და მენატრები, ჩემო შოთა, ჩემო ღირსეულო, ღვაწლმოსილო, ამაგდარო, შემოქმედო და ქველმოქმედო ვაჟკაცო!

მისი უეცარი გარდაცვალების ამბავი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. ტელეფონით შემატყობინეს... შეუძლოდააო! პირველი თავზარი და ზარისცემა იმდენად აუტანელი იყო, რამდენადაც ვერ წარმომედგინა ჯანღონითა და სიცოცხლით სავსე ძმის უეცარი გადასვლა ზეციურ საქართველოში! ახლაც განუყრელად თვალწინ მიდგას გაფითრებული სახე, ჩალურჯებული ტუჩები, ჩამქრალი ღია თვალები და სახეზე შეყინული ირონიული ღიმილი... ალბათ, რაღაცაზე უკმაყოფილომ ცხოვრებას უკანასკნელად დასცინა!

გონებაარეული, გაოგნებული და სულიერად განადგურებული დანარჩენ დედმამიშვილებში ვეძებდი ხსნას, იმედს, ნუგეშსა და მომავლის არსს, რომლებიც ჩემზე მეტადაც განადგურებულები, ლანდებად ქცეულნი ვედექით ჩემი შოთას კუბოს სასთუმალს... ნათლად ვგრძნობდით, მისი სპეტაკი სული დაობლებულ ოთხ ძმასა და ორ დას თავს დაგსვტრიალებდა, თითქოს ნათლად ვათავისებდით მის ნუგეშსა და გამძლეობისკენ მოწოდებას!..

შოთა ახალშენის სასაფლაოზე დედისა და მისი შვილიშვილის გვერდით მივაბარეთ მადლიან ქართულ მიწას. ვანდეთ ჩვენი საყვარელი და ღირსეული ადამიანები. ჩვენ კი ბევრი და მრავალმხვრივი მოგონებანი დაგვრჩა.

მოგონებანიო და გამახსენდა - მე და შოთა ბევრი რამით ვგავდით ერთმანეთს - ხასიათით, გარეგნობით კი განსაკუთრებით... კალიგრაფიაც კი თითქმის ერთნაირი გვქონდა.

გასვენებიდან დაბრუნელმა შემთხვევით სარკეში ჩავიხედე და უეცრად გონება გამინათდა - ჩემი შოთა სხვა მრავალ ქართულ ღირსებასთან ერთად მისი ლამაზი ულვაშებითაც იყო გამორჩეული! ასეც იქნება - შოთას მარადიული ხსოვნისა და ყოველწუთიერი მოგონებისთვის მის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადარი ულვაშები უნდა ვატარო!.. ახლა ასეცაა, ჩემი ანარეკლის თუნ-
დაც უნებლიე ხილვა, ზედა ტუჩზე ხელის მოსმა და, შოთა ჩემთანაა! მთე-
ლი სიცხადითა და სიყვარულით! სულ ასე იქნება, სანამ სხეულში სული
მიდგას!

ბათუმი
2019 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარეთელი ფოლკლორისტი

საზოგადოდ, სიტყვა ფოლკლორი (ხალხის სიბრძნე) - ინგლისელი სწავლულისა და ანტიკვარის ვილიამ ჯონ თომსის მიერაა მისადაგებულ-მიგნებული და დამკვიდრებული. მან 1846 წელს გამოაქვეყნა ხალხური ზეპირსიტყვიერების შესახებ წიგნი სათაურით „ფოლკლორი“.

ფოლკლორი - ის წესჩვეულებები, სარიტუალო თუ საყოფაცხოვრებო მოქმედებები, ზღაპრები, სიმღერები, ცეკვები, ზეპირი გადმოცემები, ხუმრობები და მითებია, რომლებიც ამა თუ იმ სოფლის, თემის, მხარის თუ ქვეყნის მცხოვრებთა შორის არის დამკვიდრებული და თაობებს გადაეცემა ზეპირი წყაროების მეშვეობით.

ქართული, მათ შორის აჭარული ფოლკლორი, მრავალი ათეული საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა, იხვეწებოდა და ყალიბდებოდა. ის მრავალმხვრივი, მდიდარი და მრავალფეროვანია. განსაკუთრებულია მუსიკალური ფოლკლორი, მითოლოგია, სარიტუალო ცეკვები, სიმღერები, ხალხური რეწვა...

ქართული ფოლკლორი ყოველთვის მიზიდავდა... ტრადიციულ ქართულ ოჯახში, სრულიად ქართულ გარემოში გაზრდილს, ალბათ, ჯერ კიდევ აკვნიდან, მრავალგზის აღფრთოვანებამდე მივუყვანივარ დედის ტკბილ იავნანას, მამაჩემის კაფიებსა და შაირებით წაღიღინება-წანამღერს, მამიდაჩემის მონათხობ ქართულ ზღაპრებსა და მითებს... ჩვენ ხომ ქართული ეპოსისა და მითოლოგიის გმირთა და გოლიათთა საგმირო და მამულიშვილურ თავდადებათა მაგალითებით და ჰეროიკით ვიზრდებოდით და ვვაჟკაცდებოდით. მაგონდება და გულს მითბობს საოჯახო თუ სასოფლო ზეიმებზე ნათქვამი სუფრული, მრავალჟამიერი, აჭარული ფოლკლორის ნიმუშები - დაუვიწყარი კაფიები და შაირსიტყვანნი... მეხსიერებიდან რა ამოშლის სახალხო დღესასწაულებზე და მათ შორის „შუამთობაზე“ თვითშემოქმედებით და თვითმყოფად სასკეტჩო ნომრებს, ხალხურ ცეკვებსა თუ გამიჯნურებული ქალ-ვაჟის გაშაირება-განდობას... ხალხური სიმღერებისა და ცეკვების, ქართული ზეპირსიტყვიერების ფესტივალ-საღამოებს!..

ამ მხვრივაც აჭარის მთიანეთი განსაკუთრებულია. საქვეყნოდ ცნობილია აჭარული ცეკვები, სიმღერები, შაირები თუ კაფიები, მათი განსაკუთრებული ხიბლი, განუმეორებელი სიტკბო და მადლი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვურ მეხსიერებას შემორჩა ჩვენებური, სულის სიღრმეებში მწვდომი, ხალხური შემოქმესების არაერთი ნიმუში და მათი არაერთი ლეგენდად ქცეულ შემოქმედთა თუ შემსრულებელთა მონუმენტური სახება.

მერე?.. მერე, ბედისწერამ თუ არსთაგამრიგემ ასე ინება, სულ ბავშვი მოვშორდი მშობლიურ გარემოს და მხედრული ცხოვრების თანაზიარი და დიდი ხნით მისი ორგანული შემადგენელი გავხდი. ეჰ! რამდენჯერ წარმოსახვა-ზმანებებსა თუ სიზმრებში მინავარდია მშობელი ქვეყნისა და კუთხის მთა-ბარში, მიჭყუმპალავია ძმებთან და თანატოლებთან ერთად მშობლიური ჩირუხისწყლისა თუ სანალიისწყლის ანკარაწყაროსავეთ ცივ და გიჟმაჟ მორევებში, საამოდ ჩამღვრია გულის-გულში მშობლიური სიმღერები თუ საცეკვავო ჰანგები... წარმოსახვაში თუ ზმანებებში თვალწინ კინოფირივით გარბენილა დღენიადაგ სანატრელი მშობლიური სახეები თუ პეიზაჟები... რამდენჯერ აღმომიჩენია, დილაობით, სპეტაკი ცრემლით დანამული სამხედრო ყაიდის ბალიში...

ბედმა და მხედრული ვალის პასუხისმგებლიანმა გათავისებამ სად არ მატარა... ჩემი მონატრება და ნოსტალგია შვილებსაც გადაედოთ, ისინიც ჩემსავით „დაავადნენ“!.. ბოლოს, როგორც იქნა, მშობლიურ მხარეს, მშობლიურ გარემოს დავუბრუნდით!.. ჩემში ახალი ძალით, ნოსტალგიითა და დანატრებით შეზავებულმა და გაჟღენთილმა, იფეთქა მშობლიური ფოლკლორისადმი სიყვარულმა და ლტოლვამ!..

ერთხელ, წელს ნამდვილად ვერ გავიხსენებ, უფროს ძმებთან ერთად მშობლიურ შუახევში მიწვეული ვიყავით სახალხო დღესასწაულზე. წინ ფოლკლორული საღამო გველოდა.

სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ჩვენი რეგიონის მუნიციპალიტეტების, ხეობების, თემების თუ ცალკეული სოფლების ფოლკლორული კოლექტივები და ანსამბლები... და აი, წამყვანი აცხადებს - თქვენს წინაშე წარსდგება ფოლკლორული ანსამბლი „მარეთი“!.. ტანში საამო ჟრუანტელმა დამიარა. გავიტრუნე. ეს ხომ ჩემი მშობლირი მარეთია. სულ მონატრებული და საარაკოდ ლამაზი, განუმეორებელი ბუნებითა და მშობლიური, ფუტკარივით გამრჯე და კაცთმოყვარე, სტუმართმოყვარე ხალხით, რომელთა უმეტესობა ჩემი ნათესავი, მოყვარე, ამხანაგი და ახლობელია!..

განცვიფრებასა და აღტაცებას ვერ ვმალავდი, როცა ფართო აუდიტორიის წინაშე წარსდგა ბატონი ტარიელ მაკარაძე, მისი საოცარი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთხებული რომანტიზმითა და ჰეროიკული ხიბლით განსხვავებული სატრფიალო - „ჰიდაი ნანო“!..

ბატონ ტარიელს ბავშვობიდანვე ვიცნობდი. ერთი თემიდან ვართ. ვიცნობდი, როგორც ღვაწლმოსილ პედაგოგსა და ადმინისტრაციული თანამდებობის პირს - ის წლების განმავლობაში შუახევის მუნიციპალიტეტის ოლადაურის თემის რწმუნებული იყო. ბევრი რამ მსმენოდა მასზე, როგორც პროფესიონალ პედაგოგსა და საქმიან, მზრუნველ და სამართლიან რწმუნებულზე, მაგრამ როგორც ფოლკლორისტზე - არაფერი.

მოვიხიბლეთ ბატონი ტარიელის ოდნავ ხრინწიანი, მაგრამ სულის კუნჭულებამდე ჩამწვდომი საამო და ომახიანი ხმიანობით, აჭარულ ჩაქურაში გამოწყობილი, ნარნარი ტორტმანითა და აჭარული ცეკვის არქაული ილეთების უბადლო, ლამაზი და სადა შესრულებით. გულიც კი დამწყდა, რამეთუ ჩემთვის დასანანად და მიუტევებლად, ბატონ ტარიელს, როგორც ფოლკლორისტსა და ძველქართულ-აჭარული სახალხო ნიმუშების და მისეული შედევრის - „ჰიდაი ნანოს“ აღიარებულ შემსრულებელს, აქამდე ვერ ვიცნობდი.

გამოხდა ხანი... თანახეობელებმა რთული და საპატიო მისია მანდეს - ამირჩიეს რეგისტრირებულ კავშირ „მარეთის“ გამგეობის თავმჯდომარედ. ეს 2013 წლის მაისში იყო. განახლებულმა გუნდმა გადავწყვიტეთ საზოგადოების საქმიანობისთვის ახალი მუხტი შეგვეძინა. საქმე ის იყო, რომ 2005 წლის 6 მაისს დაფუძვნებული და იმ ხნიდან შემოღებული სახალხო დღესასწაული „მარეთობა“ ახალ მიდგომასა და განსხვავებულ იმიჯს მოითხოვდა, მით უმეტეს, ბოლო სამი წელი, რიგი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, ხეობაში სახალხო დღესასწაული და სხვა აქტიური ღონისძიებები აღარ ჩატარებულა.

შუახევის მუნიციპალიტეტის ახლადარჩეულ გამგებელთან - ბატონ ტარიელ ებრალიძესთან, რომელიც იმავდროულად საზოგადოების გამგეობის წევრი იყო, გამგეობის განახლებულ გუნდთან ერთად გადავწყვიტეთ სახალხო დღესასწაულისთვის ახალი ელემენტები შეგვეძინა. შეიცვალა სახალხო დღესასწაულის ჩატარების თარიღიც - ჩავატარებდით ყოველი წლის 20 სექტემბერს. ადრე სახალხო დღესასწაულზე ხდებოდა მხოლოდ ღირსეულ მარეთელთა წარმოჩენა და „საპატიო მარეთელის“ მინიჭება. ამჟამად წარმოჩენილთა და პატივმისაგებთა ნუსხა და გეოგრაფია ფრიად გაიზარდა. ის ხეობის მოსახლეობის ცხოვრება-მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროს შეეხო. სახელდობრ:

ხეობის მოძღვარი;
ხეობის შემოქმედი;
ხეობის მანდილი;
ხეობის მემატიანე;
ხეობის ოქროს კალამი;
ხეობის საუკეთესო პედაგოგი;
ხეობის კოლორიტი;
ხეობის სცენის რაინდი;
ხეობის „კაი ყმა“;
ხეობის 2014 წლის ფალავანი ქართულ ჭიდაობაში;
ხეობელი „ერის ზვარაკი“;
ხეობის მგოსანი ;
ხეობის ტკივილი...

ჯერი მიდგა „ხეობის სცენის რაინდის“ ნომინაციაში კანდიდატთა შერჩევა-წარდგენაზე. პირველად ხეობის ისტორიაში ვინ იქნება ამ საპატიო წოდების მატარებელი?!. სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას: ჩვენი ხეობა, ისევე როგორც მთლიანად აჭარა და სრულიად საქართველო ფოლკლორისტებით ნამდვილად განებივრებულია... თითქმის ყველა აჭარელი, როგორც ზოგადად ყველა ქართველი შესანიშნავი თამადა, მომღერალი, მოცეკვავე თუ ხელოვნების სხვადასხვა დარგისა თუ მიმართულების მიმდევარ-მატარებელია. მეხსიერებასა და გულისყურს ჩავუკირკიტე. ბატონი ტარიელ მაკარაძის „ჰიდაი ნანო“ აჟღერდა სულისსულში!.. დამსწრეთ გავაცან ჩემი მოსაზრება და „ჩემეულ“ კანდიდატს ერთსულოვანი მხარდაჭერაც ერგო.

შეთანხმებისამებრ, სახალხო დღესასწაული 2014 წლის 20 სექტემბერს გაიმართა. უამინდობის გამო, საზეიმო ნაწილი და ბანკეტი ოლადაურის საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში გაიმართა. პარალელურად, სკოლის სპორტულ დარბაზში ქართულ ჭიდაობაში პაექრობდნენ ხეობის ახალგაზრდები. მათ ხომ ხეობის წლის ფალავნის წოდება და საპატიო პრიზი - ერკემალი ელოდათ.

შეთქმულივით, ბატონი ტარიელისა და ფართო საზოგადოების წინაშე საპატიო წოდების - „ხეობის სცენის რაინდის“ ნომინანტის წარდგენა და დაჯილდოვება წილად მე მერგო. ერთიც მინდა გითხრათ - ნომინანტები წინასწარ არ გაგვიფრთხილებია, სხვადასხვა წოდების მინიჭება როგორც მათთვის, ისე საზოგადოებისთვის სიუპრიზი უნდა ყოფილიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესავალი სიტყვისა და მილოცვის შემდეგ საგრძნობად აღელვებულმა და სუნთქვაშეკრულმა საზოგადოებას წარვუდგინე „მარეთის სცენის რაინდი“- ღვაწლმოსილი და წარმატებული ფოლკლორისტი ტარიელ მაკარაძე!

რა დამავიწყებს ბატონი ტარიელის სიხარულის თვალციმციმს, შეფაკლულ ღაწვებს, ათრთოლებულ ტუჩებს და დამსწრეთა მოწონებისა და მადლიერების ოვაციებს... საპატიო სიგელი და ფასიანი საჩუქარი ათრთოლებული ხელით ჩამომართვა და მამა-შვილური სიყვარულითა და ალერსით მეამბორა!..

შემდეგ?!. შემდეგ, საზოგადოების თხოვნით ტარიელისეული შედევრი - „ჰიდაი ნანო“ იყო!.. მისამღერს ერთად ვმღეროდით, ფეხზე წამომდგარნი, სიხარულით აცეტებულნი და ჩვენი ქართველობისა და აჭარლობის უპირატესობისა და მადლიანობის სრული გათავისებითა და შეგნებით!..

საღამოს და, საერთოდ, იმ დღეს რა დამავიწყებს?!. მშობლიურმა ჰანგებმა და ტარიელისეულმა მადლიანმა ხმიანობამ დარბაზს მომაჯადოებლად დაუარა, ააღელვა და ააცეტა!.. ყველასი გულისყური და გრძნობა-გონება დაიპყრო. შედარებით გულჩვილებმა და სენტიმენტალებმა სიხარულისა და სიამაყის კურცხალიც კი არ დამალეს!..

სადღესასწაულო მაგიდასთან, სხვა გამორჩეულთა გვერდით, ხომ სულ ბრწყინავდა ბატონი ტარიელი! იქაც რამდენიმე სიმღერა შეასრულა და მისეული მადლიანი ჩახვეულიც იცეკვა!

ამის შემდეგ კიდევ ბევრჯერ მარგუნა ბედმა, დამტკბარი და მოჯადოვებული ვყოფილიყავი ჩვენი ხეობის ღირსეული ფოლკლორისტის - ბატონ ტარიელ მაკარაძის შემოქმედების მარგალიტებით... ის ნამდვილი „სცენის რაინდი“ იყო!.. მიხარია, რომ ბატონი ტარიელის მიმართ ამ წოდებისა დ ფაქტის კონსტატაციაში მეც მიმიძღვის მოკრძალებული წვლილი!..

... მეხის გავარდნის დარი იყო ბატონი ტარიელის ზეციურ საქართველოში გადაბარგება-გარდასხვის ცნობა...

უფალო, მიიღე ჩვენი ვედრება! ზეციურ საქართველოში, ცათა სასუფეველში, დაავანე ბატონი ტარიელის ამაგდარი, მადლიანი და სპეტაკი სული! ამინ!

შუახევი
2020 წელი

ლექსად თქმული...

პატივცემულო მკითხველო, რიდით და კრძალვით მინდა მოგეფერო და გულწრფელად, თან ვაღიარო, თან გაგაფრთხილო - მე პოეტი არ ვარ... არც არასოდეს მქონია ამის პრეტენზია. მე მწერალი ვარ, ამასაც რიდით ვაღიარებ!..

თქვენს სამსჯავროზე გამოტანილი ლექსები ჩემი ცხოვრების გზაზე მიმობნეული ყვავილებია: ხან მიხაკის თაიგული, ხანაც მისიააღსრულებული და ვალმოხდილი, ამაგდარი, დამჭკნარი ვარდები... ხანაც ასკილის ყვავილ-ნაყოფია, სასარგებლოც და ეკლიანიც... უფრო ხშირად მინდვრის უსუნო ყვავილები, ხან მორცხვი გვირილები ან სულაც სიოს მოლოდინში მთრთოლვარე ბაბუაწვერები, რომ დედაყვავილედს მოსწყდნენ და ფიანდაზად გადაებნიონ მშობლიურ მთა-ველს, მშობლიურ არე-მარეს მიმოეფანტონ აისის ცვარის დარად!..

ეს ლექსები სხვადასხვა დროს, სხვადასხვა განცდებს და ნაფიქრალს ასახავს. იღბლიანი მიჯნურიც ვიყავი... უიღბლოდ შეყვარებულიც და შეყვარებული ქალიშვილის დაკარგვით გათანგულიც და გამწარებულიც... ხშირად განმიცდია სამშობლოს მოამაგე-მოსიყვარულის ნოსტალგია და დანატრება, როცა დილაობით, ნასიზმრალი ცრემლით დანამული ჯარისკაცის (კურსანტის) ბალიში ამიხუტებია გულის ფიცარზე... სარფის გამტარ პუნქტზეც მიგლოვია და სიმწრით გულზე მჯიღიც მიკრავს ჩვენი გაუბედურებელი „ტრეფიკალი“ ქალების თუ ნარკომანიის ან კრიმინალის გზაზე შემდგარი მამაკაცების შემხედვარე... უსუსურობისა და უილაჯობის გრძნობაც დამუფლებია და სიამაყისაც... ერთი სიტყვით, ჩემი განცდებისა და გულნაოხის მთელი გამაა აქ!..

მეტყვი და მართალიც იქნები - ეს ხომ პირადულია, ინტიმური... მაგრამ მაინც გავბედე და წარმოგიდგინე იმის იმედით, რომ შენ შემწყნარებელი და გამგებიანი ხარ... ისიც ვიანგარიშე, ჩემმა განცდილ-ნაფიქრალმა, ეგების, ვინმეს მიარგოს ან ცოტა მაინც დააფიქროს–მეთქი... მისი გულიც მოიფონოს... სასტიკად ნუ მომექცევი. კრიტიკის ქარცეცხლშიც ნუ გამატარებ. მე თავიდანვე გთხოვე შენდობაც, თანაზიარობაც და თანაგრძნობაც!.. მაშ ასე -

ყოფნა... არყოფნა?!.

დიან დღეები, ღამეებიც დნებიან უმალ,
მწუხრის ზეწარი ყოველივეს გადაჰფენია...
ყოფნა... არყოფნა ?!! ვამჯობინე მე ისევ ყოფნა
და თუ მე მკითხავ - ასე ყოფნაც არაფერია!

ვყოფილვარ მარტო, თვალშეუხებ ღამეშიც ობლად,
თავს შავი თალხი სიკვდილივით გადამფენია...
ყოფნა, არყოფნა? ხვეწნით მითქვამს ჩემი თავისთვის,
ეგების, ყოფნაც ღმერთი, რჯული, არაფერია...

სიკვდილი წუთში... ნუ ჩამითვლი, შენ ამას ჯობნად,
სასუფევლისკენ გზაც თოვლივით გადამფენია...
ყოფნა... არყოფნა? ვამჯობინე მე ისევ ყოფნა,
ამ საგიჟეთში მარტო ყოფნაც არაფერია!..

სანდოა ქალი?

მე გამიწვდია განსაცდელში ქალისთვის ხელი...
ყოფილა, ჩემთვის ორი ხელი გამოუწვდიათ.
ველოდი გუშინ, დღესაც, ხვალაც განსაცდელს ველი...
ქალი ის არის, ვისაც ჭირი გამოუცდია.

უბრალო არის და მარტივი ეს სიბრძნეც ძველი,
მარტივი არის და უბრალო, მაგრამ ზუსტია,
სანდოა ქალი - ჭირნახული და თანაც წრფელი,
ხოლო ერთთავად ლხინში მყოფი ქალი სუსტია.

ვეჩვევი ხალხში... ვერიდები იმ მაცდურ კიბეს,
სადაც ფერებით შეჰღიმიან ერთმანეთს ტკბილად.
განსაკუთრებით დალხინებულს ვერ ვიტან ქალებს
და გაცნობამდე: - ვკითხულობ ფრთხილად :

- ხომ არ ყოფილა ეს ქალი ჩვენში,
ხომ არ გდებულა იმ „ტიალ ტყეში“,
ხომ არ ჰქონია მას ვინმეს ჯინი.
ხომ არ ყოფილა? და თუ იყო...
ის რისთვის იყო
მსჯავრდადებული?!!

(„ტრეფიკალი“ ქალის ნაამბობიდან)

მ ა მ ა ს

მე შენს ჭაღარას ვენაცვალე,
მამავ, ძვირფასო ჩემო!
მე მოგიყვანე თავზე ზამთარი,
მე, უბედურმა გოგომ...

მიყვარხარ, ჩემო მამიკო...
ამაგს ვერ გიხდი, რა ვქნა?
იქნებ ცხოვრებაც დადგეს და...
მე გაგიმართლებ, ალბათ...

სულგანაბული მოვუსმენ
შენს დარიგებებს, რჩევებს,
აღარ ვიქნები უვიცი,
გადავუდგები ჩვევებს...

ჩემო მამიკო, იცოცხლე,
იყავ დღე-გრძელი მარად,
მეც რომ შემეძლოს, სიცოცხლეს
შენთვის დავთმობდი, ახლავ...

(„ტრეფიკალი“ ქალის აღსარებიდან)

დედა-შვილობა

დედა მოგიკვდეს, შვილო...
სახელუღირსი დედის...
დავეხეტები ქუჩაში -
მე მოტირალი ბედის...

ვიცი, ყოველთვის თან გაქვს,
ბებოს სითბოც და ფულიც,-
დედის ალერსი გაკლია,
და მოფერება გულით...

სულ ყველა მოგეფერება,
მას თან ეხლება სევდა...
დედას ვერავინ შეგიცვლის,
დაადასტურებს ყველა...

იხარე, ჩემო ბიჭუნავ!
გფარავს მაღალი ღმერთი,
წმინდა ნინო და მარიამ
ყოველთვის გედგას გვერდით...

(„ტრეფიკალი“ ქალის გოდება)

ლექსით ცდუნება

შენ, მშვენიერო, ჩემი ლექსი არ წაიკითხო,
და საძრახი, ჩემი ამბავი არსად
იკითხო...
ყველაფერს ამას გირჩევნია რომ
დარგო ვარდი,
თორემ დაგტანჯავს ჩემზე ფიქრი
და ჩემზე დარდი.
მე კარგად ვიცნობ ახალგაზრდა
კაცის ბუნებას...
შენ ვერ გაუძლებ ჩემი ლექსის
ძლიერ ცდუნებას!
ვინც ფულისათვის ცოლს მოიყვანს
ან გათხოვდება -
ეს თქვენც ირწმუნეთ, რომ იმ დღიდან
ის მათხოვრდება.
შენ მშვენიერო, ტანჯვა უკვე
ალბათ გამიგე,
შენივე ქცევით ტანჯვის კოშკი
უკვე ამიგე...
შენ ჩემს მაგივრად,
სხვას მიენდე,
მე მიმატოვე
და მომისაჯე ფიქრი, ტანჯვა
და სიმარტოვე.
შენთან, რომ მოვა
დიდი გრძნობა სიყვარულისა,
შენთვის იქნება -
ის, მომტანი სიხარულისა!
მუდამ ატარე სიცოცხლესთან
შეხამებული,
არ მიატოვო, არ მიატოვო
შეყვარებული...

***

შენი სიტყვები
მე უზადოდ
ეხლაც გულში მაქვს.
იქნებ, შენ ფიქრობ,
ჩემს ცხოვრებას
არა აქვს ფასი.
მე უფასობას
არასდროს
ვიგრძნობ,
კიდეც რომ მითხრა -
არა ხარო
სიცოცხლის ღირსი.
მე სიცოცხლეზე, ცხოვრებაზე
ყოველთვის ვიტყვი,
რაც სათქმელია,
ვერ დამიშლის
თვით ხატიც, ფიციც...
იქნებ ცხოვრებას
დაუშავე
შენ თვითონ რამე.
შენც ადექი და
ამ ცხოვრებაზე
პასუხი აგე.
პასუხი აგე -
შენი თავის, შენი თავისთვის.
პასუხი აგე
თუნდაც შენი
სიყვარულისთვის.
პასუხი აგე
თუნდაც ერთი
ქალის გულისთვის.
პასუხი აგე
დაკარგული
სიყვარულისთვის...

***

წერონ, იჩქარონ -
ნაყონ წყალი,
ანთხიონ ღელედ...
ნუ აჩქარდები - იცხოვრე
და ცხოვრება წერე...
მიყვარდა ქალი...
იმედებმა დამტოვეს მშრალზე,
მე ვწერ ღალატზე,
სიძულვილზე,
საყვარელ ქალზე...
იქ, მზიანეთში,
ეხლაც, თუნდაც იყვირონ ხოროდ...
მე, რაც მეწყინოს,
რაც მეტკინოს,
იმას ვწერ მხოლოდ!
ბრბოს არ ავყვები,
კუდშიც არ ვსდევ - დიდებას დიადს!
ამ ცრუპენტელას,
კოხტაპრუწას და სიძვის დიაცს!
... ყრუ კედლებს იქით
შეფარული, ვითარც საკანში,
გისოს-ფანჯრიდან
სევდიანი გავცქერი წყვდიადს...
მე ჩემთვის ვწერდი,
მეც ვმოძღვრავდი,
ბრძნული არაკით...
ჩემს გულს მივყევი,
საქმეს ვაკეთებ გულის კარნახით...
წერონ, იჩქარონ,
აბა, რაღას დასთვლიან მერე...
არსად იჩქაროთ,
იცხოვრეთ და ცხოვრება წერეთ!

თბილისი,
მარტი 1980 წელი

ბედის ბორბალი

ბედის ბორბალმა სად არ მატარა,
სად არ ვიწვნიე ბედის სიმწარე,
ჩვიდმეტი წლისა ვაჟი ვარ მხოლოდ,
ჩვიდმეტ საათსაც ვერ გავიხარე...

ვერვის ვენდობი,
მე ყველა მღალატობს,
ზურგს უკან, ყველა სამარეს მითხრის,
პირისპირ მეგობრობას კი ყველა ღაღადობს...

მხოლოდ ქაღალდი შემომრჩა მეგობრად,
მე ყველა საიდუმლოს
მხოლოდ მას გავანდობ...
მაგრამ, თუ ხელში სხვას ჩაუარდა,
მღალატობს, მღალატობს,
ო, ისიც მღალატობს!

მხოლოდ გულს ვენდობი,
გული ხომ ჩემია!
კიდეც რომ ამოჭრან
არაფერს იტყვის
და ჩემს საიდუმლოს
სამარეს წაიღებს...

თბილისი
აპრილი 1979 წელი

* * *

ამაო ფუსფუსს,
ფუჭ ლაყბობას, ყალბ ხმაურობას!
მართალს თუ მტყუანს,
ათასნაირ ხმათა ვედრებას, -
უნდა მოვცილდე,
მანდაურობას...
მსგავსი რამ, ხო, არაფერი,
ჩემი ხელით, არ კეთდებოდა!
როგორც ხალხთა
თავშესაფარ შენობას რასმე,
ხალხის ბორდელად...
რამეს, ანუ სამადლოდ იტყვის...
პურის ფულს, ვითომ
აგროვებენ, ბოზური სულით...

* * *

... მე ჩემთვის წავალ
ყრუ ხეობაში,
და ავიშენებ პატარა ქვიტკირს...
ოჰ! მართალი ვარ,
მართალი ვარ -
კაცთან და ღმერთთან!
შენც ხომ წამოხვალ,
ხომ წამოხვალ,
ძვირფასო, ჩემთან ?

ოქტომბერი, 1997 წელი

კარგია, როცა უცხო ხარ...

კარგია, როცა
უცხო ხარ და
არავინ გიცნობს...
ხმას არ იღებ და
უნებლიედ გიცქერენ კრძალვით...
ისვენებ შენთვის,
მოკლებული მეგობარს, თვისტომს,
თავს არ იწუხებ
ნამეტანი სალმით და ქალმით...

***

ჩემად მიმაჩნდა შენი იარა,
არ დავრჩენილვარ მე სხვის ამარა...
ცხოვრებამ ფუჭად მე ჩამიარა,
ოცნებამ შეჰკრა ჩემი კამარა!

ეჰ, მართალია, ჩემი გონება
გულისგულისად ვერ აჰყვა წადილს,
მაგრამ სიძულვილს არ ვემონები,
გულით ვუმღერი სიყვარულს ნამდვილს...

და თუ ხორცს სული გამოეყო
და ცხოვრებამაც მაქცია მხარი...
ბევრს არ ვხარბდები, ცოტაც მეყოფა -
ჭიქა ღვინო და შესანდობარი...

ივლისი 1979 წელი

***

დღისით ბობოქრობდა
ქარი ქარბორბალა,
თოვლსაც იტაცებდა,-
მაყრიდა თავზე...
საღამოს იყუჩა,
ჩანს, გადაიღალა,
თითქოს მთვარეც ჩანდა
თოვლიან ცაზე...
მერე ფარდულებში
თითქოსდა გაყინეს,-
ვერც კი გაიგეს,
რაც ხდება ცაზე...
ვისი გულისთვის
ატყდა ეს ამბავი,
ვინ იყინებოდა?
ვინ იწვა გზაზე!
დილა გათენდა
და გათბა ფარდული...
ისევ დაგიბრუნდე? - რაზე?!
შენი სიყვარულით
სხეულიც გამეყინა,
გავხდი უსასრულო ღამე...
მაინც გელოდები,
შენ კი აღარ ჩანხარ,
რა გემართება, რა გჭირს?
იქნება, რამე მოხდა,
იქნებ, არაფერი...
მოდი! გელოდები, მალე...

ივნისი, 1979 წელი

***

როგორ მომენატრე,
როგორ მენატრები!
ლამის გავგიჟდე და როგორ!..
მე შენს სიყვარულით
შენი მოლოდინით,
ღამე არ მძინავს და ვლოთობ...
სულაც არ მიყვარდა
მე ეს დასალევი,
ეხლა შემიყვარდა - რატომ?
სუფთა გიჟი ხარ და -
ჩემი ოცნება ხარ...
თუ გინდ გაიცინე, ოღონდ...
უკვე ვეღარ მცნობენ,
ყველა მეკითხება:
არიქა! ეს შენ ხარ?- როგორ?
თუკი სიყვარულის
რამე გაგაჩნია,
ერთხელ დამენახე მხოლოდ...
მაგრამ გული გასკდა,
ვეღარ ვიმორჩილებ
შენზე ფიქრების ხოროს...
შენი სახელი და შენი გაგონება,
მე მთლად მირჩევნია
ორ ბოთლს...

ქ. ალმა-ატა
ოქტომბერი, 1980 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

***

განა ყველა კაცი - კაცია,
ანდა ქალი - ქალია,
ვისაც ქუდი ახურავს და
ვისაც კაბა აცვია...

კაცი სმაში გამოსცადე,
ქალი - ქმარის ღალატში,
თუ მოუნდა, წამსვე გაგცვლის
ერთი ჩითის კაბაშიც...

გინდა ბანკი გატეხე და
გინდ აიღე ვალია -
ქალი მაინც გიღალატებს,
ქალი მაინც ქალია.

გაიკვირეთ? მექალთანე...
ქალებს უნდა ვიცავდე,
მაგრამ რა ვქნა, სიმართლე მწამს,
ვერ დავიცავ იმათ მე...

დეკემბერი, 1994 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონატრება

ჩამოასხი შენ, თამადავ, ძველო,
მსურს, შენთან ერთად გავცალო ყანწი,
მინდა, შევიგრძნო ღვინის სიამე,
მსურს, ვიყო მთვრალი აწი...

მინდა, ვიყო მე მგოსანი, გესმის!
რომ ვუმღერო მამულ-დედულს დიადს!
მსურს, დავლოცო და ვადიდო იგი,
გადვუშალო ჩემი გული ფრიად.

მსურს, წუთიერ მაინც ვიყო თქვენთან,
ფიზიკურად, ფიქრებით კი, მუდამ...
მსურს, ვიფიქრო, ვიოცნებო თქვენზე...
მე ასე მსურს, გულსაც ასე უნდა.

თქვენთან ვიყო, თქვენს რიგებში მუდამ,
ჩემო ხალხო, ავდარშიც და დარშიც,
მსურს, თქვენს გვერდით ვპოვო ჩემი თავი,
ბავშვობაშიც, ასაკშიც და ხანშიც...

ერთი გზა გვაქვს, ერთი გრძნობაც გვქონდეს,
საქართველო გვიყვარდეს და მჯერა,
უკვდავება დაივანებს ჩვენთან,
ეს იქნება ბედიცა და წერაც...

ქ. ალმა-ატა
აპრილი, 1981 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ მენატრები...

წინ-წინ მიიწევს ნარნარი რხევით
ესე ოცნების ხომალდი ჩემი...
ფიქრთა მორევი, უძირო და ღრმა,
განცდის, ოცნების, იმედის გემი.

არ იცის იმან რა არის დაღლა,
გასაჭირი და სევდა არ იცის,
მიწიერია მისი ქმედება,
ზეციურია მიზანი მისი...

გასწი, ეჰ! ჩემო გემო უდგარო,
გააპე წყალი, დალიე ზღვები...
გადაიარე ცხრა მთა და იქით -
მოინახულე იქ ჩემი ძმები!

... იმოგზაურე საქართველოში,
იქ ჩემს საყვარელ გმირთა მამულში,
მომიკითხე იქ ქართველი ერი,
დაე, მეც ჩამსვი იმ თაიგულში!

გაისეირნე შენ ჩემს მაგივრად,
ჩემს აჭარაში-გმირთა კერაზე,
არ დაგავიწყდეს თბილისი ჩემი,
იქ, დაისვენე ფიქრთა ტერასზე...

ბათუმს უთხარი ჩემი მოკითხვა,
არ დაგავიწყდეს ბულვარში გასვლა,
მისი სიტურფე, ნაზი-ნარნარი
მალამოა და გულ-სულს სცხებს სალბად.

...ზევითაც ადი, მამულ-დედულში,
შუახევში და ხულოში... იქით,
მოინახულე დედ-მამა ჩემი,
და-ძმები ნახე ჩემეულ რიხით.

ჩემი სოფელი არ დაგავიწყდეს,
ღამე ათიე ჩემს ნასერვალში,
იქ გავატარე ბავშვობა ჩემი,
მუდამ ვიქნები მშობლიურ ვალში.

გადაიხედე კოსოლიაზე,
ადი ზემოთაც, თამარის კოშკში…
ის არის ჩემი ბავშვობის რწმენა,
სიყვარულის და მომავლის ოშკი...

დამიკოცნე მე ყვავილი და ქვა,
ბუჩქებიც და ხეც, დიდიც, პატარაც,
ჩემი ბავშვური გული მათ ზარდეს,
ჩემი ფიქრები ზეცამ ატარა…

დამიკოცნე მე ზვავი და შვავი,
ორღობე, მდელო, მთა და სერები…
დამიკოცნე მე მითიურ კოცნით,
გაღმა-გამოღმა მწვანე ველები.

დილის ნიავთან გაინავარდე,
გადაეცი მას მოკითხვა ჩემი,
სიო ნარნარა მომინახულე,
გადაუშალე ეს გული ჩემი…

მერე კი, კარგო, ყველას, სულ ყველას
ტკბილი სალამი უდე უბეში,
დაუკოცნე და ალერსით, ეშხით
მალამო აცხე თვალის უპეში…

ჩირუხის წყალშიც გაიბანავე,
საამოა და ხალვათი არის...
არ დაგავიწყდეს, არ მიღალატო,
აუცილებლად შეხვდი ჩემს აისს...
სანალიის წყალს უკოცნე ტუჩი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მჭიდრო ჩანჩქერში ომახ–მქუხარეს,
შურიან ფიქრებს რომ ფანტავს უმალ,
იმედს რომ ჩუქნის მდუმარ-მწუხარეს…

არ დაგავიწყდეს, ადი ზემოთაც
და უნებლიედ „ზასტავას” მიდი,
ნახე ბიჭები, როგორ არიან,
მათაც აწუხებთ სევდა და ფიქრი...

მოინახულე ოღრო და ჩოღრო,
ჩემი აჭარა, იმერ-ამიერ…
ყველგან და ყველას გული აჩუქე,
სიკეთე ჰქენი შენ ჩემს მაგიერ.

გამოეთხოვე მთებს, ხევებს, ველებს,
მზიურ აჭარას - ჩემს საქართველოს,
ყველა ბუჩქს, ყველა იას, ენძელას…
ხრამებს-ხრამულებს და დიად მდელოს…

…დაუყოვნებლივ ჩამოდი ჩემთან,
აქ, ამ შორეულ „ჩემს” ყაზახეთში,
ალმა-ატაში, სასწავლებელში,
აქ, ამ სალდათურ ჩემს ყაზარმაში…

მიამბე ყველა, რაც შენ იქ ნახე,
რაც გუმანს მისწვდა, თვალით იხილე,
სიმართლე მითხარ - ავიც და კარგიც,
სულ ყველაფერი, რაც იქ იხილე…

მომეც იმედი, ცხოვრების ფესვი,
სიყვარული და ძმობის მალამო,
სიზმარშიც, ცხადშიც, ძილშიც, ღვიძილშიც
ნატვრა და ფიქრი არის ამაო?!

ქ. ალმა-ატა
ივლისი, 1983 წელი

სიყვერულის ბალადა

ბათუმო, ჩემო ბათუმო,
მრავალ ფერებში ჩაფლულო,
სადოდოფლოდ ხარ მორთული,
აჭარის გულო და სულო.

ყვავილნარო, გმირთა მამულო,
ვარსკვლავებით დაშენთილო,
მოკისკისე ქალ-ვაჟების
დაპყრობილ და დალაშქრულო.

შემიყვარდით, მშვენიერო
ქუჩებო და მოედნებო,
ბაღებო და ხეივნებო,
პარკებო და შადრევნებო.

მომენატრეთ, გენაცვალეთ,
ზღვისპირეულო ქუჩებო,
მოკისკისე ლამაზებო,
გოგონებო და ბიჭებო.

დღისით ხომ ლამაზი ხარ და...
ხოლო ღამით უკეთესო,
თითქოს მაშვრალს შთააგონებ-
უნდა ბარო, კაფო-თესო...

...ქუჩები და მოედნები
ღამით ფერად იკაზმება,
მოსეირნე ახალგაზრდას,
გვერდით გოგო ენაზება...

თითქოს ალალ გრძნობა იყო,
თითქოს გულიც არ დგებოდა,

ფიქრთა ზვავი საზღვარს გასცდა,
მიიწევდა, არ დგებოდა...

ბიჭს თვალები ენთებოდა,
გული მძიმედ ძიგძიგებდა,
თითქოს სულაც ვერ ამჩნევდნენ,
რომ ქალაქი იძინებდა...

თითქოს იყო ძველმოდური,
წინაპართა წონებული,
დინჯი ნაბიჯების ბოლთი...
მედიდური, მოხეური...

ჩანს, ერთურთი მაგრად უყვართ,
არც ცდილობენ, ეს დამალონ,
უღიმიან ეშხიანად,
გრძნობა განა გადამალონ?

...შებინდება ხანში შედის,
ჩათვალე, რომ ღამეც დადგა...
ქუჩა ისევ ნათელშია
და საშველი არ დაადგა...

ეტყობათ – ან ერიდებათ,
ან ხათრი აქვთ ერთმანეთის,
როგორ ჰგვანან ბულბულს და ვარდს,
ნასაზრდოებთ მზიანეთში...

ბოლოს, იქნა, ბიჭმა იხმო,
მიიზიდა მკერდზე ნაზად,
ხელი წელზე შემოაჭდო
და დაუწყო კოცნა ხარბად...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგო შესძრა ბიჭის სითბომ,
აანთო და აგიზგიზდა...
გულმა ბაგა-ბუგი უწყო,
ფიქრები კი აიზვინა...

...არ იცოდა,რა ეღონა,
გასხლტომოდა ცერად გვერდზე,
ან ეკივლა შველისათვის...
მინდობოდა მხოლოდ ღმერთზე?!.

მაგრამ, თითქოს, დაუძლურდა,
გაეცალა ძალი-ღონე,
ბიჭს ხელებში ჩაეფუფუფქა...
სახე ენთო, ვითარც თონე.

ბიჭმა იგრძნო, რომ გოგოზე
იმოქმედა მისმა კოცნამ,
მხიარულმა გაუღიმა...
გაუმართლა ბედის ლოცვამ!

...და წავიდნენ ჩახვეულნი,
ერთი ფართო, ბნელი ქუჩით
და შეჩერდნენ ერთ სახლის წინ
ძველნაგები, ძველი ბუხრით.

შეიწვია სახლში გოგო,
მამა-პაპისეულ სახლში...
ვით ნიავი უბერავდეს,
ისე ნაზად გაძვრნენ კარში...

...ოთახში დახვდათ სიბნელე,
მხოლოდ სცემდა მთვარე ჭერში,
მაგრამ მაინც შეამჩნევდით,
კედელს, ხალიჩების ფერში...

ოთახში იდგა მაგიდა,
კუთხეს - ძველებური ტახტი,
მოჩუქურთმულ-მოხატული,
ძველმოხელის მადლის რახტით.

გოგოს, ჩანს, სულ მოერიდა,
არც უნდოდა შესვლა, განა,
მაგრამ ეშმაკმაც სძლია და...
სული ცეკვავს განდაგანას...

გოგო ფრთხილად ტახტს ჩამოჯდა,
არ იცოდა, რა ეღონა,
შესაძლოა, ადრე ფიქრმა,
ვინ იცის, რა შთააგონა...

...საუბრობდნენ, იხსენებდნენ
აქეთურს და იქითურს,
თითქოს ისევ აცილებდნენ,
დაისს, უკვე მიწურულს...

ბოლოს, ბიჭმა კვლავ მოხვია,
მძლავრი ხელი გოგოს წელზე,
ტუჩი ტუჩში ჩააწნა და
წამოაგორა საწოლზე...

გოგო ძალას არ ხმარობდა,
თითქოს იყოს ღვინით მთვრალი,
ვით საწოლზე მიესვენა,
გარჯის შემდეგ დამაშვრალი...

ბიჭმა მისწვდა გულსაკინძეს,
ყურებს მისწვდა მის გახსნის ხმა,
და გამოჩნდა ბროლის მკერდი,
ჯერ სხვის თვალებს არ ენახა…

ძუძუები, ბროლის მკერდი,
აქათქათდა მთვარის შუქზე,
აფანცქალდა ბიჭის გული...
აციმციმდა ოფლი შუბლზე...

გოგო გადნა, გაიცრიცა,
გაინაბა... მიიბნიდა,
თვალები კი მიელულა,
დაეხუჭა... მიებინდა...

ბოლოს ლაღად გადაკოცნა,
მკერდს მიეყრდნო, მიდო თავი,
ნავსაყუდელს დაუბრუნდა,
ვით ზვირთს მოსხლეტილი ნავი...

აი, ბიჭმა ხელი გაჰკრა,
ძირს გაფრინდა გოგოს კაბა,
როგორ ფიქრობ, მოითმენდა?
რას გაჩუმდი, მითხარ აბა!

შარვლის ტოტი ძირს ჩახოხდა,
თან საცვალიც გაიყოლა,
ასეთ ქმედმა გოგოს ამცნო,
მანაც მისი გააყოლა...

შემოაჭდეს ერთურთს ხელი,
ვით შებოჭეს სალტეებით,
ან რომ გველი იკლაკნება,
თავს იგულებს მარტოობით...

ტუჩი ტუჩში ჩაეკონა,
ისმის მტლაშა-მტლუში, კოცნა...
ვაგლახ, „მათაც“ არ იცადეს
და ერთურთის გახდნენ „მონა“...

***

...ფანჯარაში იღიმება,
მთვარის შუქი ძოწეული...
სხეულები იდრიკება,
ვითარ მშვილდი, მოწეული...

***

... მზემ ფანჯარას სხივი სტყორცნა,
მშვენიერი დადგა დილა...
გოგო ძებნეს და ვერ ჰპოვეს,
ლოგინში კი ქალი იწვა...

ქ. ალმა-ატა
მარტი 1981 წელი

აწი რას ვაპირებ?!.

- შენ მეკითხები -
რას ვაპირებ აწი და აწი...
- რას შეიძლება აპირებდეს
ჩემი ხნის კაცი?!
ვაპირებ იმას, რაშიც
შაურს არავინ იხდის:
კოხტად,
ლამაზად,
დაბერებას,
ლამაზად სიკვდილს!
შენ რა, საერთოდ
მეკითხები, გავიგო ასე?
თუ სამომავლოდ
რას ვაპირებ,
დავუშვათ ხვალ-ზეგ?!
თუ ასეა და ...
დამთავრებას ველი იანვრის...
თოვლი მიყვარს და...
სოფელში წასვლას,
ველი ფანჯრების ამოვსებას
ქარბორბლის თოვლით!..
ჰო, თოვლით!
ოო!.. ჯადოსნურ სიმყუდროვეს,
მშვიდ ფიქრს და წერას...
ჰო, ჩემი ცხოვრების
რომანის წერას!..

ბათუმი
2020 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

- ზოგი რამ თანამედროვე ქართველთა ზნეობის მეტამორფოზის შესახებ ---------- 3
- რეალობა - დარიგებაში გადატანილი… ----------31
- „ბოროტსა სძლია კეთილმან!..“ ---------- 37
- ერთი ანდერძის ექო ---------- 52
- შენ თუ არა, ვინ?!. ---------- 69
- „შოშია“ დაბრუნდა!!! ---------- 102
- მარეთელი ფოლკლორისტი ----------164
- ლექსად თქმული... ----------169